ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

მაისი-ივნისი
MAY-JUNE
МАЙ-ИЮНЬ

2012

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი
და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили

გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ელადიმერ პაპავა,ავთანდილ სილაგაძე,ლეო ჩიქავა.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი,რამაზ აბესაძე,სიმონ გელაშვილი,რევაზ გველესიანი,ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ეკა ლეკაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა,ელგუჯა მექვაბიშვილი,იაკობ მესხია,ნუგზარ პაიჭაძე, სერგო სანაძე,მურმან ტურავა,მირიან ტუხაშვილი,ეთერ ხარაიშვილი,ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია,ნოდარ ხადური, აკაკი ხელაძე, თემურ შენგელია,ემზარ ჯგერენაია.**

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Eter Kharaishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Akaki Kheladze, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главний редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани,Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Злгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Серго Санадзе, Мурман Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадури, Акаки Хеладзе, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаия.**

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейсского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

საალდგომო ეპისტოლე 11

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

რევაზ გველესიანი, გიორგი გაფრინდაშვილი. რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს შორის განსხვავების შეფასება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად 19
ანდრეას ნასტანსკი, სიმონ გელაშვილი. სახელმწიფო ვალისა და ინფლაციის ურთიერთდამოკიდებულების თეორიული და ემპირიული კვლევა (გერმანულ ენაზე) 31
რევაზ გოგოხია. ეკონომიკა ეკონომიკური კანონების გარეშე?! 41
დემნა კვარაცხელია. სოლოუს ნაშთის მოდიფიკაცია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის
გათვალისწინებით 53
თემურ მიმინოშვილი. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში 77
ნინო აბესაძე. ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის 93

მიკრო-მაკროეკონომიკა

შოთა შაბურიშვილი. სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები 101
რატი აბულაძე. კიბერპოლიტიკის საფრთხეები და გამოწვევები..... 113
ლეილა ქადაგიშვილი. ეკონომიკური გლობალიზაციის ზო-

გიერთი თავისებურება 123
მარინე ტაბატაძე. ქართული სოფლის
აღორძინებისათვის 129
თამარ ლაზარიაშვილი. ეკონომიკური რისკები და სადაზ-
ღვეო პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოს აგროსა-
სურსათო სექტორში 139

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

ნუგზარ პაიჭაძე. როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხე-
ლმძღვანელი 145
ნინო ფარესაშვილი, მაია ნიკვაშვილი. კონფლიქტის რეგუ-
ლირების ჰუმანური მეთოდები 165
მანანა ლობჟანიძე. სასწავლო მიგრაციის ტენდენციები და
კანონზომიერებები გლობალიზაციის პირობებში 175
ემერ სარჯველაძე. საქონლის ხარისხი და კონკურენტუ-
ნარიანობა საქართველოს ბაზარზე 185
დემურ სიჭინავა. ინფორმაციის არსის
საკითხისათვის 192

CONTENTS

Easter Epistle 11

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

REVAZ GVELESIANI, GIORGI GAPRINDASHVILI. Assessment of Difference between Actual and Potential Possibilities for Economic and Political Decision-making …..... 19
ANDREAS NASTANSKY, SIMON GELASHVILI. Theoretical and Empirical Research on the Interdependence between Public Debt and Inflation (in German) .....……..... 31
REVAZ GOGOKHIA. Economy without Economic Laws?! 41
DEMNA KVARATSKHELIA. Modification of the Solow Residual taking into account Economic Capacities of the State ……..…53
TEMUR MIMINOSHVILI. Government-Business Relationship in Economic Crisis and Post-crisis Periods..... 77
NINO ABESADZE. For Improving Inflation Calculation Methodology 93

MICRO-MACROECONOMICS

SHOTA SHABURISHVILI. The Phenomenon of Social Entrepreneurship and Inclusive
Business Models ……..... 101
RATI ABULADZE. Dangers and Challenges
of Cyberpolitics 113

LEILA KADAGISHVILI. Some Peculiarities of Economic Globalization 123
MARINE TABATADZE. For the Revival of Georgian village 129
TAMAR LAZARIASHVILI. Economic Risks and Priorities of Insurance Policy in Agro-Products Sector of Georgia ……..… 139

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

NUGZAR PAICHADZE. What a Modern Manager should be like …..... 145
NINO PARESASHVILI, MAIA NIKVASHVILI. Humane Methods of Conflict Regulation 165
MANANA LOBZHANIDZE. Tendencies and Natural Characteristics of Educational Migration under Globalization …… 175
ETER SARJVELADZE. Product Quality and Competitiveness on Georgian Market 185
DEMUR SICHINAVA. Regarding the Concept of Information 192

СОДЕРЖАНИЕ

Пасхальное Эпистоле 11

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

РЕВАЗ ГВЕЛЕСИАНИ, ГЕОРГИЙ ГАФРИНДАШВИЛИ. Оценка различия между реальными и потенциальными возможностями для принятия экономико-политических решений..... 19
АНДРЕАС НАСТАНСКИ, СИМОН ГЕЛАШВИЛИ. Теоретические и эмпирические исследования взаимоотношения государственного долга и инфляции (на немецком языке)..... 31
РЕВАЗ ГОГОХИЯ. Экономика вне экономических законов?! ..41
ДЕМНА КВАРАЦХЕЛИЯ. Модификация остатка Солоу с учетом экономических способностей государства..... 53
ТЕМУР МИМИНОШВИЛИ. Взаимоотношение государства и бизнеса в периодах экономического кризиса и посткризиса... 77
НИНО АБЕСАДЗЕ. Для усовершенствования методологий расчета инфляции..... 93

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

ШОТА ШАБУРИШВИЛИ. Феномен социального предпринимательства и модели инклюзивного
бизнеса 101
РАТИ АБУЛАДЗЕ. Опасности и вызовы
киберполитики..... 113

ЛЕЙЛА КАДАГИШВИЛИ. Некоторые особенности экономической глобализации..... 123
МАРИНЕ ТАБАТАДЗЕ. Для возраждения грузинской деревни..... 129
ТАМАРА ЛАЗАРИАШВИЛИ. Экономические риски и приоритеты страховой политики в агропродовольственном секторе... 139

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

НУГЗАР ПАИЧАДЗЕ. Каким должен быть современный руководитель..... 145
НИНО ПАРЕСАШВИЛИ, МАЙА НИКВАШВИЛИ. Гуманные методы регулирования конфликта..... 165
МАНАНА ЛОБЖАНИДЗЕ. Тенденции и закономерности учебной миграции в условиях глобализации..... 175
ЭТЕР САРДЖВЕЛАДЗЕ. Качество и конкурентоспособность товара на рынке Грузии..... 185
ДЕМУР СИЧИНАВА. К вопросу о сущности понятия информации..... 192

საადღგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გაგვათავისუფლა და კვლავ ნუდა დაიდგამთ მონობის უღელს (გალატ. 5.1.).

ქრისტე აღდგა!

სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!

ქრისტე აღდგა!

სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?!

დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობენ კაცნი და ანგელოზთა დასნი; „ჩვენც შევიდეთ სახლსა უფლისასა... და ყოველნივე ვიშვებდეთ სერითა მით სარწმუნოებისათა" (წმ. იოანე ოქროპირი)

მაინც რა არის ჩვენი ასეთი სიხარულის მიზეზი, რატომაა პასექი დღესასწაულთა დღესასწაული?!

მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემომქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული, უცვალებელი და უძრავი. დანარჩენი ყველაფერი ცოცხალი კი ვითარდება, მოძრაობს და დაუსრულებლად მიისწრაფვის მისკენ.

ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი. „როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ – სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ" (რომ. 5.12) ძველი აღთქმის წმიდა და მართალი ადამიანებიც გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში ვერ შედიოდნენ, რადგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით დამძიმებულნი ღვთის წიაღისთვის შეუფერებელნი იყვნენ. ასე რომ, ყველასათვის დაიხშო სასუფეველის კარი.

უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ამ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა; ხოლო რადგან კაცთა შორის და, ზოგადად, ქმნილებათა შორის, ასეთი არავინ იყო და ვერც გამოჩნდებოდა, გმინავდა სამყარო, ჯოჯოხეთი და სიკვდილი კი ზეიმობდა.

და აი, აღესრულა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, - კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, - ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ თვითონ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები, დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიული ნეტარება მოენიჭებინა. „სიტყვა განკაცდა, რათა ჩვენ განვღმრთობილიყავით" (წმ. ათანასე დიდი).

ამქვეყნად უფალი ჩვეულებრივი ადამიანივით მოქმედებდა; ამიტომაც სრულად არავინ იცოდა ვინ იყო იგი. ეშმაკი მხოლოდ წმინდანს და ღვთის რჩეულს ხედავდა მასში; უდაბნოში გასულ იესოს მან გამოცდა მოუწყო და პირველი დამარცხებაც იწვნია.

მაცხოვარი შემდეგ უკვე თვითონ დევნის ეშმაკს, კურნავს შეპყრობილებს, დავრდომილებსა და კეთროვნებს, თვალს უხელს ბრმებს, აღადგენს მკვდრებს...

ბოროტი სული შეძრწუნებულია და გრძნობს, რომ ადვილად ვერ მოერევა მას. ამიტომაც მისი ნებისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებულ და გაუკეთურებულ ადამიანებს იყენებს თავისი მიზნის განსახორციელებლად.

და აი, იუდა..., სინედრიონი..., პილატეს სამსჯავრო, ჯვარცმა და ძე კაცისას ადამიანური ტკივილით სავსე უკანასკნელი აღმონათქვამი: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი", „უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევე მე".

თითქოს აღსრულდა ფარისეველთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, - მოკვდა იესო; მისი სული და სხეული ერთმანეთს განეშორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, - ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემომქმედი! ეშმაკი ჰგონებდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს, მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, დათრგუნა სიკვდილი და იქ მყოფი მართალთა სულნი ცათა სასუფეველში აიყვანა.

ქრისტემ „ძლევაი საკვირველი" მოიმოქმედა. ეშმაკს ყოვლითურთ სძლია და ადამიანს მიანიჭა სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ იგი ყველამ პიროვნულად უნდა მოიპოვოს.

გავიხსენოთ უფლის სიტყვები: „მამაო, განადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. რაკი მიეცი ხელმწიფება ყველა ხორციელზე..., მისცეს საუკუნო სიცოცხლე" (იოანე 17,1,2).

ამიტომაცაა ეს დღე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული ჩვენთვის და საერთოდ, ქრისტიანული სამყაროსათვის.

მკვდრეთით აღდგომილი უფალი სულიწმიდის გარდამოსვლისას აფუძნებს წმიდა ეკლესიას – თავის მისტიკურ სხეულს, რომლის ერთი ნაწილი ცხონებაში მყოფ მართალთა სულებისაგან შედგება და მას მოზეიმე ეკლესია ჰქვია, ხოლო მეორე ნაწილი ამ ქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანთა კრებულს წარმოადგენს და მებრძოლი ეკლესია ეწოდება, რადგან თითოეულმა მისმა წევრმა ცოდვასთან ბრძოლით უნდა მოიპოვოს გადარჩენა და მარადიული სიცოცხლე.

„სასუფეველი ცათა იიძულების" – ბრძანებს სახარება. ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან გვმართებს, - ჩვენს ეგოიზმთან და ამპარტავნებასთან, რაც არის ყველაზე დიდი და საშიში ნესტარი ჩვენი სულისა. ჩვენი გული, რომელიც სავსეა ცოდვით და ცოდვითი მიდრეკილებებით, ჭუჭყისგან უნდა გავათავისუფლოთ და დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, - ჩვენს ნამდვილ „მეს". ამას კი, როგორც გვასწავლის უფალი, მივაღწევთ, თუ შევიყვარებთ მოყვასს, ვითარცა საკუთარ თავს.

მაშ, შეიყვარე მოყვასი და ამით შეიყვარებ შემომქმედს. შენი სიკეთე გაგიღებს სამოთხის კარს, თავმდაბლობა შეგიყვანს უფლის სავანეში, სიყვარული კი წარგადგენს შემოქმედთან, - წმ. მამების ეს რჩევა ჩვენი ცხოვრების კანონად უნდა ვაქციოთ.

ამ გზაზე შეურაცხყოფაც შეგვხვდება და ცილისწამებაც, დაცინვაც და დამდაბლებაც, დაცემაც და აღდგომაც. არ უნდა შეგვეშინდეს, ეს ყველაფერი ჩვენი ამპარტავნების წამალია, მწარე, მაგრამ განმაკურნებელი წამალი.

მაგრამ კაცობრიობის ნაწილი ასე სულაც არ ფიქრობს, რადგან არ სჯერათ ღმერთის და მარადიული ცხოვრების.

უღმერთოთა ნაწილი სიცოცხლის აზრს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი – შვილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს?

ეს ადამიანები გარკვეულწილად სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ

მათი ყოფის მიზანს ასეთ აზროვნება სრულიად აუფასურებს.

ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე „ლოგიკურად" მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთარი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმქვეყნად არაფერი არ არსებობს.

ეს არის ყველაზე პრიმიტიული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება.

საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალი მიდგომა" ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ, ადამიანისათვის დაევიწყებინათ ცოდვის განცდა და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ: სხვისი უზნეობა თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ არის...

და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მაღგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას.

სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს: რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვები და მისაღებია!

ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია!

ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეას და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს.

საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური „ჭეშმარიტებები". მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული.

თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტიქტების წინ წამოწევას ემსახურება.

ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას!

ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგან-

დას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც.

როგორც ჩანს, ამ „ახალი იდეოლოგიის" გამოვლინება და გამოხატულებაა 100 000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება, ასევე ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების, - კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიზატორის... გახსნა, სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების" პოპულარიზაცია.

ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლულევანების მიუხედავად, ყოვლად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულოთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ.

ასეთი დაწესებულებები ბევრ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერჯერობით აკრძალულია, ხოლო სადაც დაშვებულია, მათ კანონით მკაცრად განსაზღვრული მდებარეობა აქვთ – მოცილებულნი არიან სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოების დასვენებისა და კულტურული თავშეყრის ადგილებს.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა და ჩვენმა ხალხმა გაუძლო ამ საცდურს და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა.

ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ მტკიცე ოჯახისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, ამიტომაც გვსურს, რომ გამოვთქვათ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება:

მიუხედავად ქვეყნის გარკვეული წინსვლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად კვლავაც დაუცველ ფენას წარმოადგენს; დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი, დაბალანაზღაურებადია.

საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი. ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შეძენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია.

თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს დაუბრუნდება შრომის სურვილი.

ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჯანდაცვის სფერო.

ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც პირველ რიგში ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება; ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა.

ავადმყოფის მკურნალობა ასევეა დამოკიდებული ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე, ვინაიდან უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად ექცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს.

ფრიად სასურველია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს ჩვილობის ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისათვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა.

დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც, ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, რადგან ციხეებში არსებობს მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი ისეთი სოციალურად საშიში დაავადებების მძიმე ფორმების გავრცელებისათვის, როგორიცაა თუნდაც ტუბერკულოზი.

აუცილებელია სპეციალური სამსახურების მობილიზება და მათი ნტეგრირებული საქმიანობა, რომ სწორად გატარებული პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით თავიდან ავიცილოთ ციხეებში როგორც ამ დაავადებების, ისე C ჰეპატიტის, შიდსის და სხვათა გავრცელება, ხოლო უკვე დაავადებულებში – დროული მკურნალობა.

ჩვენი ტკივილია, რომ საქართველოს პენიტენციარულ დაწესე-

ბულებებში ძალიან ბევრი პატიმარია, მათ შორის დიდია არასრულწლოვანთა და ქალთა რაოდენობა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან არსებული ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიების უფრო აქტიური საქმიანობა. ამასთან, იქნებ ვიზრუნოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედებაზე იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ.

კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშია.

აუცილებელია ამოქმედდეს კანონი სასჯელის გადავადების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმრებს უფლება მიეცეთ, დატოვონ სასჯელაღსრულების დაწესებულება და გამოჯანმრთელებამდე დარჩნენ და იმკურნალონ ოჯახურ გარემოში ახლობლების მზრუნველობის ქვეშ. პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულება და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა.

ხშირად უთქვამთ: ხომ შეეძლო უფალს, ადამიანები სიკეთისაკენ ისე მიემართა, რომ ისინი ცოდვით არ დაცემულიყვნენ და ამდენი განსაცდელიც აღარ გადაეტანათ?

ღმერთი სულია, - წერს პავლე მოციქული, - და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა" (II კორ.3,17).

ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სიწმიდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის.

თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას, რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა, ანუ მადლისმიერი განდმრთობა.

რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი თავის მორწმუნეთ უმზადებს?!

„საერთოდ, ყველა ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია" – წერს II-III-საუკუნეების ცნობილი მწერალი ტერტულიანე.

ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკუღმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ

დაექვემდებარება ცოდვას.

ჭეშმარიტი რწმენის მოპოვებისათვის კი აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში ჩაღრმავება. სულის, გულისა და გონების განწმენდა, წმინდა წერილისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის კითხვა და დამხარებისთვის უფლის წინაშე ლოცვა.

ძველი ნათქვამია: მსგავსი მსგავსს შეჰხარის და შეიცნობსო.

ბუნებრივია, სადაც სიბნელეა, იქ სინათლე ვერ იქნება, სადაც ჭუჭყი ბუდობს, იქ სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაც ჭეშმარიტი რწმენა ვერ იარსებებს უზნეობისა და ცოდვის გარემოში.

ხოლო ადამიანი, ვინც გულწრფელად ეძიებს სამყაროსა და თავისი არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს, ჭეშმარიტების შეცნობა, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის უფალს და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათლით და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრების სასოებით; რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, - სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული. უფალი ბრძანებს – მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული (გამოცხ. 1.8); მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც ჰსწამს ჩემი, კიდეც, რომ მოკვდეს, იცოცხლებს (ინ. 11,25). ჩემო სულიერო შვილებო, აფხაზნო, ოსნო, უკრაინელნო, ქართველნო, ბერძენნო, ასირიელნო, აზერბაიჯანელნო, რუსნო, სომეხნო და ქურთნო, უდიენნო, იეზიდნო და სხვანო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისათვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2012 წელი

რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს შორის განსხვავების შეფასება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად

რევაზ გველესიანი
თსუ-ის სრული პროფესორი,
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი
გიორგი გაფრინდაშვილი
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის დოქტორანტი

ეკონომიკური პოლიტიკის,როგორც მეცნიერული დისციპლინის შემეცნების საგანია პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა. ერთი მხრივ, მან უნდა დაახასიათოს და განსაზღვროს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა,მეორე მხრივ,უნდა შეადგინოს პროგნოზები ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამტარებელთა ქცევების შესახებ. ამგვარი ძალისხმევა გამიზნულია ეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური თეორიის შექმნასა და მის ემპირიულ უზრუნველყოფაზე. ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკური თეორიის გამოყენებას იმის ასახსნელად,თუ როგორც ვლინდება ნება პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სფეროებში; ეს იმას ნიშნავს,რომ ამით დახასიათებულია „საზოგადოებრივი არჩევანის“ ანდა პოლიტიკის ეკონომიკური თეორიის კვლევის პროცესი.[1]

საბოლოოდ, ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების მეცნიერული ანალიზი უნდა ემსახურებოდეს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის (ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების) მომზადებას. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძვლები გასაგები გახდება რაციონალურობის,როგორც მეთოდური ნორმის დახმარებით. ამასთან აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ცოდნა და მეთოდები,რაც მიმართულია:

- პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანდასახუ-

[1] იხ. BUCHANAN, J. M. (1987), The Constitution of Economic Policy. American Economic Review 77, s. 243-250.

ლობათა შინაარსის ახსნასა და მათ იდენტიფიცირებაზე, რამდენადაც ისინი შესაძლოა ისე არიან ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული, რომ ამის დეკლარირება არ მომხდარა;

• მიზანდასახულობათა შორის შესაძლო მიმართებებზე, რომლებიც ან ლოგიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან, ანდა მათი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველი ეკონომიკურ მოვლენათა შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთმიმართებებია;

• იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, როცა მასში ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზანდასახულობის მქონე ინტერვენციები ხორციელდება;

• გადაწყვეტილების ლოგიკასთან დაკავშირებულ მოქმედების წესზე, რომელიც ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების რაციონალური გადაწყვეტის მიზნით გამოიყენება.

ინტერვენციის შესახებ ეკონომიკურ-პოლიტიკური მოძღვრების მთავარი საკითხი სწორედ ის არის, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ამგვარი ცოდნა და მეთოდები იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესში, რომელიც არსებითად რაციონალურობით ხასიათდება. კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა სწორედ მათმა გამოყენებამ უნდა გაადვილოს. ამასთან, საფუძველს მოკლებულია პრეტენზია იმის თაობაზე, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს მეცნიერულად დეტერმინებული პოლიტიკის ჩამოყალიბება. ამგვარი მცდელობა იმ შემთხვევაშიც კი მარცხით მთავრდება, როცა ეკონომიკურ-პოლიტიკურ მრჩეველებს თავიანთი ადრესატები, ანდა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები პოლიტიკური სისტემებიდან და შესაძლო საკუთარი ინტერესებიდან განყენებულ პერსონებად წარმოუდგენიათ. ასეთი შეხედულება ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ იგი ან დემოკრატიული პროცესის მცდარ გაგებას ემყარება, ანდა მთლიანად მოწყვეტილია ეკონომიკურ-პოლიტიკურ იდეათა და შეხედულებათა ფორმირების რეალურ პროცესს. ამიტომაც, აუცილებელია, ცალ-ცალკე განვიხილოთ, როგორც დემოკრატიული პროცესი და გადაწყვეტილების წმინდა ლოგიკური საზღვრები, ასევე ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების რეალიზების პირობები.

ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც ინტერვენციის შესახებ თეორიის მთავარი წანამძღვარი ის არის, რომ შესაძლებელია ეკონომიკურ მოვლენებზე მიზანმიმართული ზემოქმედება.

ჩვენთვის ცნობილია თუ როგორ ფუნქციონირებენ საბაზრო-ეკონომიკური სისტემები და როგორ ყალიბდება ეკონომიკურ-პოლიტიკური მოქმედების მოთხოვნილება (საჭიროება). ნათელია ისიც, რომ ასეთ სისტემათა მართვის შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია, რაც განპირობებულია წესრიგთან დაკავშირებული მიზეზებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მართვის იმ მცდელობებს, რაც ორიენტირებულია საბაზრო პროცესის კონკრეტულ შედეგებზე, რასაც ადასტურებს როგორც სტაბილიზების პოლიტიკის, ასევე განაწილების პოლიტიკის შემთხვევები.

მართვის შესაძლებლობათა საზღვრებს თვითონ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა ადგენს. როგორც ვიცით, საბაზრო სისტემის სტრუქტურა არის კომპლექსური და ევოლუტორული (ღია). იგი ემყარება თვითკოორდინაციას - საბაზრო მოქმედებების მეშვეობით, ხოლო თვითკონტროლს - კონკურენციის საფუძველზე. საბაზრო-ეკონომიკური სისტემა, როგორც დაუგეგმავი წესრიგი, წარმოადგენს კოორდინირების შედეგს; საქმე ეხება ისეთ კოორდინირებას, რომელიც შრომის დანაწილებაზე აგებულ ეკონომიკაში იმ ინდივიდებსა და მეწარმეებს შორის მყარდება, საკუთარი, კერძო მიზნების განხორციელებას რომ ესწრაფვიან. მაგრამ, სხვადასხვა სახეობის წესრიგი, როგორც ასეთები, არ ემსახურება კონკრეტულ მიზნებს.

წმინდა საბაზრო ეკონომიკური ტიპის წესრიგიდან რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის ტიპად გარდაქმნის მცდელობა იმას ნიშნავს, რომ დაუგეგმავი წესრიგი ჩამოაყალიბო პოლიტიკურად განსაზღვრული მიზნებით. აქედან გამომდინარეობს ორი ძირითადი პრობლემა:[1]

- როცა საბაზრო კოორდინაციის პროცესსა და შედეგებს მართვის ღონისძიებათა საფუძველზე ვესწრაფვით, ეს არსებითად სხვა არაფერია, თუ არა დაუგეგმავი წესრიგისათვის გარკვეული მიზნების წინასწარ დასახვა. ამგვარი მიზნები არ შეესაბამება მოცემული წესრიგის ხასიათს; ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ისინი სისტემის მხრიდან ისეთ რეაქციებს გამოიწვევს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და გათვალისწინება შეუძლებელია;
- მართვის ღონისძიებათა მიზანმიმართული გამოყენებისათვის აუცილებელი იქნებოდა მოსალოდნელი შედეგების წინასწარი ცოდნა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ევოლუტორული

[1] იხ. STREIT M. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Aufl., Stuttgart, s. 219.

საბაზრო მოვლენები, მათი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, არ დაიყვანება დამაჯერებელ და სანდო კანონზომიერებებზე, რაც შესაძლებელია ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. იგივე უნდა ითქვას მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზეც, რასაც უნდა დაემყაროს მართვის ღონისძიებები.

იმ პირობებიდან, რომლებსაც წესრიგის თეორია აყენებს, მართვის უამრავი მცდელობის მიმართ დასაბუთებული ეჭვი ჩნდება. ამიტომაც მნიშვნელოვანია:

- მართვის მცდელობების ლოგიკური სტრუქტურების დამუშავება და მათი ელემენტების შესახებ დისკუსია;
- ისეთი პირობების თუ შეზღუდვების გაანალიზება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს განსხვავებული ინტერვენციის კატეგორიებს;
- იმ მეთოდებისა და კრიტერიუმების განხილვა,რომლებიც მართვის მცდელობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში გამოიყენება.

ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემებისათვის არსებითი, განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა რეალობასა და სასურველ სოციოეკონომიკურ მდგომარეობას თუ განვითარების პერსპექტივას შორის განსხვავება. მაგრამ, იმის შეფასება თუ რა არის სასურველი და რას ნიშნავს მისგან გადახვევა – ნორმატიული საკითხია. მასზე შესაძლო პასუხებს ის შეფასებები მოიცავს, რაც საბოლოო ანგარიშით, უნდა გაიზიარონ საზოგადოების წევრებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების არსებობას საფრთხე შეექმნება. საქმე ეხება კოლექტიურ მიზნებს, რომლებიც ინდივიდუალური ან კოლექტიური მასშტაბით ფასდება. რაც შეეხება კოლექტიურ მასშტაბებს, ის აბსოლუტურად შეუთავსებელია საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგთან. შეფასებების ჩამოყალიბება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა შეფასების მასშტაბები ანდა მიზნები მაქსიმალურად ოპერაციონალურად არის ფორმულირებული.

ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, რთული ლოგიკური სტრუქტურა გააჩნია, რაც განპირობებულია სოციალური მოვლენების ურთიერთკავშირით. ეს უკანასკნელი გამოიხატება იმით, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური მოქმედებები ახდენს როგორც მოკლევადიან და გრძელვადიან, ასევე გვერდით ზემოქმედებასაც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების დროს. ამასთან, ასეთ

გადაწყვეტილებებს თან ახლავს ერთგვარი გაურკვევლობა იმის თაობაზე, სწორად არის თუ არა გაანალიზებული ეკონომიკურ-პოლიტიკური საწყისი მდგომარეობა და არის თუ არა გათვალისწინებული განხილული მოქმედებების მოსალოდნელი შედეგები. ამას, როგორც წესი, ემატება ისიც, რომ არა მარტო ერთი გადაწყვეტილების მიმღები ცდილობს ეკონომიკურ მოვლენაზე ზემოქმედების მოხდენას, არამედ ამ პროცესში ჩართულია უამრავი გადაწყვეტილების მიმღები. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაზე ასევე ზეგავლენას ახდენენ ის პირები და ორგანიზაციები, რომლებსაც არ აქვთ სათანადო ეკონომიკურ-პოლიტიკური კომპეტენცია. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენას კერძო ეკონომიკური სუბიექტებიც ცდილობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილებათა ლოგიკური სტრუქტურა გადაწყვეტილების შესახებ თეორიის საგანია. მას შეუძლია დახმარების გაწევა გადაწყვეტილების ეკონომიკურ-თეორიული პრობლემის შეფასებისა და გადაჭრის საქმეში.

შეზღუდული ეკონომიკური ცოდნის საფუძველზე ვერ დავადგენთ ეკონომიკურად მნიშვნელოვან ნორმებს, რომლებიც მიგვითითებდა თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რათა თავიდან ავიცილოთ განსხვავება მათ შორის: რაც არის და რაც უნდა იყოს. ცოდნის დეფიციტი, სათანადო რეაქციებისათვის საჭირო დრო, გაურკვევლობა, შეზღუდული ეკონომიკური პერსპექტივა, ეკონომიკისა და საზოგადოების მუდმივი ცვლილება, იმის წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობა თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესი – მნიშვნელოვანი არგუმენტებია იმისათვის, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური მოძღვრება ინტერვენციის შესახებ მხოლოდ ნორმატიულ ტექნოლოგიად არ მივიჩნიოთ.

ზემოაღნიშნული სიძნელეები ეკონომიკის პოლიტიკოსისა და მისი მრჩეველისაგან, გარდა იმ ცოდნისა, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეკონომიკის მართვა, მოქმედების პოლიტიკური და ორგანიზაციული ჩარჩოების არგუმენტირებულ ცოდნასაც მოითხოვს. ამასთან, ინტერვენციის შესახებ მოძღვრებამ უნდა დააკმაყოფილოს ის პრეტენზიები, რომლებსაც ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც "მართვის ხელოვნების თეორიას" უყენ-

ებენ ხოლმე. მაგრამ, ცოდნის საზღვრების გაცნობიერებასთან ერთად, აუცილებელია, რომ ეკონომიკის პოლიტიკოსმა იცოდეს ის ტექნოლოგიური ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულია მიზანსა და საშუალებას შორის კავშირის სისტემურ გააზრებასთან. ტექნოლოგიური მოთხოვნები აზროვნების დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებს აგვარებს და თავიდან გვაცილებს დაუსაბუთებელსა და არასწორ მსჯელობებს. კონსტიტუციური ცოდნის დეფიციტის გაცნობიერება, საბაზრო ეკონომიკური წესრიგის თავისებურებათა გათვალისწინებასთან ერთად, ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გვიცავს ჯერ-ერთი იმით, რომ გადაჭარბებით არ შევაფასოთ პოლიტიკის ზეგავლენა ეკონომიკური მოვლენების ჩამოყალიბების პროცესზე. მეორეც, იგი თავიდან გვაშორებს მოქმედების ისეთ შედეგებს, სისტემის გაუარესებას რომ იწვევენ.

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემა ჩნდება მაშინ, როცა ხდება სასურველი სოციოპოლიტიკური მდგომარეობიდან თუ განვითარებიდან გადახვევა და იმის გაცნობიერება, რომ აუცილებელია მისი გამოსწორება. მასში გამოხატულია შეფასებითი მიმართება, რაც უკვე ცხადი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანების სფეროდან გამომდინარე. შეფასებები, როგორც შეხედულებები იმის შესახებ, რაც არის, მაგრამ რაც უნდა იყოს – სურვილებს ეფუძნება და ამიტომ ისინი შეიძლება გავითვალისწინოთ ან არ მივიღოთ. სრულიად სხვაგვარადაა აგებული პოზიტიური ეკონომიკური შეხედულებები, რომლებიც ეკონომიკაში ფუნქციურ ურთიერთდამოკიდებულებებსა და ქცევის ფორმებს გვიჩვენებს. მართალია, ისინი არ გამოხატავენ სუბიექტურ მრწამსს, მაგრამ მაინც აუცილებელია მათი ნამდვილობისა და საიმედოობის ინტერსუბიექტური გადამოწმება. საბოლოოდ უნდა მოხდეს მათი ემპირიული შემოწმებაც. გადამოწმებასა და შეფასების თავისუფლებას შორის, როგორც ნაჩვენები იქნება, არსებობს უშუალო კავშირი. თუ შეფასების თავისუფლებას მეცნიერულობის კრიტერიუმად[1] ვაქცევთ, მაშინ აქედან შეიძლებოდა ის დასკვნა გამოგვეტანა, რომ თითქოს შეუძლებელი იყოს ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული ანალიზი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში ნორმატიული, ე.ი. შეფასების

[1] იხ. WEBER M. (1921), Wirstchaft und Gesellschaft, 5. rev. Aufl., Studienausg., Nachdruck, Tuebingen, 2002, s. 28.

იმპლიცირებული (მომცველი) ელემენტები მტკიცედაა დაკავშირებული პოზიტიურ ეკონომიკურ ელემენტებთან. ამიტომაც, მიზანშეწონილი იქნება საკითხი დავსვათ იმის შესახებ, თუ რამდენად ურთიერთთავსებადია შეფასება და მეცნიერულობა. ამასთან, ეს დასაბუთებული უნდა იყოს კრიტიკული რაციონალიზმის პოზიციიდან გამომდინარე, როგორც იგი, უწინარეს ყოვლისა, კ. პოპერისა და ჰ. ალბერტის მიერაა წარმოდგენილი.[1]

ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზის ამოსავალი წერტილია განსხვავება არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. ამრიგად, შეხედულებები იმის შესახებ, რაც უნდა იყოს, შესაძლოა გამოვიყენოთ, რათა დაკვირვებად ეკონომიკურ მდგომარეობათა და განვითარებათა შესახებ შეფასებები მათი დახმარებით წარვმართოთ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან განსხვავებები არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. გვხვდება ფაქტობრივი მოვლენები, რომელთა შემოწმება ნებისმიერ ადამიანს შუძლია; ასევე არსებობს სასურველი მოვლენები, რომლებიც შორდება ამგვარ შემოწმებას; სწორედ მათი შედარების საფუძველზე ყალიბდება როგორც შეფასებების, ასევე რეკომენდაციების შინაარსი. ნორმატიული შეხედულებები სუბიექტურ სურვილებს გამოხატავს, ამიტომ, შემოწმების შედეგი არ შეიძლება "სწორად" ან "მცდარად" მივიჩნიოთ. შესაძლებელია, რომ ვინმემ ისინი თავისთვის მისაღებად ჩათვალოს ან უარყოს კიდეც.

ეკონომიკურ-თეორიული მოსაზრებები ყოველთვის იმ განსხვავების საფუძველზე ყალიბდება, ეკონომიკური პროცესების შესახებ ვარაუდზე დამყარებულ ცოდნასა და ფაქტობრივ პროცესებს შორის რომ არსებობს. მაგრამ, რამდენადაც როგორც ვარაუდზე დამყარებული მოჩვენებითი ცოდნა, ასევე ფაქტობრივი პროცესები არსებულის შესახებ შეხედულებების მეშვეობით მტკიცებათა ფორმით გადმოიცემა, საქმე გვაქვს პოზიტიურ შეხედულებებთან. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რეალური ფენომენების შესახებ ენობრივი ერთიანობა, რომელთა საფუძველზეც ხდება დაკვირვების შესაბამისი ველის კონსტიტუირება (ფორმირება), მაშინ არსებითად შესაძლე-

[1]ix. POPPER, K.R. (1962), Die Logik der Sozialwissenschaften. Koelner Zeitschrift fuer Soziologie und Sozialpsychologie 14, s. 233-248; ALBERT, H. (1978), Traktat ueber rationale Praxis, Tuebingen

ბელია ამგვარი შეხედულებების გადამოწმება. საამისოდ კი აუცილებელია იმის დადგენა, თუ რომელი მოვლენები იქნებოდა შესაბამისობაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ ვარაუდზე დამყარებულ ცოდნასთან, ანუ თეორიული ახსნის მცდელობასთან. ასეთი რამ ხდება იმ შემთხვევაში, როცა დაკვირვებადი - როგორც მიზეზობრივად შესამჩნევი – მოვლენებიდან სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულებების (ჰიპოთეზა) საფუძველზე ისეთი მოვლენების შესახებ კეთდება დასკვნა, რომლებიც უნდა არსებულიყო, თუ ზემოთ დასახელებულ დამოკიდებულებას კანონიერი ძალა ექნებოდა. ამ გზით ფორმირებული შეხედულებები, რომელთა სტრუქტურა არის „თუ - მაშინ - შეხედულებები", ემპირიული გადამოწმებისას შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ფაქტობრივ მოვლენებთან.

ეკონომიკური თეორიები მარცხს არა მარტო ლოგიკის კანონებთან მიმართებით განიცდის, არამედ ემპირიაშიც, როცა საქმე ეხება რეალობის მიმართ მათი მეცნიერული პრეტენზიების დასაბუთებას. მეორე მხრივ, ხდება იმის დაკონკრეტება, რომ ემპირიული შემოწმება სხვა არაფერია, თუ არა ფალსიფიცირების მეთოდური პრინციპის გამოყენება, ანუ სისტემური უარყოფის მცდელობა. ამის გამო ადგილი აქვს ემპირიული შემოწმების სიმძიმის ცენტრის გადატანას ისეთი მოვლენების ძიებაზე, რომელთა დადგომა გამორიცხული იყო ნავარაუდევ კაუზალობათა შესაძლო თანამიმდევრობიდან. ეს ამავე დროს იმის გამოხატულებაა, რომ მოხდეს მოსალოდნელი შეცდომის გარდაქმნა კრიტიკულ თვალსაზრისად. უარყოფის მცდელობის მარცხით დასრულება ნიშნავს არა იმას, რომ შესაბამისი ჰიპოთეზა არ დადასტურდა, არამედ იმას, რომ ჯერ კიდევ არ მომხდარა მისი უარყოფა.

შეიძლება იმის წარმოდგენაც, რომ ემპირიული შემოწმებისას აქცენტი ისეთ ვითარებათა ძიებაზე კეთდებოდეს, რომლებიც ნავარაუდევი კანონზომიერებებით დაშვებულ შედეგებს განეკუთვნება. მაგრამ, ადვილად შეიძლება, რომ ასეთი ვერიფიცირებისას (მტკიცებისას) მხედველობიდან გამოგვრჩეს უარყოფის შესაძლებლობები და შემეცნება ერთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ეს კი ხელს შეუწყობდა დოგმატური პოზიციის ჩამოყალიბებას. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ აქცენტი სავარაუდო კაუზალობათა მცდარობაზე გაკეთდებოდა, უფრო მალე მი-

ვაღწევდით მეცნიერულ პროგრესს,ვიდრე იმ შემთხვევაში,როცა ახსნის წინანდელ მცდელობათა გაუმჯობესებასა და შეცვლას ვესწრაფვით. ამ მიზნისათვის უფრო შესაფერისია არა ვერიფიცირების, არამედ ფალსიფიცირების (ემპირიული უარყოფის) პრინციპი.

ორივე მეთოდურ პრინციპს – როგორც ფალსიფიცირებას, ასევე შეფასებისათვის დამახასიათებელ თავისუფლებას – ნორმატიული შინაარსი აქვს,ვინაიდან ისინი რეკომენდაციებს მოიცავს იმის თაობაზე:

- თუ როგორ უნდა ვესწრაფვოდეთ რეალობის შესახებ მეცნიერულ ცოდნას (ემპირიული უარყოფა);
- რომელი მტკიცებები არ უნდა გავითვალისწინოთ ინტერსუბიექტური შემოწმების ინტერესებიდან გამომდინარე (შეფასებები).

აქედან არ გამომდინარეობს, რომ უარყოფის მეთოდი თითქოს არ იძლეოდეს რეალობის შესახებ მეცნიერული ცოდნის შესაძლებლობას. უბრალოდ კეთდება ვარაუდი იმის თაობაზე,რომ ასეთი რამ ორივე მეთოდური პრინციპის საფუძველზე მიიღწევა. შეფასებების ნეიტრალიზება, როგორც ვნახავთ, არ ნიშნავს იმას,რომ თითქოსდა შესაძლებელი არ იყოს მისი შეფასებისაგან დამოუკიდებელი და მეცნიერული ანალიზი.

შეფასების თავისუფლებაზე ხშირად მცდარი წარმოდგენა აქვთ საზოგადოდ ეკონომიკურ მეცნიერებებში და განსაკუთრებით – ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამგვარი გაუგებრობა უშუალო კავშირშია ახსნის მცდელობასთან. საქმე ის არის, რომ სოციოეკონომიკური რეალობის დაკვირვებად კანონზომიერებათა დადგენის ყოველ მცდელობას შეფასებითი ბუნების მქონე სუბიექტური არჩევანი და ინტერესი განსაზღვრავს.

შესაძლებელია თუ არა,რომ ეკონომიკის ფუნქციონირება შეფასებისაგან თავისუფალი იყოს? – ამ კითხვაზე, ალბათ, დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა გ. მირდალი: „ფაქტები მყისიერად როდი იქცევა ცნებებად და თეორიებად; მათ გარეშე კი მეცნიერული ფაქტების ნაცვლად ქაოსი დაისადგურებდა. ყოველი მეცნიერული ნაშრომი აუცილებლად მოიცავს აპრიორულ ელემენტს. ჯერ კითხვები უნდა დაისვას, შემდეგ კი მათზე პასუხის გაცემას შევეცადოთ. თითოეული კითხვა სამყაროსადმი ჩვენი ინტერესის გამოხატვაა. ისინი არსებითად სხვა

არაფერია თუ არა შეფასებები".[1] მეორე მხრივ, საკვლევი პრობლემის შემფასებლური არჩევანი იმთავითვე როდი გამორიცხავს მეცნიერული, ინტერსუბიექტურად შემოწმებადი ანალიზის შესაძლებლობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგების კრიტიკული განხილვა უნდა მოხდეს და არა მეცნიერის პიროვნული პოზიციისა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს პრობლემის არჩევაზე.

მეორე გაუგებრობა წარმოიშობა მაშინ, როცა არ ითვალისწინებენ იმ განსხვავებას, რომელიც შემფასებლურ დასკვნებსა და ღირებულებების შესახებ შეხედულებებს შორის არსებობს. ამის გაუთვალისწინებლობა ისეთ ინტერპრეტაციას იწვევს, რომ თითქოსდა, გამორიცხული იყოს შეფასებებისა და ეკონომიკური მიზნების მეცნიერული განხილვა. სინამდვილეში ეს მხოლოდ შემფასებლური დასკვნების, როგორც მეცნიერული ძალისხმევის მიზნის ფორმულირებას ეხება. ღირებულებათა შესახებ შეხედულებები შეფასებითი მსჯელობებიდან აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული პროგრამა ამ სფეროში არსებულ შეფასებებთან მიმართებით შეიძლება შემდეგნაირად დაკონკრეტდეს:

- შესაძლებელია შეფასებათა ახსნა (1), მათი ურთიერთმიმართებების შემოწმება (2), და იმ კომბინაციების ურთიერთშედარება (3), რომლებიც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ჯგუფისა და საზოგადოების მიერ ყალიბდება;
- შეფასებები, რომელთა გამოვლენა შესაძლებელია შეხედულებების ღრმა ანალიზის გზით (იდეოლოგიის კრიტიკა); არ არის გამორიცხული, რომ მოქმედებები და შეხედულებები საგანგებო მიზნით ყალიბდებოდეს; საქმე ეხება ადრესატზე ზემოქმედების მოხდენის მიზანს. თითქოსდა, ამგვარი შეხედულებები ინტერსუბიექტურად შემოწმებად საფუძვლებს ემყარებოდეს;
- დაბოლოს, შესაძლებელია აღიწეროს, აიხსნას და მოხდეს იმის პროგნოზირება, თუ როგორია ან როგორი იქნება ცალკეული პირისა თუ ჯგუფის შემფასებლური ქცევა და მათი ურთიერთქმედება.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შეფასებათა მეცნიერული დადგენა და გაანალიზება, ისევე როგორც მათი ურთიერთმი-

1იხ. MYRDAL, G. (1969), Objektivitaet in der Sozialforschung, 2. Aufl., Frankfurt am Main 1971, s.13

მართებების შემოწმება, მაგრამ დაუშვებელია მათი მიჩნევა "სწორ" ან "მცდარ" შეფასებებად.

ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ მეცნიერი შეიძლება პიროვნულად მხარს უჭერდეს გარკვეულ ნორმატიულ პოზიციას. ასევე არ არის გამორიცხული შეფასებითი მსჯელობები მეცნიერულად ღია და საჯარო ფაქტების შესახებ. თუ ნორმად მივიღებთ იმას, რომ აუცილებელია ინტერსუბიექტურად შემოწმებადი შეფასებითი მსჯელობების (იდეოლოგიების) თავიდან აშორება, მაშინ მკაფიოდ უნდა გვქონდეს გაცნობიერებული შეხედულებების შეფასებითი ნაწილი (ღირებულების ტრანსპარენტობის პოსტულატი). მაგრამ, ამ მოთხოვნის შესრულება ძალზე ძნელია იმის გამო, რომ მეტყველების ელემენტებს ხშირად ვიყენებთ ხოლმე შეფასების მიზნით. ყოველ შემთხვევაში ამგვარ დასკვნებს მეცნიერული ხასიათი სულაც არ ენიჭება იმის გამო, რომ მას შეიძლება ისეთი ვინმე იყენებდეს, ვინც ისედაც მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მეცნიერი, თავისი საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, გარკვეულ შეფასებით დასკვნებს, სხვა ასეთივე შეხედულებებთან შედარებით, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს.

შეფასების პრობლემატიკის თაობაზე შემდგომი გაუგებრობა ტექნოლგიურ ინფორმაციას უკავშირდება. ადრე განხილული შემთხვევებისაგან განსხვავებით, იგი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს შეფასებისგან თავისუფალი, მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას. ასეთი ანალიზის საფუძველია ტექნოლოგიური ინფორმაციები, რაც სხვა არაფერია, თუ არა იმ ძალისხმევათა შედეგი ეკონომიკურ კანონზომიერებათა წვდომას რომ ესწრაფვის. ეკონომიკის პოლიტიკოსს სწორედ ამგვარი სავარაუდო კანონზომიერებები აინტერესებს, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც:

- უკვე ახსნილ მოვლენებთან არის მიმართებაში; სწორედ იმ მოვლენებთან, პირდაპირი ან ირიბი კავშირი რომ აქვს ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებთან;
- ანდა მიზეზობრივად წინასწარ განსაზღვრული მოვლენების სახეობას მოიცავს, რომელსაც ეკონომიკის პოლიტიკოსი ან გაითვალისწინებს ან არა.

ასეთი კანონზომიერებები მოქმედების ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის.

ამისათვის კი მხოლოდ ტავტოლოგიური ტრანსფორმაციაა საჭირო.[1] ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება ეკონომიკურ-პოლიტიკურად ფორმირებადი მოვლენები. სწორედ ამის საფუძველზე მოხდება ზემოქმედების იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც არ მონაწილეობენ ამგვარ ფორმირებაში და გამოიკვეთება სასურველი მოვლენები. მათი პროგნოზირება მთავარ მიზნამდე მისვლის საშუალებაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული მოვლენების ახსნა. ზოგჯერ არასწორად ესმით ხოლმე ტავტოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგი, რაც შეფასებისათვის დამახასიათებელი თავისუფლების პრინციპის დარღვევას ნიშნავს.

Assessment of Difference between Actual and Potential Possibilities for Economic and Political Decision-making

R. Gvelesiani
G. Gaprindashvili

The difference between actual and desirable socio-economic conditions and the perspective of development is constitutive (essential) for economic and political problems. But to evaluate what is desirable and what the deviation from it means is a normative issue. Possible answers to this issue are included in the evaluations which should be finally shared by members of the society. Otherwise, existence of the society will be endangered. The point is that collective goals are evaluated in individual or collective scales. As for collective scales, they are completely incompatible with market and economic order. Making assessment is only possible when the scales or goals of assessments are formulated maximally operationally.

[1] იხ. ALBERT, H. (1963b), Wertfreiheit als methodische Prinzip – Zur Frage der Notwendigkeit einer normativen Sozialwissenschaft; wiederabgedruckt in ders.: Aufklaerung und Steuerung – Aufsaetze zur Sozialphilosophie und zur Wissenschaftslehre der Sozialwissenschaften, Hamburg 1976, s.177.

THEORIE UND EMPIRIE ZUM ZUSAMMENHANG ZWISCHEN STAATSVERSCHULDUNG UND INFLATION

Dr. Andreas Nastansky -
Universität Potsdam
Prof. Dr. Simon Gelaschwili -
Iv. Djavachischvili Staatliche
Universität Tbilissi

1. Einleitung

Die Nationalstaaten haben gemeinsam mit den Zentralbanken das Finanzsystem während der Finanz- und Bankenkrise der Jahre 2008/09 gestützt und stabilisiert.[1] Anschließend wurde die Wirtschaftskrise durch Konjunkturprogramme gemildert. Dies führte zu einer Beschleunigung der Staatsschulden weltweit. Das hohe Schuldenniveau nicht nur in den Euro-Krisenstaaten und die starke Ausweitung der Bilanzsumme der Europäischen Zentralbank (EZB) infolge der unkonventionellen geldpolitischen Maßnahmen begründen die Befürchtung von Schuldenrestrukturierungen durch Staatsinsolvenzen. Eine Alternative dazu ist die Inflationierung der Staatsverschuldung. Während Ausgabenkürzungen und Steuererhöhungen mit heftigem Widerstand von Interessengruppen und weiten Teilen der Bevölkerung einhergehen, stellt die Inflation eine verführerische Lösung des Schuldenproblems dar. Wie *Reinhart/Rogoff* (2009) darlegen, versuchten Regierungen weltweit, Staatsschulden in eigener Währung durch Inflation zu entwerten.[2] Es stellt sich die Frage, ob das „Inflationsgespenst" zurückkehrt? Diese Befürchtung wird durch die Krise um Griechenland noch verstärkt, da die wirtschaftlich stabileren Nationen die von der Krise bedrohten Länder unterstützen und dazu weitere Schulden aufnehmen müssen.

Staatsverschuldung und Inflation stehen über unterschiedliche Übertragungswege in einer wechselseitigen Beziehung zueinander. Die Geldpolitik der Zentralbanken übt zudem einen großen Einfluss auf dieses Zu-

[1] *Nastansky, A./ Gelaschwili, S.*, Determinanten der Entwicklung der Krise am US-Immobilienmarkt zur globalen Finanz- und Wirtschaftskrise, in: ECONOMICS and BUSINESS, Nr. 1 (2010), s. 67-80.

2 *Reinhart, C.M./ Rogoff, K.S.,* This Time is Different: Eight Centuries of Financial Folly, Princeton 2009.

sammenspiel aus. Staatliche Defizite können zu Inflation führen, wenn die Geldmenge ausgeweitet wird. Die Relevanz ergibt sich nicht zuletzt aus der seit der europäischen Staatsschuldenkrise wieder bedeutsamer gewordenen Problematik der Folgen staatlicher Verschuldung und einer expansiven Geldpolitik für die Entwicklung der Verbraucherpreise.

2.Empirie Staatsverschuldung und Inflation

Der Zusammenhang zwischen Staatsverschuldung und Inflation ist in der empirischen Forschung der letzten Jahre in zahlreichen Studien und unter verschiedenen Fragestellungen behandelt worden. Der Schwerpunkt wurde auf die ökonometrischen Modellierungen der Auswirkungen der Staatsverschuldung auf das Zinsniveau, den Output und die Inflation gesetzt. Die Autoren gelangen teilweise zu widersprüchlichen Ergebnissen, ob die Monetarisierung der Staatsschuld zu realen Effekten und zu Inflation führt.

Nach *Giannitsarou*/*Scott* (2006) konnte in den Industriestaaten seit den 1960er Jahren kein signifikanter Zusammenhang zwischen Staatsverschuldung und Inflation ermittelt werden.[1] In den Schwellenländern fanden *Catao*/*Terrones* (2005) für den Zeitraum 1960-2000 hingegen einen deutlichen Einfluss der Staatsdefizite auf die Inflation.[2] In den entwickelten Ländern tragen unabhängige Zentralbanken und eine hohe Reputation bei den Kapitalmarktakteuren zu einer stabilen Finanzlage bei, sodass staatliche Defizite nicht in hohen Inflationsraten münden. *Taghavi* (2000) untersuchte den Zusammenhang zwischen Inflation und realer Schuldenquote für Deutschland, Italien, Frankreich und Großbritannien im Zeitraum 1970-1997.[3] Für keines der Länder konnte eine Kointegrationsbeziehung nachgewiesen werden. Jedoch war in allen vier Staaten die öffentliche Schuldenquote Granger-kausal zur Inflation mit einer Zeitverzögerung von 3 und 5 Jahren. Mithilfe von Impuls-Antwort- Funktionen zeigte *Taghavi*, dass eine plötzliche Erhöhung der realen Schuldenquote signifikante Reaktionen der Inflation nach sich zogen. Richtung und Stärke der Antwort differenzierten teils erheblich. Demgegenüber konnten *Seccareccia*/*Sood* (1999) für die

[1] Giannitsarou, C./ Scott, A., Inflation Implications of Rising Government Debt, in: NBER Working Paper Series, No. 12654 (2006).

[2] *Catao, L./ Terrones, M.E.*, Fiscal Deficits and Inflation, in: Journal of Monetary Economics, vol. 52 (2005), s. 529-554.

[3] *Taghavi, M.*, Debt, growth and inflation in large European economies: a vector auto-regression analysis, in: Journal of Evolutionary Economics, vol. 10 (2000), s. 159-173.

G7-Staaten (ohne Japan) keine Granger-Kausalität des Budgetdefizits für die Inflation nachweisen.[1] *Bleaney* (1996) führte eine Korrelationsanalyse des öffentlichen Schuldenstands mit der Inflation durch.[2] Er ermittelte eine schwache positive durchschnittliche Korrelation von 0,36 zwischen beiden Variablen in fünfzehn OECD-Ländern für den Zeitraum 1973-1982. Für einen späteren Zeitraum 1983-1989 wurde mit -0,19 eine schwach negative durchschnittliche Korrelation für dieselben Länder berechnet. *Nastansky/ Mehnert* (2012) ermitteln für Deutschland seit 1991 eine Kointegrationsbeziehung und einen signifikant positiven Einfluss der nominalen Staatsverschuldung auf die Verbraucherpreisentwicklung.[3] Wenn die Verschuldung des Staates um 10% wächst, dann steigt der VPI im Mittel um 2%. Die Zerlegung der kointegrierten Zeitreihen in transitorische und permanente Komponenten unter Berücksichtigung der Gleichgewichtsfehler mittels der multivariaten Beveridge-Nelson-Dekomposition offenbarte, dass von den nominalen Staatsschulden auch im Konjunkturverlauf ein inflationärer Effekt ausgeht.

Junius/Tödtmann (2010) analysieren auf Basis einer Simulationsrechnung die Effekte alternativer Inflationsraten auf die Staatsschuldenquote der Europäischen Währungsunion (EWU).[4] Demnach hat ein dauerhaft moderater Anstieg der Inflationsrate (von 2% auf 4%) nur geringe Auswirkungen auf die Staatsschuldenquote (-10 Prozentpunkte). Mit dem Anziehen der Risikoprämien (Realzinsen) geht dieser Vorteil langfristig wieder verloren. Ferner identifizierten sie anhand verschiedener Kriterien Griechenland, Portugal, Irland uns Spanien als Länder in der Euro-Zone mit den größten Inflationierungsanreizen. Demgegenüber würden höhere Inflationsraten in Deutschland nur eine relativ schwache fiskalische Entlastung hervorrufen. *Mehnert/Nastansky* (2012) zeigen für Deutschland, dass im Zeitraum 1991-2010 von den Verbraucherpreisen langfristig ein erhöhen-

---

[1] Seccareccia, M./ Sood, A., Government Debt Monetization and Inflation: a Somewhat Jaundiced View, in: University of Ottawa Working Paper Series, No. 9903 (1999).

[2] *Bleaney, M.*, Inflation and Public Debt, in: Australian Economic Papers, vol. 35 (1996), s. 141-155.

[3] *Mehnert, A./ Nastansky, A.*, Staatsverschuldung und Inflation - Eine empirische Analyse für Deutschland, in: Potsdamer Schriften zu Statistik und Wirtschaft, Nr. 2 (2012).

[4] *Junius, K./ Tödtmann, K.*, Inflation und Staatsverschuldung, in: Ifo Schnelldienst, vol. 63 (2010), s. 16-26.

der Einfluss auf die nominale Staatsverschuldung ausgeht. Die kurzfristigen Veränderungen des VPI wirken hingegen dämpfend auf das Wachstum der Staatsverschuldung ein. In der kurzen Frist profitiert der Staat von höheren Inflationsraten. Während mittel- bis langfristig ein Gleichlauf beider Variablen zu beobachten ist. Umgekehrt hängt die Entwicklung der Verbraucherpreise signifikant positiv von der Staatsverschuldung ab. Beide Größen stehen in einer wechselseitigen Beziehung zueinander. Damit geht einerseits von der Verschuldung des Staates ein inflationärer Effekt aus. Andererseits wird die Verschuldungssituation des Staates von der Verbraucherpreisentwicklung determiniert. Darüber hinaus wurde in den Niveaus ein stabiler Zusammenhang zwischen Geldmengen- und Preisentwicklung in Deutschland seit 1991 ermittelt.

3.Staatsverschuldung und Inflation: Theoretische Aspekte

Nach Sichtweise der klassisch-neoklassichen Theorie führen Staatsausgaben über Kreditfinanzierung nicht zu einem höheren Output. Es kommt lediglich zu einer Verlagerung der Nachfrage vom privaten Sektor hin zum Staat. Die Defizitfinanzierung ist mit kompensierenden Verhaltensweisen der Wirtschaftssubjekte verbunden. Bei Vollbeschäftigung

werden vor allem die Bautätigkeit und Investitionen der Unternehmen infolge eines höheren Zinsniveaus verdrängt (zinsinduziertes crowding-out). Die zusätzliche staatliche Nachfrage am Kreditmarkt führt bei gegebenem privatem Sparaufkommen zu einer Überschussnachfrage nach Kredit und übt Druck auf den Preis des Kapitals (Zins) aus. Unternehmen können weniger Kredite für Investitionen aufnehmen bzw. müssen einen höheren Zins bezahlen, da die private Kreditnachfrage durch die staatliche teilweise verdrängt wird. Wenig rentable Investitionen können so unterbleiben. Langfristig wird der private Kapitalstock durch öffentliche Schulden ersetzt. Hinzu treten verzerrende Effekte und Effizienzverluste als Folge der Erhebung von zusätzlichen Steuern zur Finanzierung der zukünftigen Zins- und Tilgungsleistungen.

Entsprechend dem Äquivalenttheorem von Ricardo führen kreditfinanzierte Staatsausgaben nicht zu realen Effekten und damit auch nicht zu einer höheren Inflation. Agieren die Wirtschaftssubjekte vorausschauend, ist die heutige staatliche Kreditaufnahme mit höheren Steuern in der Zukunft gleichzusetzen. Damit ist die Staatsverschuldung äquivalent zu künftigen Steuern. Die gesamtwirtschaftliche Ersparnis bleibt unverändert, da die Zunahme der privaten Ersparnis die Verringerung der staatlichen

Ersparnis ausgleicht.

Demgegenüber unterstellt die keynesianische Theorie, dass von der Staatsverschuldung ein expansiver Effekt auf die gesamtwirtschaftliche Nachfrage ausgeht. Kurzfristig wird die konjunkturelle Entwicklung wesentlich durch die gesamtwirtschaftliche Nachfrage determiniert. In rezessiven Phasen trägt die kreditfinanzierte expansive Fiskalpolitik zur Auslastung der Produktionspotenzials bei. Die Wirtschaftssubjekte können die höheren Einkommen für zusätzliche Konsumausgaben verwenden. Demnach sollten in Rezessionsphasen Budgetdefizite bewusst hingenommen werden. Über den Konjunkturzyklus hinweg stehen den Defiziten im Idealfall Überschüsse in konjunkturellen Hochphasen gegenüber. Aus stabilisierungspolitischen Gründen sollen die zyklischen Schwanken der Wirtschaftsentwicklung geglättet werden. Mittel- bis langfristig ziehen jedoch die Verbraucherpreise an.

Die Finanzierung von Staatsausgaben durch Kreditaufnahme (Staatsverschuldung) bei der Zentralbank führt nach der monetaristischen Sichtweise zu einer Ausweitung der Geldmenge und entsprechend der Quantitätstheorie steigt mittel- bis langfristig das Preisniveau.

3.1. Transmission von der Staatsverschuldung zur Inflation

Die Staatsverschuldung und die Preisentwicklung auf dem Gütermarkt (Inflation) stehen über unterschiedliche Transmissionswege in einer wechselseitigen Beziehung zueinander. Bei der Analyse der Transmission der Staatsverschuldung auf die Inflation muss die Wirkung auf die Geldmenge und die Rolle der Notenbank untersucht werden. Die Finanzierung von Staatsausgaben durch Kreditaufnahme (Staatsverschuldung) bei der Zentralbank führt zu einer Ausweitung der Geldmenge. In diesem Fall wird die Kreditierung auch als Schöpfungskredit bezeichnet. Die Zentralbank bezahlt den Staat mit dem von ihr geschaffenen Geld. Der Staat gibt das Zentralbankengeld im Austausch für Güter und Dienstleistungen an den privaten Sektor weiter. Die Übertragungswege von der Staatsverschuldung hin zur Inflation gehen über die Geldpolitik der Zentralbanken und die Outputnachfrage des Staates

- direkt durch Ankauf von Staatsschuldtiteln durch die Zentralbank oder
- indirekt durch die Nachfrage nach Staatsschuldtitel durch die privaten Haushalte bei gleichzeitiger expansiver Geldpolitik, um die Zinserhöhung zu sterilisieren.

• indirekt durch Kredite bzw. der Nachfrage nach Staatsschuldtitel durch die Geschäftsbanken.

• über die Inflationserwartungen der Wirtschaftssubjekte.

• Eine Erhöhung der Staatsausgaben durch Verschuldung stimuliert kurzfristig die gesamtwirtschaftliche Nachfrage.

Diese fünf Faktoren münden mittel- bis langfristig in steigenden Verbraucherpreisen. Das Resultat der schuldenfinanzierten expansiven Fiskalpolitik sind höhere Verbraucherpreise und eine Ausweitung des Outputs in der kurzen Frist. Output und Beschäftigung nehmen zu. In diesem Fall trat eine nachfrageinduzierte Inflation ein, d.h. die gesamtwirtschaftliche Nachfrage stieg schneller als das Produktionspotenzial der Volkswirtschaft. Wird die Staatsausgabenerhöhung noch von einer expansiven Geldpolitik begleitet, kann der Preisauftrieb noch stärker ausfallen. Bei prinzipiell fehlender Geldillusion werden mittel- bis langfristig die Reallohnsenkungen durch Lohnforderungen kompensiert und der Preisauftrieb beschleunigt sich. In den ersten drei Punkten schafft die Notenbank Geld, d.h. sie erhöht die zirkulierende Geldmenge. Wächst die Geldmenge schneller als die gesamtwirtschaftliche Produktion erzeugt dies zusätzlich Druck auf die Verbraucherpreise und ein inflationärer Prozess setzt ein.

Bei der Übertragungsmöglichkeit spielen die Liquidität des Bankensektors und der institutionelle Rahmen eine wichtige Rolle. Der Liquiditätsstatus des Bankensektors beeinflusst den crowding-out. Ist die Liquiditätslage der Geschäftsbanken kritisch, kann die zusätzliche staatliche Nachfrage am Kreditmarkt Verdrängungseffekte bei privaten Kreditnachfragern hervorrufen. Die Gefahr, dass von der Staatsverschuldung eine Inflation ausgeht, ist umso geringer, je unabhängiger der Status der Zentralbank ist. Allerdings tendieren Regierungen bei hoher Staatsverschuldung vielfach zu einer subtilen Form der Beeinflussung der Öffentlichkeit und damit auch der Notenbank. Mit der Begründung der Unterstützung der Konjunktur oder Reduktion der Arbeitslosigkeit fordern sie eine expansive Geldpolitik bei Inkaufnahme von „etwas mehr“ Inflation und üben Druck auf die Zentralbanken aus.

Die Wechselbeziehungen zwischen Staatsverschuldung und Inflation ergeben sich nicht nur über die Geldmenge und die gesamtwirtschaftliche Nachfrage. Auch die Wirkung der Staatsdefizite auf die Inflationserwartungen der Wirtschaftssubjekte kann Einfluss auf die spätere tatsächliche Preisentwicklung nehmen. Führt eine hohe Neuverschuldung oder ein hoher

Schuldenstand zu langfristig steigenden Inflationserwartungen, kann dies Druck auf die Nominallohnforderungen der Wirtschaftssubjekte erzeugen und inflationäre Entwicklung begründen. Für die Zentralbanken ergibt sich über diesen Kanal eine Verbindung zwischen Fiskalpolitik und Geldpolitik. Die Notenbanken sind bestrebt die langfristigen Inflationserwartungen zu beeinflussen. Eine auf Preisniveaustabilität ausgerichtete Geldpolitik hängt von der Verschuldung der öffentlichen Haushalte ab. Bei hohem Schuldenstand und hohen Nominalzinsen wird die Verankerung des Inflationsziels in den Inflationserwartungen der Wirtschaftssubjekte erschwert.

3.2. Transmission von der Inflation zur Staatsverschuldung

Die Übertragungswege von der Inflation hin zur Staatsverschuldung bestehen aus

- dem Geldschöpfungsgewinn als Teil des Notenbankgewinns.
- der kurzfristigen Stimulierung des Wirtschaftswachstums durch die expansive Geldpolitik. (Die Staatseinnahmen steigen und die Ausgaben sinken.)
- ebenso ein progressives Steuersystem führt bei höherer Inflation bereits ohne Realwachstum zu höheren Steuereinnahmen.
- der Entwertung des nominalen Staatsschuldbestands durch Inflation (Inflationssteuer).

Diese vier Faktoren reduzieren kurz- bis mittelfristig die Staatsverschuldung. Durch eine expansive Geldpolitik und hohe Inflationsraten kann der Notenbankgewinn gesteigert werden. Dieser entsteht im Wesentlichen durch einen Zinsüberschuss der Aktiva über die Passiva in der Zentralbankbilanz und durch die Erträge aus der Geldschöpfung (Seignorage). Die Geldschöpfung stellt eine günstige Finanzierungsquelle für die Staatsdefizite dar. In Ländern mit hohen Inflationsraten kommt dem Geldschöpfungsgewinn für die Staatseinnahmen größere Bedeutung zu. Als staatliche Institution sind die Zentralbanken verpflichtet einen Teil des Notenbankgewinns an den Staat auszuschütten, wodurch die Verschuldung bzw. die Neuverschuldung gesenkt wird. Die Reaktion der realen Geldhaltung der Wirtschaftssubjekte auf die Inflation determiniert den Geldschöpfungsgewinn.

Das Wachstum wirkt sich auch positiv auf die Steuereinnahmen sowie die Einnahmen der Sozialversicherung aus. Auf der Ausgabenseite sinken die Lohnersatzleistungen und die Aufwendungen für Arbeitslose. Das Problem dieses Szenarios ist, dass es nur für einen relativ kurzen Zeitraum

Gültigkeit hat, sofern die Geldpolitik keinen dauerhaften Einfluss auf die Realwirtschaft ausübt.

Eine andere Möglichkeit für den Staat auf der Einnahmenseite von der Inflation zu profitieren, ist die kalte Progression. In einem progressiven Steuersystem ohne automatische Anpassung der Freibeträge und Progressionsstufen führt die Anpassung der Löhne und Gehälter an das gestiegene Preisniveau zu höheren durchschnittlichen Steuersätzen. Bei niedriger Inflationsrate sind die Mehreinnahmen überschaubar. Bei höheren Inflationsraten können Verzerrungen durch die hohe Steuerbelastung real zu einem Einnahmerückgang führen.

Dauerhaft ist die Staatsverschuldung tragbar, solange die Schulden langsamer wachsen als das nominale Bruttoinlandsprodukt. Eine schädliche Wirkung entsteht im umgekehrten Fall, denn dann steigt auch die (nominale) Staatsschuldenquote an. Als Folge wachsen die Zinszahlungen schneller als die Steuereinnahmen. Die Inflation kann dem Staat helfen, die eigenen Schulden zu entwerten. Hohe Preissteigerungsraten senken bei gegebenem Nominalwert den realen Wert der Staatsschuld. Die Inflation entfaltet ihre Wirkung auf das Wachstum des nominalen BIP. Bei einem gegebenen realen Wachstum wächst hingegen, durch eine hohe Inflation, das nominale Bruttoinlandsprodukt stärker. Bei unverändertem Nominalwert der Staatsschuld sinkt die Staatsschuldenquote. Demnach kann Inflation als Steuer (Inflationssteuer) auf die reale Geldhaltung mit der Inflationsrate als Steuersatz aufgefasst werden. Die Verzinsung der Staatsschuldtitel passt sich nur mit Verzögerung an die höheren Preissteigerungsraten an, sodass die Gläubiger des Staates reale Wertverluste tragen müssen. Erst bei der Verlängerung der Staatsschuld bzw. bei neuen Schulden kann eine höhere Verzinsung durchgesetzt werden.

Seignorage und Inflationssteuer sind eng miteinander verbunden. Die Geldschöpfung führt zu einer Zunahme der Geldmenge und mit Verzögerung zur Inflation. Letztere trägt wiederum über die Inflationssteuer zu einer Senkung der realen Staatsverschuldung bei. Wenn die Inflationsrate steigt, werden die Käufer neuer Staatsanleihen jedoch höhere Nominalzinsforderungen verlangen. Auch werden sie tendenziell kürzere Laufzeiten bevorzugen. Bleibt der Verschuldungsprozess instabil, wird der Staat (bzw. die Zentralbank) die Geldmenge ausweiten und die Inflation weiter forcieren. Dies führt zu noch höheren Nominalzinsforderungen, die eine weitere Steigerung der Inflation erforderlich machen. Am Ende dieses Prozesses könnte eine Hyperinflation stehen.

4. Fazit

Staatsverschuldung und Inflation stehen über verschiedene Kanäle in einer wechselseitigen Beziehung zueinander. Über die Geldmenge kann die Verschuldung des Staates auf die Verbraucherpreise und damit auf die Inflationsentwicklung einwirken. Dabei spielt es eine wichtige Rolle, bei wem sich der Staat verschuldet und wie die Anleger die Staatsschuldtitel bewerten. Ein wichtiger Faktor bei der Bewertung von Staatsanleihen ist das Vertrauen in die Bonität des Staates, d.h. in dessen Zahlungsfähigkeit und Zahlungswilligkeit. Dies wird aktuell am Beispiel Griechenlands sichtbar. Ein als nicht tragfähig eingeschätzter Schuldenstand kann in den Verlust der Kreditwürdigkeit münden und den Zugang zu den Kapitalmärkten abschneiden.

Die Notenbanken in den hoch verschuldeten Währungsräumen haben seit 2008 massiv Staatsschuldtitel erworben, um deren Renditen und somit die Refinanzierungskosten der Staaten zu senken. Die Kapitalmarktzinsen wurden in vielen Ländern erfolgreich unterhalb der Preissteigerungsrate gehalten. Die Realzinsen verharren in einem negativen Bereich und tragen zur realen Entschuldung der Staaten bei.

Theoretical and Empirical Research on the Interdependence between Public Debt and Inflation

A. Nastansky,
S. Gelashvili

This article reviews theoretical and empirical aspects of interaction mechanism between public debt and inflation. On the current stage, the importance of this issue is conditioned by the consequences of the influence of state debt and expansionist monetary policy on the change in consumer prices. This interdependence became stronger in terms of debt crisis in most European countries. Therefore, the analysis is focused on deciding the following issues: How big is the influence of inflation on growing state debt? How does the inflation affect the state debt? And what is the role of the central banks' monetary policy regarding this effect?

Based on the empirical research on the indicators of interdependence between state debt and inflation the article also shows the basic transmission mechanism. The definite factors, determining transmission of inflation on the state debt through monetary policy are discussed.

სახელმწიფო ვალისა და ინფლაციის ურთიერთ-დამოკიდებულების თეორიული და ემპირიული კვლევა

ა. ნასტანსკი,
ს. გელაშვილი

სტატიაში განხილულია სახელმწიფო ვალისა და ინფლაციის ურთიერთზემოქმედების მექანიზმის თეორიული და ემპირიული ასპექტები. თანამედროვე ეტაპზე ამ თემის აქტუალურობა განპირობებულია სახელმწიფო ვალისა და ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე გავლენის შედეგების მნიშვნელობით. ეს ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებით გაძლიერდა ევროპის უმეტესი ქვეყნების სავალო კრიზისის პირობებში. ამასთან დაკავშირებით, ანალიზი ფოკუსირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე: რა სიდიდით ახდენს გავლენას ინფლაცია მზარდ სახელმწიფო ვალზე, რა ეფექტი აქვს ინფლაციას სახელმწიფო ვალთან მიმართებით და ამასთან დაკავშირებით, როგორია ცენტრალური ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ინფლაციური პროცესი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ფულის მასის ემისია უფრო და უფრო ძვირი უჯდება მთავრობას. აქვე, სახელმწიფო ვალსა და ინფლაციას შორის კავშირის მაჩვენებელთა ემპირიული კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია ტრანსმისიის ძირითადი მექანიზმი. განხილულია ასევე ის კონკრეტული ფაქტორები, რაც განაპირობებს სახელმწიფო ვალის ინფლაციაზე ტრანსმისიას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით.

ეკონომიკა ეკონომიკური კანონების გარეშე?!

რევაზ გოგოხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ეკონომიკური თეორია ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელსაც საფუძვლად სამეურნეო პრაქტიკის თეორიული განზოგადება უდევს. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია თუ არა იმავდროულად მთელი საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება-რეალიზაციაზე მიმართული ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა. ეს ზოგადად, უფრო კონკრეტულად კი – ეკონომიკური თეორიის ამოცანაა თითოეულ ქვეყანაში რეალურად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების და მოვლენების გამოკვლევა. შესაბამისად, დიდია ეკონომიკური თეორიის ზეგავლენა ეკონომიკური სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. უფრო მეტიც, ამა თუ იმ ეკონომიკური თეორიის პრაქტიკულმა განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ან პირიქით, შეაფერხოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებული მრავალი კატეგორიის, ცნების, კანონის გონივრულ გამოყენებას ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საყოველთაო ფაქტია, რომ წარმოება ყოველთვის არეალიზებს მის მონაწილეთა გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რა, რამდენი და როგორ იქნეს წარმოებული. თუმცა, ეს გადაწყვეტილებები შეზღუდულია არსებული კონკრეტული შესაძლებლობებით,რაც ორად ხასიათს ატარებს – ტექნოლოგიურს (რომელიც ასახავს წარმოების ფაქტორთა სიდიდესა და შედგენილობას) და ეკონომიკურს (რომელიც ასახავს შემოსავლიანობის დონეს წარმოების შედეგების რეალიზაცი-

იდან). ტექნოლოგიური და ეკონომიკური შეზღუდულობის ასეთი გამიჯვნა და იმავდროულად ურთიერთკავშირით შესწავლა, შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ ის ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებელთა ქცევას საბაზრო მეურნეობის სისტემაში.[1]

ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმოების ეკონომიკური ორგანიზაცია, რომლის არსია ის, რომ ყველა დარგსა და დონეზე მისი ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმია შედეგების შეფარდება დანახარჯების სიდიდესთან. ეკონომიკურად ეფექტიანია წარმოება, რომლითაც მაქსიმალური შედეგი მიიღება მინიმალური დანახარჯებით. შესაბამისად, იდეალურად ეფექტიანმა ეკონომიკამ ოპტიმალურად უნდა შეახამოს საზოგადოებრივი წარმოების დანახარჯები, შედეგები და მოთხოვნილებები. მხოლოდ ასეთი პრინციპებით ფუნქციონირებად ეკონომიკას შეუძლია მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საზოგადოების მატერიალური (და თუ გნებავთ – სულიერი) მოთხოვნილებები, განუწყვეტლივ სრულყოს წარმოების პროცესი და შეუფერხებლად გაუხსნას გზა ახალ ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიური წარმოების წესებს, რაც საქართველოს თანამედროვე ეკონომიკისათვის მხოლოდ ოცნების დონეზეა თუა ... უფრო უარესი – ოცწლიანი საბაზრო გარდაქმნის პერიოდის საფუძველზე, დაბეჯითებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არ არის შექმნილი რეალური საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, რომ დაწყებულიყო სტაბილიზაციის პროცესი და ეკონომიკური განვითარება უპირატესად საბაზრო მექანიზმების გამოყენებით წარმართულიყო.

საბაზრო ეკონომიკის სისტემის საფუძველი და მასტიმულირებელი ფაქტორია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, ხოლო მისი ფუნქციონირების მთავარი მექანიზმი – საქონელმწარმოებელთა შორის კონკურენცია. ეს იდეალურად, ფაქტობრივად კი, რა ხდება? – კერძო საკუთრების ტრადიცია ჩვენთან სრულიად დაკარგული იყო, მოსახლეობის

[1] Современная экономика. Под. ред. дэн, профессора О.Ю. Мамедова, М., 2010, с. 30.

ძირითად მასას არ ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი საკუთრება, ფაქტობრივად, დომინირებდა ფორმით საზოგადოებრივი, მაგრამ შინაარსით სახელმწიფო-ბიუროკრატიული საკუთრება. ყოველივე ამასთან ერთად, ბუნებრივია, დიდი სიძნელეები შეუქმნა გარდამავალ პერიოდში რეალური კერძო მესაკუთრეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას და საკუთრების ობიექტური ფუნქციების რეალურ განხორციელებას იმან, რომ ეს პროცესი დაემთხვა (უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, გადაეხლართა) კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ველურ პრაქტიკას. აქედან ცხადია ჩრდილოვანი სტრუქტურების გააქტიურება, რასაც მოჰყვა „გარეცხილი" ფულის დაგროვება, ბიუროკრატიული სამთავრობო სტრუქტურების გააქტიურება დაუოკებელი სურვილით – მოეხდინათ დანაკარგების კომპენსირება (ან შემცირება მაინც), თუნდაც უკიდურესად მიუღებელი, აშკარად მძარცველური გზებითა და მეთოდებით. სხვანაირად რომ ვთაქვათ, საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნა ხორციელდებოდა სახელმწიფოებრივი ძალაუფლებითი დიქტატის პირობებში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში პრივატიზების შედეგების შეფასებისას, ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, ეს პროცესი უნდა გავიგოთ არა როგორც უპირატესად სოციალური, ე.ი. დაკავშირებული არა იდეალური მოდელის რეალიზაციასთან, არამედ როგორც შედეგი რეალური პოლიტიკური ბრძოლისა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს შორის, რომელთაგან პოსტსოციალისტური რეფორმის საწყის ეტაპებზე, ბევრი ფლობდა უფრო დიდ რესურსებს, ვინემ სახელმწიფო ხელისუფლება.

აღნიშნულ პროცესს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო იმანაც, რომ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის უარყოფის შემდეგ, ქართული და საერთოდ პოსტსაბჭოური ეკონომიკური მეცნიერება აღმოჩნდა გზაჯვარედინზე – რა აეღო საფუძვლად – დასავლური სუბიექტივიზმი თავისი მათემატიკური, ეკონომეტრიკული საფუძვლებით, ობიექტურ ეკონომიკურ კანონებზე დამყარებული კლასიკური თეორიები, თუ სხვა რამ მესამე. ამასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „... ეკონომიკური

თეორიები უმთავრესად შექმნილია საბაზრო ეკონომიკისათვის, აშკარაა, ისინი ვერ იქნებოდა გამოსადეგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიული გააზრებისათვის. ამიტომ, ნებისმიერი მსჯელობა იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, მაგალითად, მონეტარიზმის გამოყენება უფრო გამართლებულია თუ კეინზიანიზმის, უბრალოდ მოკლებულია ჯანსაღ აზრს, რადგანაც ესენია საბაზრო ეკონომიკის თეორიები და არ ითვალისწინებს ისეთ სიტუაციას, სადაც ჯერ კიდევ არ არის საბაზრო ეკონომიკა და, უკეთეს შემთხვევაში, ის მხოლოდ შექმნის პროცესშია".[1]

რაც შეეხება „ეკონომიკისის" მომრავლებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მენქიუს „ეკონომიკის პრინციპებს" თუ სხვა წიგნებს, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის გზის მაჩვენებლად ვერ გამოდგება მათი არსებითად პოზიტიური (და არა – ნორმატიული) ხასიათის გამო. ეკონომიკსებით, ფაქტობრივად, დაიწყო ეკონომიკური თეორიის გადართვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესების კვლევიდან „ნივთობრივ" კავშირურთიერთობათა კვლევაზე, ამა თუ იმ ალტერნატიული მიზნის მისაღწევად შეზღუდული ეკონომიკური რესურსების რაციონალური გამოყენების, ასევე ფირმებში წარმოებულ შრომის პროდუქტთა გასაღების ორგანიზაციაზე. თუმცა, არის აზრი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური თეორია და ეკონომიკსი ერთიმეორეს კი არ გამორიცხავენ, არამედ – ავსებენ, წყვეტენ რა საერთო და შედარებით დამოუკიდებელ ამოცანებს. ეკონომიკსი ამუშავებს ვერსიებს, რომელშიც სჭარბობს აღწარმოებითი და რაოდენობრივ-ოპერაციული მიდგომები, ე.ი. აღწერს და ხსნის საგანს, ეკონომიკსი ადამიანს აყენებს შემცნობელის, დამკვირვებლისა და უშუალო შემქმნელის მდგომარეობაში. ეკონომიკსი თავისებური ინჟინერიაა, რომელიც ემსახურება სამეურნეო და სოციალურ სამყაროს. თუმცა, მათემატიკურმა პრინციპებმა და ხერხებმა მისგან გამოდევნა სამეურნეო პროცესების ფილოსოფიურ-ეკონომიკური განსჯა და გააზრება. უფრო მეტიც, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ეკონომიკურმა მეცნიერებამ ღრმა

[1] ვ. პაპავა. არატრადიციული ეკონომიკსი, თბ., 2011, გვ. 82.

კრიზისი განიცადა: მან დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა სამეურნეო პრაქტიკის აქტუალურ მოთხოვნებს, ვერ შეიმუშავა მეცნიერული პარადიგმები და ეფექტიანი რეკომენდაციები XX საუკუნის მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. მართალია, ეკონომიკური თეორია როგორც განვითარებადი მეცნიერება, გაივლის დაცემისა და აღმავლობის გარკვეულ სტადიებს, მაგრამ ის, რომ თანამედროვე ეკონომიკური აზრი არის სხვადასხვა მიმართულების, მიმდინარეობისა და სკოლების რთული, წინააღმდეგობრივი სისტემა, რომელთაგან თითოეული თავისებურად ხსნის ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, გარკვეულწილად მიანიშნებს მის მეტ-ნაკლებად კრიზისულ მდგომარეობაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მიმდინარეობის მწვავე კრიტიკით გამოირჩევა ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობა (ჯ. გელბრეითი, რ. არონი, ფ. პერუ, ვ. იუფმანი და სხვ.), რომელიც ეკონომიკას განიხილავს, როგოც სხვადასხვა ისნტიტუტის (საწარმოები, პროფკავშირები, სახელმწიფო) ურთიერთქმედების ერთობლიობად. მისი მიმდევრების აზრით, სუბიექტთა ქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ ნორმებს, მორალურ-ეთიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა თავისებურებას. ამ მიმდინარეობის როლის გაძლიერებაზე მიგვანიშნებს მოთხოვნა – გაძლიერდეს ახალი მიდგომები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სფეროში, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის გაზრდილი სოციალური მოთხოვნილებები, გამოინახოს ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციონირების ახალი გზები და მიმართულებები.

ძველი მეცნიერული მარაგის გადააზრების, გამოკვლევებისადმი ახლებური მიდგომის, ახალ მიმართულებათა ჩამოყალიებისადმი სწრაფვა დამახასიათებელია პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნების, მათ შორის – საქართველოსთვისაც.[1] თანაც, მისასალმებელია ისიც, რომ აღნიშნულ პროცესს თან

[1] იხ. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბ., 2005; ნეკროეკონომიკის ზომბირება, თბ., 2010; არატრადიციული ეკონომიკსი, თბ., 2011 და სხვ.

ახლავს დასავლური ეკონომიკური მეცნიერების წინაშე სრული ქედმოხრის თანდათანობით დაძლევა, უფრო მეტიც – ხვალინდელ დღეზე „მისი გააზრების" მცდელობა.

რაც შეეხება საბჭოთა სისტემის ეკონომიკურ თეორიას, ის დასავლურისგან გამოირჩეოდა იმით, რომ სისტემურად სწავლობდა ეკონომიკურ კატეგორიებს და კანონებს და ამ მხრივ უდავოდ მნიშვნელვანი მიღწევები ჰქონდა, თუმცა, სამეურნეო პრაქტიკა, მის მოთხოვნებს, როგორც წესი, უგულებელყოფდა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოური სოციალიზმის კრახი. მაგრამ, სამწუხარო აღნიშნული კრახი კი არ არის, არამედ ის, რომ საბჭოთა ეკონომიკის ეს სინამდვილე საზმცოდნეთა გარკვეული ნაწილის მიერ ფასდება როგორც მეურნეობაში ეკონომიკური კანონების არ არსებობის ან კიდევ არსაჭიროების მაჩვენებელი. ასეთი შეხედულება ყოველგვარ რეალობას მოკლებულია და ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკას, როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს, ქაოსისა და სისტემური კრიზისის ჭაობისკენ ექაჩება. მართლაც, ის, რაც მოუვიდა საბჭოთა ეკონომიკას, ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა უგულებელყოფის რეალური გამოძახილია და დასკვნაც ერთადერთი შეიძლება იყოს: სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღება წარმოების ფაქტობრივ დანახარჯებსა და ეკონომიკურ უკუგებას შორის კავშირის გარეშე, ქვეყანაში გარდაუვალ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს.

ყოველივე აღნიშნულიდან ის დასკვნა გამოდის, რომ საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და საბაზრო ურთიერთობათა მთელი სპექტრის რეალურად განვითარება პოსტსოციალისტურ ქვეყნებსა და მათ შორის განსაკუთრებით საქართველოში, ობიექტურად განაპირობებს ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი სისტემისა და მისი გამოვლენის ფორმების ძირეული განახლების აუცილებლობას. იმისათვის, რომ დამკვიდრდეს მეურნეობრიობის ახალი ფორმები და მას მიესადაგოს მეწარმეთა საქმიანობა, რომ ამ პირობებში მათ შეძლონ თავიანთი ეკონომიკური მოთხოვნილებებისა და ინტერესების გაფართოებული აღწარმოება, თითოეულმა მეურნე

სუბიექტმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს ეკონომიკურ კანონთა ობიექტური მოთხოვნები. საქმე ისაა, რომ ვერანაირი სამეურნეო თუ ანტისამეურნეო პოლიტიკის განხორციელებით, ეკონომიკური კანონების მოსპობა თუ გაუქმება შეუძლებელია, ის პოტენციურად მაინც არსებობს და ელოდება პრაქტიკული განხორციელებისათვის ადეკვატური ნიადაგის შექმნას, რათა შემდგომ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მაცოცხლებელი არტერიის როლი შეასრულოს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ეკონომიკური კოლაფსი გარდაუვალია, რამდენადაც ეკონომიკა არ შეიძლება ფუნქციონირებდეს ეკონომიკური კანონების გარეშე.

ჩვენ ამით ეკონომიკურ კანონთა გაფეტიშებას კი არ ვახდენთ, არამედ პირიქით, ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ეკონომიკურ კანონთა სისტემა პირდაპირ კი არ შედის ქვეყნის სამეურნეო მექანიზმში, არამედ აისახება მასში, ანუ ეკონომიკური კანონები და კატეგორიები გამოიყენება სამეურნეო მექანიზმის სისტემაში ისეთი ბერკეტებისა და სტიმულების სახით, როგორიცაა: ღირებულება, ფასი, მოგება, შრომა, ხელფასი და ა.შ.

ამასთან, ზოგადად ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმზე მსჯელობისას, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ მათი მოქმედების ფორმათა ცვლილება-სრულყოფის პროცესი. მატერიალური წარმოების განვითარება და ამის საფუძველზე ადამიანთა ეკონომიკური მოთხოვნილებებისა და ინტერესების ცვლილება, თავის მხრივ, ეკონომიკურ კანონთა მოძრაობის ფორმათა პროგრესულ ცვლილებას განაპირობებს. წარმოებისა და საკუთრებით ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე ვითარდება ახალი წინააღმდეგობები კანონების მოქმედებისა და გამოვლენის ფორმებს შორის, რაც კვლავაც ახალ დონეზე მოითხოვს მის გეგმაზომიერ გადაწყვეტას. ეკონომიკური კანონი როგორც ასეთი – კანონი-შესაძლებლობა და მისი გამოვლენის ფორმა – კანონი - სინამდვილე, სრულიად არაიგივეობრივია და კანონი, საბოლოო ანგარიშით, ვლინდება როგორც ტენდენცია.

აქვე უნდა შევნიშნოთ,რომ თუ ეკონომიკური კატეგორია კონკრეტულ ეკონომიკურ ურთიერთობათა არსია,ეკონომიკური კანონი ამ არსთა (ურთიერთობათა) ერთობლიობა, სისტემაა. ეკონომიკურ კანონთა ასეთნაირ გაგებას, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური კანონები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ შექმნილია პირობები, რასაც კანონთა მოქმედება და პრაქტიკული გამოყენება მოითხოვს. აქ უეჭველად სახეზეა ეკონომიკურ კანონთა მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმთა შორის დიალექტიკური, ანუ მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირი: მოქმედების მექანიზმი ობიექტურია, გამოყენების მექანიზმი – სუბიექტური, რამდენადაც კანონების მოთხოვნათა რეალიზაცია შეუძლებელია ადამიანთა საქმიანობის გარეშე.[1] ამ რეალობის გათვალისწინებით, ეკონომიკურ კანონთა სისტემა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის, უწყვეტი განვითარების საყოველთაო ფენომენია. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საბაზრო ეკონომიკის კანონები, თავისი ობიექტური მოთხოვნებით, ერთნაირია ყველა ქვეყნისათვის, თუმცა, მისი პრაქტიკულად გამოყენების ფორმები და მეთოდები განსხვავებულია, რაც განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში მწარმოებლური ძალებისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების დონით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღევანდელ საქართველოში? – უაღრესად არადამაკმაყოფილებელი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, კატასტროფული. შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობასა თუ საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები ვოლენტარისტულად, მეურნეობის ფუნქციონირების ობიექტურ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად „წყდება“. ამის მიზეზი, ობიექტურიც და სუბიექტურიც, ბევრია, მაგრამ ყველაზე მთავარია ის, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-მშენებლობის მცდელობის პერიოდში ეკონომიკა, ფაქტობრივად, პოლიტიკის

[1]Иохин В.Я. Экономическая теория, учебник, М., 2004, с. 62-63.

მძევალი გახდა და იგი მის მარწუხებში მოექცა. ამით, როგორც ეკონომიკის, ასევე პოლიტიკის დისკრედიტაცია მოხდა.[1]

საქართველოში პერმანენტულად მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების არსებითი ხარვეზია ადეკვატური სტრატეგიის არ არსებობა და შესაბამისად, შედეგების წინასწარგანსაზღვრელობა. ამიტომაც, ეკონომიკური რეფორმა საერთოდ, და პირველ რიგში, განსახელმწიფოებრივება და პრივატიზება თვითმიზნად იქცა და არა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების საშუალებად, ანუ, რაც იგივეა, რეფორმატორებისათვის საბაზრო სისტემის შექმნა გახდა მიზანი, თუმცა, საბაზრო რეფორმები უნდა განიხილებოდეს ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების საშუალებად. ამასთან, დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებადი კვაზიეკონომიკა არა მხოლოდ სისტემური საბაზრო რეფორმაციის, არამედ რეფორმის მორიგ ეტაპზე ბიუროკრატიული რენესანსის რეფორმის შედეგია, რომლის მსვლელობაშიც პოლიტიკური ძალაუფლება და ეკონომიკური ძალაუფლება (ყოვლისშემძლე ფულის სახით) ურთიერთს მიზანსწრაფულად შეერწყა. ე.ი. წარმოიშვა მონოპოლიურ-ბიუროკრატიული კაპიტალიზმი, რომელშიც კაპიტალი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო-ბიუროკრატიულ სტრუქტურებთან, არაკონკურენტული ფორმით მოგვევლინა. ასეთ სისტემაში ეროვნული რესურსები სხვადასხვა მექანიზმით გადანაწილდება არა ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის, არამედ მონოპოლიურ-ბიუროკრატიული ჯგუფების სასარგებლოდ. შედეგიც სახეზეა: XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მთავრობამ განახორციელა სახელმწიფო ქონების ტოტალური პრივატიზება: გაყიდა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა სახელმწიფო აქტივი, თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტის ჩათვლით, რაც შექმნილი იყო წინამორბედი თაობების მიერ. ამასთან, აღებულ იქნა უდიდესი ვალი და ქვეყანა 11 მლრდ-ზე მეტი დოლარის „ტყვეობაშია“ (მათ შორის 8,6 მლრდ დოლარი საგარეო ვალია), რაც ასტრონომიული სიდიდეა პატარა ქვეყნისათვის. ეს

[1]გოგოხია რ. ვიდრე სრული ეკონომიკური კატასტროფა არ მომხდარა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2006, №4, გვ. 86.

მაშინ, როცა რეალურ ეკონომიკაში ფული არ ჩადებულა, რაც მომავალში მოგებას მოგვიტანდა. რაც მთავარია, საქართველოში „საბაზრო რეფორმებმა“ გამოიწვია საზოგადოებრივი წარმოების და შესაბამისად, ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემა, ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის – მთელი სოციალური სფეროს დეგრადაცია.

ყოველივე აღნიშნული, საქართველოში მცხვრები, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია, რასაც უცხოელ ექსპერტთა დასტური არ სჭირდება. და მაინც, გვერდს ვერ ავუვლით მათ მოსაზრებასაც. მაგალითად, კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ახლახან ჩატარებული კვლევით,[1] საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 149 ლარს შედაგენს, რაც „საქსტატის“ მონაცემებით, საშუალო პენსიის მხოლოდ 50-70%-ია. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველოს ჩამორჩება თვით ანგოლას, ბოცვანას, გაბონს, კოსტა რიკას, დომენიკის რესპუბლიკას და სხვებს.

იმავე კოლუმბიის უნივერსიტეტის ექსპერტებმა გამოაქვეყნეს „მსოფლიო ბედნიერების რეიტინგი“ (გაანალიზებულია 33 მაჩვენებელი: სამოქალაქო თავისუფლება, კორუფცია, სოცდაცვა, ჯანდაცვა, დემოგრაფიული მაჩვენებლები და სხვ.): ყველაზე ბედნიერები აღმოჩდნენ დანიელები, ფინელები, ნორვეგიელები, ჰოლანდიელები და კანადელები. რაც შეეხება საქართველოს, იგი ყოფილ სსრკ-ის ქვეყნებს შორის ბოლოა, ხოლო 155 ქვეყნიდან – 146-ე ადგილზეა. ჩვენზე წინაა: ავღანეთი, სომალი, რუანდა და ა.შ.

ამრიგად, მართალია, უარვყავით საბჭოური სოციალიზმი, მაგრამ ვერ შევქმენით რაიმე პოლიტიკურად და სოციალურად ღირებული ახალი სისტემა – რაც გვაქვს, ყოველგვარ საშინელებათა კონგლომერატია, რასაც ძნელია რაიმე სისტემა უწოდო. მსგავს შეფასებებს, არც თუ იშვიათად, ვხვდებით საერთაშორისო ექსპერტთა მხრიდანაც. მაგალითად, გერმანელთა მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, აღმოსავლეთ ევროპაში რეფორმების დაპირებები და მათი პერსპექტივები

[1] იხ. გაზ. „ახალი თაობა“, 2012 წლის 13 აპრილი.

ისევე გაქრა, როგორც კომუნისტური მემკვიდრეობის ლაქები. ვაკუუმი კი შეუვსებელი დარჩა... მთელი ევრეთ წოდებული ყოფილი საბჭოთა ევროპა არა მხოლოდ შეჩერდა განვითარების მხრივ, არამედ უკანაც მიდის. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ **უკრაინა და საქართველო,** რომელთაგანაც, პირველ რიგში, ელოდნენ წარმატებას, საერთოდ გადავიდნენ პროგრესის გზიდან და ევრეთ წოდებული სამარცხვინო დემოკრატია მოიპოვეს... ამ რეგიონის ქვეყნებმა ვერ შექმნეს ვერც მტკიცე პოლიტიკური სისტემა, ვერც ნორმალური საბაზრო ეკონომიკა, ვერც სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობა ახალი დროის შესაბამისად... სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, რომელიც დიდი დაჟინებით აკაკუნებს ევროკავშირის კარზე, ბაზრისაკენ მიმავალ გზაზე ძალზე სუსტი მაჩვენებლების დემონსტრირებით შემოიფარგლება. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებისადმი ნდობა ჯერაც არა აქვთ. მიმდინარეობს პოლიტიკური ცხოვრების პოლარიზაცია, ოპოზიციურად განწყობილ ბლოკებს შორის დაპირისპიერებები. და ამ ქვეყნებში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ ვარაუდს, რომ ევროკავშირის წევრობა სულაც არაა გარანტია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა ჩამორჩენილ წარსულში არ აღმოჩნდეს... აღმოსავლეთ ევროპაში იგივე პრობლემებია, რაც არაბულ რეგიონში: სიღატაკე, სიძვირე, უმუშევრობა, ინფლაცია. არადა, იქ ხომ დასავლურ თარგებზე აპირებდნენ ცხოვრების გადაკეთებას, ეს თარგი არ გამოდგა. სიღატაკიდან კვლავ სიღატაკეში? იქნებ რევოლუციონერებმა რაიმე გზა შემოგვთავაზონ?...[1]

ახალი გზის შესახებ ამჯერად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ საბაზრო ეკონომიკის კურსს, კაცობრიობის (და მით უმეტეს საქართველოს) განვითარების ამ ეტაპზე, ალტერნატივა არა აქვს, მის გარეშე ჩვენ ვერ შევალთ მაღალგანვითარებულ ქვეყანათა სამყაროში. ამიტომ, უპრიანია, წინა პლანზე წამოვწიოთ განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აპრობირებული საკითხი სახლმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესახებ: შერეული ეკონომიკის ფუქნციონირების სა-

[1] საქართველო და მსოფლიო, 2012 წლის 4-10 აპრილი, №13, გვ. 22; Alarab Online

მართლებრივი საფუძვლების შექმნა, მაკროეკონომიკური სტაბილიზების პროგრამის განსაზღვრა, ეკონომიკური რეფორმისათვის სტრატეგიული მიმართულების მიცემა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და რომელშიც, პრიორიტეტი, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის უპირატეს განვითარებას მიეცემა, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და კონკურენტული ბაზრის შექმნა და ა.შ.

დასასრულ, ყოველივე აღნიშნულმა რეალური ნიადაგი უნდა შექმნას იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ყველა არსებითი პრობლემა წყდებოდეს ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა მეცნიერული გააზრების და პრაქტიკული რეალიზაციის საფუძველზე. ამის გარეშე ეკონომიკის ნორმალური, ოპტიმალური ფუნქციონირება შეუძლებელია, ისევე როგორც ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა რეალიზაცია – ნეკროეკონომიკის პირობებში.

Economy without Economic Laws?!

R. Gogokhia

The article highlights the fact, that all essential problems of socio-economic development of any country should be solved based on scientific consideration and practical realization of demands of economic laws. Thus, the task of economic policy is to create real basis for functioning of economic laws. As proved by the modern crisis, it's possible for the economy to function normally without such basis, as well as it's impossible to realize demands of economic laws in conditions of necroeconomics.

The point is that it's impossible to eliminate or abolish economic laws with any economic or anti-economic policy, it potentially still exists and is waiting for creation of adequate basis for practical realization so that it can become life-giving artery of the further economic growth and development. Otherwise, economic collapse is unavoidable as economy can't function without economic laws.

სოლოუს ნამთის მოდიფიკაცია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით

დემნა კვარაცხელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური ზრდის წყაროებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის განსაზღვრას ფაქტორული ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული კვლევების საბოლოო მიზანია ეკონომიკური ზრდის ტემპის ცვლილების, მ.შ. მისი დაცემის მიზეზების დადგენა, მისი აღმოსაფხვრელი ან გამანეიტრალებელი ღონისძიებების შემუშავება და საწარმოო ფუნქციის გაუმჯობესების გზების დასახვა.

ეკონომიკური ზრდის წყაროების ფაქტორული ანალიზის მოდელი, ანუ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპში წარმოების ფაქტორებისა (შრომისა და კაპიტალის) და წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის (ტექნოლოგიური პროგრესის) წვლილის გაანგარიშების ხერხი შეიმუშავა რ. სოლოუმ[1]. წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის წვლილი წარმოების მოცულობის ზრდის ტემპში მან განსაზღვრა ნარჩენი პრინციპით. სოლოუს მიერ წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის წვლილის გამოთვლის, ანუ სოლოუს ნაშთის გაანგარიშების ხერხი დაწვრილებით აღწერილია

[1] Robert M. Solow, Technical Change and the Aggregate Production Function, Review of Economics and Statistics, August 1957, pp. 312-320.

მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში[1]. ეკონომიკური ზრდის ფაქტორების წვლილის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევა აქვს შესრულებული ე. დენისონსაც[2].

აღნიშნულ კვლევებში, ეკონომიკური ზრდის წყაროების წვლილის გაანგარიშებისას, გამოკვეთილი არ არის წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, რაც განაპირობებს სოლოუს ნაშთის ხელოვნურ ამაღლებას და მისი როლის გადაჭარბებულ შეფასებას. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატიის მიზანია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის როლის წინ წამოწევა, რაც განსაზღვრავს მოცემული სტატიის აქტუალურობას.

სოლოუს მოდელში, საწარმოო ფუნქციას გააჩნია შემდეგი სახე:

$$\mathbf{Y = T \times F(K, L)} \qquad \mathbf{(1)}$$

სადაც: **Y** პროდუქციის გამოშვების მოცულობაა, **K** – პროდუქციის წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალის მარაგი ღირებულებით ფორმაში, **L** – კაცსაათებით გამოხატული შრომის რაოდენობა (სოლოუს მოდელში ცხადი სახით ფიგურირებს წარმოების მხოლოდ ეს ორი ფაქტორი), ხოლო **T** – ტექნოლოგიის დონის, ანუ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის მაჩვენებელია. ე.ი. წარმოების მოცულობა

[1] Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. Макроэкономика. Глобальныи подход. М., 1996, с. 603-605; Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001, pp. 229-233 და ა.შ.

[2] Edvard Denison, Trends in American Economic Growth, 1929-1982. Washigton, D.C.: The Brookings Institution, 1985, 141 p.

განისაზღვრება, როგორც თითოეული ფაქტორით, ასევე მათი ერთობლივი მწარმოებლურობით. $\mathbf{F(K, L)}$ არის ჩვეულებრივი ნეოკლასიკური საწარმოო ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია კაპიტალისა და შრომის მოცულობაზე. (1) განტოლების თანახმად **T**-ს ცვლილება განაპირობებს შრომისა და კაპიტალის ზღვრული პროდუქტების თანაბარ ცვლილებას[1].

(1) განტოლების საფუძველზე პროდუქციის წარმოების მოცულობის ნაზრდი (**ΔY** შეიძლება გამოვსახოთ შრომისა და კაპიტალის ნაზრდით – **ΔL** და **ΔK** და ტექნოლოგიის დონის ცვლილებით, ანუ – **ΔT**, ე.ი.:

$$\mathbf{\Delta Y = (MPK \times \Delta K) + (MPL \times \Delta L) + \Delta T \times F(K, L)} \qquad (2)$$

სადაც, **MPK** კაპიტალის ზღვრული პროდუქტია, ხოლო **MPL** კი – შრომის ზღვრული პროდუქტი. შესაბამისად, (2) განტოლებაში პირველი შესაკრები წარმოადგენს კაპიტალის მარაგის, მეორე შესაკრები – შრომითი დანახარჯების, ხოლო მესამე შესაკრები – ტექნოლოგიის დონის ცვლილების შედეგად მიღებულ პროდუქციის გამოშვების ნაზრდს.

(2) განტოლების გარდაქმნით ვღებულობთ:

$$\frac{\mathbf{\Delta Y}}{\mathbf{Y}} = \left(\frac{\mathbf{MPK \times K}}{\mathbf{Y}}\right) \times \frac{\mathbf{\Delta K}}{\mathbf{K}} + \left(\frac{\mathbf{MPL \times L}}{\mathbf{Y}}\right) \times \frac{\mathbf{\Delta L}}{\mathbf{L}} + \left(\frac{\mathbf{F(K,L) \times T}}{\mathbf{Y}}\right) \times \frac{\mathbf{\Delta T}}{\mathbf{T}} \qquad (3)$$

მე-3 განტოლებაში $\frac{\Delta y}{y}$ არის წარმოების მოცულობის ცვლილების ტემპი, $\frac{\mathbf{\Delta K}}{\mathbf{K}}$ –კაპიტალის

[1] Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. Макроэкономика. Глобальныи подход. М., 1996, с. 603-605.

გამოყენების ცვლილების ტემპი, $\frac{\Delta L}{L}$ – შრომის გამოყენების ცვლილების ტემპი, ხოლო $\frac{\Delta T}{T}$ კი – ტექნოლოგიის დონის ცვლილების ტემპი. თანაფარდობა ($\frac{F(K,L)\times T}{y}$) ტოლია ერთის, ვინაიდან (1) განტოლების თანახმად $\mathbf{Y = T \times F(K, L)}$. სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელში ეკონომიკა ფუნქციონირებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, რის შედეგადაც კაპიტალის ზღვრული პროდუქტი მისი გამოყენების რეალური ფასის ტოლია, ხოლო შრომის ზღვრული პროდუქტი კი – რეალური ხელფასისა. ამიტომ $\mathbf{(MPK \times \Delta K)/Y}$ წარმოადგენს კაპიტალის წილს, ხოლო $\mathbf{(MPL \times \Delta L)/Y}$ შრომის წილს წარმოებული პროდუქციის მოცულობაში. ამასთან, ვინაიდან სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელში, საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბიდან მუდმივი უკუგების თვისება, ამიტომ ეილერის თეორემის თანახმად, წარმოებულ პროდუქციაში ამ ორი ფაქტორის წილთა ჯამი ერთის ტოლია[1], ანუ:

$$\frac{\Delta Y}{Y} = \alpha \times \frac{\Delta K}{K} + (1 - \alpha) \times \frac{\Delta L}{L} + \frac{\Delta T}{T} \qquad (4)$$

სადაც, α არის კაპიტალზე შემოსავლის, ხოლო $1 - \alpha$ კი – შრომითი შემოსავლების წილი საერთო შემოსავლებში.

[1] Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001, p.231.

მე-4 განტოლების თანახმად, **α-**ს უცვლელობისას, ეკონომიკურ ზრდის დონე [1] განისაზღვრება კაპიტალის მოცულობის, შრომის რაოდენობისა და ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ცვლილებით.

ტექნოლოგიური პროგრესის, ანუ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში განისაზღვრება ირიბად, ანუ ნარჩენი პრინციპით, როგორც სხვაობა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპსა და მის იმ შემადგენლებს შორის, რომელიც მოდის კაპიტალისა და შრომის წილად:

$$\frac{\Delta T}{T} = \frac{\Delta Y}{Y} - \alpha \times \frac{\Delta K}{K} - (1 - \alpha) \times \frac{\Delta L}{L} \qquad (5)$$

ეკონომიკურ ზრდაში ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის წვლილს – $\frac{\Delta T}{T}$, აგრეთვე უწოდებენ სოლოუს ნაშთს.

სოლოუს ნაშთის განსაზღვრისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შემოსავლებში შრომასა და კაპიტალზე შემოსავლების წილების გაანგარიშებას, რაც უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს შრომითი შემოსავლების, კაპიტალზე შემოსავლებისა და

[1] სოლოუს ნაშრომში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია დაბანდებული შრომის ერთეულზე პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპზე (იხ.: Robert M. Solow, `Technical Change and the Aggregate Production Function`, Review of Economics and Statistics, August 1957, p. 313), მაგრამ, ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ასეთი წიაღსვლა აუცილებელი არ არის, ამიტომ ეკონომიკური ზრდის ტემპის ცვლილებასთან დაკავშირებულ მაჩვენებლებს განვიხილავთ მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

ერთობლივი შემოსავლების განსაზღვრას. შრომით შემოსავლებში აღირიცხება დაქირავებულ მუშაკთა ხელფასები და მასთან გათანაბრებული შემოსავლები, მაგ.: პრემიები. კაპიტალზე შემოსავალი არის კორპორაციული შემოსავლების, რენტული შემოსავლების, წმინდა პროცენტების და ამორტიზაციის ჯამი. ერთობლივი (საერთო) შემოსავლები კი შეადგენს შრომაზე და კაპიტალზე შემოსავლების ჯამს. შემოსავლების ამ მეთოდით გაანგარიშებისას გამოირიცხება თვითდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლები, ვინაიდან იგი მოიცავს როგორც შრომით, აგრეთვე საკუთრებიდან, ანუ კაპიტალზე შემოსავლებს და მათი გამიჯვნა ძნელია[1].

როგორც ვხედავთ, საერთო შემოსავლის გაანგარიშებისას, მხედველობაში არ მიიღება ბიზნესზე ირიბი გადასახდებიც, ვინაიდან ის არ მიეკუთვნება არც შრომით და არც კაპიტალზე შემოსავლებს. მიუხედავად ამისა, მათი ჩართვა ერთობლივ შემოსავლებში საშუალებას მოგვცემს, ეკონომიკური ზრდის დანარჩენი წყაროების (შრომის, კაპიტალისა და ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ცვლილება) მსგავსად, განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების წვლილი ეკონომიკური ზრდის ტემპში.

ქართველმა მეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ვლ. პაპავამ დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების მეხუთე ფაქტორია, რის გამოც მან სახელმწიფოს გარკვეული შემოსავალი

[1] Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001, p. 73.

უნდა მოუტანოს. ეს ის შემოსავალია, რომელსაც ამჟამად ბიზნესზე ირიბ გადასახადს უწოდებენ. სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წარმოების ფაქტორად აღიარება, თავის მხრივ, ბიზნესზე ირიბ გადასახადებს, სამეწარმეო მოგების ანალოგიით, სახელმწიფო მოგების სტატუსის მიღების უფლებას აძლევს[1].

„ფაქტორულ შემოსავლად ბიზნესზე ირიბი გადასახადების მიჩნევის შემთხვევაში შეიძლება საკითხი იმის შესახებ წამოიჭრას, რომ სახელმწიფო ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ პირდაპირ გადასახადებსაც იღებს. სინამდვილეში ეს უკანასკნელი სხვა ფაქტორული შემოსავლების შემადგენლობაში შედის და როცა სახელმწიფოს ხელში გადადის, მათგან მხოლოდ მას შემდგომ გამოიქვითება. პირდაპირისგან განსხვავებით, ირიბი გადასახადები ზემოთ განხილული მომსახურების სანაცვლოდ სახელმწიფოს განკარგულებაში უშუალოდ ექცევა; ბიზნესზე ირიბი გადასახადები სხვა ფაქტორულ შემოსავლებთან ერთად პირველადი შემოსავლებია, პირდაპირი გადასახადები კი წარმოებული“[2].

ამრიგად, პროდუქციის წარმოების მოცულობის ნაზრდის, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ტემპისა და სოლოუს ნაშთის განსაზღვრის მიზნით, ზემოთ აღწერილ ანალიზში მიზანშეწონილია შრომისა და კაპიტალის დამატებით ჩავრთოთ წარმოების ისეთი

---

[1] ვლადიმერ პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2005. გვ. 100-101.

[2] ვლადიმერ პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2005. გვ.:101-102.

ფაქტორი, როგორიცაა სახელმწოფოს ეკონომიკური უნარი, ანუ სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, რაც აღნიშნული ანალიზისათვის უფრო რეალური სახის მინიჭების საშუალებას იძლევა, ანუ (2) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\mathbf{\Delta Y = (MPK \times \Delta K) + (MPL \times \Delta L) + (MPG \times \Delta G) + \Delta T \times F(K, L)} \quad (6)$$

სადაც, **ΔG** არის სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ნაზრდი, ხოლო **MPG** – დამატებით წარმოებული პროდუქციის რაოდენობა სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად (ანუ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის პირობითად ერთი ერთეულით გადიდების შედეგად).

საერთოდ, ეკონომიკურ ლიტერატურაში **G** ასოთი აღნიშნავენ სახელმწიფო შესყიდვებს, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების საერთო რაოდენობას, რომელსაც იძენენ ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი მართვის ორგანოები[1], ანუ G-თი აღნიშნულია მშპ-ის შემადგენლობაში აღრიცხული დანახარჯების ერთ-ერთი კომპონენტი. **მოცემული სტატიის ფარგლებში G გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობას“, ანუ სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციის „მოცულობას“.**

თუკი მე-6 განტოლებას გარდავქმნით (2) განტოლების ანალოგიურად, მაშინ ის შემდეგ სახეს შეიძენს:

$$\frac{\mathbf{\Delta Y}}{\mathbf{Y}} = \left(\frac{\mathbf{MPK \times K}}{\mathbf{Y}}\right) \times \frac{\mathbf{\Delta K}}{\mathbf{K}} + \left(\frac{\mathbf{MPL \times L}}{\mathbf{Y}}\right) \times \frac{\mathbf{\Delta L}}{\mathbf{L}} + \left(\frac{\mathbf{MPG \times G}}{\mathbf{Y}}\right) \times$$

[1] Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001, p. 25.

$$\times \frac{\Delta G}{G} + \left(\frac{F(K,L)\times T}{Y}\right) \times \frac{\Delta T}{T} \quad (7)$$

სადაც, $(MPG \times \Delta G)/Y$ წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის ხვედრით წილს წარმოებული პროდუქციის მოცულობაში, **ხოლო $\frac{\Delta G}{G}$ წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპს.**

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპის რაოდენობრივ გაზომვას ართულებს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ საზომი ერთეულის არარსებობა, ამიტომ მივმართავთ მის ირიბ შეფასებას. ე. ი. სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპს ირიბად შევაფასებთ სახელმწიფოს მიერ ამ უნარის განხორციელების სანაცვლოდ მიღებული შემოსავლის, ანუ ბიზნესზე ირიბი გადასახადების ცვლილების ტემპის მიხედვით, რაც მისი რაოდენობრივი შეფასების საშუალებას მოგვცემს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპის ასეთი შეფასება დაზღვეული არ არის ცთომილებებისაგან, ვინაიდან სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპი და ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლის მოცულობის ცვლილების ტემპი შეუძლებელია ყოველთვის ერთმანეთს დაემთხვეს. მაგ.: მოსალოდნელია შემთხვევა, როდესაც შეიძლება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ეკონომიკაში შემცირდეს, მაგრამ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლები გაიზარდოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შედეგად ან პირიქით, მოსალოდნელია, რომ

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდის პირობებში შემცირდეს ან უცვლელი დარჩეს სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლები. მიუხედავად ამისა, ასეთი შემთხვევები გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ და არა კანონზომიერებად, ვინაიდან, მაგალითად, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, აუცილებლად განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის (როლის) „მოცულობის“ ზრდას: სოციალური გარემოს ცვლილების, ახალი ინსტიტუციონალური სტრუქტურების ფორმირების, კომუნიკაციებისა და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობის შედეგად, ანუ მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის ეფექტიანი ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის (როლის) „მოცულობის“ ზრდა აგრეთვე განპირობებულია სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდით. ეკონომიკური ზრდა და ბაზრის ტევადობის გაფართოება, უამრავ დადებით შედეგთან ერთად, ხშირად განაპირობებს სხვადასხვა უარყოფით მოვლენას, კერძოდ ინფლაციის მაღალ დონეს და ნამეტი შემოსავლების მკვეთრად უთანასწორო განაწილებას, ფინანსური ბაზრების „გადახურებას“ და ა. შ.. მათი თავიდან აცილება ან შერბილება-აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების არსებული ტემპის შენარჩუნება, მოითხოვს სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას.

ამგვარად, შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში წარმოიშვას დისბალანსი სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპსა და ბიზნესზე ირიბი გადასახედებისაგან მიღებული შემოსავლების მოცულობის ცვლილების ტემპს შორის, მაგრამ

დიდი ალბათობით მოსალოდნელია მათ შორის შესაბამისობის აღდგენა გრძელვადიან პერიოდში[1].

ვინაიდან (როგორც ქვემოთ ვნახავთ) სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით მოდიფიცირებულ კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციასაც ახასიათებს მასშტაბიდან მუდმივი უკუგების თვისება, ამიტომ ეილერის თეორემის თანახმად, წარმოებულ პროდუქციაში ამ სამი ფაქტორის (კაპიტალის, შრომისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის) წილთა ჯამი ერთის ტოლია, ანუ:

$$\frac{\Delta Y}{Y} = \alpha \times \frac{\Delta K}{K} + \beta \times \frac{\Delta L}{L} + (1 - \alpha - \beta) \times \frac{\Delta G}{G} + \frac{\Delta T}{T} \qquad (8)$$

---

[1] აქვე უნდა მივუთითოთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპსა და ბიზნესზე ირიბი გადასახედებისაგან მიღებული შემოსავლების მოცულობის ცვლილების ტემპს შორის შესაბამისობის აღდგენის შესახებ ჩვენი ზემოაღნიშნული მსჯელობა ემყარება დაშვებას – **ბიზნესზე ირიბი გადასახადების განაკვეთების უცვლელობის შესახებ.** აღნიშნული განაკვეთების ცვლილების შემთხვევაში, მაგალითად, მისი შემცირებისას, შეიცვლება თანაფარდობა სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპსა და ბიზნესზე ირიბი გადასახედებისაგან მიღებული შემოსავლების მოცულობის ცვლილების ტემპს შორის, ანუ ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ უცვლელად შენარჩუნებისას ან მცირედით გადიდებისას, ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლების ცვლილების ტემპი გახდება უარყოფითი სიდიდე. ამასთან, ახალი საგადასახადო განაკვეთების გრძელვადიან პერიოდში უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაში, ისევ აღდგება მათ შორის არსებული თანაფარდობა, ანუ აღდგება თავდაპირველი შესაბამოსობა სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპსა და ბიზნესზე ირიბი გადასახედებისაგან მიღებული შემოსავლების მოცულობის ცვლილების ტემპს შორის.

სადაც, **α და β** არის კაპიტალსა და შრომაზე შემოსავლების წილი საერთო შემოსავლებში, ხოლო $\mathbf{1-\alpha-\beta}$ კი – ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლების წილი საერთო შემოსავლებში (საერთო შემოსავლებში კაპიტალსა და შრომაზე შემოსავლების დამატებით, მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებულია ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლებიც).

მე-8 განტოლება გვიჩვენებს, რომ როცა **α და β** უცვლელია, წარმოების ცვლილების ტემპი $\left(\frac{\Delta y}{y}\right)$ დამოკიდებულია: კაპიტალის დანახარჯების ცვლილების ტემპზე $\left(\frac{\Delta K}{K}\right)$, შრომითი დანახარჯების ცვლილების ტემპზე $\left(\frac{\Delta L}{L}\right)$, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპზე $\left(\frac{\Delta G}{G}\right)$ და ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ცვლილების ტემპზე.

მე-8 განტოლების გარდაქმნით მივიღებთ:

$$\frac{\Delta T}{T}=\frac{\Delta Y}{Y}-\alpha\times\frac{\Delta K}{K}-\beta\times\frac{\Delta L}{L}-(1-\alpha-\beta)\times\frac{\Delta G}{G} \qquad (9)$$

მე-9 განტოლება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით გაანგარიშებული სოლოუს ნაშთი, ანუ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, განისაზღვრება როგორც სხვაობა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპსა და ამ უკანასკნელის განმსაზღვრელ იმ კომპონენტებს შორის, რომელიც მოდის კაპიტალის, შრომისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წილად.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ზემოთ ჩატარებული ანალიზის მართებულობაში, განვახორციელოთ კობი-დუგლასის სტანდარტული საწარმოო ფუნქციის[1]: $\mathbf{Y = T \times F(K, L) = TK^{\alpha}L^{1-\alpha}}$ მოდიფიცირება სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით, რის შედეგადაც მივიღებთ:

$$\mathbf{Y = T \times F(K, L, G) = Tk^{\alpha}L^{\beta}G^{1-\alpha-\beta}} \qquad (10)$$

თავისთავად ცხადია, რომ მე-10 განტოლება, კობი-დუგლასის სტანდარტული საწარმოო ფუნქციის მსგავსად, აკმაყოფილებს მასშტაბიდან მუდმივი უკუგების თვისებას. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი შრომისა და კაპიტალის რაოდენობას და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობას“ გავამრავლებთ რომელიღაც მუდმივ რიცხვზე, ვთქვათ – **Z**-ზე, რის შედეგადაც ვნახავთ, რომ იმავე პროპორციით გაიზრდება პროდუქციის გამოშვების მოცულობაც.

მოცემული განტოლების სუსტ მხარეს წარმოადგენს ის, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ როგორც პირდაპირი, აგრეთვე ირიბი რაოდენობრივი შეფასება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის როლი კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციაში მათემატიკურად სწორად არის ფორმულირებული (მე-10 განტოლება), რაც თავის მხრივ ადასტურებს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით სოლოუს ნაშთის გამსაზღვრელი მე-9 განტოლების მართებულობას.

[1] Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001, p. 71.

პოლ დუგლასმა, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დაასკვნა, რომ თუ წარმოების ფაქტორები ღებულობენ თავიანთ ზღვრულ პროდუქტებს, მაშინ ერთობლივ შემოსავალში კაპიტალისა და შრომის წილი, შესაბამისად – შრომაზე შემოსავლის კაპიტალზე შემოსავალთან თანაფარდობა მუდმივია[1], ანუ: $\frac{\mathbf{MPL \times L}}{\mathbf{MPK \times K}} = \frac{\boldsymbol{\beta}}{\boldsymbol{\alpha}} = \mathbf{const}$ (11)

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით მოდიფიცირებული კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია: $\mathbf{Y = T \times F(K, L, G) = Tk^{\alpha}L^{\beta}G^{1-\alpha-\beta}}$ თავისთავად გულისხმობს იმას, რომ კაპიტალისა და შრომის წილი საერთო შემოსავალში (რომელიც გაანგარიშებულია სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით) შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლის წილის ცვლილების გათვალისწინებით (ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლის წილის სიდიდის არსებითი ცვლილება შესაძლოა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთების ცვლილებისას). მოცემულ შემთხვევაში, საინტერესოა, შეიცვლება თუ არა მათი თანაფარდობა, ანუ – აღნიშნული განტოლების **β** და **α** პარამეტრებს შორის თანაფარდობა: $\frac{\boldsymbol{\beta}}{\boldsymbol{\alpha}}$.

აღნიშნული თანაფარდობა არ შეიცვლება, ვინაიდან ერთობლივ შემოსავლებში სახელმწიფოს წილის ცვლილება, მაგალითად – შემცირება, გამოიწვევს კაპიტალისა და შრომის წილების პროპორციულ ზრდას

[1] Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001, pp.71-73.

ისე, რომ მათ შორის თანაფარდობა უცვლელი რჩება. ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლ დუგლასის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლების (ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან) გარეშე გაანგარიშებულ ერთობლივ შემოსავალში კაპიტალისა და შრომის წილი პრაქტიკულად უცვლელია. მათი წილი უცვლელი იქნება საწარმოო ფუნქციის ზემოაღნიშნული მოდიფიკაციის შემთხვევაშიც, თუკი უცვლელად შენარჩუნდება სახელმწიფოს წილიც. ამასთან, თუკი სახელმწიფოს წილი შეიცვლება, მაშინ საპირისპირო მიმართულებით თანაბრად შეიცვლება შრომისა და კაპიტალის წილები ისე, რომ მათ შორის თანაფარდობა $\frac{\beta}{\alpha}$ უცვლელი დარჩება, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლების გარეშე გაანგარიშებულ ერთობლივ შემოსავალში კაპიტალისა და შრომის წილი პრაქტიკულად უცვლელია.

ამასთან, ერთობლივ შემოსავალში ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლების წილის შესახებ საინტერესო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, მაგალითად, აშშ-ის მშპ-ისა და ბიზნესზე ირიბი გადასახადების თანაფარდობა. ქვემოთ ცხრილში მოგვყავს მონაცემები აშშ-ში, 1950-1988 წლებში, მშპ-ისა და ბიზნესზე ირიბი გადასახადების მოცულობისა[1] და ამის საფუძველზე გაანგარიშებული სახელმწიფოს მოგების წილის შესახებ.

[1] Макконнелл К. Р., брю С . Л. “Экономикс”, Т. 1. М., 1992.

მშპ, ბიზნესზე ირიბი გადასახადები და სახელმწიფოს ეკონომიკური მოგება აშშ-ში – 1950-1988წწ

წლები / მშპ მლრდ დოლარი	1950	1951	1952	1953	1954	1961	1962	1963	1964	1965
მშპ	288,3	333,4	351,6	371,6	372,5	533,8	574,6	606,9	649,8	705,1
ბიზნესზე ირიბი გადასახადები	24,6	28,9	30,9	34,1	33,7	47,1	51,9	55,2	58,3	62,5
ბიზნესზე ირიბი გადასახადების წილი მშპ-ში, %-ბით	8,5	8,7	8,9	9,2	9,1	8,8	9,0	9,1	9,0	8,9
წლები	1971	1972	1973	1974	1975	1979	1986	1987	1988	2002[1]
მშპ	1102,7	1212,8	1359,3	1472,8	1598,4	2508,2	4240,3	4526,7	4861,8	10437
ბიზნესზე ირიბი გადასახადები	107,0	110,7	118,5	131,9	147,5	195,1	347,3	368,0	392,7	695
ბიზნესზე ირიბი გადასახადების წილი მშპ-ში, %-ბით	9,7	9,1	8,7	9,0	9,2	7,8	8,2	8,1	8,1	6,7

2002 წლის მონაცემები აღებულია: მ. ჩიქობავა, ნ. კაკულია. მაკროეკონომიკა. თბ., 2009. გვ. 42.

ცხრილიდან ჩანს, რომ 1950-1988 წლებში სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლის, ანუ სახელმწიფო მოგების წილი მშპ-ის საფუძველზე გაანგარიშებულ ერთობლივ შემოსავალში (რომელიც ზემოთ გაანგარიშებულ ერთობლივ შემოსავალს აღემატება თვითდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლების სიდიდით), თუკი მხედველობაში არ მივიღებთ 1971 და 1979 წლებს, იცვლება მეტად მცირე დიაპაზონში: 8,1-9,3%-ის ფარგლებში. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ პერიოდში, ბიზნესზე ირიბი გადასახადებისაგან სახელმწიფო შემოსავლების წილი ერთობლივ შემოსავალში შეიძლება ჩაითვალოს მუდმივ სიდიდედ. მისი საშუალოწლიური სიდიდე, რომელიც ჩვენს მიერ განსაზღვრულია საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშების საფუძველზე, აღნიშნულ პერიოდში, შეადგენს დაახლოებით 8,7%-ს (გაანგარიშება განხორციელებულია 1950-1988 წლების ყველა წლის მონაცემის გათვალისწინებით). შემდგომ პერიოდში სახელმწიფო მოგების წილი აშკარად შემცირებულია, რასაც ადასტურებს ის, რომ 2002 წლისათვის იგი 6,7%-ის ტოლია, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია ეკონომიკის დერეგულირებასთან დაკავშირებული საგადასახადო განაკვეთების შემცირებით. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრძელვადიან პერიოდში, რომელიც ხასიათდება სტაბილური საგადასახადო განაკვეთებით, სახელმწიფოს წილი ერთობლივ შემოსავალში პრაქტიკულად არ იცვლება (ცვლილების დიაპაზონი იქნება მეტისმეტად მცირე).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შრომისა და კაპიტალის წილების თანაფარდობის, ანუ

$\frac{\beta}{\alpha}$ უცვლელობის მიზეზის ახსნის შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი, რომლის თანახმადაც „მოსახლეობის რაოდენობის, ვთქვათ n%-ით ზრდისას, ინვესტიციების მოცულობაც უნდა გაიზარდოს n%-ით, რათა უცვლელ დონეზე შენარჩუნდეს შრომის კაპიტალშეიარაღება, ანუ შრომაც და კაპიტალიც სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელის თანახმად, იზრდება ერთი და იმავე ტემპით“[1]. მასშტაბიდან მუდმივი უკუგების თვისების თანახმად, ეს უზრუნველყოფს მშპ-ის იმავე ტემპებით ზრდას და მშპ-ში მათი თავდაპირველი წილების შენარჩუნებას.

სოლოუს ნაშთის ზემოაღნიშნული მოდიფიკაციის შედარებით სუსტ მხარეს, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპის ირიბ შეფასებასთან ერთად, წარმოადგენს ისიც, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ მიღებულ შემოსავლებში გათვალისწინებული არ არის პირდაპირ გადასახადები იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი სხვა ფაქტორული შემოსავლების (შრომისა და კაპიტალის) შემადგენლობაში შედის და აღნიშნული ფაქტორული შემოსავლებისგან გამოქვითვის შემდეგ, გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ პირდაპირი გადასახადებიც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ მიღებულ შემოსავლებია. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი გადასახადები სხვა ფაქტორული შემოსავლებისგან გამოქვითვის შემდეგ გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში, არ შეიძლება იმის თქმა, რომ აღნიშნული გადასახადებისგან

[1] Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. Макроэкономика. Глобальныи подход. М., 1996, с. 613.

მიღებული შემოსავლები სახელმწიფოს ეკონომიკურ უნართან მიმართებით ნეიტრალურია. სხვა ფაქტორული შემოსავლებიდან (ხელფასი, კორპორაციული მოგება, პროცენტი, დივიდენდი და ა.შ) პირდაპირი გადასახადების გამოქვითვის საფუძველი ისაა, რომ სახელმწიფო განსაზღვრულ როლს ასრულებს ადამიან-კაპიტალის განვითარებაში, ინვესტიციების დაბანდებისათვის და კაპიტალის მარაგების ფორმირებისათვის აუცილებელი გარემო პირობების შექმნაში და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ როგორც ბიზნესზე ირიბი გადასახადების, აგრეთვე პირდაპირი გადასახადების სახით სახელმწიფოს მიერ მიღებული თანხები ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ მიღებული შემოსავლებია.

თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ მიღებულ შემოსავლებში ბიზნესზე ირიბი გადასახადების დამატებით, პირდაპირი გადასახადების ჩართვა, მოითხოვს შრომითი შემოსავლებისა და კაპიტალზე შემოსავლების შემცირებას მათგან დარიცხული პირდაპირი გადასახადების მოცულობით. ამასთან, პირდაპირი გადასახადების შესაბამისი თანხით გაიზრდება სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლები. ერთობლივი (საერთო) შემოსავლები კი, რომელიც შეადგენს შრომაზე, კაპიტალზე და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ მიღებული შემოსავლების ჯამს, უცვლელი დარჩება. შემოსავლების ამ მეთოდით გაანგარიშების შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, გამოირიცხება თვითდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლები.

ამ შემთხვევაში წარმოების მოცულობის ცვლილების ტემპის განმსაზღვრელ მე-8 განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\frac{\Delta Y}{Y} = \alpha_1 \times \frac{\Delta K}{K} + \beta_1 \times \frac{\Delta L}{L} + (1 - \alpha_1 - \beta_1) \times \frac{\Delta G_1}{G_1} + \frac{\Delta T_1}{T_1} \quad (12)$$

სადაც, α_1 კაპიტალზე შემოსავლებიდან შესაბამისი პირდაპირი გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლების წილია ერთობლივ შემოსავლებში, β_1 არის შრომითი შემოსავლებიდან შესაბამისი პირდაპირი გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლების წილი იმავე შემოსავლებში, ხოლო $1 - \alpha_1 - \beta_1$ არის სახელმწიფო შემოსავლების, ანუ როგორც ბიზნესზე ირიბი გადასახადებისგან, აგრეთვე პირდაპირი გადასახადებისგან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლების წილი ერთობლივ შემოსავლებში. თავისთავად ცხადია, რომ პირდაპირი გადასახადების გადახდის შემდეგ მცირდება შრომასა და კაპიტალზე შემოსავლების წილი ერთობლივ შემოსავლებში, რომელიც კომპენსირდება სახელმწიფო შემოსავლების წილის შესაბამისი ზრდით. $\frac{\Delta G_1}{G_1}$ არის სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპი, რომელიც ამ შემთხვევაშიც შეფასებულია ირიბად – სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური უნარის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლების, ანუ ბიზნესზე ირიბი გადასახადებისა და პირდაპირი გადასახადების მთლიანი მოცულობის ცვლილების ტემპის მიხედვით.

მე-12 განტოლებიდან აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის ფორმირებაში, მე-8 განტოლებით განსაზღვრულთან შედარებით,

შემცირებულია შრომისა და კაპიტალის წვლილი, ხოლო ამაღლებულია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წვლილი. ამ უკანასკნელის ზრდამ წესით უნდა მოახდინოს შრომისა და კაპიტალის წვლილის შემცირების ზუსტი კომპენსირება, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მისი მნიშვნელობა, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ხასიათის გათვალისწინებით, მეტი ან ნაკლები აღმოჩნდეს. ე.ი. შესაძლოა სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ $\frac{\Delta G}{G}$ ცვლილებასთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალოს $\frac{\Delta G_1}{G_1}$ ცვლილების ხასიათი, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის „მოცულობის“ ცვლილების ტემპის შეფასებისას, ბიზნესზე ირიბი გადასახადების დამატებით გაითვალისწინება პირდაპირი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლებიც. ამიტომ, ეკონომიკური ზრდის ტემპის ფორმირებაში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წვლილის ცვლილების დადგენა უფრო ზუსტ მათემატიკურ ფორმულირებას ან შესაბამის ემპირიულ მონაცემებზე დაკვირვებას მოითხოვს.

მე-11 განტოლებიდან გამომდინარე, სოლოუს ნაშთის გასაანგარიშებული ფორმულა შეიძენს შემდეგ სახეს:

$$\frac{\Delta T_1}{T_1} = \frac{\Delta Y}{Y} - \alpha_1 \times \frac{\Delta K}{K} - \beta_1 \times \frac{\Delta L}{L} - (1 - \alpha_1 - \beta_1) \times \frac{\Delta G_1}{G_1} \qquad (13)$$

$\frac{\Delta T_1}{T_1}$ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ცვლილების წვლილი ეკონომიკური ზრდის ტემპში, მე-9 განტოლებით განსაზღვრულთან შედარებით მეტი

იქნება თუ ნაკლები (ან სრულებითაც იდენტური), დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წვლილის ცვლილების ხასიათზე, რაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

კობი-დუგლასის ჩვენ მიერ ზემოთ მოდიფიცირებული საწარმოო ფუნქციას, ანუ მე-10 განტოლებას, თუკი გარდავქმნით პირდაპირი გადასახადების გათვალისწინებით, რომელიც მიღებულია სახელმწიფოს განკარგულებაში ბიზნესზე ირიბი გადასახადების დამატებით, მაშინ:

$$\mathbf{Y = T \times F(K, L, G) = TK^{\alpha_1}L^{\beta_1}G_1^{1-\alpha_1-\beta_1}} \qquad \mathbf{(14)}$$

ცხადია, რომ მე-14 განტოლებაც, კობი-დუგლასის სტანდარტული საწარმოო ფუნქციის მსგავსად, აკმაყოფილებს მასშტაბიდან მუდმივი უკუგების თვისებას. მოცემულ შემთხვევაში, საერთო შემოსავლებში შრომისა და კაპიტალის წილების $\frac{\beta_1}{\alpha_1}$ თანაფარდობის მუდმივობის აუცილებელი პირობაა შრომასა და კაპიტალზე შემოსავლებზე დადგენილი პირდაპირი გადასახადების განაკვეთების უცვლელობა ან თანაბარი ცვლილება, ხოლო თუკი აღნიშნული გადასახადების განაკვეთების ცვლილებაში დაირღვევა სინქრონულობა, მაშინ $\frac{\beta_1}{\alpha_1}$ თანაფარდობაც შეიცვლება.

დაბოლოს, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით სოლოუს ნაშთის მოდიფიკაცია, შესაძლებლობას მოგვცემს, უფრო მკაფიოდ განვსაზღვროთ ტექნოლოგიური პროგრესის წვლილი ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდაში (ამ მიზანის მისაღწევად, ჩვენი აზრით, მე-13 განტოლებას აშკარა უპირატესობა გააჩნია მე-9 განტოლებასთან შედარებით). ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ცვლილების მიზეზებს შორის უმნიშვნელოვანესია ტექნოლოგიური პროგრესი, თუმცა, არსებით როლს ასრულებს სახელმწიფო

რეგულირებაც. ასე, მაგალითად, განათლების სფეროში სახელმწიფოს დანახარჯების ზრდა გამოიწვევს ადამიან-კაპიტალის ხარისხის ამაღლებას, შესაბამისად გაიზრდება შრომის მწარმოებლურობა და პროდუქციის წარმოების მოცულობა, რაც არამოდიფიცირებული სოლოუს ნაშთის გაანგარიშების შემთხვევაში, აისახება ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდაში და განაპირობებს რეალურთან შედარებით ტექნოლოგიური პროგრესის გადაჭარბებით შეფასებას. მოდიფიცირებული სოლოუს ნაშთის შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულირების შედეგად, შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების მოცულობის ზრდა აისახება სახელმწიფოს წვლილის ზრდაში, რაც ფაქტორთა ერთობლივ მწარმოებლურობაში უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ტექნოლოგიური პროგრესის წვლილს.

Modification of Solow Residual Regarding the Economic Capacities of the State

Demna Kvaratskhelia

Article provides modification of the formula for calculation of Solow residual and Cobb-Douglas production function regarding economic capacities of the state.

Standard formula for calculation of Solow residual: $\frac{\Delta T}{T} = \frac{\Delta Y}{Y} - \alpha \times \frac{\Delta K}{K} - (1-\alpha) \times \frac{\Delta L}{L}$ after modification is as follows: $\frac{\Delta T_1}{T_1} = \frac{\Delta Y}{Y} - \alpha_1 \times \frac{\Delta K}{K} - \beta_1 \times \frac{\Delta L}{L} - (1-\alpha_1-\beta_1) \times \frac{\Delta G_1}{G_1}$, where **Y** – is production quantity; **K** – capital reserves; **L** – labor costs and G_1 – "quantity" of economic capacities of the state. In addition, $\frac{\Delta y}{y}$ is the rate of produc-

tion increment; $\frac{\Delta K}{K}$ pace of capital costs increment; $\frac{\Delta L}{L}$ - labor input increment rate; $\frac{\Delta G_1}{G_1}$ rate of state economic capacities increment, which is evaluated indirectly based on the pace of change of the total direct and indirect taxes for revenues gained in result of the economic capacities of the state, i.e. business**,** and $\frac{\Delta T_1}{T_1}$ is Solow residual; $\boldsymbol{\alpha_1}$ - is the share of incomes remained after payment of direct taxes from the capital revenues in the aggregate incomes and $\boldsymbol{\beta_1}$ - share of labor incomes remained after payment of direct taxes in the same revenues.

Cobb-Douglass modified function is as follows: $\mathbf{Y = T \times F(K, L, G) = TK^{\alpha_1} L^{\beta_1} G_1^{1-\alpha_1-\beta_1}}$ which, similar to the standard Cobb-Douglass production function satisfies the property of constant return of scale.

Article justifies that modification of Solow residual would allow similar to the other sources of economic growth (change of aggregate productivity of labor, capital and factors), determination of the share of change of "quantity of state economic capacities in the economic growth rate and, what is most important, such modification allows more clear assessment of the contribution of technological progress in growth of aggregate productivity of the factors.

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში

თემურ მიმინოშვილი
საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ეკონომიკური კრიზისების დროს. აშშ-ის მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა ჰიპოთეკური ბაზრის კრიზისის პერიოდში, რომელიც მოგვიანებით, გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა, იმის ნათელი მაგალითია, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის ისეთ კლასიკურ ქვეყანაშიაც კი, როგორიცაა აშშ, კერძო ბიზნესს არ შეუძლია მწვავე კრიზისიდან თავის დაღწევა სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ აშშ-ის და ინდუსტრიულად განვითარებული ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობების ანტიკრიზისულ ქმედებებს 2007–2008 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ პრინციპი იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული აშშ–ის პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველი ელიტის ცნობიერებაში, რომ კრიზისის საწყის ეტაპზე მთავრობა აგრძელებდა ამ პრინციპზე დამყარებულ პოლიტიკას. კერძოდ, იგი მიიჩნევდა, რომ ბაზრის მოთამაშეებს არ უნდა მოხსნოდათ საკუთარი საქმიანობის შედეგების მიმართ ფინანსური პასუხისმგებლობა. ამ მიდგომიდან გამომდინარე, ერთდერთ უმსხვილეს ფინანსურ კორპორაციას - „Lehman Brothers”, გაკოტრების „ნება დაერთო“. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულების მცდარობა.

ფინანსურ ბაზარზე გაჩნდა პანიკის პირველი ნიშნები, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა კრიზისული სიტუაცია. მოვლენათა განვითარების შემდგომი მსვლელობა ხასიათდებოდა ფინანსური ბაზრის მიმართ აშშ–ის მთავრობის დამოკიდებულების მკვეთრი შეცვლით, რაც გამოიხატა ინტერვენციონისტული ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარებაში.

აშშ-ის მთავრობის ანტიკრიზისულ პოლიტიკაში შესაძლებელია რამდენიმე ეტაპის გამოყოფა. პირველი ეტაპია 2007 წლის მეორე ნახევარი, რაც ხასიათდებოდა მთავრობის შედარებით გაუბედავი ნაბიჯებით იპოთეკური ბაზრის კრიზისის შედეგების შესარბილებლად. მეორე ეტაპი იყო 2008 წლის პირველი ნახევარი, როდესაც სახელმწიფომ გააააქტიურა საკუთარი ანტიკრიზისული ღიონისძიებები. მესამე ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 2008 წლის სექტემბერ-ნოემბერი, ანუ კრიზისის ყველაზე მწვავე სტადიაზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. დაბოლოს, მეოთხე ეტაპი, რომელმაც მოიცვა აშშ–ის ახალი პრეზიდენტის ბ. ობამას მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები.

ანტიკრიზისული პოლიტიკის პირველ და მეორე ეტაპებზე მთავრობის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები ემყარებოდა ტრადიციულ ინსტიტუტებსა და მეთოდებს. კერძოდ, სახელმწიფო, ფინანსთა სამინისტროს სახით, ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ბაზრის სუბიექტებს იპოთეკური ბაზრის კრიზისთან ბრძოლაში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ 2007 წლის შემოდგომაზე, იმჟამინდელ ფინანსთა მინისტრის გ. პოლსონის გეგმის ფარგლებში (გეგმა ითვალსიწინებდა ფინანსური სისტემის ინსტიტუტებისათვის 700 მლრდ დოლარიანი დამხარების გაწევას), ე.წ. FHASECURE პროგრამის ამოქმედებას, რომლითაც იპოთეკური დავალიანებით დატვირთული საცხოვრებელი სახლების მფლობელებს 2008 წლის ბოლომდე მიეცათ კრედიტების რეფინანსირების შესაძლებლობა. 2008 წლის დასაწყისში, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედმა) გააააქტიურა მონეტარისტული პოლიტიკა და 2008 წლის 28 იანვარს

მიიღო ექსტრაორდინარული გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთის 0,75 პუნქტით, ანუ წლიურ 3,5%–მდე შემცირების შესახებ. ორი დღის შემდეგ კი, კიდევ 0,5%-ით შეამცირა საპროცენტო განაკვეთი. ეს პროცესი შემგომშიც გაგრძელდა და 2008 წლის მაისში საბაზისო საპროცენტო განაკვეთი 2%–მდე შემცირდა.[1] აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ აშშ–ის მონეტარისტული ხელისუფლება ამ პერიოდში ბიზნესის გააქტიურებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ინფლაციის ტემპების გაზრდის მუქარას.

ანტიკრიზისული პოლიტიკის მთავარი ელემენტი იყო კერძო ბიზნესისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. 2008 წლის თებერვალში კონგრესმა დაამტკიცა ეკონომიკის სანაციის პროგრამა და ამ მიზნით გამოჰყო 167 მლრდ დოლარი. 117 მლნ საოჯახო მეურნეობამ მიიღო საგადასახადო შეღავათი: 600& - ერთ პირზე, 1200& - ოჯახურ წყვილზე და 300& - ყოველ ბავშვზე.[2] ეს დამხარება ძირითადად ორიენტირებული იყო მოთხოვნის წახალისებაზე, რომელსაც თავის მხრივ უნდა გამოეწვია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. 2008 წლის მარტ-ივლისის მონაკვეთში მთავრობის ძირითადი ეკონომიკური ღონისძიებები მიმართული იყო ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრისა და ფინანსურ ბაზრებზე პანიკის თავიდან აცილებისაკენ. მთავრობა უშუალოდ მონაწილეობდა ფინანსური კომპანიის - Bear Stearns გადარჩენაში, რომელიც სასწრაფოდ იყიდა კომპანია J.P Morgan-მა, როსთვისაც ამ უკანასკნელმა სახელმწიფოსგან მიიღო 30 მლრდ დოლარის კრედიტი. 2008 წლის მარტში ფედმა დაიწყო მოკლევადიანი საგანგებო კრედიტის გაცემა იმ ბანკებსა და ფინანსურ კომპანიებზე, რომლებიც ახორციელებდნენ სასესხო დაბანდებებს იპოთეკასთან დაკავშირებულ წარმოებულ ფასიან ქაღალდებში. ამ პროგრამის დასაფინანსებლად ფედმა გამოყო 400 მლრდ დოლარი, ანუ საკუთარი რეზერვების დაახლოებით ნახევარი. 2008 წლის 30 ივნისს კონგრესმა დაამტკიცა ახალი კანონი - „The Housing

[1] В. Супян. Кризис в США: экономический контекст. Вестник института Кенана в России. Вып. 15, М., 2009, с. 22.

[2] იქვე, გვ. 25.

and Economic Recovery Act of 2008", რომელიც ითვალისწინებდა იპოთეკური დავალიანების მქონე ოჯახებზე 300 მლრდ დოლარის გაცემას. ამ კანონით განხორციელდა მხარდაჭერა უმნიშვნელოვანეს ფინანსურ კომპანიებზე - „Fannie Mae" და „Fredie Mac". ამავე კანონით ფინანსთა სამინისტროს მიეცა უფლება 18 თვის მანძილზე აღნიშნული კომპანიებისათვის გაეხსნა ულიმიტო საკრედიტო ხაზი.

2008 წლის შემოდგომაზე ფინანსური კრიზისი სიმწვავის ახალ ფაზაში შევიდა, რის გამოც სახელმწიფო იძულებული გახდა გაეაქტიურებინა ფინანსური ინსტიტუტებისათვის მხარდაჭერა. დეკემბრის შუა რიცხვებში გაკოტრების პირას აღმოჩნდა საფინანსო რისკების დაზღვევის სფეროს გიგანტიც - „American International Group" (AIG). მის გადასარჩენად ფედმა სასწრაფოდ გამოჰყო 85 მლრდ დოლარი. 2008 წლის სექტემბერში ფინანსთა მინისტრმა პოლსონმა კონგრესს წარუდგინა ე.წ. „ტოქსიკური აქტივების" პრობლემის შერბილებისაკენ მიმართული გეგმა სახელწოდებით - Trouble Asset Relief Program (TARP), ითვალისწინებდა კრიზისში მყოფი საფინანსო ინსტიტუტებიდან 700 მლრდ დოლარის ღირებულების „ცუდი" ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვას. მთლიანობაში პოლსონის გეგმა ნიშნავდა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულ შეცვლას კერძო ინსტიტუტებთან მიმართებით და რეგულირების არატრადიციული მეთოდების გამოყენებაზე გადასვლას.

პოლსონის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბანკების რეკაპიტალიზაციის ღონისძიებებს, რომლის აუცილებლობა წარმოშვა ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის ბანკების კაპიტალის არაადეკვატურმა შეფასებამ. 2008 წლის ნოემბერში ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა TARP-ის გადახედვის შესახებ და სახელმწიფოსათვის ხმის უფლების არმქონე აქციების გადაცემის სანაცვლოდ, ფინანსურ ინსტიტუტებს შესთავაზა 125 მლრდ დოლარის ფინანსური დახმარება. დაახლოებით იმავე რაოდენობის თანხა გამოიყო უფრო წვრილი ფინანსური ინსტიტუტების დასახმარებლად.

2008 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფო სტრუქტურის – Federal Housing Finance Agency დირექტორმა განაცხადა, რომ მეურვეობას გაუწევდა (concervationship) კომპანიებს - ,,Fannie Mae" და ,,Fredie Mac", რის შესახებაც ფედის ხელმძღვანელმა ბ. ბერნანკემ გააკეთა კომენტარი, რომ ამგვარი მეურვეობა განიხილება, როგორც „ტაიმ-აუტი" იმ მიზნით, რათა გადაიხედოს ფინანსური შუამავლების როლი მისი სრულყოფის თვალსაზრისით.

ანტიკრიზისულ ღონისძიებათა ინტესიფიცირება დაუკავშირდა აშშ-ის პრეზიდენტად ბ. ობამას არჩევას. მისმა ადმინისტრაციამ წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის მიზნით, გაზარდა სახელმწიფოს ხვედრითი წონა Citygroup-ის აქციონერულ კაპიტალში და 2009 წლის ივნისის ბოლოს სახელმწიფო უკვე ფლობდა ამ კომპანიის აქციების 34%-ს.[1] ისარგებლა რა ამ სიტუაციით, აშშ-ის მთავრობამ აიძულა ეს კომპანია დაექირავებინა დამოუკიდებელი ექსპერტები კორპორაციული მენეჯმენტის ხარისხის შესაფასებლად. ამავე პერიოდში გრძელდებოდა მძიმე ფინანსური მდგომარეობის მქონდე კომპანიების დახმარების პრაქტიკა. კერძოდ, მიღებული იქნა AIG-ის ფინანსური დახმარების პაკეტი, რომლითაც კომპანიებს დამატებით გამოეყო 180 მლრდ დოლარი. უნდა შევნიშნოთ, რომე ეს იყო კერძო კომპანიისათვის სახელმწიფო დახმარების უპრეცედენტო შემთხვევა თანხის მოცულობის თვალსაზრისით. აღნიშნულის სანაცვლოდ აშშ–ის მთავრობის პირდაპირ განკარგვაში მოექცა აღნიშნული კომპანიის აქციების 79,9%, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად AIG სადაზღვეო კომპანიას მთვარობა აკონტროლებს. აშშ-ის მთავრობამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა და ფაქტობრივად ნაციონალიზაცია ჩაუტარა ორ უმსხვილეს იპოთეკურ კომპანიას - ,,Fannie Mae" და ,,Fredie Mac". ეს იყო ახალი მოვლენა აშშ-ის ეკონომიკურ ისტორიაში და მას ეწოდა „რბილი პრივატიზება".

აშშ–ის ფინანსთა სამინისტრო აგრძელებდა ბანკებიდან

[1] К. Корищенко, И. Соловьёва. Новые вызовы в регулировании финансового сектора в условиях кризиса, журн. «Вопросы экономики», 2010, №4, с. 106.

„ცუდი“ აქტივების ჩამოწერას, რომლის მოცულობაც, სხვადასხვა შეფასებით, 59 მლრდ დოლარიდან 1 ტრლნ დოლარს შეადგენდა. ამ უზარმაზარი თანხების ჩამოწერით მთავრობა იმედოვნებდა, რომ ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები განაახლებდნენ კერძო სექტორზე კრედიტების გაცემას.

2009 წლის 25 მარტს ფედმა გამოაცხადა სამომხმარებლო დაკრედიტების ახალი პროგრამა და შექმნა სპეციალური ფონდი - Term Asset Backed Securities Lending Facility, რომელშიც ფედერალური ბიუჯეტიდან გადაირიცხა 200 მლნ დოლარი. აღნიშნული ფონდის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მცირე ბიზნესისა და მომხმარებლებისათვის კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მთავრობის მიერ გატარებულმა აქტიურმა და არაორდინარულმა საფინანსო ეკონომიკურმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო. რიგმა ბანკებმა უკვე 2010 წლის დასაწყისში განაცხადეს, რომ მზად არიან ახალი აქციების გაყიდვიდან მიღებული მილიარდობით დოლარის ხარჯზე დააბრუნონ მთავრობისაგან მიღებული სესხები. ობამას მთავრობის ახალმა ფინანსთა მინისტრმა თ. გაიტნერმა განაცხადა, რომ TARP-ის ფარგლებში გაცემული და უკანდაბრუნებული თანხები ძირითადად მოხმარდებოდა წვრილი საფინანსო ინსტიტუტებისათვის ფინანასური დამხარების გაწევას.

ფინანსურ დახმარებსათან ერთადნ ფედერალური და შტატების ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები დაწვრილებით სწავლობდნენ სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის წვლილს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბ. ობამას ადმინისტრაციის ანტიკრიზისული პროგრამა მხოლოდ ფინანსური ღონისძიებებით არ შემოიფარგლებოდა, მასში გათვალსიწინებული იყო ქვეყნის სოციალურდეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ფართო წრე. კერძოდ, სახელმწიფო ინვესტიციების გაფართოება განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ დაზღვევაში, ინფრასტრუქტურასა და ეკოლოგიაში, ასევე მოსახლეობის

ყველაზე დაუცველი კატეგორიისათვის დახმარების გაწევა. სწორედ ამ კონტექსტით უნდა იქნეს განხილული კონგრესის მიერ მიღებული ეკონომიკის აღდგენისა და ამერიკაში რეინვესტირების კანონი (American Recovery and Reinvestment Act 2009), რომლის ძირითადი მიზანია მოთხოვნის სტიმულირება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მიზნით კონგრესმა გამოჰყო 787 მლრდ დოლარი.

ბ. ობამას ხელისუფლების მიერ ხაზგასმით იქნა დეკლარირებული სახელმწიფო და ბიზნესსტრუქტურებში გამჭირვალეობისა და ანგარიშვალდებულების უპრეცენდენტოდ მაღალი დონის მიღწევის აუცილებლობა, რასაც, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო კერძო ბიზნესის საგადასახადო ბაზის მაქსიმალური ტრანსპარენტულობისათვის, მეორე მხრივ კი, კერძო ბიზნესიდან მიღებული თანხების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებაზე ქმედითი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისათვის.

ბ. ობამას ადმინისტრაციის ანტიკრიზისულ გეგმასა და პოსტკრიზისული განვითარების ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფინანსური ბაზრის რეგულირების სხვადასხვა ასპექტს. აშშ-ის იპოთეკურ ბაზარზე წარმოშობილმა კრიზისმა, მოგვიანებით მისმა გადაზრდამ გლობალურ-ეკონომიკურ კრიზისში, თვალნათლივ აჩვენა, რომ რეგულირების ძველი სისტემა, რომელიც მანამდე გამოიყენებოდა აშშ-სა და რიგ სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნაში, ვეღარ პასუხობდა თანამედროვე რეალობათა მოთხოვნებს. შესაბამისად, გარკვეული რეფორმები დაიწყო ამ მიმართულებით, რომლის პირველ ნაბიჯადაც შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის მაისში მიღებული თაღლითობის წინააღმდეგ და მისი შედეგების დაძლევისაკენ მიმართული კანონი. 2009 წლის 17 ივნისს მიღებული იქნა ფინანსური ბაზრების ლიკვიდობის რეფორმირების პროგრამა, რომელიც მოიცავდა შემდეგ ხუთ მიმართულებას:

1. ფინანსური კომპანიების რეგულირებისა და კონტროლის გამკაცრება. ჩამოყალიბდა ახალი მაკონტროლებელი

ორგანო დ ფინანსური მომსახურების გაწევაზე კონტროლის საბჭო (Financial Services Oversight Council). მის მთავარ ამოცანებად განისაზღვრა: პოტენციურად სახიფათო რისკების გამოვლენა; მარეგულირებელ ორგანოთა შორის კოორდინირების გაუმჯობესება; ყველა ფინანსური კომპანიისაგან ინფორმაციის სავალდებულო წესით მიღება. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე ნავარაუდევია ფედისათვის ახალი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც მას გადააქცევს ყველა ფინანსური ინსტიტუტის მთავარ მარეგულირებელ ორგანოდ. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ეროვნული საბანკო რეგულატორის (National Bank Supervisor, რომელსაც მიენიჭება პრუდენციული რეგულირების ფუნქცია) და ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში დაზღვევის ეროვნული ოფისის შექმნა (Office of National Insurance), რომლის ანალოგი აქამდე აშშ-ის პრაქტიკაში არ ყოფილა;

2. ფინანსური ბაზრების ყოვლისმომცველი რეგულირებისა და ზედამხედველობის განხორციელება. კერძოდ, სეკურიტიზაციის ბაზრების რეგულირების სრულყოფა და არასაბირჟო დერივატივების ბაზრის ეფექტიანი რეგულირება;

3. ფინანსურ ბაზრებზე მომხმარებლებისა და ინვესტორების უფლებათა დაცვის ინსტიტუციური გაძლიერება, რა მიზნითაც ერთიანი ფედერალური მარეგულირებელი ორგანოს სახით იქმნება ფინანსურ ბაზრებზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტო (Consumer Financial Protection Agency – CFPA);

4. სისტემური რისკების გაძლიერების პირობებში სახელმწიფოსათვის ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ მიმართული საგანგებო საშუალებების გამოყენების უფლების მინიჭება;

5. რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების ამაღლება და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2009 წლის აპრილში ლონდონში „დიდი ოცეულის“ (G20) სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, რაც ითვალისწინებს:

• კაპიტალის საკმარისობისადმი წაყენებული მოთხოვნე-

ბის საერთაშორისო სისტემის სრულყოფას;

• გლობალურ-ფინანსურ ბაზრებზე ზედამხედველობის, პირველ რიგში, დერივატივების ბაზრების კონტროლის სტანდარტიზაციას და სრულყოფას;

• საერთაშორისო ფინანსურ კომპანიებზე ზედამხედველობის მექანიზმების დახვეწას;

• პრუდენციული ზედამხედველობის გამკაცრებას ლიკვიდობის კრიზისების თავიდან აცილების მიზნით, ანუ ე.წ. „ფინანსური ბალიშების“ შექმნას;

• რეგულირების სფეროს გაფართოებას მასში HEG ფონდების ჩართვით;

• საერთაშორისო დონეზე კომპანიების მართვის ახალი სისტემების დანერგვას, რომელიც მოიცავს „ტოპ მენეჯერთა“ შრომის ანაზღაურების ახალ წესებს.

ბ. ობამამ აშშ-ის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ თანამედროვე გამოწვევათა გლობალური ხასიათი დღის წესრიგში აყენებს ფინანსური სფეროს რეგულირებაში ამერიკული გამოცდილების სხვა ქვეყნების მხრიდან გაზიარების აუცილებლობას, რაც პრაქტიკული ასპექტით გულისხმობს ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფას და ფინანსური რეგულირების მაღალი სტანდარტების დანერგვას.[1]

აშშ-ის მთავრობის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული პოლიტიკის განხილვასთან ერთად საინტერესოა ამ სფეროში სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების ანალიზიც. კერძოდ, ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა, ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანული კომერციული ბანკის Northern Rock გაკოტრების შემდეგ,დაიწყო რამდენიმე მიმართულებით ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება დ 2008 წელს მან ფინანსთა სამინისტროსთან ერთობლივად გამოჰყო 500 მლრდ გირვანქა სტერლინგი

[1] Remarks by President at the National Academy of Sciences Annual Meeting. The White Shouse. Office of the Press Secretary. April 27, 2009. http://www.scientific.ru)

კომერციული ბანკების საგარანტიო უზრუნველყოფასა და ბანკების რეკაპიტალიზაციაზე. ამის შედეგად დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ვალის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა მშპდს 224%-დან (1990 წელი) 466%- მდე (2009 წელი).[1] 2009 წლის 5 მარტიდან ინგლისის ბანკმა განახორციელა ახალი ღონისძიება - საკუთარი რეზერვების ხარჯზე კომერციული ბანკების აქტივების შესყიდვა, რისთვისაც გამოჰყო 75 მლრდ გირვანქა სტერლინგი. ასევე უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის - „Brandford & Binley" ნაციონალიზაცია.

გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა (ბუნდესბანკმა) კრიზისის დროს სხვადასხვა კერძო კომპანიისა და მოსახლეობის დასახმარებლად გამოჰყო დაახლოებით 1 ტრლნ ევრო. სწორედ ამ თანხიდან იქნა გარანტირებული მოსახლეობის მიმდინარე და სადეპოზიტო შენატანების მთელი 100%. მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად, გერმანიის მთავრობამ მიზნობრივად გამოყო 82 მლრდ ევრო. 2009 წლის დეკემბერში კი შეიქმნა სტაბილიზაციის ფონდი 480 მლრდ ევროს, ანუ ქვეყნის ორი წლის ბიუჯეტის მოცულობით. ამ ფონდში შენატანების 65% გაიღო ფედერალურმა, 35% კი - მიწების ბიუჯეტებმა.[2] გერმანიის მთავრობა ასევე ფინანსურად დაეხმარა ქვეყნის ერთდერთ უმსხვილეს საკრედიტო დაწესებულებას „Hypo Real Estate". ბენილუქსის ქვეყნების მთავრობებმა თავიანთი ფინანსური რესურსები გააერთიანეს დიდი ბელგიური ბანკის Fortis-ის გაკოტრებისაგან გადასარჩენად და ა.შ.

აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებები ტარდებოდა იაპონიაშიც. კერძოდ,ქვეყნის მთავრობამ,იაპონიის ცენტრალურ ბანკთან ერთად, კრიზისის დროს მიიღო ეროვნული ეკონომიკის სისტემაშემქმნელი კომპანიების, ფინანსური სექტორის, მცირე და საშუალო საწარმოების, მოსახლეობის ფინანსურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებათა პაკეტი, რომლის ფარგლებშიც გამოყოფილი იქნა 5,5 ტრლნ იენი. მთავრობისა

[1] www.bankofengland.co.uk/publications/news/2009/019

[2] Кошаров А. Сумленный С. Союз для хорошей погоды. «Эксперт», 2010, №19, с. 26.

და ცენტრალური ბანკის მიერ კერძო სექტორისათვის ფინანსური დახმარების გამო, 2010 წლის 31 მარტს იაპონიის სახელმწიფო ვალმა შეადგინა 9,6 ტრლნ დოლარი, ანუ ქვეყნის მშპ-ის 225%. [1]

კრიზისის პირობებში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი გააქტიურება და ბიზნესისადმი აქტიური მხარდაჭერა არ შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ცალსახად დადებითი მოვლენა. აუცილებელია დავინახოთ რიგი პრობლემა და საფრთხე, რაც ამ პროცესთანაა დაკავშირებული.

რამდენიმე მწვავე პრობლემაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. ერთ-ერთი მათგანია ლობიზმის გაძლიერების საფრთხე. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში აშშ-ის მთავრობა ლობისტთა ძლიერი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, საავტომობილო გაერთიანებულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ თუ მთავრობა ფინანსურად არ დაეხმარებოდა ამ დარგს, ეს გამოიწვევდა ქვეყნის მასშტაბით 14 მლნ სამუშაო ადგილის დაკარგვას. თუმცა, ექსპერტების გაანგარიშებით, სამუშაო ადგილების დანაკარგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 2 მლნზე მეტი.

შემდეგი პრობლემა დაკავშირებულია ე.წ. „არაკეთილსინდისიერი ქცევის ეფექტის“ (moral hazard) წარმოშობასთან. მისი არსია ის, რომ სახელმწიფო როდესაც საკუთარ თავზე იღებს კომპანიების გადაჭარბებულად რისკიანი ოპერაციების შედეგად მიღებულ ზარალს, ამით კომპანიებს უჩენს მსგავსი მოქმედების გამეორების სურვილს. ისინი იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო ყოველთვის აანაზღაურებს მათ დანაკარგებს. დამნაშავის მიერ ზარალის ანაზღაურების არსებული წესი კიდევ უფრო აღრმავებს ამ წინააღმდეგობას. კერძოდ, ზარალის ნებისმიერი სიდიდე, რომელიც ეკონომიკური აგენტის ქონებაზე მეტია, მისთვის მხოლოდ ვირტუალური ცნებაა. რეალურად იგი ვერასდროს გადაიხდის იმაზე მეტს, რა ქონებაც გააჩნია. შესაბამისად, საკუთარი გადახდისუნარიანობის მიღმა მისი აქ-

[1] Зотин А. , Великий делеверидж. «Финансы», 2010, №10, с. 36.

ტივობა ხშირად არ არის ფრთხილი,მოზომილი და რისკებსაც ნაკლები ყურადღება ეთმობა. როდესაც გარკვეულ მომენტში ბაზარზე დგება „განკითხვის ჟამი“ დ კრიზისის სახით,ეკონომიკური აგენტები სასოწარკვეთაში ვარდებიან, სახელმწიფოსაკენ იშვერენ ხელს და მისი დაშანტაჟების მცდელობასაც არ ერიდებიან. ასეთ შემთხვევებში ეკონომიკური აგენტების ქცევის მექანიზმს უნდა განსაზღვრავდეს ფინანსური ბაზრის ცალკეულ პროდუქტებზე შეუზღუდავი კონტრაქტების კანონით აკრძალვა. იმ შემთხვევაში,როცა ეკონომიკური აგენტების ქონება მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების რისკის ხარისხის თანაზომადია,ამ ეკონომიკური სუბიექტების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ე.წ. ex post მიდგომა, რომელიც გულისხმობს მიყენებული ზარალის სრული მოცულობით იძულებით ანაზღაურებას. ეს პრინციპი განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მმართველთა უმაღლესი კატეგორიის (ე.წ. „ტოპმენეჯერების“) მიმართ.

ეკონომისტთა ერთსულოვანი შეფასებით, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ერთდერთი სერიოზული მიზეზი იყო კორპორაციული მართვის დაბალი ხარისხი. ტოპმენეჯერები საკმარისად არ ითვალისწინებდნენ მოსალოდნელ რისკებს და ხშირად მოქმედებდნენ ყოველგვარი წინასწარი ანალიზის გარეშე. გლობალიზაციამ და ფინანსური ინოვაციების მასობრივმა გამოყენებამ მნიშნელოვნად გაზარდა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები. ამჟამად დღის წესრიგში აქტუალურად დგას კორპორაციული მართვის ახალი პარადიგმის შექმნის ამოცანა, რომელშიც კომპანიების მოგების მაქსიმიზება და კაპიტალიზაციის სწრაფი ზრდიდან მენეჯერთა აქტიურობა გადაინაცვლებს გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე და ამ უკანასკნელს მიებმება მმართველთა სტიმულირების მექანიზმი. ახალ პარადიგმაში ასევე აისახება ტოპმენეჯერთა პასუხისმგებლობა იმ დანაკარგებზე, რაც კომპანიებმა შეიძლება განიცადოს მენეჯერთა მხრიდან ზედმეტად რისკიანი ოპერაციების განხორციელების ან საქმიანი ეთიკის დარღვევის გამო. მნიშვნელოვან

ბონუსებს მხოლოდ ის მენეჯერები უნდა იღებდნენ, რომელთა მმართველობაში მყოფი კომპანიების აქციონერები ხანგრძლივი დროის მანძილზე სტაბილურ დივიდენდებს იღებენ. სახელმწიფომ ეფექტიანი კონტროლი უნდა დააწესოს კომპანიების შიგნით ინტერესთა კონფლიქტზე. დაუშვებელია ერთი და იგივე კომპანია კონსალტინგსაც ახორციელებდეს და აუდიტსაც ან ერთი კომპანიის მენეჯერი იყოს მეორე კომპანიის მმართველთა საბჭოში და იქ გასამრჯელოს იღებდეს.

ამრიგად, თეზისური სახით, კრიზისულ პერიოდში სახელმწიფოს აქტიურობის გაძლიერებასთან დაკავშირებული პრობლემები (რისკები) ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- კრიზისამდელი არაეფექტიანი სტრუქტურების კონსერვაციის რისკი;
- კონკურენტუნარიანობის დაქვეითების რისკი;
- აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის სახელმწიფოს ხელში გადასვლით გამოწვეული მართვის ეფექტიანობის დაქვეითების რისკი;
- კრიზისიდან დროში გაწელილი და დუნედ გამოსვლის რისკი;
- სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური ხარჯვისა და კორუფციის გაძლიერების რისკი;
- ლობირების გაძლიერების რისკი;
- არაკეთილსინდისიერი ქცევის გაძლიერების რისკი;
- „სტატუს კვოს“ შენარჩუნებისა და მოდერნიზაციაზე უარის თქმის სურვილის გაძლიერების რისკი (“business as usual”);
- დიდი სახელმწიფოს (big government) იდეოლოგიისა და პრაქტიკის რეანიმაციის რისკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაიბადოს კითხვა - თუკი ასეთ რისკებთანაა დაკავშირებული კრიზისულ პერიოდებში სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის გაძლიერება, რატომ აქვს მას ადგილი? - საქმე ისაა, რომ ასეთ სიტუაციებში ჩაურევლობა კიდევ უფრო მძიმე შედეგების მომტანი იქნებოდა.

კრიზისის დროს ქვეყნის მთავრობები უპირატესად ეხმარებიან მსხვილ კომპანიებს სწორედ იმის გამო, რომ ისინი მეტისმეტად დიდები არიან იმისათვის, რომ გაკოტრდნენ („too big to fail“). აქ სიდიდეში იგულისხმება არა მხოლოდ მათი მოცულობა, არამედ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ხასიათი, მნიშვნელობა და მათი დახურვით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ბრიჯდმენეჯმენტის“ პოლიტიკის განხორციელება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ძალისხმევით ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას და პოსტკრიზისული განვითარების დაწყებას, ობიექტური აუცილებლობაა. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ამ საკითხისადმი დაბალანსებული მიდგომა, რაც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა-დახვეწას და არა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს პირდაპირ ან/და უშუალო მონაწილეობას.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი და მნიშვნელოვანია კრიზისიდან გამოსვლისა და პოსტკრიზისულ საწყის პერიოდში სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა. პოსტკრიზისული განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ახალი, უფრო ეფექტიანი ფირმების ფუნქციონირებას, არამედ ძველის, შედარებით ჩამორჩენილის და არაეფექტიანის ასპარეზიდან გაქრობას. თუკი ამ უკანასკნელთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდება ძველი პოლიტიკა, ანუ ისინი კვლავ მიიღებენ უხვ ფინანსურ დახმარებას, შესაძლებელია მათი არსებობის ხელოვნური შენარჩუნება, რაც შეასუსტებს ჯანსაღ კონკურენციას და ხელს შეუშლის ეკონომიკურ პროგრესს. ამგვარ მდგომარეობას პროფ. ვ. პაპავა ეკონომიკის ზომბირებას უწოდებს და აღნიშნავს: „ზომბი დ ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს. როგორც ცნობილია, სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრაობა ახასიათებს,

რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. ასეთ პირობებში, როგორც წესი, მთავრობისაგან მოითხოვენ ეკონომიკის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანას, ის კი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს. ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მემკვიდრეობად იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს სახელმწიფოს მხრიდან ის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა შეინარჩუნოს, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბი დ ეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს."[1]

პოსტკრიზისულ პერიოდში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ურთიერთობის ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია მთავრობის დამოკიდებულება მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ. დღემდის, თითქმის საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ მცირე ბიზნესი წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის ინოვაციურობისა და დინამიზმის ძირითად წყაროს („small is beautiful"). კრიზისმა გვიჩვენა, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, სახელმწიფოს მთავარი ყურადღება დიდ ბიზნესზე იქნა ფოკუსირებული. პოსტკრიზისულ პერიოდში თუკი ეს პრაქტიკა გაგრძელდა, გამოიწვევს ეკონომიკური პროგრესის შემაფერხებელი პარადიგმის გაჩენას, რისი პირველი ნიშნებიც უკვე სახეზეა. კერძოდ, გიგანტური კომპანიების მხრიდან მოდერნიზაციის მცდელობა აბსოლუტურად შეუსაბამო აღმოჩნდა სახელმწიფოს მიერ კრიზისის პერიოდში მათთვის გაწეულ ფინანსური დახმარების მოცულობისთან.

ამრიგად, კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში სახელმწიფოს როლის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესში ობიექტური აუცილებლობაა, ხოლო დევიზი - „დროა გამოვაცხადოთ კრიზისზე გამარჯვება და უარი ვთქვათ მასტიმულირებელ პოლიტიკაზე", მცდარია და უარყოფითი შედეგე-

[1] ვ. პაპავა. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010, გვ. 17-18.

ბის მომტანი. ამასთანავე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება გაგებული უნდა იქნეს არა როგორც ეკონომიკურ პროცესებში პირდაპირი ჩარევა - კერძო ბიზნესისა და ზოგადად კერძო ინიციატივის შეზღუდვა, არამედ როგორც მისი სტიმულირება, სახელმწიფოს მიერ ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება შესაბამისი ფინანსურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულდადმინისტრაციული და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით.

Government-Business Relationship in Economic Crisis and Post-crisis Periods

T. Miminoshvili

The article describes various directions of economic activities carried out by the state in the financial and economic crisis and post-crisis period. For this purpose the cases of the USA and some other countries are discussed.

A number of anti-crisis directions of macroeconomic management are discussed, including “soft nationalization” of commercial banks and insurance companies; direct financial assistance from the state budget, allocation of so called “toxic” assets, etc.

The article illustrates the problems that accompany high economic activeness of a state during the post-crisis period and suggests several recommendations in order to solve and overcome these problems.

ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის

ნინო აბესაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ.ჯავახიშვილისსახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე, სამომხმარებლო ფასების ინდექსს 1992 წლიდან ანგარიშობს. ის ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას ზომავს. „ევროსტატის“ რეკომენდაციით ხდება სამომხმარებლო კალათის ჩართვა ინფლაციის დონის დასადგენად, რადგან იგი კარგად ასახავს მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას, რაც უფრო საიმედოს ხდის სამომხმარებლო ფასების ინდექსს - ინფლაციის მაჩვენებელს.

სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს შინამეურნეობების მიერ. 2012 წლის იანვრიდან განახლებული სამომხმარებლო კალათა ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას დაეფუძნა. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში, ერთ-ერთი არსებითი რეკომენდაციაა, რომელსაც „ევროსტატი” ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიანგარიშება ყოველთვიური პერიოდულობით საქართველოს ხუთ ქალაქში: თბი-

ლისში, ბათუმში, გორში, ქუთაისსა და თელავში.

ინდექსის გაანგარიშებისათვის არსებობს შესადარისობის კრიტერიუმები, რაც როგორც წესი, დაცულია სამუშაოს ყოველ ეტაპზე. კერძოდ: ფიქსირებული სამომხმარებლო კალათა; ფიქსირებული დრო ფასების რეგისტრაციისათვის; ვაჭრობისა და მომსახურების ფიქსირებული ობიექტები, საქონლისა და მომსახურების ხვედრითი წონები.

სამომხმარებლო ფასები რეგისტრირდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით, საცალო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტებზე, რომელთა მთლიანი რაოდენობა აღწევს 1300-ს.[1]

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს,საერთაშორისო კლასიფიკატორის (COICOP) შესაბამისად. ფასების ინდივიდუალური ინდექსების ბაზაზე გაანგარიშება ფასების აგრეგირებული ინდექსები თითოეული სასაქონლო ჯგუფისათვის, როგორც თითოეული ქალაქისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის. 2012 წლიდან ინდექსი 4 ძირითად ჭრილით გამოქვეყნდება: წინა თვესთან, წინა წლის შესაბამის თვესთან, 12 თვის საშუალო და გრძელვადიან ბაზასთან შედარებით.

მონაცემთა ბაზა მოსახლეობის მიერ გაწეული სამომხმარებლო ხარჯების შესახებ, მიიღება სოციალური სტატისტიკის სამმართველოს შინამეურნეობების კვლევების განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე. მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურა, რომელიც დღეისათვის გამოიყენება, მიიღება 7000-მდე შინამეურნეობის გამოკვლების საფუძველზე.[2]

როგორია განახლებული სამომხმარებლო კალათა?

2012 წელს განხორციელდა პოზიტიური ძვრები სამომხმარებლო კალათის ფორმირების ნაწილში. კერძოდ, მოხდა მთელი რიგი ახალი საქონლისა და მომსახურების გათვალისწინება. ამჟამად სამომხმარებლო კალათა შედგება 288 სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისგან, რომელთაც მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა, მთლიანი მოხ-

[1] ზოგადი განმარტებები ინფლაციის მეთოდოლოგიასა და სამომხმარებლო კალათაზე. www.geostat.ge

[2] იქვე.

მარების პროპორციულად.

2010 წლის სამომხმარებლო კალათასთან შედარებით, განახლებულ სამომხმარებლო კალათაში, ჩართულ იქნა 42 დასახელების საქონელი (მომსახურება). მათ შორის: გაყინული ქათმის ხორცი, პილმენი (ნახევარფაბრიკატი), შებოლილი ძეხვი, პასტერიზებული რძე, იოგურტი, კონიაკი, ძიძის მომსახურების ღირებულება, ახალი მსუბუქი ავტომობილი, გაზის საწვავი, ავტომობილის ზეთისა და ფილტრის შეცვლა და ა.შ. 2010 წლის სამომხმარებლო კალათიდან ამოღებულ იქნა 20 დასახელების საქონელი (მომსახურება). მათ შორის: ბალი და ალუბალი, ბინის გაყიდვის ღირებულება, სამშენებლო ბლოკი, მერქან-ბურბუშელის ფილა, საწოლი, ხალიჩა, ა.შ.

2012 წლისა და 2010 წლის სამომხმარებლო კალათის შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ განახლებულ სამომხმარებლო კალათა პოზიტიურია 2010 წლის კალათასთან შედარებით. კერძოდ:

თუ 2010 წლის სამომხმარებლო კალათა მოიცავდა მხოლოდ რეგიონის ქალაქების დანახარჯების სტრუქტურას და ქალაქის ხვედრითი წონა განსაზღვრული იყო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, 2012 წლის სამომხმარებლო კალათა მოიცავს მთლიანი რეგიონის დანახარჯების სტრუქტურას და რეგიონის წონა განსაზღვრულია რეგიონში გაწეული დანახარჯის მოცულობის მიხედვით.

2010 წლის სამომხმარებლო კალათაში გამოყენებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის 2007-2009 წლების მონაცემები. 2012წლის სამომხმარებლო კალათაში კი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2010 წლის მონაცემები.

ძველ სამომხმარებლო კალათაში საკვლევი ობიექტები შეირჩეოდა ინტერვიუერთა მიერ, ადგილმდებარეობის მიხედვით, მოცული იყო ქალაქის ყველა რაიონი და ყველა ტიპის სავაჭრო ობიექტი. 2012 წლის სამომხმარებლო კალათის დათვლისას, საკვლევი ობიექტების შერჩევა განხორციელდა ობიექტების ბრუნვების მოცულობების მიხედვით (ბიზნესსტატისტიკიდან მიღებული ინფორმაცის საფუძველზე), მოცულია ქალაქის ყველა რაიონი და ყველა ტიპის სავაჭრო ობიექტი;

გაუმჯობესდა ფასების რეგისტრაციის ტექნიკური ნაწილი. სავაჭრო ობიექტებში მონაცემთა შეგროვების საველე სამუშაოები ხორციელდება საანგარიშო თვის 10-20 რიცხვების განმავლობაში, 20 ინტერვიუერის მიერ. 2010 წელს ეს ხორციელდებოდა ქაღალდის კითხვარის გამოყენებით, ხოლო 2012 წელს პორტატული კომპიუტერების გამოყენებით, რომლებშიც ელექტრონულად შეიტანება ინფორმაცია და მონაცემთა ბაზა შესაბამის დროის ვადებში წარედგინება სათავო ოფისს. პორტატული კომპიუტერების გამოყენებამ რეალურად შექმნა წინაპირობა პირველადი ინფორმაციის სკანირებულ ბაზებზე გადასასვლელად, რაც იგეგმება ახლო მომავალში საქართველოში.

2010 წელს, ელემეტარული ინდექსი იანგარიშებოდა საშუალო არითმეტიკული ფორმულის გამოყენებით, რასაც თან ახლდა ხარვეზები - კონკრეტული პროდუქტისათვის ხვედრითი წონის განისაზღვრებოდა ფარულად, ფასის სიდიდის მიხედვით. 2012 წლიდან, ელემენტარული ინდექსი იანგარიშება საშუალო გეომეტრიული ფორმულის გამოყენებით. მას გააჩნია უპირატესობა, რადგან წონების მინიჭება მოხდება მიზანმიმართულად ან გამოიყენება თანაბარი წონები.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, პოზიტიური ძვრები შეინიშნება მოსახლეობის ხარჯების ნაწილშიც. (გამომდინარე იქიდან რომ 2012 წლის სამომხმარებლო კალათა მოიცავს მთლიანი რეგიონის დანახარჯების სტრუქტურას.) 40,1%-დან - 30,3%-მდე შემცირდა სურსათზე მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობა და გაიზარდა ისეთი კატეგორიის მომსახურებაზე, როგორიცაა: განათლება (6,1%), ტრანსპორტი (12,8%), დასვენება, გართობა და კულტურა (6,8%), კავშირგაბმულობა(5,6%) და ა.შ. აღნიშნული პოზიტიური ცვლილებები წარმოდგენილია პირველ დიაგრამაზე.

გაუმჯობესდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების პროგრამული პროდუქტი. დღეისათვის პროგრამა წარმატებით ასრულებს სეზონურ პროდუქციასა და დროებით არარსებულ პროდუქტებზე ფასების ცვლილების გაანგარიშებებს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად გაყიდვაში დროებით არარსებული და სეზონური საქონლის

იმ კატეგორიებზე, რომლებიც მკვეთრი სეზონური ხასიათით გამოირჩევა გამოიყენება პირობითი ფასის, ანუ იმპუტაციის მეთოდი. გაანგარიშების მიზანია იმ უზუსტობების მინიმუმამდე დაყვანა, რომელიც ტრადიციულად არსებობს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, გაყიდვაში დროებით არარსებულ ან სეზონურ საქონელზე სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების დროს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ სეზონურ საქონელზე ფასის გაანგარიშებისათვის რეკომენდებული იმპუტაციის მეთოდი 2010 წლის 1 იანვრიდან სრულად დაინერგა საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში.

მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურა

დიაგრამა1



რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, იგი გაიანგარიშება ლასპეირესის ინდექსის საფუძველზე, შესაბამისად მოსახლეობის ხარჯებისა და სამომხმარებლო კალათის 3 წელიწადში ერთხელ განახლებით.

როგორია ინფლაციის დონე და დინამიკა საქართველოში?

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წლის მარტში, 2011 წლის მარტთან შედარებით, ინფლაციის დონემ

საქართველოში 2,2% შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

დიაგრამა 2

პროცენტული ცვლილება 2012 წელს, წინა წელთან შედარებით	
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	-7.5
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	+0.4
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-6.4
საცხოვრებელი, წყალი, ელენერგია, აირი	+2.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.8
ჯანმრთელობის დაცვა	+1.9
ტრანსპორტი	+11.9
კავშირგაბმულობა	-7.7
დასვენება, გართობა და კულტურა	+0.7
განათლება	+0.1
სასტუმრო, კაფე და რესტორანი	+6.8
სხვა საქონელი და მომსახურება	+0.5
ინფლაციის დონე, სულ	-2.2

ჯგუფების წვლილი 2012 წელს, წინა წელთან შედარებით სულ - 2,2%)



12–თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები შემცირდა 7,5 %-ით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში – 3,6 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების კლების მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (34,3%), ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილი და სხვა ბოლქვოვანები (17,8%), შაქარი და სხვა ტკბილეული (14,4%). ფასები გაიზარდა ხორცსა და ხორცის პროდუქტების ქვეჯგუფზე (10,9%).
- ტრანსპორტი: ფასები გაიზარდა 11,9%-ით. შესა-

[1] ეს და სხვა დიაგრამები აგებულია „საქსტატის" მონაცემების საფუძველზე.

ბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში 1,2 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნულ ჯგუფში ფასების მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა სატრანსპორტო ქვეჯგუფზე (19,3%) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ქვეჯგუფზე (4,1%).

პოზიტიურია წინა წლის შესაბამის თვესთან სამომხმარებლო ფასების ინდექსების დინამიკა (2010-2012წ.წ.)



დიაგრამა 3

წინა წლის შესაბამის თვესთან სამომხმარებლო ფასების ინდექსების დინამიკა (2010-2012 წ.წ.)

დღეისათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია:

1. მოკლევადიანი ინდექსების გაანგარიშება (Str - Short Term Index) ქალაქების ჭრილით;

2. იმპუტირებული ინდექსები. იმპუტაცია ხორციელდება მოკლევადიანი ინდექსების გაანგარიშებისას (Str Imputation) ქალაქების ჭრილით;

3. გრძელვადიანი ინდექსების დათვლა (Ltr - Long Term Index) ქალაქების ჭრილით;

4. ჯგუფების გრძელვადიანი ინდექსების გაანგარიშება ქალაქების ჭრილით;

5. ჯგუფების მოკლევადიანი ინდექსების გაანგარიშება ქალაქების ჭრილით;

6. სფი-ს გაანგარიშება ეროვნულ დონეზე.

დღესდღეობით კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება სამომხმარებლო ფასების ინდექსში უძრავი ქონების გათვალისწინება. ამის ძირითადი მიზეზი უძრავი ქონების არასრული მოცვით სტატისტიკური აღრიცხვაა. ამჟამად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამუშავებს უძრავი ქონების აღრიცხვისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსში მისი გათვალისწინების მეთოდიკას. უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოში იგეგმება სამომხმარებლო კალათის განახლება ყოველწლიურად. ეს უდავოდ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი, რაც შექმნის მყარ საფუძველს სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიის დახვეწისა და შემდგომი სრულყოფისათვის.

For Improving Inflation Calculation Methodology

N. Abesadze

The article discusses methodological issues regarding practice of calculating consumer price index and improvement of the calculation methodology according to the recommendations of “Eurostat”. For this purpose, the article provides detailed overview of the new consumer basket and the positive changes having been implemented in Georgia regarding inflation calculation since January, 2012. The new consumer basket reflects the latest structure of expenditures of the population really well. It makes consumer price index - inflation indicator more reliable.

სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები

ზოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკურ მეცნიერებაში სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალი ცნებაა და აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია მის ზუსტ განსაზღვრებასთან დაკავშირებით, ასევე, ეკონომიკაში ამ ახალი სექტორის როლის შესახებ. თუმცა, დასავლეთში ეს ტერმინი უკვე იმდენად მოდურია, რომ ყველა მეწარმე ცდილობს საკუთარი ბიზნესი სოციალურ მეწარმეობას დაუკავშიროს. ამ სახელწოდებაში მოქცევა მათთვის დონორი ორგანიზაციებიდან დაფინანსების მიღების შანსის გაზრდასთან ასოცირდება. დონორებისათვის კი სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა დაბანდებების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლების საშუალებაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სპეციალისტები გარკვეულ საფრთხესაც კი ხედავენ, რადგან „სოციალური მეწარმეობის“ პოპულარობამ და ფართოდ გავრცელებამ შეიძლება დროთა განმავლობაში მისი არა მხოლოდ როგორც ტერმინის, არამედ როგორც მოვლენის დევალვაცია გამოიწვიოს.

პოპულარობის მიუხედავად, სოციალური მეწარმობა ჯერ კიდევ დაკავშირებულია ტერმინოლოგიურ გაურკვევლობასთან. ამ პრობლემის გადასაჭრელად მკვლევარები უბრუნდებიან თვით „მეწარმეობის“ ბუნებას. ჟან ბატისტ სეის, ჯოზეფ შუმპეტერის და პიტერ დრუკერის ნაშრომებზე დაყრდნობით ისინი ასკვნიან, რომ მეწარმის ქცევის თავისებურებები, რაც მას ჩვეულებრივი მენეჯერისაგან განასხვავებს, უნივერსალურია. სოციალური პრობლემების გადაჭრის სიცოცხლისუნარ-

იან გზებს საფუძვლად შეიძლება დაედოს ისეთივე ელემენტები, რაც წარმატებულს ხდის ბიზნესინოვაციებს. ნებისმიერი მეწარმე ნაცვლად იმისა, რომ დაელოდოს ვინმეს ან შეეცადოს მთავრობა დაარწმუნოს პრობლემის მოგვარებაში, თავად ქმნის პროდუქტს (მომსახურებას) ამ პრობლემის გადასაჭრელად. ეს გადაწყვეტილება მისი მხრიდან განიხილება როგორც სამეწარმეო აქტიურობის განსაკუთრებული ფორმა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ ბოლო წლებში ტერმინი – „მეწარმეობა“, სულ უფრო ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც მსჯელობენ სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, ხოლო ტერმინი – „სოციალური“, სიტყვათშეთანხმებაში – „სოციალური მეწარმეობა“, განსაზღვრავს ამ საქმიანობის არსს. ამგვარად, სოციალურ მეწარმეობაში მოიაზრება – სოციალური მისია, საქმიანი დისციპლინა, ინოვაციური მიდგომები და მდგრადობა.[1]

სოციალური მეწარმეობა მოიცავს როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ სფეროს. მართალია,მას გააჩნია როგორც მოგებაზე ორიენტირებული, ასევე არამომგებიანი სექტორისათვის დამახასიათებელი ელემენტები, მაგრამ ის არსებობს და ვითარდება საკუთარი კანონების მიხედვით.

თუ სქემატურად წარმოვიდგენთ (იხ.სქემა), რომ მეწარმეობა არის სამკუთხედი, ხოლო სოციალური საქმიანობა წრე, მათი გაერთიანებით მივიღებთ ახალ სამგანზომილებიან ფიგურას – კონუსს, რომლითაც შეიძლება აღვნიშნოთ სოციალური მეწარმეობა. ამ ფიგურას სრულიად განსხვავებული პარამეტრები და განლაგება გააჩნია სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში, ვიდრე სამკუთხედს (მეწარმეობას) და წრეს (სოციალურ საქმიანობას).

[1] Alter, S. K. Social Enterprise Typology. Virtue Ventures LLC. Nov.27, 2007.

როდესაც მეწარმეობაზეა მსჯელობა, ცალსახაა, რომ მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. სწორედ ეს განსაზღვრავს მეწარმეების მოტივაციას და ქცევის ლოგიკას. სოციალური მეწარმეობა განცალკევებულია როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული სფეროებისაგან. მართალია, მოქმედი პირები შეიძლება იგივე იყოს, მაგრამ მათ გააჩნიათ განსხვავებული მიზნები, ფასეულობათა სისტემა, ქცევის ლოგიკა და მოტივაცია. ურთიერთკავშირების სისტემა ორიენტირებულია საზოგადოებრივ სარგებელსა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე. აქ მთავარია არა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობა, არამედ თითოეული მონაწილის წვლილი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში – რაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საზოგადოებისათვის, მით მეტ რესურსს, ინვესტიციას და დაკვეთას იღებს. ამ დროს მოგებული რჩება არა მხოლოდ საწარმო, ვისი შემოსავლებიც იზრდება, არამედ მთლიანად საზოგადოება.

სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ინოვაციურობა, რაშიც იგულისხმება, ერთი მხრივ, ორიენტაცია სოციალურ გარდაქმნებზე, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ სოციალური პრობლემის ახლებურ გადაწყვეტას; მეორე მხრივ, ესაა ეკონომიკური გარდაქმნები, რამდენადაც სოციალური მიზნების მიღწევა ხდება სამეურნეო სიახლეებზე დაყრდნობით – ეკონომიკური და სოციალური რესურსების განსაკუთრებული კომბინაციით, რაც ადრე ასეთი სახით არ გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში საკვანძო როლი აქვს სოციალურ მეწარმეს, რომელიც აღმოაჩენს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას და პოულობს ორიგინალურ მეთოდს მის გადასაწყვეტად. თუ მიდგომა გაამართლებს, იწყება ზრუნვა ამ მეთოდის უფრო ფართოდ დანერგვაზე. ასეთი ინოვაციური სოციალური მეწარმის თვალსაჩინო მაგალითია მუჰამედ იუნუსი (Muhammad Yunus). იგი 2006 წელს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი გახდა. ეს ჯილდო მას მიენიჭა მიკროსაფინანსო სისტემის შექმნისა და რეალიზაციისათვის. ეს სისტემა პირველად გამოიყენეს ბანგლადეშში, სადაც მუჰამედ იუნუსმა

დააფუძნა ბანკი (Grameen Bank), რომელიც თავდების მოთხოვნის გარეშე გასცემს მცირე ზომის სესხებს ხელმოკლე მოსახლეობისათვის. ამის შემდეგ მიკროსესხების გაცემის ასეთი პრინციპი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ამან ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებლებს საშუალება მისცა ესარგებლათ საბანკო მომსახურებით, რათა ეწარმოებინათ საკუთარი საქმე და დაემარცხებინათ სიღატაკე.

სოციალური მეწარმეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია გავრცელების მასშტაბურობა და საზოგადოებრივი ცვლილებების ტირაჟირების უნარი, რამაც უნდა უზრუნველყოს გაცილებით მეტი პროგრესი, რასაც საწყისი იდეა ითვალისწინებდა. მსოფლიოში არსებობს მილიონობით ორგანიზაცია, რომელთა მაგალითი მიბაძვას იმსახურებს. მათი ნაწილი დაკავებულია სოციალური მომსახურების გაწევით და დიდი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, მაგრამ ყველა ეს ორგანიზაცია როდი შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალურ მეწარმეობას. ამ ტიპის ორგანიზაციები (მაგალითად, სკოლა, რომელშიც სწავლობენ გარკვეული ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები) არასოდეს არ სცდება თავისი საქმიანობის სფეროს და შეზღუდულია მასშტაბით. ამ შემთხვევაში საზოგადოება ვერასოდეს მოესწრება სისტემურ ცვლილებებს და პრობლემა არ გადაწყდება. თუ კარნეგი ააშენებდა მხოლოდ ერთ ბიბლიოთეკას და არ შექმნიდა საჯარო ბიბლიოთეკების ქსელს, მილიონობით ამერიკელი ვერ შესძლებდა ინფორმაციის და ცოდნის მიღებას. კარნეგის იდეაა ბიბლიოთეკების საერთო ეროვნული სისტემის შექმნა, რაც მას სოციალურ მეწარმედ აქცევს.[1] იგივე შეიძლება ითქვას მუჰამედ იუნუსის მიკროსაფინანსო სისტემაზე რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ამრიგად, სოციალური მეწარმეობა ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

– სოციალური ზემოქმედება – გამიზნულია სოციალური და გარემოს პრობლემების მოგვარებაზე ან შემსუბუქებაზე;

– ინოვაციურობა – ახალი, უნიკალური მიდგომების

[1] Сестренский О., Социальное предпринимательство: сила новых идей, Деньги и благотворительность, 2008, № 3(68) с. 23.

გამოყენებით სოციალური პროგრესის მიღწევა;

– კომერციალიზაცია და ფინანსური მდგრადობა – სოციალური პრობლემების მოგვარება სამეწარმეო საქმიანობის პროცესში;

– მასშტაბურობა და ტირაჟირების უნარი – სოციალური საწარმოს საქმიანობის მოდელის გაფართოების შესაძლებლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ინკლუზიური ბიზნესი. მეწარმეობის ეს მოდელი ემყარება ხელმოკლე მოსახლეობას და ითვალისწინებს მათ ჩართვას ღირებულების შექმნის ჯაჭვში მომხმარებლის, მწარმოებლის, დასაქმებულის ან მიმწოდებლის სახით. ეს მოდელი დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით აკავშირებს ბიზნესთან. ამ დროს, მეწარმის სარგებელი მომხმარებელთა წრის გაფართოება, ახალი და იაფი სამუშაო ძალის დაქირავება, პროდუქციის მიწოდების და რეალიზაციის არხების გაძლიერებაა. ხელმოკლე მოსახლეობას კი საშუალება ეძლევა დაიკმაყოფილოს ძირითადი საჭიროებები, მოიპოვოს მყარი შემოსავალი, მიიღოს განათლება, გაზარდოს მწარმოებლურობა. გარდა ამისა, ბიზნესის ეს მოდელი შეიძლება ითვალისწინებდეს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და გარემოზე ზრუნვას.

ხელმოკლე მოსახლეობის მონაწილეობით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შეიძლება ძალზე მომგებიანი აღმოჩნდეს და ინოვაციებით, სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ამაღლებით, ბაზრების გაფართოებით მდგრად განვითარებას ჩაუყაროს საფუძველი. Vitmark-ი უკრაინაში სწორედ ასეთი მაგალითია. რამდენიმე წლის წინ ხელმოკლე უკრაინელებისათვის მაღალი ხარისხის ხილის წვენი დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა. Vitmark-მა უკრაინის სამ ქალაქში გახსნა წვენების ქარხანა და დაიწყო პროდუქციის დაბალი ფასით გაყიდვა. საწარმოში დასაქმებულია ადგილობრივი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა, ხოლო ხილს ადგილობრივი გლეხებისგან იძენენ. შეთავაზებული ხელფასი საშუალო ადგილობრივ ხელფასზე ერთი

მესამედით მაღალია. გარდა ამისა, გლეხებს რეგულარულად უტარდება ტრენინგები, რათა შეძლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მწარმოებლურობის ამაღლება. ამავე დროს, Vitmark-მა იმისათვის რომ გასულიყო დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებელზე, განსაკუთრებული ყურადღება შეფუთვის გამარტივებას მიაქცია, რაც გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასაც ამცირებს. დაბალი შემოსავლების ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენის მიუხედავად Vitmark-ის გაყიდვები უკრაინის ბაზრის დაბალი ფასის სეგმენტის 30%-ს შეადგენს. კომპანიის საბაზრო წილი ბაზარზე 10 წელიწადში 7-დან 22%-მდე გაიზარდა.[1]

დედამიწის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი ყოველდღიურად 2 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს, დაახლოებით 1/5-ს ელექტროენერგიაზე, ხოლო 2/3-ს ინტერნეტზე არ მიუწვდება ხელი. ამასთან, ხელმოკლე მოსახლეობას გააჩნია დიდი პოტენციალი მოხმარების, წარმოების, ინოვაციების, სამეწარმეო აქტივობის კუთხით, რომელიც თითქმის არ რეალიზდება. შემოსავლების პირამიდის ყველაზე დაბალ ნაწილში (დღიური შემოსავალი 8 დოლარს ქვევით) მყოფი 4 მლრდ ადამიანის ერთობლივი შემოსავალი 5 ტრლნ დოლარს აღემატება, რაც იაპონიის ეროვნულ შემოსავალს შეიძლება შევადაროთ. ხელმოკლე მოსახლეობას შეუძლია და მზად არის იმისათვის, რომ გადაიხადოს საქონლის და მომსახურების ფასი, თუმცა, ხშირად იჩაგრება „სიღარიბის ჯარიმის“ გამო. ზოგჯერ მათ პირველადი მოხმარების საგნებისათვის უფრო მეტის გადახდა უწევთ, ვიდრე მდიდრებს. ჯაკარტის, მანილის, ნაირუბის ღარიბი უბნების მაცხოვრებლები 5-10-ჯერ მეტ ფასს იხდიან წყალში, ვიდრე ამ ქალაქის მდიდარი უბნები, და კიდევ უფრო მეტს ვიდრე ლონდონის ან ნიუ-იორკის მცხოვრებნი. „სიღარიბის ჯარიმა“ მოქმედებს კრედიტების, ელექტროენერგიის და ჯანდაცვის სფეროშიც. ბიზნესის მოდელები, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ფასს ან ახალ პროდუქციას ღარიბი მოსახლეობის

[1]BUSINESS SOLUTIONS TO POVERTY– How inclusive business models create opportunities for all in Emerging Europe and Central Asia, United Nations Development Programme, p. 15-16.

ცხოვრების დონის ასამაღლებლად, შეიძლება საკმაოდ მომგებიანი აღმოჩდეს. მაგალითად, მიკროსესხების სფეროში მთელ რიგ ორგანიზაციებს, რომელიც დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზეა გათვლილი, მსხვილ ბანკებზე დიდად მაღალი მოგების ნორმა გააჩნია.

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების მიმართულებით როგორც შესაძლებლობები, ასევე სირთულეები ძალზე ბევრია. სოფლის დასახლებები და ქალაქის ღარიბი უბნები ბიზნესის წარმოებისათვის არ წარმოადგენს ხელსაყრელ ადგილს. არ არის განვითარებული ან საერთოდ არ არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა, ღარიბების სამყაროში არ მოქმედებს ფინანსური სისტემა, ეკონომიკა ბარტერსა და ნაღდ ანგარიშსწორებას ეფუძნება. საიმედო სამართლდამცავი და იურიდიული სისტემის არ არსებობის გამო გარიგებები არაფორმალურ ხასიათს ატარებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია შესაძლებლობა ბიზნესი ჩვეული, სტანდარტული სცენარით წარმართოს.

შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლის გამოც მეწარმეები ერიდებიან ხელმოკლე მოსახლეობასთან საქმის დაჭერას:

– შეზღუდული ინფორმაცია ბაზრების შესახებ. მეწარმეებმა ძალიან ცოტა იციან ღარიბების შესახებ, მათ შორის – სამომხმარებლო მისწრაფებები, ფინანსური შესაძლებლობები, მათი როგორც დაქირავებული მუშაკის, მწარმოებლის, მეწარმის მახასიათებლები;

– არაეფექტიანი რეგულირება. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე ხშირად არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რაც ბიზნესის ფუნქციონირებას უსაფრთხოს გახდიდა. არ არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი ნორმების და ხელშეკრულების პირობების დაცვა;

– განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. ტრანსპორტით, წყლით, ელექტროენერგიით და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა;

– ცოდნის და გამოცდილების უკმარისობა. დაბალშე-

მოსავლიანმა მომხმარებელმა შესაძლოა არ იცოდეს სხვადასხვა პროდუქტის უპირატესობები ან მისი გამოყენება, არ გააჩდეს სათანადო კვალიფიკაცია საწარმოო პროცესში ჩასართავად.

– შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურებაზე. საბანკო კრედიტის შეზღუდულობა მკვეთრად ამცირებს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შესაძლებლობებს განახორციელოს ინვესტიციები ან მსხვილი შესყიდვები. საბანკო ანგარიშსწორების სისტემის ხელმიუწვდომლობა ზრდის გარიგების განხორციელების დანახარჯებს და რისკს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი იზრდება. მეწარმეები თავს ართმევენ პრობლემებს მისი გვერდის ავლით ან მოგვარებით. ამისათვის ისინი მიმართავენ ხუთ ძირითად სტრატეგიას: პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია, ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეებით სარგებლობა, სტრატეგიული ალიანსების ფორმირება და დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე. რა თქმა უნდა, ეს სტრატეგიები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ პირობებს და საწარმოს მიზნებს. ამასთან, აუცილებელი კომპონენტი თავად მეწარმის ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნების უნარია.

პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია გულისხმობს საბაზრო ბარიერების გადალახვას ახალი ტექნოლოგიების და ბიზნესპროცესების რეორგანიზების გზით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები იძლევა ასეთი ადაპტაციის საშუალებას, მათ შორის – მობილური ბანკინგი, სმარტბარათები, ტელემედიცინა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დისტანციური მომსახურება. მობილურმა ბანკინგმა შესაძლებელი გახადა ოფისების და ბანკომატების (ინფრასტრუქტურა, რომელიც იშვიათია ღარიბ დასახლებებში) გარეშე განხორციელდეს ფინანსური მომსახურება. თანამედროვე პირობებში მობილური ტელეფონი მომხმარებელს საშუალებას აძლევს განახორციელოს ფულადი გადარიცხვები, აანაზღაუროს შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება, დაფაროს კრედიტის

თანხა. ინოვაციური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შემცირდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენება და გაიზარდოს მწარმოებლურობა.

ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე თანადაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ჩავარდნის დაძლევა, როგორც წესი, მთავრობის საქმიანობის სფეროდ მიიჩნევა, ხშირად ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე კომპანიები თავად წყვეტენ ასეთ ამოცანებს. ასეთმა ინვესტიციებმა შეიძლება უზრუნველყოს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო უპირატესობები. მაგალითად, თანამშრომლების სწავლებით საწარმო ამაღლებს კადრების კვალიფიკაციას და იმყარებს საკუთარ პოზიციებს, ამასთან, კვალიფიციურ კადრებს უფლება აქვთ გადავიდნენ სხვა კომპანიებში სამუშაოდ, რითაც მთლიანად საზოგადოება სარგებლობს. დამატებითი სოციალური სარგებლის არსებობა სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების მხრიდან თანადაფინანსების პერსპექტივებს წარმოშობს. ასეთი ინსტიტუტები, მათ შორის დონორები, მეცენატები, არაკომერციული სოციალური საინვესტიციო ფონდები, მთავრობა, კერძო სექტორს საშუალებას აძლევს თანადაფინანსებით (გრანტები, სუბსიდიები, შედავათიანი კრედიტები) შექმნას სოციალური პროდუქტი.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეების გამოყენება, მათი ბიზნესში უშუალო ჩართვით ან სოციალური ქსელების მეშვეობით, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა.[1] როგორც წესი, დაბალშემოსავლიანი ადამიანები ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე საწარმოს საკვანძო პარტნიორებია. ხელმოკლე მოსახლეობის მიზიდვით და მათი სოციალური ქსელების გამოყენებით კომპანიებს, დანახარჯების შემცირების გარდა, შეუძლიათ აიმაღლონ ბაზრის ხელმისაწვდომობა, ნდობა და გამჭვირვალება. ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესია ადგ-

[1]J. Nelson, E. Ishikawa, A. Geaneotes, Developing Inclusive Business Models, Harvard Kennedy School and International Finance Corporation, 2009.

ილობრივი ბაზრის თავისებურებების ცოდნა და ნდობა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ხელმოკლე მოსახლეობის აქტიური ჩართვით ბიზნესში, იქნება ეს ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროდუქტის აწყობა და შეკეთება, მომარაგება თუ სწავლება. გარდა ამისა, ხშირად თავად ხელმოკლე ადამიანებს უჩდება ინოვაციური იდეები ახალი საქონლის ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს ღარიბი მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით ინკლუზიურ ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის რესურსები და შესაძლებლობები, რომელიც საწარმოს დამოუკიდებლად არ გააჩნია. ასეთი თანამშრომლობა საერთო მიზნის მქონე საწარმოების რესურსების გაერთიანებას ემყარება. ალიანსმა შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს: დაპატენტებულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების გაცვლა, საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენება, კვლევების ერთობლივი დაფინანსება, პარტნიორის პროდუქციის გასაღება საკუთარი ქსელების მეშვეობით და ა.შ. სტრატეგიული ალიანსები იქმნება როგორც საპასუხო რეაქცია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებისათვის დამახასიათებელ სირთულეებზე და ინკლუზიური ბიზნესის განვითარების ერთერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა.

დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე უმნიშვნელოვანესი ელემენტია ხელმოკლე მოსახლეობასთან ბიზნესის წარმოებისას. ყველა ის პრობლემა, რომელსაც ბიზნესი აწყდება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე საქმიანობისას, მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან. ხშირ შემთხვევაში საწარმო ნახულობს შემოქმედებით გზებს,რათა დაძლიოს ბაზარზე არსებული პრობლემები, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, განათლებაში და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაში ინვესტირებით, სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით. ბიზნესის ზოგიერთ მიმართულებაში საბაზრო სირთულეების დაძლევა კერძო ინიციატივებით შეუძლებელია, ამიტომ მათი სტრატეგია მთავრობასთან დიალოგია. ეს რთული და ხანგძლი-

ვი პროცესია, რომელში მონაწილეობითაც ბიზნესს შეუძლია მთავრობას მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. ხშირად ასეთ დიალოგს შეიძლება მარეგულირებელი ნორმების გამყარებაც მოჰყვეს, რაც ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმოებას გაამარტივებს.

სოციალური მეწარმეობის როლის და ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია საქართველოში უკნასკნელი წლების განმავლობაში ძირითადად უცხოელი დონორების წყალობით გავრცელდა. როგორც ეკონომიკის ახალი სექტორი ის საქართველოში ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა ჯერჯერობით არ იცნობს ცნებებს – „სოციალური მეწარმეობა“ და „ინკლუზიური ბიზნესი“, შესაბამისად, არც განსაკუთრებული სპეციფიკური რეგულაციები და წესები არ არის განსაზღვრული ასეთი ორგანიზაციული წარმონაქმნების საქმიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა სუბიექტმა დააფუძნოს ისეთი წარმონაქმნები, რომელიც თავისი არსით შეიძლება ძირითადად აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმოსათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს.[1]

განვითარებულ ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის აღმავლობა განპირობებულია საზოგადოების წარმატებული წევრების სოციალური აქტიურობის, პასუხისმგებლობის ზრდით, სოციალურად ორიენტირებული ფასეულობების გავრცელებით, სამეწარმეო პრაქტიკის და სოციალური მისიის წარმატებული კომბინაციის კრიტიკული მასის გაჩენით. ამიტომ, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი ძვრები თავისთავად ემსახურება სოციალური მეწარმეობის განვითარებას. თუ გავითვალისწინებთ ქართული წარმატებული საწარმოებისთვის დამახასიათებელ სოციალური პასუხისმგებლობის მზარდ ტენდენციას, ქართველების მისწრაფებას სწრაფად აუწყონ ფეხი მსოფლი-

[1]ფანიაშვილი ლ., მურღულია შ., სოციალური მეწარმეობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი 2010.

ოში მიმდინარე პოზიტიურ ტენდენციებს, ასევე იმას, რომ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ისეთივე რესპექტაბელურია როგორც ქველმოქმედება, ამავდროულად უფრო თანამედროვე და ეფექტიანი, სოციალურ მეწარმეობას და ინკლუზიურ ბიზნესს საქართველოში კარგი პერსპექტივა გააჩნია.

The Phenomenon of Social Entrepreneurship and Inclusive Business Models

Sh. Shaburishvili

Social entrepreneurship includes for-profit as well as non-profit enterprises, consequently, it has elements characteristic for both profit-oriented and non-profit oriented sectors. Though, it exists and is developing according to its own laws. The information about the role and functions of social enterprises has spread in Georgia in resent years due to foreign donors. It is a new sector of Georgia's economy just beginning to emerge. For development of social entrepreneurship it is necessary to know more about successful examples and share information on national as well as on international level.

Inclusive business models are based on the people with low incomes and focuses on including them in the value chain creation procces as consumers, manufacturers, employed or suppliers. This model promotes cooperation between the people with low incomes and the business for mutual benefit. In this case, benefit of entrepreneur is the increase in the number of its consumers, hiring new and cheap labour force. As for the people with low incomes, it gives them possibility to satisfy basic needs, have steady income, higher productivity. In addition, the models might be designed so that they include rational usage of natural resources and caring for nature.

კიბერპოლიტიკის საფრთხეები და გამოწვევები

რატი აბულაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის მოწვეული პროფესორი

ახალი ათასწლეულის დასაწყისი ტრანსფორმაციის პერიოდია მასობრივი პოლიტიკიდან კიბერპოლიტიკაზე გადასვლისთვის. XX საუკუნეში ბაზირებული პოლიტიკისა და პოლიტიკური ინსტიტუტების ფასეული ფუნდამენტი, ინტერფეისი და პარამეტრები კიბერეპოქაში მოდიფიცირდება და ტრანსფორმირდება. პოლიტიკა თანდათან კარგავს ადამიანურ ბუნებას და ხდება ელექტრონული.

პოლიტიკა, როგორც ორგანიზაციის გეგმა ან მოქმედების კურსი,უმაღლესი ხელმძღვანელობის ინსტრუქცია,[1] ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების, პოლიტიკური პროცესების მართვის ოპტიმიზაციის, კიბერკონფლიქტების მართვის, სოციალური ურთიერთობების, სოციალური პროთეზირებისა და კონტროლირებად საზოგადოებაზე მანიპულირების, საზოგადოებაში პოლიტიკური კომპონენტების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის კიბერუსაფრთხოებაზე, პოლიტიკურ ელიტაზე, საზოგადოების სტატუსზე.

დღეისათვის პოლიტიკის განხორციელებასა და ტრანსფორმაციაზე გავლენას ახდენს სოციალური პირობები, პოლიტიკური პროცესების დინების მასშტაბები, პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური საქმიანობის სტილი,[2] კიბერსაფრთხეები, ინფორმაციული უსაფრთხოება, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფორმაციული საზოგადოების განვითარება.

პოლიტიკაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვით, გავრცელებითა და განვითარებით ხდება მოქალაქეებისა და პოლიტიკური ლიდერების ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაქრობა; უკუკავშირის სისტემები იგება კიბორგებზე

[1] Balcha Reba . State of Cyber Security in Ethiopia. Ethiopian Telecommunications Agency. June 2005. http://www.itu.int/osg/spu/cybersecurity/contributions/Ethiopia_Reba_paper.pdf

[2] http://www.cyberpolitics.ru/content/view/395/34/

(სქესისა და ასაკის არმქონე ან გამოგონილი პერსონაჟი); სახელმწიფოს სტრუქტურების ურთიერთობა ხორციელდება ავტომოპასუხით ან ხმოვანი მომსახურების მეშვეობით; გეოგრაფიული მობილობის ზრდის შედეგად წარსულს ბარდება განსაზღვრული ტერიტორიიდან ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის არჩევა; გლობალური ქსელი აფართოვებს ინფორმაციულ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას; ყველა ქვეყნისათვის საერთო ხდება კიბერპრობლემები.

კიბერპოლიტიკა უფრო ზნეობრივი მოვლენაა, ვიდრე პოლიტიკის ადრეული ფორმა, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ამა თუ იმ სახით შეღწევა დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაკეტვისა და იზოლირების შესაძლებლობას არ იძლევა გლობალური ცივილიზაციისა და კიბერპოლიტიკის სხვადასხვა ფორმისგან.[1]

კიბერპოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური ქსელები (Facebook, Twitter და სხვა), ბლოგოსფერო, კიბერაქტივისტების კიბერაქციები როგორც (დეზ)ინფორმაციული იარაღი.[2]

კიბერპოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის ადაპტირებული მოთხოვნებს და სახელწმიფო მომსახურებისა და მრავალარხიანი სერვისის მიწოდების გაუმჯობესების ცვლილებების კატალიზატორია.

კიბერპოლიტიკა მოიცავს ქვეყნის პოლიტიკას; სახელმწიფოს ინფორმაციულ რესურსებს, როგორც ღირებულ ეკონომიკურ აქტივსა და ეკონომიკის მასტიმულირებელს; ინფორმაციის მართვას; პოლიტიკურ შეტყობინებებს, ტენიკურ პოლიტიკასა და მართვას; წყობილების (რეჟიმის) დაცვასა და განხორციელებას.

კიბერპოლიტიკა ახალ პოლიტიკურ სფეროში წარმოდგენილია წინააღმდეგობრივი მიმართულებებით, რომლის საფუძველზეც ფორმირდება XXI საუკუნის პოლიტიკა. მათგან აღსანიშნავია: [1]

- სახელმწიფო მმართველობის სფეროში - ელექტრონული მთავრობა;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში - კიბერკონფლიქტების მართვა ინტერნეტით;
- პოლიტიკური მონაწილეობის სფეროში - ელექტრონული ხმის მიცემა და თვითორგანიზაციის ქსელური ფორმები (მაგალი-

[1] http://www.cyberpolitics.ru/content/view/395/34/
2 http://www.centpapiers.com/cyber-guerres/34642

თად, დახმარება სოციალური ქსელით);

- პოლიტიკური კომუნიკაციის მიმართულებით - ინფორმაციული პოლიტიკისა და ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მართვა;
- შიგა უსაფრთხოების სფეროში - დევნა და თვალთვალი მოქალაქეებზე.

რამდენადაც მსოფლიო დამოკიდებული ხდება კომპიუტერულ ქსელებზე, იმდენად სულ უფრო საშიში ხდება კიბერთავდასხმები და კიბერტერორიზმი.[1] კიბერსივრცეში ციფრული რევოლუცია ჩამოყალიბდა უსაფრთხოების შესაბამისი სიცოცხლისუნარიანი სტრუქტურის გარეშე, შესაბამისად კიბერინფრასტრუქტურა გახდა კიბერშეტევების სამიზნე და მისდამი მგრძნობიარე.[2]

კიბერუსაფრთხოების ამოცანა რისკფაქტორების ფართო სპექტრის შემცირების ეფექტიანი გადაწყვეტაა. კიბერპოლიტიკამ და სტრატეგიამ უნდა ითამაშოს პირდაპირი თუ ირიბი როლი იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საფრთხეების შემცირება, ინფორმაციული უსაფრთხოება, დაუცველობისა და არასასურველი შედეგების თავიდან აცილება.

დღეისათვის კიბერპოლიტიკა განიხილება როგორც ყოველგვარი ინფორმაციული უსაფრთხოების დაგეგმვის, კონსტრუირებისა და გავრცელების ბაზისი. ინფორმაციული უსაფრთხოების პროგრამის შექმნა იწყება უსაფრთხოების პოლიტიკის, სტანდარტებისა და ინსტრუქციების ორგანიზაციით. კიბერპოლიტიკა არ კარნახობს ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამის ოპერაციებს, ეს ინფორმაცია განთავსებულია სტანდარტებში, პროცედურებში, მომხმარებელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციებსა და სისტემის დოკუმენტაციებში.

გლობალური კონსალტინგული კომპანიის Booz Allen Hamilton-ის ანგარიშით, სულ უფრო იზრდება კიბერშეტევის საფრთხეები ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, სტრატეგიულ სექტორებზე, მათ შორის ნავთობის, გაზის, ფინანსურ და სატრანსპორტო სისტემებზე.[3]

[1]Balcha Reba . State of Cyber Security in Ethiopia. Ethiopian Telecommunications Agency. June 2005. http://www.itu.int/osg/spu/cybersecurity/contributions/Ethiopia_Reba_paper.pdf

[2]Johnson A., Spector K. Deterring Cyber War: A U.S.-Led Cybersecurity Summit. The National Security Program. October 2010. http://content.thirdway.org/publications/343/Third_Way_Idea_Brief_-_Deterring_Cyber_War-A_US-_Led_Cybersecurity_Summit.pdf

[3] Booz Allen Hamilton . Annual Report 2009. http://www.boozallen.com/media/file/Booz_Allen_Hamilton_Annual_Report_2009.pdf

კიბერუსაფრთხოება ართულებს ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, რაშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საფრთხეების ვექტორები და შემსრულებლები. კიბერპოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ის სახელმწიფო უწყება, ინფრასტრუქტურა და მართვის ჯგუფი, რომელიც ცენტრალურ როლს ითამაშებს ისეთი სფეროების სტრატეგიულ განვითარებაში, როგორიცაა ე-მთავრობის პოლიტიკური და ინსტიტუციონალური კონტექსტი, კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პოლიტიკა, კომპიუტერული ქსელების ოპერაციები, კომპიუტერული ქსელების ექსპლუატაცია, შეტევა კომპიუტერულ ქსელებზე და კომპიუტერული ქსელების დაცვა.[1]

ქვეყნებმა კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მხედველობაში უნდა მიიღონ შემდეგი მიმართულებები:[2] კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა; წვდომის ელექტრონული კონტროლი; უსაფრთხოების პერსონალი; ფიზიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება; კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ტრენინგები; მონიტორინგი და ინციდენტებზე რეაგირება; ავარიისშემდგომი აღდგენა და უწყვეტობის უზრუნველყოფა; სისტემის განვითარება; კონფიგურაციის მართვა; რისკის მართვა.

დღეისათვის ციფრული ინფრასტრუქტურა (ქსელები და კომპიუტერები) განიხილება, როგორც სტრატეგიული ნაციონალური აქტივი, რომლის დაცვაც ნაციონალური უსაფრთხოების პრიორიტეტია.[3]

სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის თითოეულმა სუბიექტმა კიბერრისკების მართვისათვის უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კიბერუსაფრთხოების კომპლექსური გეგმა,სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები: იურისდიქციის სიდიდე და სირთულე; ტექნოლოგიის გამოყენების მრავალფეროვნება; განსხვავებები კიბერუსაფრთხოების დონეებსა და ტექნოლოგიური ცოდნაში; პერსონალისა და რესურსების შეზღუდვა; კადრების დენადობა; კიბერსივრცის უსაფრთხოების

[1] Steven R. Chabinsky . Cybersecurity Strategy: A Primer for Policy Makers and Those on the Front Line. Journal of National Security Law&Policy, Vol. 4.27, 2010 . http://www.jnslp.com/read/vol4no1/04_Chabinsky.pdf

[2]U.S. Department of Homeland and Security. Homeland and Security Grant Program. Supplemental Resource: Cyber Security Guidance. February 2008. http://www.bhs.idaho.gov/Pages/FinanceAndLogistics/Grants/PDF/fy08_hsgp_guide_cyber.pdf

[3]United States, Executive Office of the President, The White House,.Remarks by the President on Securing Our Nation's Cyber Infrastructure, May 29, 2009. http://www.whitehouse.gov/the_press_office/Remarks-by-the-Presidenton-Securing-Our-Nations-Cyber-Infrastructure /

უზრუნველყოფის ნაციონალური სტრატეგია და ნაციონალური ინფრასტრუქტურის დაცვის გეგმა; აშშ-ის DHS (Department of Homeland and Security)[1] დეპარტამენტის ნაციონალური უსაფრთხოების თავდაცვის გეგმით (NIPP National Infrastructure Protection Plan)[2] აშშ-ის ეკონომიკა და ნაციონალური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული კიბერინფრასტრუქტურაზე, რომელიც ერს არსებით მომსახურებას უწევს ბიზნესპროცესების მხარდაჭერითა და მნიშვნელოვანი პროცესების კონტროლის დახმარებით.[3]

კიბერპოლიტიკის განხილვისას მხედველობაშია მისაღები ავსტრალიის მთავრობის კიბერუსაფრთხოება, რომლის სახელმძღვანელო პრინციპებია:[4] ნაციონალური ხელმძღვანელობა; საერთო ვალდებულებები (ყველა ინტერნეტ-მოქალაქემ უნდა დაიცვას საკუთარი სისტემა); პარტნიორობა (მთავრობის, კერძო სექტორისა და ფართო საზოგადოების პარტნიორული მიდგომა); აქტიური საერთაშორისო ვალდებულებები (ინტერნეტის ტრანსნაციონალური ხასიათის საჭიროებს კოორდინირებულ გლობალურ ქმედებას); რისკების მართვა; ქვეყნის ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვა.

ასეთი პრინციპებისა და ბალანსის დაცვა ყველა თანამედროვე დემოკრატიის მუდმივ ამოცანას წარმოადგენს, რომელიც ისწრაფვის მომავალი რთული კიბერუსაფრთხოების გამოწვევების გადაჭრისკენ.

მსოფლიო საზოგადოება სულ უფრო აწყდება კიბერდანაშაულების მასშტაბების ზრდას, სირთულეებსა და წარმატებით ჩადენილ დანაშაულებს. როგორც იზრდება ელექტრონული ინფორმაციის, ტრანსაქციების, გარიგებებისა და ბიზნესაქტივობების რაოდენობა და ფასეულობა, გლობალური ბაზრის თანაბრად მისაწვდომობა საქონელთან, მომსახურებას და ბიზნესორგანიზაციებთან, ასევე ძლიერდება დამნაშავეებისა და კიბერკრიმინალების ბოროტი ზრახვები.

კიბერდანაშაულის სპექტრი ფართოა და მოიცავს: მავნე კოდებს, არასასურველ პროგრამებს, შპიონაჟს, კიბერვანდალიზმს, საკრედიტო ბარათების მოპარვას, სპამს, ინსაიდერულ შეტევებს, ფიშინგს, DOS და DDOS შეტევებს.[5]

[1] http://www.dhs.gov/index.shtm

[2] http://www.dhs.gov/xlibrary/assets/NIPP_Plan.pdf

[3] U.S. Department of Homeland and Security. Homeland and Security Grant Program. Supplemental Resource: Cyber Security Guidance. February 2008. http://www.bhs.idaho.gov/Pages/FinanceAndLogistics/Grants/PDF/fy08_hsgp_guide_cyber.pdf

[4] Australian Government Attorney-General's Department, Cyber Security. http://www.ag.gov.au/www/agd/agd.nsf/Page/CyberSecurity_CyberSecurity

[5] http://www.arcsight.com/collateral/whitepapers/2011_Cost_of_Cyber_Crime_

2006 წელს ექსპერტების მიერ აღრიცხულია დაახლოებით 3 მლნ დანაშაული.[1] 2007 წელს კიბერშეტევა განხორციელდა 70 ქვეყნის 1 მლნ-ზე მეტ კომპიუტერზე.[2] მხოლოდ აშშ-ში ინტერნეტ-მომხმარებლების დანაკარგებმა შეადგინა 240 მლნ დოლარი (რაც 21%-ით მეტია წინა წელთან შედარებით).[3] დღეისათვის ინტერნეტ-დანაშაულების ცენტრში (the Internet Crime Complaint Center (IC3) ყოველთვიურად 25000 საჩივარი შედის.[4]

კიბერსაფრთხეები გახდა უფრო გამოცდილი, რთული, იდუმალი და საშიში, რაც ხშირად შეუფასებელი შედეგებისაა. მაგალითად, კიბერქურდობის შეუფასებელი პრეცენდენტია ახლო აღმოსავლეთის სამხედრო ბაზაზე აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კომპიუტერული ქსელების დაზარალება ინფიცირებული ფლეშის ნოუთბუქზე მიერთებით, რომელიც კლასიფიცირებული იქნა ყველაზე მნიშვნელოვან დარტყმად ამერიკულ სამხედრო კომპიუტერებზე (2008წ).[5] ასევე შეუფასებელია საფრანგეთში, ენერგეტიკული კონცერნის კვლევითი ცენტრიდან პორტატული კომპიუტერების გატაცება, რომლებშიც ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული კვლევები და სხვა საიდუმლო მასალები ინახებოდა (2010წ).[6]

სულ უფრო მზარდია სახელმწიფოებისა და არასახელმწიფო სუბიექტების რაოდენობა, რომელიც ქმნის საფრთხეს, იპარავს, ცვლის ან ანადგურებს ინფორმაციას და შესაბამისად იწვევს სისტემების კრიტიკულ ავარიას. სხვაობა ტრადიციული კრიმინალის ჩამდენებსა (ჰაკერები, ტერორისტები, ორგანიზებული კრიმინალური ქსელი, სამრეწველო შპიონაჟი) და უცხოურ დაზვერვას შორის ხდება სულ უფრო ბუნდოვანი. ინტერნეტის უსაზღვრო და ანონიმური თვისებების გამო, რთულია კიბერშეტევის წყაროს

Study_August.pdf

1 http://www.ifap.ru/pi/10/

2 Johnson A., Spector K. Deterring Cyber War: A U.S.-Led Cybersecurity Summit. The National Security Program. October 2010. http://content.thirdway.org/publications/343/Third_Way_Idea_Brief_-_Deterring_Cyber_War-A_US-Led_Cybersecurity_Summit.pdf

3 Laudon K.C., Traver C.G. E-commerce . fifth edition. Pearson Prentice Hall. New Jersey. 2009.

4 http://scamfraudalert.net/2011/02/27/fbi-2010-cybercrime-statistics/

5 William J. Lynn III The Pentagon's Cyberstrategy . Roreign Affairs. September/October 2010 . http://www.foreignaffairs.com/articles/66552/william-j-lynn-iii/defending-a-new-domain

6 http://www.interpressnews.ge/ge/msoflio/155073-safrangethis-kvlevithi-centridan-saidumlo-masalebi-gaitaces.html

გაშიფვრა.[1]

აშშ-ის FBI თავისი მსხვილი ბიუჯეტიდან, წლიურად ხარჯავს 9.75 მლნ დოლარს (2010 წ), რომ დაეხმაროს საკომუნიკაციო კომპანიებს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანაზე, ხოლო 9 მლნ დოლარი მიმართულია ელექტრონული მომსახურების სფეროში ეჭვმიტანილთა მოძიებაზე.[2] მთლიანობაში პროგრამების, მომსახურებისა და აპარატული საშუალებების უსაფრთხოებაზე აშშ საშუალოდ ხარჯავს 100 მილიარდდოლარიანი ბიუჯეტის 10%-ს. [1]

ანალიტიკური კომპანია Gartner კვლევით,მსოფლიო ხარჯებმა ინფორმაციული ტექნოლოგიებზე 2009 წელს მიაღწია 3.2 ტრლნ დოლარს,რაც 6%-ით დაბალია 2008 წლის ხარჯებთან შედარებით (3.4 ტრლნ დოლარი იყო).[3]

კიბერშეტევის შემთხვევაში უსაფრთხოების პარადიგმა ბუნდოვანია და ზუსტი გაშიფვრის ალბათობა კი დაბალი. რთულია იმის გარკვევა, თუ ვინ იღებს კიბერშეტევაზე პასუხისმგებლობას, სად არის განთავსებული და ვისი სახელით წარმოებს ოპერაციები (თუ ეს შესაძლებელია, მეტად შრომატევადია), ხოლო თავდამსხმელზე საპასუხო რეაგირების ვარიანტები კი შეზღუდული. [4]

აშშ-ში ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკისადმი კიბერომის საფრთხეების მასშტაბების გამო, პენტაგონმა ქსელების გარშემო ააშენა შრეებიანი საიმედო თავდაცვა და გახსნა კიბერდაცვასთან ინტეგრირებული ამერიკული სამხედრო ოპერაციების კიბერხელმძღვანელობის ცენტრი. ასევე პენტაგონი მუშაობს აშშ-ისა და მისი „ახლო“ მეკავშირე ქვეყნების სამთავრობო ქსელებისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დაცვაზე, დაცვის სხვადასხვა ინიციატივის საერთაშორისო დონეზე დანერგვასა და გავრცელებაზე,[5] რაც მნიშვნელოვანი ფარია ისეთი ქვეყნების უსაფრთხოებისათვის, რომელთა ციფრული სივრცე ჩანასახოვან მდგომარეობაშია და განიცდის სპეციალისტების, რესურსებისა და უსაფრთხოების სტრატეგიის დეფიციტს.

[1]Australian Government Attorney-General's Department, Cyber Security, http://www.ag.gov.au/www/agd/agd.nsf/Page/CyberSecurity_CyberSecurity

[2] http://www.bbc.co.uk/russian/international/2010/09/100926_us_internet_wiretap.shtml

[3]http://www.rosbalt.ru/2009/07/09/653809.html

[4] Johnson A., Spector K. Deterring Cyber War: A U.S.-Led Cybersecurity Summit. The National Security Program. October 2010. http://content.thirdway.org/publications/343/Third_Way_Idea_Brief_-_Deterring_Cyber_War-A_US-Led_Cybersecurity_Summit.pdf

[5]William J. Lynn III The Pentagon's Cyberstrategy . Roreign Affairs. September/October 2010 . http://www.foreignaffairs.com/articles/66552/william-j-lynn-iii/defending-a-new-domain

უნიფიცირებული ხდება საერთაშორისო მიდგომები კიბერ-ბრძოლის პრევენციებში. კერძოდ: სატელეკომუნიკაციო ობიექტებზე მსხვილი ტერორისტული თავდასხმების, ტექნოლოგიური კატასტროფის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის შემთხვევისთვის შემუშავებული იქნა ახალი სისტემა _ Domain Name System Security Extensions, რომელიც მსოფლიო ქსელის გადატვირთვის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო მისი გასაღები კოდები ჩანერგილია 6 პლასტიკურ ბარათში, მიკროსქემის ფორმით, რომელსაც ნდობით აღჭურვილი პირები ფლობენ.[1] ასევე მნიშვნელოვანია ბირთვული უსაფრთხოების სამიტის მოდელით (2010 წ) შემუშავებული კიბერბრძოლის პრევენციები, რომელიც მოიცავს: ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას საერთაშორისო კიბერუსაფრთხოებაზე რეაგირებისთვის; დასაშვები ლეგიტიმური თავდაცვისა და თავდასხმითი ღონისძიებებს; შეთანხმებას ინიცირებული თავდასხმების შემოწმებელი საბრძოლო დანაყოფის შექმნაზე; კიბერდაცვის სტრუქტურის სტანდარტიზაციასა და სრულყოფას ძირითადი ინფრასტრუქტურის ობიექტების დაცვის მიზნით.[2]

დასასრულ, კიბერპოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

⇒ როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაში კიბერპოლიტიკა შემუშავებული უნდა იქნეს სხვადასხვა ტიპის მიდგომით, რადგან ყველა სფეროსთვის ერთიანი მიდგომა მისაღები არ იქნება. თითოეულმა სახელმწიფომ კერძო ოპერატორმა თავისი ქსელი უნდა აკონტროლოს შეჭრისა და საზიანო კოდების დაცვისათვის;[3]

⇒ კიბერპოლიტიკის მამოძრავებელი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის სურვილი და აქტივიზება უნდა იყოს და არა ადმინისტრირება;

⇒ კიბერპოლიტიკამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ყველა იმ მახასიათებელს, რომლითაც ინტერნეტი გახდა წარმატებული (გახსნილობა, დეცენტრალიზაცია, თვითრეგულირება და მომხმარებლის მიერ კონტროლირება, ინოვაციის მხარდაჭერა, სიტყვისა და აზრის გამოხატვისა და გაზიარების თავისუფლება, ელექტრონული კომერცია და სხვა) და რომელიც ერთნაირად გა-

[1] http://topnews.ru/news_id_37159.html

[2] Johnson A., Spector K. Deterring Cyber War: A U.S.-Led Cybersecurity Summit. The National Security Program. October 2010. http://content.thirdway.org/publications/343/Third_Way_Idea_Brief_-_Deterring_Cyber_War-A_US-Led_Cybersecurity_Summit.pdf

[3] Nojeim G. T., Cybersecurity: Preventing Terrorist Attacks and Protecting Privacy in Cyberspace. Centre for Democracy & Technology, November 17, 2009. http://www.cdt.org/files/pdfs/20091117_senate_cybersec_testimony.pdf

მოიყენება ყველა ძირითადი ინფრასტრუქტურის მიმართ;

⇒ ქვეყნაში უნდა შეიქმნას კიბერპოლიტიკის ისეთი სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ინტერნეტის ღიაობა, დეცენტრალიზაცია, ქვეყნის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულებიანობა, მოქალაქეების ჩართულობა მართვაში, უსაფრთხოების დაცვაში, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება, მოხმარების კონტროლირება და ნოვატორული მახასიათებლები;

⇒ კიბერუსაფრთხოების პოლიტიკასთან ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა იქნეს მოყვანილი ქვეყნის ციფროვიზაციის ტენდენცია, მართვის ავტომატიზაცია და ურთიერთქმედება; [1]

⇒ სახელმწიფო ორგანოებმა სასურველი უსაფრთხოების მიღწევისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგიული გეგმის ფორმირება-სრულყოფისა და მზადყოფნის უზრუნველყოფისთვის უნდა აწარმოოს 4 ნაციონალური ქმედება: პრევენცია, დაცვა, პასუხი და აღდგენა;[2]

⇒ კიბერშეტევებისა და კიბერტერორიზმის საფრთხების, მთლიანად ინფორმაციული უსაფრთხოების გარანტირებულობისათვის ქვეყნებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ კონკრეტულ სფეროებზე. კიბერსაფრთხეების ექსკალაციისათვის საჭიროა უსაფრთხოების ყოველმხრივი ანალიზი, შეფასებები და მექანიზმები შესაძლო კრიტიკული სიტუაციის დადგომისთვის.[3]

⇒ კიბერშეტევების პრევენციებისათვის ქვეყნის ნაციონალური ძალები არასაკმარისია, ამიტომ საჭიროა ჩამოყალიბდეს გლობალური უსაფრთხო სივრცე, ცალკეული ქვეყნის კიბერუსაფრთხოება და საერთაშორისო პოლიტიკით ინიცირებული ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა;

⇒ მართალია, ყველა ქვეყნისათვის საერთოა კიბერპრობლემები, მაგრამ მზადყოფნა, დაცვა და პრევენციები განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია კიბერპოლიტიკისა და კიბერსივრცის რეპუტაცია. ამიტომ, თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს

[1] Steven R. Chabinsky . Cybersecurity Strategy: A Primer for Policy Makers and Those on the Front Line. Journal of National Security Law&Policy, Vol. 4.27, 2010 . http://www.jnslp.com/read/vol4no1/04_Chabinsky.pdf

[2] U.S. Department of Homeland and Security. Homeland and Security Grant Program. Supplemental Resource: Cyber Security Guidance. February 2008. http://www.bhs.idaho.gov/Pages/FinanceAndLogistics/Grants/PDF/fy08_hsgp_guide_cyber.pdf

[3] The Confederation of Indian Industry (CII). Economic Wellbeing for All – An Agenda for Business. Quarterly Newsletter from CII (Southern Region). January - April 2010. http://www.ciionline.org/webcms/Upload/Deccan%20-%20April%202010.pdf

საკუთარი, ადეკვატური, სპეციფიკური კიბერპოლიტიკა და კიბერუსაფრთხოების გეგმა, რომელიც უნდა შეიცავდეს სასურველი უსაფრთხოების მდგომარეობის მიღწევისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების გეგმის განვითარებას;

⇒ ინფორმაციული უსაფრთხოების პრევენცია საჭიროებს კომპიუტერებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის ფართო სპექტრს და მასთან დაკავშირებულ სისტემებს, როგორიცაა კიბერპოლიტიკის ინსტრუმენტები, კერძო და სამოქალაქო სექტორის სწავლება/ტრენინგები, ცნობიერების ამაღლება და სხვა;

⇒ კიბერპოლიტიკის უსაფრთხოების პრევენცია არ უნდა შეიცავდეს საზოგადოებისა და კერძო სექტორის თვალთვალს, მონიტორინგს და სრულად უნდა იქნეს დაცული მოქალაქეთა თავისუფლება და კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა;

⇒ დაბოლოს, საზოგადოების უსაფრთხოება და კეთილდღეობა საჭიროებს მთავრობის გეგმიან მოქმედებას, რაც მიიღწევა პასუხისმგებლობის მართვით, ფართო იურისდიქციით, ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალებებით და კიბერპოლიტიკისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებით.

Dangers and Challenges of Cyberpolitics

R. Abuladze

Application of information and communication technologies in politics resulted in the increase of efficiency of social politics, optimization of administering political processes, management of cyber conflicts, social relationships, manipulation on controlled society, the quality of political components in society. All this influences the country's cyber safety, political elite, social status.

Cyber politics determines the requirements adapted to the state, population and business and serves as a catalyst of changes of improvements in state service and supply of multichannel service.

Cyberpolitics includes the state policy, information resources of the country as valuable economic assets and stimulator of economics, information management, political messages, technical politics and administration, protecting and implementing of structure (regime).

The main challenge of modern politics is cyber safety. Cyber dangers are experienced, difficult, secret and dangerous, frequently followed by unforeseen results. In cases of cyber attacks, the paradigm of safety is unclear and probability of exact ciphering is low. The article provides the system of definite actions for reducing the risks in cyberpolicy.

ეკონომიკური გლობალიზაციის ზოგიერთი თავისებურება

ლეილა ქადაგიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი

XX საუკუნის 80-იან წლებში გამოიკვეთა კაცობრიობის განვითარების ახალი ეტაპი – გლობალიზაცია, რაც ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო პროცესად ჩამოყალიბდა. თუ თავდაპირველად გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, სულ რამდენიმე წელიწადში მან ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ეკონომიკურის გარდა, გლობალიზაციას პოლიტიკური, ტექნიკური, სოციალური, ეკოლოგიური, კულტურული და სხვა ასპექტებიც აქვს. ამ გაგებით გლობალიზაცია მეტად რთული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგადაჯაჭვული პროცესების კომპლექსია და ფართო გაგებით სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტია.

არსებობს აზრი, რომ ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის პროცესის განვითარების ობიექტურ საფუძველს და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში გლობალიზაციის წინამორბედ ეტაპს წარმოადგენს. სწორედ ინტერნაციონალიზაციის ეტაპზე მიმდინარე პროცესებში (საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა და ა.შ.) დაგროვილმა რაოდენობრივმა ცვლილებებმა გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის ახალ, უფრო მთლიან, ერთიან თვისებრიობაში – გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში გადასვლა.

გლობალიზაცია იწვევს რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციას, სახელმწიფოთა ეკონომიკური სისტემების გახსნილობას, სავაჭრო და საფინანსო ოპერაციების ნორმების და წესების უნივერსალიზაციას, ბაზრების რეგულირების და კონტროლის უნიფიკაციას და ა.შ.

ნამდვილი გლობალური ბაზრის შექმნას შეიძლება ათწლეულებიც კი დასჭირდეს. მრავალი პოლიტიკური მიზეზის გამო კაპიტალის მოძრაობისა და ვაჭრობის რეჟიმების უნივერ-

სალიზაციამ ჯერ კიდევ ვერ შექმნა ერთგვაროვანი სამეურნეო გარემო, ჩვენი პლანეტისათვის ერთიანი ეკონომიკური სივრცე. მსოფლიოს 200–ზე მეტი სახელმწიფო არათანაბრად ვითარდება. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ნახევარზე მეტს კი განვითარება თანამედროვე გაგებით არც შეხებია, ისინი ჩაკეტილ ეკონომიკურ სივრცეში ცხოვრობენ.

გლობალიზაციას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. მომხრეები მის დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას, მოწინააღმდეგენი კი – უარყოფითზე. მომხრეები ამტკიცებენ, რომ გლობალიზაციას მთელი მსოფლიოს ეკონომიკისათვის სარგებლის მიცემის უზარმაზარი პოტენციალი აქვს[1]. ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნამ და კონკურენციის გამძაფრებამ ცალკეული ქვეყნები და კომპანიები იძულებული გახადა გლობალურად ეაზროვნათ, გლობალურად დაეგეგმათ და გლობალურად ემოქმედათ. ახალი ტექნოლოგიები, რაც გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა, სწრაფად ვრცელდება და ქვეყნები, რომლებიც ამ ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებენ ახალ საქონელს და მომსახურებას საბაზარო კონკურენციაში იმარჯვებენ და ლიდერებიც ხდებიან.

გლობალიზაციის დადებითი მხარეები უდავოდ ბევრია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და სპეციალიზაციის გაღრმავება. გლობალიზაციის პირობებში უფრო ეფექტიანად ნაწილდება რესურსები და სახსრები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესებას;
- განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს ეძლევათ საშუალება მიიღონ პირდაპირი ინვესტიციები, რომლითაც იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და გარკვეულწილად იზრდება მოსახლეობის შემოსავლები;
- ვაჭრობის განვითარება და უცხოური ინვესტიციების ზრდა ამაღლებს და განამტკიცებს საშუალო კლასის სოცილურ მობილობას;
- გლობალიზაციის შედეგად ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობიდან მოგებული რჩება ყველა მხარე, მათ შორის ცალკეული პირები, ფირმები, კორპორაციები, ქვეყნები, სავაჭრო კავშირები და მთელი კონტინენტიც კი;
- გლობალიზაცია ქმნის სერიოზულ საფუძველს კაცობრი-

[1] Дж. Сломан, Кевин Хайнз. Экономика для бизнеса (полный курс MBA) М., ЭКСМО, 2010, с.661.

ობის საყოველთაო პრობლემების, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტისათვის, რაც განპირობებულია მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანებით და მოქმედებათა კოორდინაციით სხვადასხვა სფეროში.

გლობალიზაციის პროცესი მსოფლიო ეკონომიკაში არაერთგვაროვნად აღიქმება. მისდამი განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნია არა მხოლოდ მეცნიერებს, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას. მას მიესალმებიან განვითარებული ქვეყნები, ხოლო განვითარებად ქვეყნებში სიფრთხილით ეკიდებიან. ეს განპირობებული იმით, რომ გლობალიზაციის უპირატესობები მსოფლიოში არათანაბრად ნაწილდება. სიკეთის არასამართლიანი განაწილება წარმოშობს კონფლიქტებს რეგიონულ და ნაციონალურ დონეებზე. სწრაფად განვითარებადი ქვეყნები ერთვებიან განვითარებული სახელმწიფოების წრეში, ხოლო ღარიბი ქვეყნები სულ უფრო ჩამორჩებიან მათ. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ "გლობალიზაციის ყველა კარგი მხარეც ყოველთვის არ მოერგება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამიტომ უფრო ლოგიკურად მივიჩნევთ, რომ სუვერენულმა სახელმწიფომ ინდივიდუალურად (საკუთარ ისტორიულ ტრადიციებთან მიმართებაში) გლობალიზაციასთან ადაპტირების სტრატეგია შეიმუშაოს[1]".

თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია იწვევს: რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციას, სახელმწიფოთა ეკონომიკური სისტემების გახსნილობას, ნებისმიერ ბაზარზე უპრობლემო მონაწილეობას, სავაჭრო და საფინანსო ოპერაციების ნორმებისა და წესების უნივერსალიზაციას, ბაზრების რეგულირებისა და კონტროლის უნიფიკაციას და ა.შ. რეალურად მსოფლიო იძენს საერთო სტანდარტებს.

საქართველო ისტორიულად აზიისა და ევროპის გასაყარზე მდებარეობს, რის გამოც ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სწრაფად ჩაერთო მსოფლიო გლობალურ პროცესებში. დღეისათვის ის წარმოადგენს სწრაფად განვითარებად დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც მიილტვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკურად გაძლიერებისკენ. ამისათვის კი ქვეყანას სჭირდება ევროკავშირში ინტეგრაცია და გლობალიზაციის გამოწვევებისათვის მდგრადობის შენარჩუნება. ასეთ პირობებში იცვლება ეროვნული ეკონომიკის

[1]ნ. ჭითანავა, გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ –ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომების კრებული, №8, თბ. 2010, გვ. 88.

როლი და ადგილი და წინა პლანზე გამოდის ეროვნული ეკონომიკის საგარეო შემადგენელი.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი ზეგავლენის მაგალითებიდან შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

- საერთაშორისო თანამეგობრობიდან 2008 წელს საქართველოსთვის 4.5 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის დახმარება გამოიყო, რომელმაც შესაძლებელი გახადა დაგვეძლია რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური შედეგები;
- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა. მშპ-ის მოცულობა უკანასკნელ წლებში საშუალოდ 7-8 %-ით გაიზარდა. 2007 წელს ამ მაჩვენებელმა 12, 3% შეადგინა, მართალია რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური კრიზისის გავლენის შედეგად 2009 წელს მშპ-ის მოცულობა წინა წელთან შედარებით 3,8-ით შემცირდა, თუმცა 2011 წელს ზრდამ 7% შეადგინა;
- მასშტაბური რეგიონული პროექტების რეალიზაცია (ტრანსნაციონალური პროექტები ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში), რომელშიც საქართველო მონაწილეობს, სამუშაო ადგილების შექმნის, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარინობის გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო, სატრანზიტო მაგისტრალების მშენებლობამ უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. გლობალიზაციის სანიმუშო მაგალითებია "ბაქო-სუფსის", "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მშენებლობა;
- დაინერგა კომუნიკაციის თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიები, გაიზარდა ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე, ფართოდ დაინერგა ინტერნეტი როგორც ბიზნესის, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში, რამაც, ერთი მხრივ, გაამარტივა სამეწარმეო საქმიანობა და მეორე მხრივ, მსოფლიოს მიეცა საშუალება გაეცნოს საქართველოს კულტურას, ისტორიას და გეოგრაფიას, რამაც, საბოლოო ანგარიშით შექმნა ტურისტული ბიზნესის განვითარების პირობები. 2011 წელს ქვეყანაში 2 820 185 ტურისტი შემოვიდა;
- გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მხარეა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება საქართველოში, რამაც 2006 წელს შეადგინა 1.1 მლრდ დოლარი, 2007 წელს – 2.0 მლრდ, ხოლო 2011 წელს – 1 მლრდ დოლარი. გაიზარდა ინვესტორი ქვეყნების გეოგრა-

ფია. 2011 წელს მთელი უცხოური ინვესტიციების 21,8% მოდიოდა ნიდერლანდებზე, 10,2%-დანიაზე, 9,6%-საერთაშორისო ორგანიზაციებზე, 7,8%-თურქეთზე, 5,3%- რუსეთზე და ა.შ;

➢ ზოგადად გლობალიზაციის და კონკრეტულად ეკონომიკური ინტეგრაციის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა და სტრუქტურა. იმპორტის მაჩვენებელი 2006 წლის 3,6 მლრდ დოლარიდან, 2011 წლისათვის გაიზარდა 7,1 მლრდ დოლარამდე, ხოლო ექსპორტის, შესაბამისად – 936 ათასი დოლარიდან - 2,2 მლნ დოლარამდე. გაფართოვდა საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი. 2011 წლისათვის სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს – 147-ს მიაღწია. საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში 16,2% მოდის თურქეთზე, 11,2%- აზერბაიჯანზე, 9,2%- უკრაინაზე, 6,0%- ჩინეთზე, 5,7%-გერმანიაზე, 4,6%- რუსეთზე, 4,2% აშშ-ზე და ა.შ[1].

გლობალიზაციას უარყოფითი მხარეებიც აქვს:

➢ გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში რთულდება ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობა, კულტურათა ორიგინალობის შენარჩუნება. იზრდება მცირე ზომის ქვეყნებზე მსხვილი სუპერ-სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენა, რაც ასევე დამახასიათებელია თანამედროვე საქართველოსთვის;

➢ გლობალიზაცია იწვევს სამუშაო ძალის მიგრაციის ზრდას განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში. ამ პროცესს ხელს უწყობს სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნოლოგიების განვითარება. დღეს მსოფლიოში 300 მლნ-მდე მიგრანტია. საქართველოც ვერ ასცდა ამ პროცესს. ექსპერტული შეფასებებით ქვეყნიდან იმიგრირებულია 1 მლნ-ზე მეტი ადამიანი. საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა რიცხვი კვლავაც მაღალია, რადგან თავიანთ ქვეყანაში არა აქვთ პროფესიული და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება;

➢ გლობალიზაციამ და განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ გაზარდა უმუშევრობის დონე. ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკური მიღწევების დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის მწარმოებლურობა და ფიზიკური შრომა ჩაანაცვლა მანქანური და ელექტრონული მომსახურე-

[1] აღნიშნული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე http//www.geostat.ge 2011

ბით. ამავე დროს გარდამავალ ეტაპზე ვერ მოხერხდა რეალური სექტორის, განსაკუთრებით აგრარული სექტორის განვითარება, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვა. 2004 წელს, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში უმუშევრობის დონე შეადგენდა 12,6%, ხოლო 2011 წლისათვის იგი 16,3 %-მდე გაიზარდა;

- გლობალიზაციის ყველაზე ნეგატიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს ერთ რომელიმე მსხვილ ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის სწრაფად გავრცელება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, მათ შორის ჯერ კიდევ ბოლომდე დაუძლეველი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში და სწრაფად მოედო მთელ მსოფლიოს.

გლობალიზაციის აღნიშნული და სხვა ნეგატიური მახასიათებლების მიუხედავად, კაცობრიობა მას როგორც ობიექტურ რეალობას, გვერდს ვერ აუვლის. თანაც, მისი პოზიტიური მხარე გაცილებით მასშტაბურია და მთავარი ამოცანა სწორედ მისი შემდგომი განვითარება და გაღრმავებაა. სწორედ გლობალიზაციის დადებითი მხარეების ოპტიმალური გამოყენებით უნდა იქნეს მიღწეული საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი საერთაშორისო ურთიერთობებში ინტეგრირების ხარისხის ზრდა.

Some Peculiarities of Economic Globalization

L. Kadagishvili

The paper discusses the peculiarities of economic globalization. It is noted that economic globalization has both advantages and disadvantages. The examples of positive and negative influence of the global processes on Georgia's economy in recent years are analyzed. It is concluded that in spite of some negative sides of globalization, its positive side is much greater and the main task now is to further develop and deepen these directions. The positive sides of globalization are the factors which should be used optimally for increasing competitiveness of the country and achieving higher level of international integration.

ქართული სოფლის აღორძინებისათვის

მარინა ტაბატაძე
თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად აგრარული სექტორი განიხილება, რაც რეალურად არსებულ საწარმოო პოტენციალს, მოსახლეობის ყოფაცხოვრების ისტორიულ ტრადიციებს და სამეურნეო საქმიანობის გარკვეულ ჩვევებს უკავშირდება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ტრანსფორმაციულ პროცესებთან დაკავშირებულმა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის რღვევამ და საწარმოო პროცესების მოშლამ ყველაზე მძიმე შედეგები სოფლად იქონია და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრული კრახი გამოიწვია. ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ და ჩვენი პროდუქციის დაბალმა ხარისხმა მისი სასაქონლო დონე მინიმუმამდე შეამცირა, შიგა ბაზრებზე დომინირებადი კი იმპორტული სურსათი გახადა. მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის ეკონომიკაში (90-იანი წლების მშპ-ის 30%-დან, 2005 წლის - 15% და 2010 წლის 7%-მდე), სურსათის იმპორტმა 780 მლნ.დოლარი, ექსპორტმა კი 143 მლნ. დოლარი შეადგინა.[1] ეს დარგი ჯერ-ჯერობით ბიზნეს-პარტნიორებისათვის ინტერესმოკლებული და ინვესტორებისათვის არამიმზიდველი რჩება (სოფლის მეურნეობაზე მთლიანი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 1% მოდის).

ცხოვრების დაბალმა დონემ მოხმარების მცირე მასშტაბი განაპირობა, რამაც ინვესტიციების კონცენტრირება შიგა ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის ნაცვლად, დღეს ექსპორტშემცველ წარმოებაში მოახდინა. რუსეთისა და თურქეთის ბაზრების მნიშვნელოვანი შეზღუდვის გამო, ქართული აგრარული სექტორისათვის ყველაზე აქტუალური ევროკავშირთან სავაჭრო პარტნიორობა გახდა, განსაკუთრებით, საქართველოსათვის პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლების მინიჭებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) ჩართვის შემდეგ,რაც ევროკავშირის ქვეყნებთან ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე გადასვლას ითვალისწინებს და

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

რასაც არაკორუფციული პრეფერენციების გამოყენების შედეგად ინვესტიციების ზრდა უნდა მოჰყვეს.

ქვეყნის ეკონომიკური მოდელის შერჩევა უპირველესად სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების აღორძინებას და მათდამი უპირატესი ხელშეწყობის სისტემის გამოყენებას უნდა ითვალისწინებდეს.. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სწორედ სოფლის მეურნეობა, მისი რეაბილიტაციის ანტიკრიზისული პროგრამა აუცილებლად მოითხოვს დარგში არსებული პრობლემების კვლევას, მათ რანჟირებასა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავებას.

სოფლად ეკონომიკური აქტივობის სახელმწიფო მხარდაჭერა ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციას მოითხოვს, რაც აუცილებლად უნდა აისახოს რეგიონულ პროგრამებსა და სახელმწიფო განვითარების ერთიან სტრატეგიაში. სატრანზიტო გეოპოლიტიკა საქართველოს ობიექტურად ანიჭებს აგრობიზნეს-პლატფორმის ფუნქციას მეზობელი და პარტნიორი ქვეყნებისათვის, რაც ღია ეკონომიკის ლიბერალურ მიდგომებთან ერთად, თავისუფალი საწარმოო-სავაჭრო სუბიექტების შექმნას და სპეციალური რეგულაციების შემოღებას ითვალისწინებს.

რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს დარგის განვითარების საკითხისადმი სახელმწიფო მიდგომა, იგი თითოეული რეგიონის სპეციფიკის, მათი არაერთგვაროვანი სასტარტო დონეების და განვითარების განსხვავებული პოტენციალის მიხედვით უნდა იყოს დიფერენცირებული. სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს როგორც ფინანსური მექანიზმების (დიფერენცირებული ტრანსფერები, გრანტები და სუბსიდიები, ინდივიდუალური მხარდაჭერის კოეფიციენტები, შეღავათიანი კრედიტები), ისე ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით (ინფრასტრუქტურული კოოპერაციების და ლოგისტიკური ცენტრების საქმიანობის რეგლამენტაცია, აგრარული მიმართულებით მართვის ადგილობრივი რგოლების საქმიანობის გააქტიურება და სხვა).

აგრარული სექტორის განვითარება უშუალოდ უკავშირდება საბიუჯეტო სისტემის ოპტიმიზაციას, რაც ფისკალურ დეცენტრალიზაციას, ადგილობრივი შემოსავლების დამოუკიდებლად განკარგვასა და ფერმერთა მიმართ საგადასახადო შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს, თანამედროვე საბიუჯეტო მოწყობა კი, რეალურად, ამწვავებს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

ბიუჯეტის ვერტიკალურ დაუბალანსებლობას, მისი სექტორული და ტერიტორიული სტრუქტურების არარსებობა ართულებს რეგიონებთან ასოცირებული აგრარული სუბიექტების ინფორმირებას სახელმწიფო ასიგნებებისა და ტრანსფერების შესახებ, ეს კი ხელს უშლის მათ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვაში.

სამეწარმეო ურთიერთობებში უაღრესად ცენტრალიზებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რეგიონული ინსტიტუტების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და აღმასრულებებელი სისტემის ადგილობრივი ორგანოების ფუნქციებში არ შედის ეკონომიკური აქტიურობის რეგულირება, ამათან, არაერთგვაროვანია სხვადასხვა უწყების ტერიტორიული ორგანოების ფუნქციონირების სივრცობრივი საზღვრები, რაც ართულებს რეგიონული მართვის სტრუქტურების კოორდინაციას და ერთმანეთთან კომუნიკაციას. ამ პრობლემების მოგვარება ოპტიმალური ტერიტორიული პროპორციების ჩამოყალიბებას და რეგიონთაშორისი კავშირების დამყარებას, თვითმმართველობის სტრუქტურების სწორ ფუნქციურ რეგულირებას, ეკონომიკური სამსახურების საქმიანობის მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას და ცალკეული დარგის გაძღოლის ორგანიზაციული ქვესისტემების შექმნას მოითხოვს. სოფლის მეურნეობის განვითარებაში პრიორიტეტულად მართვის კორპორაციულ მეთოდებზე გადასვლა მიიჩნევა, იგი აუცილებლად უნდა დაემყაროს ფერმერებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთკომუნიკაციას პრიორიტეტების განსაზღვრის, რეფორმების შემუშავებისა და მათი განხორციელების მონიტორინგის პროცესებში. ქართული სოფლის აღორძინებაში კოოპერაციის მნიშვნელობაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს პროფესორ პაატა კოღუაშვილს, იგი აშშ-ს, ისრაელის, ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე სოციალურ პასუხისმგებლობის პრინციპებზე ორიენტირებულ სამეწარმეო ფორმებს განიხილავს სოფლის მეურნეობის, მისი მომსახურე დარგების სწრაფი რეაბილიტაციის და სამეწარმეო აქტივობის მობილიზების ძირითად ფორმად.[1] პროფ ე.ხარაიშვილი მიიჩნევს,რომ აგრარული სექტორის რეფორმა გადაუდებლად მოითხოვს მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ ინტეგრაციას გადამამუშავებელ დარგებთან. კოოპერაციულ საწყისებზე არსებულ სათემო ორგანიზაციებს დიდი როლი ენიჭება USAID-ის სოციალური პროგრამების

[1]კოღუაშვილი პ. როგორ ავაღორძინოთ ქართული სოფელი, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა,“ 7-8, 2010.

განხორციელებაშიც.[1] კოოპერირებას საწარმოო აქტიურობასთან ერთად შეუძლია პოზიტიური წვლილის შეტანა ფერმერებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტის დაძლევაშიც, რაც დღეისათვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა აგრარულ სექტორში. მიგვაჩნია, რომ კოოპერაცია, როგორც ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმა ობიექტური აუცილებლობაა განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ახალ ეკონომიკურ გარემოსთან აგრარული სექტორის ადაპტირება ინსტიტუციურ და ფინანსურ ცვლილებებს მოითხოვს, რამაც სამეურნეო აქტივობაში მუნიციპალური ერთეულების ჩართვა უნდა უზრუნველყოს, ამ პოზიციიდან, საბაზრო მექანიზმების სინთეზირების ყველაზე კონკურენტულ ინსტიტუციად კლასტერული სტრუქტურები განიხილება,რომელიც სამეწარმეო, მარკეტინგული, საინფორმაციო, ინფრასტრუქტურული ერთეულების კონგლომერაციით ზრდის საინვესტიციო აქტიურობას და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას რეგიონული სტრუქტურების მიერ, მათი მხრიდან ფინანსურ და საკრედიტო მხარდაჭერას.

სოფლის მეურნეობაში ყველაზე აქტუალური საკითხი არსებული სავარგულების გამოყენების ინტენსიფიკაციაა, რაც მიწების პრივატიზაციის დასრულებას, ტერიტორიის სწორ ორგანიზაციას და ამორტიზებული სავარგულების რეაბილიტაციას მოითხოვს. მეცნიერულად დასაბუთებულმა მიწათმოწყობამ და სწორმა თესლბრუნვამ, აგროქიმიურმა და მელიორაციულმა ღონისძიებებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს დამუშავებული სავარგულების ფართობისა და ნაყოფიერების ზრდა. საქართველოს პრობლემა მცირემიწიანობასთან ერთად, ტერიტორიის არასწორი ორგანიზაციაა, მიუხედავად უპირატესად ინდუსტრიული ხასიათისა, ევროკავშირის ქვეყნები სასოფლო-სამეურნეო სივრცის მაღალი დონით ხასიათდებიან - ტერიტორიის 90%, ჩვენთან კი იგი 60%-მდეა. რამდენადაც ექსტენსიური მიწათსარგებლობის რესურსები, პრაქტიკულად, ამოწურულია, აგრარული სასაქონლო პროდუქციის წარმოება მეურნეობის გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სასელექციო მუშაობის გააქტიურებას, სანერგე მეურნეობის განვითარებას, თანამედროვე აგრობიოლოგიური მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს, მეცხოველეობის სფეროში ძირითად ამოცანად კვლავ რჩება

[1]ხარაიშვილი ე. ზვიადაძე ე. ნედლი ხილის ევროპული ბაზარი და წარმოების პოტენციალი საქართველოში, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი," №2, 2011.

საქონლის პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა და იმპორტშემცვლელი განვითარების სტრატეგიაზე ორიენტაცია, სანაშენე ფერმებისა და საკვებწარმოების ორგანიზება.

აგრობიზნესის განვითარებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს მომსახურების სერვის-ცენტრები და ლოგისტიკური სტრუქტურები, მათში პროდუქციის შენახვის, დახარისხების, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, ლაბორატორიული კვლევისა და სასაწყობო სტრუქტურების გაერთიანება. ლოგისტიკურმა და ინფრასტრუქტურულმა ცენტრებმა სრულყოფილი ადმინისტრაციული მექანიზმებით და ლიბერალური ურთიერთობებით ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტის ზრდას და ბაზრების დივერსიფიკაციას. ეს პროცესი მოითხოვს ევროპული ტექნიკური და სანიტარული სტანდარტების, ხარისხის მართვის, შესაბამისობის სერტიფიცირების სისტემების დანერგვას, საბაჟო კონტროლისა და სატარიფო ბარიერების შემცირებას, საბაჟო პროცედურების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატივების ჰარმონიზაციას, ანტიმონოპოლიური მექანიზმების ამოქმედებას. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საკმაოდ მნიშვნწელოვანი მოტივაციაა ქართული აგრარული პროდუქციის ექსპორტირებისა და ბიზნეს-პლატფორმის შექმნის პროექტის რეალიზაციისათვის. არსებული პოტენციალის და სამეწარმეო გამოცდილების გათვალისწინებით ზოგიერთ ადგილობრივ

საქონელს შეუძლია მსოფლიო ბრენდად იქცეს, რაც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს როგორც დარგის ინსტიტუციურ რეგულირებაში, ისე გაძღოლის მეთოდებსა და ტექნოლლოგიურ პროცესებში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის განვითარება,ქვევრის ღვინის ბრენდის შექმნა და მისი პოპულარიზაცია, მიწათმოქმედების ტრადიციული დარგების, განსაკუთრებით კი მემარცვლეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და მებოსტნეობის რეაბილიტაცია. სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავისუფალი აგროზონების შექმნა ლიბერალური საგადასახადო და საანგარიშსწორებო რეგულაციებით.

თანამედროვე რეალობაში ყველაზე მწვავე პრობლემად სიღარიბის დაძლევა რჩებაგანსაკუთრებით სოფლად,სადაც ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის 55% ცხოვრობს, ამასთან ეს მაჩვენებელი, ქალაქისაგან განსხვავებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება და დღეისათვის ღარიბთა წილი სოფლის მოსახლეობაში 7%-ით აღემატება იმავე მაჩვენებელს ქალაქად, ასეთი ტენდენცია სოფლის მეურნეობის სტაგნაციის და სამეურნეო რესურსების მწვავე დეფიციტის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი სოფლად შრომისუნარიანი ასაკის

მოსახლეობის მკვეთრი შემცირების და ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაციების შედეგია,კერძოდ,სამუშაო ადგილების შემცირების 75% მხოლოდ ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებებითაა გამოწვეული. სოფლის მეურნეობა ძალიან შრომატევადი, შესაბამისად, ყველაზე მეტი სამუშაო ადგილის წარმომქმნელი და დამსაქმებელი სფეროა (ამაზე მიუთითებს ის, რომ 2011 წელს სოფლად ქვეყნის მოსახლეობის - 47%, ხოლო დასაქმებულთა – 63% ცხოვრობდა), მაგრამ, ეს დარგი საშუალო ეკონომიკურ დონეზე ორჯერ ნაკლები შემოსავლიანობით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, აგრარულ სექტორში დასაქმებულთა გაღარიბებას და სოციალურად დაუცველობას იწვევს, მართალია, სიღარიბის დაძლევა სახელმწიფო პრიორიტეტად არის აღიარებული, მაგრამ, რეალურად არ არსებობს სოფლად მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაქმების პოლიტიკა, იგი აუცილებლად მოითხოვს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სისტემატიზებას, სატრანსფერო პოლიტიკის სრულყოფას, დასაქმების სფეროში მაქსიმალურად მოქნილ რეგულაციებს და სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების ზრდას რეგიონებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრობლემებზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს პროფ.ე. მექვაბიშვილს და პროფ.ი.არჩვაძეს. ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი მოსახლეობის ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6%-ია, მათი აზრით აიხსნება იმით, რომ ძალიან დაბალია შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონე-18%(1989 წ.-82%), სახეზეა პარადოქსი -- ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში პირადი დამხმარე მეურნეობებში უფრო მეტად იყო ბაზარზე ორიენტირებული, ვიდრე დღეს, „საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაციასთან, რაც მისი დეგრადირების მაჩვენებელია“.[1]

თვითდასაქმების მაღალი დონე და მეურნეობრიობის ექსტენსიური ფორმა აგრარულ რეგიონებში შემოსავლების სიმცირეს და მის არათანაბარ ტერიტორიულ განაწილებას განაპირობებს. მაგ. მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და სამეგრელოში ოფიციალურად რეგისტრირებულია უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე, სწორედ გურიაში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში დაფიქსირდა შემოსავლების ყველაზე ცუდი მაჩვენებელი როგორც აბსოლუტურ

[1]არჩვაძე ი. მექვაბიშვილი ე. საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №6, 2010.

გამოსახულებაში, ისე ზრდის ტემპების მიხედვით. სოფლად არსებული ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტი აფერხებს დარგის რეაბილიტაციის პროცესს, დღეისათვის სოფლის მცხოვრებთა 36% ვერ ამუშავებს სავარგულებს, 52%-ს კი არ ჰყავს შინაური პირუტყვი, რაც შემოსავლების მცირე დივერსიფიცირების გამო ცუდ სოციალურ გარემოს და ცხოვრების დაბალ დონეს განაპირობებს.

ამ ვითარებაში სოციალური ტრანსფერები (ძირითადად-- პენსიები) ადგილობრივი შინამეურნეობებისათვის შემოსავლების ძირითად წყაროდ იქცა (55%). სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ამწვავებს რეგიონებში არსებული სუსტი ინფრასტრუქტურა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, რასაც მწირ საბიუჯეტო უზრუნველყოფასთან ერთად, არასწორი ადმინისტრირებაც განაპირობებს, სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული ობიექტების შერჩევა ხშირად არ ხდება ინსტიტუციურად დასაბუთებული კრიტერიუმების მიხედვით და სუბიექტურ ხასიათს ატარებს.

აგრარული სექტორის უმნიშვნელოვანესი პრობლემა შრომის დაბალი მწარმოებლურობაა, 1990-20101 წ.წ. იგი საქართველოში შვიდჯერ შემცირდა, ამის ძირითადი მიზეზი ამორტიზებული ტექნიკური ბაზა, მოძველებული ტექნოლოგიური პროცესები და წარმოების გაძღოლის არამეცნიერული სისტემები რჩება, ინვესტიციების არარსებობასთან ერთად, ამ ვითარებას ფერმერთა სუსტი მოტივაცია, აგრარულ სექტორში ინოვაციების მაღალრისკიანობა და უკუგების ხანგრძლივი პერიოდი განსაზღვრავს, პრაქტიკულად, არ არსებობს რეგიონებში საინოვაციო პოლიტიკის მაკოორდინირებელი სისტემა, ბეჩმარკინგისა და სტატისტიკის მექანიზმები, ინოვაციების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა, დაბალია რეგიონული ხელისუფლებისა და ფინანსური ინსტიტუტების დაინტერესება საინოვაციო საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერაში. 2008 წელს შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა არ ითვალისწინებს საინოვაციო პოლიტიკის კომპონენტებს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს დარგი განიცდის ყველაზე მეტად ინოვაციების დეფიციტს და მსოფლიო ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებასთან ერთად, აუცილებლად მოითხოვს დარგის ინოვაციური განვითარების გეგმის შემუშავებას. ტექნოლოგიების ტრანსფერი საზოგადოების განვითარების ხარისხის სწორი ინდიკატორია, საქართველო კი არათუ აგრარული ინოვაციების, არამედ, ზოგადად, ინოვაციების დაფინანსებით მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოში 150-ე ადგილზეა, რითაც ნეპალსა და სეიშელის კუნძულებს უტოლდება

და 500-ჯერ ჩამორჩება ფინეთს. სოფლის მეურნეობაში ინოვაციური პროცესები აუცილებლად მოითხოვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათ რეგიონულ კოორდინაციას, დარგობრივი ინოვაციური პროექტების შედგენას, მათი დაფინანსების მიზნით საბანკო სექტორის გააქტიურებას და სპეციალიზებული რეგიონული საფინანსო ინსტიტუტების შექმნას.

სოფლის მეურნეობის განვითარებასთან უშუალო კავშირშია ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბაზრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სურსათის ფასების საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია საზოგადოებისათვის, რამდენადაც არაადეკვატური სამომხმარებლო ფასები ყველაზე მეტად ამძიმებს სოციალურ გარემოს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში სურსათზე ფასები 166%-ით გაიზარდა, რასაც, თეორიულად, აგრარული სექტორის უპირატესი განვითარების მოტივირება უნდა მოეხდინა, რეალურად კი, პერმანენტულად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და, შესაბამისად, ეროვნული პროდუქციის წილიც სასურსათო ბაზრებზე, სოფლის მეურნეობის საქონლიანობის დონე 15%-მდე შემცირდა და იგი მთლიანად ჩაანაცვლა იმპორტულმა სურსათმა. დაეცა პროდუქციის წარმოება ყველა ძირითად სასაქონლო ჯგუფში, 2006-2010 წ.წ. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 5-10 კგ-ით შემცირდა ხორბლის, ხილის, ყურძნის, ხორცის წარმოება, ამასთან, გაიზარდა საბაზრო ფასები ყველა სახის სასაქონლო ჯგუფში, შემცირდა ნათესი ფართობები და წარმოების მოცულობა სტრატეგიულ პროდუქტებზე, მნიშვნელოვნად გაუარესდა თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელიც. მაგრამ, ქვეყანაში სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის გამო, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შიგა ბაზარზე ორიენტაცია დღეისათვის, პრაქტიკულად წამგებიანია, შესაბამისად, ინვესტირების ძირთად ორიენტირად საექსპორტო დარგების განვითარება და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოზიციონირება უნდა გახდეს.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა უშუალოდ უკავშირდება გარკვეულ ინსტიტუციურ ცვლილებებს, რადგანაც წვრილი მეურნეობები ჯერჯერობით კონკურენციას ვერ უწევენ სხვა სუბიექტებს და მარგინალიზებული არიან საბაზრო სისტემაში. საჭიროა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობის და საშუამავლო სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფერმერთა პროდუქციის გარანტირებულ შესყიდვა-რეალიზაციას. აგრარულ სექტორში უნდა ამოქმედდეს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რაც ბიზნეს-ოპერატორებისათვის სხვადასხვა სახის პრეფერენციებს

გაითვალისწინებს. აუცილებელია ტრადიციული საოჯახო სოფლის მეურნეობის პარალელურად, შეიქმნას მოდერნიზებული და თავისუფალ სამეწარმეო პრინციპებზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და პირველადი გადამუშავების კოოპერირებული ფირმები, ლოგისტიკური და საშუამავლო ცენტრები.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ადგილობრივი საქონლის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის სახელმწიფო მხაედაჭერის სტრატეგიის შემუშავება, რამაც შიდა ბაზრის დაცვასთან ერთად, საგარეო ბაზრების მარკეტინგული კვლევა და მასზე საკუთარი სეგმენტების მოპოვება უნდა განსაზღვროს, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი პროდუქციის წარმოებით, მისი სასაქონლო სახის სრულყოფით, ამ მიზნით აუცილებელია ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ბაზარზე მწარმოებლის ქცევის საერთაშორისო ნორმების დანერგვა, საექსპორტო პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება და სათანადო რეკლამირება, ამ პროცესებში ცნობილი სასაქონლო ბირჟების ჩართვა, მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურის შესწავლა და ეროვნული აგრარული პროდუქციის წარმოების მათ მოთხოვნებზე ორიენტირება.

დიდ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების,ნიადაგმცოდნეობის, მიკრობიოლოგიის, ზოოვეტერინარიის, მცენარეთა დაცვისა და სხვა დარგობრივი მეცნიერებების განვითარების, მსოფლიო გამოცდილების შესწავლის, ფერმერთა პროფესიული მომზადების, საერთაშორისო სასწავლო და საკონსულტაციო პროგრამებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობის საკითხი.. საქართველოში ამ მიმართულებით რამოდენიმე საინტერესო პროექტი შედგა, კეძოდ, ევრაზიის პარტნიორობის ფონდის მიერ განხორციელებული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეფუტკრეთა თანამშრომლობის პროექტი, ასოციაცია“ელკანას“ მიერ ორგანიზებული ევროკავშირის ბიოფერმერებთან ადგილობრივი აგრომეწარმეების დაახლოების პროექტი,კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების - CENN, NACRES მიერ საქართველოს მწვანეთა მოძრაობასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო ანარჩენებისა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების პროექტი, ღვინის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების მიზნით სპეციალისტთა გაცვლის მიმდინარე პროგრამა და სხვა. საჭიროა სწავლების სფეროში საქმიანობის მეტი კოორდინაცია და საერთაშორისო

რეგულაციების გამოყენება. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის დიდი გამოცდილების მიუხედავად, აუცილებელია ინოვაციური ტექნოლოგიების, შრომის სწორი ორგანიზაციისა და მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების დანერგვა,პროგრესული სიახლეების ადაპტირება.

აგრარული სფეროს აღმავლობა მასში დასაქმების მეტ მოტივაციას მოითხოვს,ამ მიზნით ფერმერული მეურნეობებისათვის სპეციალური პრეფერენციების შემოღებასთან ერთად, საჭიროა დასაქმების მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება,სოფლად საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ფართომასშტაბიანი სოციალური დახმარების პროგრამების ამოქმედება.

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში ეროვნული ტრადიციების დაცვისა და მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა,მისი ორიენტირი თვითკმარი გლეხური მეურნეობის ნაცვლად, საექსპორტო პროდუქციის წარმოება უნდა გახდეს, ამის შესაძლებლობა ქვეყანას გააჩნია, საჭიროა ხელისუფლების ნება განვითარების სწორი სტრატეგიის განსაზღვრით, რესურსების მობილიზებით და მეწარმეებისათვის სათანადო მოტივაციების შექმნით ხელი შეუწყოს დარგის რეაბილიტაციის პროცესს.

For the Revival of Georgian village

M. Tabatadze

Development of agriculture is of vital importance for keeping Georgian national traditions and generally for Georgian population. Therefore, assistance of the agriculture from the state requires both financial mechanisms (fiscal decentralization, independence in distributing local incomes, reduction of taxes for farmers, allocation of preferential loans, providing differential transfers, grants and subsidies, establishing specialized regional financial institutions) and administrative mechanisms (antimonopoly regulations, creating clusters, involving municipalities in agricultural activities, infrastructural cooperation networks and logistic centers).

It is of a vital importance to develop a national strategy for exporting local production to international markets, study the world market and be oriented to its requirements. Entering international market is only possible with ecologically clean products that meet international standards. This can be achieved by establishing certification systems, harmonizing the customs procedures, reduction of customs duties and cooperating with international commodities exchanges.

ეკონომიკური რისკები და სადაზღვევო პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში

თამარ ლაგარიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ -პროფესორი

დღეს ეკონომიკაში მრავალი სახეობის რისკი არსებობს, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. ეკონომიკური რისკების ეფექტიანი მართვა ამ რისკების შემცირების გარანტიაა. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი როლი ეკონომიკური რისკების სადაზღვევო პოლიტიკის შემუშავებამ უნდა უზრუნველყოს.

საქართველოში მიმდინარე სადაზღვევო პროცესებით, მათ შორის ეკონომიკური რისკების დაზღვევით, დაინტერესებულია მსოფლიოს სადაზღვევო, გადაზღვევის და საბროკერო კომპანიები. დღეს, როგორც არასდროს, ეკონომიკურ სისტემას სხვადასხვა რისკი ემუქრება. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სადაზღვევო პოლიტიკა უნდა იყოს. ამასთან, ქვეყანამ რომ რეალურად გაატაროს ეს პოლიტიკა, აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა. ეკონომიკური რისკების სადაზღვევო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის ჩართვას შრომის საერთაშორისო განაწილებაში, საბაზრო ურთიერთობების განვითარებაში, მონაწილეობას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასა და ა. შ. მაშასადამე, ქვეყნის შიგა ბაზარზე მრავალფეროვანი ეკონომიკური რისკების პირობებში, სადაზღვევო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და შესაბამისი პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური რისკების თავიდან აცილების მინიმუმამდე დაყვანის საშუალებაა. საქართველოსათვის აგრარული სექტორი სტრატეგიული მნიშვნელობისაა. მეცნიერულად დასაბუთებულია,[1] რომ თუ

[1] ე. ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგრო-სასურსათო სექტორში, თბ., 2011, გვ.5.

საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებზე მოხმარების ნორმა 30% მდე შემცირდა, ქვეყანა სასურსათო უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. საქართველოს სასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის პროდუქტების წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის როგორც კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ, ასევე გადახდისუნარიან მოთხოვნასაც. თუ საქართველოს მოსახლეობას 4,4 მლნ-ად მივიჩნევთ, ექსპერტული გათვლებით, აგრარულ ბაზარს მოთხოვნასთან შედარებით 49%-ით ნაკლები ადგილობრივი წარმოების პროდუქტები მიეწოდება. 2010 წელს, 2003 წელთან შედარებით, შემცირებულია უმეტესი პროდუქტების მოხმარების დონე, დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებზე. ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, რადგან ბალანსის შევსება იმპორტული პროდუქტებით ხდება. 2010 წლის მონაცემებით, იმპორტის მოცულობა დაახლოებით 4–ჯერ აღემატება ექსპორტს.[1]

აგროსასურსათო სექტორში რისკ-ფაქტორები ხუთ ჯგუფად არის განაწილებული[2]: 1. საკრედიტო რესურსების სიმცირე-37,1%; 2. ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა-20,4%; 3. საგადასახადო სისტემა-18,2%; 4. იმპორტი-17,0%, 5. ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობა-7,3%.

სტრატეგიული და კონკურენტული სასურსათო პროდუქტების წარმოებაზე, ასევე ინოვაციურ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებზე კრედიტების მიღების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. დასაბუთებული სადაზღვევო პოლიტიკის გარეშე, სასოფლო-სამეურნეო სექტორი ნაკლებად მიმზიდველია ინვესტორებისთვის. დღეს სექტორის წილი მთლიან საბანკო სესხებზე 1%-დან 2%-მდე მერყეობს, ამასთანავე, ძალიან მცირეა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში: 2007 წელს - 0.8%, 2008 წელს - 0.5%, 2009 წელს -1.2%.[3] ასეთი მონაცემები მაღალი რისკის მაჩვენებელია. აგროსასურსათო სექტორში მნიშვნელოვან რისკად უნდა მივიჩნიოთ, ერთი მხრივ, ფართობების

[1]http:geostat.ge

[2]იხ. ე. ხარაიშვილის დასახ. ნაშრომი გვ.109

[3]მეწარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრი, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება საქართველოში, კვლევის მასალები, 2008, გვ. 23.

სიმცირე და მეორე მხრივ, საკუთრების ფორმების პოლარიზაცია. 2010 წლის მონაცემებით, კერძო საკუთრებაში იყო მიწის მთლიანი ფართობის 25%, ხოლო იჯარით გაცემული მიწების რაოდენობა შეადგენს: კერძო პირებისაგან – 6, ხოლო სახელმწიფოსაგან – 191 ჰა-ს. დღეისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 8,9%-ია, ფერმერთა რაოდენობა-2500 ათასი, საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 1 ჰა მიწის ფართობს, ფერმერთა 82% პროდუქტს თვითმოხმარებისათვის აწარმოებს. აგროსასურსათო პროდუქტებს ძირითადად აწარმოებს 129 498 მეურნეობა. მეურნეობის ტიპის 99% კი ოჯახური ხასიათისაა.[1]

საქართველოში სამი ტიპის ფერმერული მეურნეობა ფუნქციონირებს:[2] 1. მცირე მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ; 2. საშუალო მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს საკუთარი და ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ; 3. მსხვილმასშტაბიანი, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ გასაყიდად აწარმოებენ. დასახელებული მეურნეობებიდან პირველი და მეორე ჯგუფის ფერმერული მეურნეობები მაღალი რისკფაქტორების მატარებელია, რაც უპირველეს ყოვლისა მათი წვრილმასშტაბურობით აიხსნება.. დღეს საქართველოში ერთ შინამეურნეობას საკუთრებაში საშუალოდ 1,3 ჰა. მიწა აქვს. აღნიშნული ფართობი თავის მხრივ 2-3 მიწის ნაკვეთისგან შედგება, რომელთაგან თითოეულის ფართობი 0,4-0,5 ჰა-ს არ აღემატება. ასეთი წვრილი ფერმერული მეურნეობების ხვ. წონა მეურნეობათა საერთო რაოდენობაში 98,4 %-ს შეადგენს.[3] საქართველოს აგროსასურსათო სექტორში რისკების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია არასასურველი ბიზნესგარემო და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ბიზნეს-გარემოს კვლევის მიხედვით, გამოკითხული 1000 საწარმოდან მხოლოდ 344-მა შეძლო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა, მაშინ როდესაც შესწავლილ საწარმოთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად ფინანსური რესურსების მოზიდვას

[1] http:geostat.ge

[2] იხ. ე. ხარაიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ.101.

[3] http:geostat.ge

ასახელებს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ბოლო პერიოდში საწარმოთა 73,2%–ის შემოსავლები შემცირებულია, მათგან 29,6%–ში საგრძნობლად. იმავე ოდენობის შემოსავლები მხოლოდ საწარმოთა 19,6%–ს დარჩა.[1] აგრარულ სექტორში წარმოების მოცულობისა და შესაბამისად შემოსავლების კლების ტენდენციას მასშტაბიდან დაბალი უკუგების რისკებიც ემატება. ფინანსური რისკების შეფასების დროს გასათვალისწინებელია, რომ აგრარულ სექტორს არ აქვს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებაზე სწრაფი რეაგირების უნარი. ფერმერულ მეურნეობას არ შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვი ბაზრის შეცვლილი კონიუქტურიდან გამომდინარე, რადგან სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობა არა მარტო წარმოების, არამედ ცხოვრების სფეროც არის. ამავე დროს, თუ ფერმერი ტოვებს ფერმას, მისი მიწა გადადის სხვა ფერმერის ხელში და ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდება შენარჩუნებულია.

აგრარულ სექტორში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რისკების მართვას. შესაბამისად, სადაზღვევო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს „სოფლის მეურნეობის დაზღვევა და დაკრედიტება". საქართველოსათვის სტრატეგიული პროდუქტებია: თხილი, ღვინო, ღვინის ძმარი, კაკალი, ნატურალური თაფლი, ბოსტნეული, ხილი, სუნელები. საზამთრო, კომში, დაფნის ფოთოლი. დასახელებულ პროდუქტებზე დაბალანსებული მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებაში მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკური კონკურენტული რისკების შეფასება-ანალიზი, მათგან გასათვალისწინებელია: საკუთრების ფორმა, ფირმის წილი ბაზარზე, ფირმის ფინანსური მდგომარეობა, ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკები, მოსახლეობის შემოსავლები, სიღარიბის დონე, ინვესტიციური მიმზიდველობა, საკადრო პოტენციალი, ინოვაციური პოტენციალი, წარმოების ორგანიზაცია და სხვა. მიკროეკონომიკურ რისკ-ფაქტორთა შორის, ასევე, ცალკე უნდა შეფასდეს აგრარული სასურსათო სექტორის მონათესავე და მხარდამჭერი სექტორების ფინანსური, საკრედიტო და კონკურენტული რისკები.

საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშემშლელი ძირითადი საფრთხეებისა და რისკების გამომწვევი ფაქტორე-

[1] http:geostat.ge

ბი თანამედროვე ეტაპზე შემდეგია:

1. ეკონომიკის სფეროში ჩამორჩენა მსოფლიოში უმრავლესი, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დონესთან შედარებით;

2. ეკონომიკის რეალური სექტორის დაბალი წილი;

3. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სიმცირე და მისი არაეფექტიანობა;

4. სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობა;

5. უმუშევრობის პრობლემა;

6. სოციალური დანახარჯების დაბალი წილი მშპ-სა და სახელმწიფო ბიუჯეტში და სხვ.

აგრარული სექტორის დაზღვევის განვითარების ბარიერების თვალსაზრისით, რამდენიმე პრობლემა არსებობს: ფერმერულ მეურნეობათა წვრილმასშტაბურობა, ფისკალური პოლიტიკის შეუსაბამობა ფერმერთა საჭიროებებთან, გრძელვადიანი კრედიტების დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა, განუვითარებელი ინფრასტრუქტრა და არასტაბილური ლოგისტიკა, ეკონომიკური ერთეულების არასწორი მართვა, ფერმერების ცოდნის შეზღუდულობა, დაბალი სადაზღვევო კულტურა, ფერმერებისათვის არასახარბიელო დაზღვევის პირობები და სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

საქართველოში აგროსასურსათო წარმოებაში სადაზღვევო პოლიტიკის მიმართულებები ჩამოუყალიბებელია. ამ სფეროში ეკონომიკური რისკების სადაზღვევო ბაზრის განვითარება მოითხოვს:

- ფირმებისა და კომპანიების მუშაკების, ასევე, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას სადაზღვევო პროგრამებისა და მისი სტრუქტურების შესახებ;
- ეკონომიკური რისკების სადაზღვევო სისტემის რეგულირების გაძლიერებას;
- მაღალი ეკონომიკური რისკების შემთხვევაში სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებისათვის სავალდებულო ხასიათის მიცემას;
- ეკონომიკური რისკების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად და ოპერატიულად მიწოდებას არსებული სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით.

აგროსასურსათო სექტორში ეკონომიკური რისკების

შესამცირებლად სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში არა მარტო ფინანსური მონაწილეობით, არამედ, საწყის ეტაპზე, დასაზღვევი პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრაში. ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს. კრედიტის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია აგროსაკრედიტო სპეციალიზებული სისტემის შექმნით, რომლის საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში, სახელმწიფოსთან ერთად, კერძო სექტორიც მიიღებს მონაწილეობას. ამისათვის, თავის მხრივ, აუცილებელია აგროწარმოების მომსახურე დარგების მონოპოლიური მდგომარეობის შეცვლა და მთავრობის სათანადო მხარდაჭერა, ეროვნული ბაზრის დაცვა, აგროკრედიტის სისტემის ჩამოყალიბება, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნა, მიწის კონსოლიდაცია, ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება.

Economic Risks and Priorities of Insurance Policy in Agro-Products Sector of Georgia

T. Lazariashvili

The Article provides analysis of economic risks in Agro-products sector of Georgia, discusses the factors which cause the risks and demonstrates the results of negative impact of these risks on production. Based on the analysis, it reveals 5 groups of risk-factors mostly spread in agro-products sector. These are: 1. Scarcity of credit resources – 37,1%; 2. Undeveloped infrastructure – 20,4%; 3. Tax system – 18,2%.; 4. Import-17,0%; 5. Volatility of national exchange rate – 7,3%. The ways for reducing the impact of risks over production are suggested.

Revealing microeconomic risks and defining priorities of relevant insurance policy are considered to be an important action for achieving balanced demand and supply on agro product market. The directions for development of insurance market for economic risks are proposed.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხელმძღვანელი

ნუგზარ პაიჭაძე
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საზოგადოების განვითარებასა და წინსვლაში დიდი როლი აკისრია ყველა დონის ხელმძღვანელს. განსაკუთრებით დიდია მათი როლი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების (საწარმოების, ფირმებისა და ა შ) ეფექტიან ფუნქციონირებაში. სწორედ მოცემულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია. მასში, ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული შესაბამისი შრომების[1] შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, მოცემული და დახასიათებულია თანამედროვე ხელმძღვანელის მახასიათებლები, მუშაობის ეფექტიანობის ფაქტორები და ავტორისეული შეხედულება მათ (ხელმძღვანელთა) საქმიანობაში არსებულ პრობლემებსა და ნაკლოვან მხარეებზე.

ხელმძღვანელია პირი, რომელიც წარმართავს და კოორდინაციას უწევს მისდამი დაქვემდებარებულ შემსრულებლებს, რომლებიც, დადგენელი უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებენ ყველა მის განკარგულებას. დიდია ხელმძღვანელის როლი კადრების მართვისას. ამ შემთხვევაში იგი გვევლინება როგორც თანამშრომელთა დამრიგებელი (მოძღვარი), მასწავლებელი, ავტორიტეტი, იდეოლოგი. ხელმძღვანელი რამდენად აქტიური, მიზანსწრაფული და მოქნილია ადამიანებთან ურთერთობაში, იმდენად წარმატებულია მისდამი რწმუნებული ორგანიზაცია კონკურენციულ ბრძოლაში. ხელმძღვანელთა მუშაობის მთავარი კრიტერიუმია შრომითი კოლექტივის საქმიანობის შედეგი, მის წევრთა დაკმაყოფილებულობა და მოტივირებულო-

[1]Армстронг М. Стратегическое управление человеческими ресурсами. Перевод с английского. М., 2007;Десслер Г. Управление персоналом. Перевод с английского. М.,1997; Веснин В. Управление персоналом.М. 2008; Пугачев В. Руководство персоналом организации. М.,2000 და სხვ.

ბა. სპეციალისტ–მკვლევართა აზრით, ხელმძღვანელის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორებია: მისი მოქმედების სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული (მათ შორის სამუშაო დღის) გეგმის არსებობა; დაქვემდებარებულთა პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების ცოდნა და უნარი, მათდამი ნდობის არსებობა; მითითებების მიცემის მაგიერ ამოცანების დასმის უნარი; დაქვემდებარებულთა კარგი ცოდნა, მათთან ღია საუბრის სურვილის არსებობა; სხვადასხვა საქმიდან პრიორიტეტულის განსაზღვრის უნარი და სხვ.

თავისი ფუნქციის წარმატებით შესასრულებლად ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს ამისთვის აუცილებელ მრავალ სხვადასხვა თვისებას. ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს 200- ზე მეტ ასეთ თვისებას.[11] სპეციალისტთა უმეტესობა ამ თვისებებს ყოფს 3 ჯგუფად: პროფესიული, პიროვნული და საქმიანი. ცხადია, აღნიშნული თვისებებისადმი მოთხოვნები სხვადასხვაა მართვის სხვადასხვა დონის ხელმძღვანელისათვის. დაბალ დონეზე ხელმძღვანელისათვის უფრო მნიშვნელოვანია გაბედულობა, კომუნიკაბელურობა, ზოგჯერ აგრესიულობაც კი; საშუალო დონეზე კი–ადამიანებთან ურთიერთობის მაღალი ხარისხით ცოდნა და კონცეპტუალურობა, ხოლო მართვის მაღალი დონის ხელმძღვანელისათვის საჭირო აუცილებელი თვისებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სტრატეგიული აზროვნების, არსებული სიტუაციის შეფასებისა და ახალი ამოცანების დასმის, გარდაქმნის განხორციელებისა და დაქვემდებარებულთა შემოქმედებითი პროცესის ორგანიზების უნარი. ამასთან ერთად, იმის გამო, რომ მართვის ნებისმიერი დონის ხელმძღვანელი პასუხს აგებს არა მარტო მუშაობის მიმდინარე, არამედ მომავალ შედეგზე, მას უნდა ჰქონდეს მომავლის ხედვის კარგი უნარი. ამასთან, მართვის რაც უფრო მაღალ დონეზე იმყოფება, უფრო ხანგრძლივი პერიოდის.[22]

დღეს საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი საქმის კარგი მცოდნე და პროფესიონალია, სამწუხაროდ, ადამიანური რესურსების

[1] Веснин В. Управление персоналом. М., 2008, с. 457.

[2] წინამდებარე სტატიაში ძირითადად მსჯელობაა მართვის მაღალი დონის ხელმძღვანელებზე, ე. წ. ტოპ-მენეჯერებზე.

მართვა დაბალ დონეზეა. ამის მთავარი მიზეზია ხელმძღვანელთა მიერ ადამიანებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიის არცოდნა. სოციალური ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ადამიანური რესუსების მართვის მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომითი კოლექტივის თანამშრომლებს შორის ლოიალურობის დონე. სამწუხაროდ, ხშირია ფაქტი, როცა ორგანიზაციის ადმინისტრაციას არ ესმის "ლოიალურობის" ცნების მნიშვნელობა და, ცხადია, არც იცის როგორ მიაღწიოს კოლექტივში მის მაღალ დონეს. სინამდვილეში, ხსენებული ცნება მომდინარეობს ინგლისური სიტყვა "Loyal"-გან და ნიშნავს კორექტულობას, კორექტულ ურთიერთობას ვინმესთან ან რაიმესთან, მათ შორის კანონთან, ხელმძღვანელობასთან და ა.შ.

თანამშრომელთა შორის ლოიალურობაზე დამოკიდებულია ბევრი: ორგანიზაციის (ფირმის და ა.შ.) წარმატება, ბიზნესში მისი ლიდერული პოზიციები, კომპანიისადმი თანამშრომელთა კეთილსასურველი დამოკიდებულება, რაც განაპირობებს საკადრო სტაბილურობას. შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ თანამშრომელთა მაღალი ლოიალურობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მაღალი ხელფასით. საქმე ისაა, რომ მაღალი ხელფასი თანამშრომლებს განსაზღვრული ზომით აჩერებს საწარმოში, მაგრამ დიდი ხნით არა. თუ საწარმოში დაბალია ადმინისტრაციის ლოილურობა თანამშრომლებისადმი, ეს უკანასკნელნი კარგავენ ნდობას თავიანთი ხელმძღვანელებისადმი და პირველი შესაძლებლობისთანავე მზად არიან სამუშაოდ გადავიდნენ სხვა, მათთვის უფრო კეთილსასურველ ორგანიზაციაში. ცხადია, ლოიალურობა უნდა იყოს ორმხრივი (ნაცვალგებითი). იმ ორგანიზაციებში, სადაც თანამშრომელთა მაღალ ლოიალურობას თან ახლავს ადმინისტრაციის მხრიდან მათდამი პატივისცემა, სადაც თანამშრომლებმა მკაფიოდ იციან თავიანთი მოვალეობები და პასუხისმგებლობა, სადაც მუშაკთა დასჯა და წახალისება სამართლიანია, სადაც თანამშრომლები გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას და მნიშვნელობას სოციალურად აუცილებელი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში და ამაყობენ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო, ყოველთვის მაღალია ადამიანთა საქმიანობის საბოლოო შედე-

გები. ასეთ შემთხვევაში ადამიანები პატივს სცემენ თავიანთ ხელმძღვანელებს და მზად არიან იმუშაონ ოპტიმალური საშუალო ხელფასისას. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ასეთი თანამშრომლები მუშაობენ მეტი უკუგებით, ვიდრე ამას ადგილი აქვს საწარმოებში უფრო მაღალი ხელფასით მუშაობისას, მაგრამ ადმინისტრაციის მხრიდან დაბალი ლოიალურობისას.

საზოგადოებაში, მათ შორის ორგანიზაციებში, მაღალი ლოიალურობის მიღწევაში დიდია სახელმწიფოს როლი. მაგალითად, აშშ- ში სახელმწიფო პოლიტიკის- "კანონი ერთნაირია ყველასათვის," მეშვეობით პროპაგანდას უწევენ მაღალ მორალურ ღირებულებებს, პატრიოტიზმს, პასუხისმგებლობას, მიზანსწრაფულობას, კარიერულ ზრდას. აშშ- ში 1930- ანი წლებიდან მუშაობს პროგრამა-"ფსიქოლოგია ადამიანებისათვის"-სემინარების, კურსებისა და ტრენინგების სახით როგორც ბიზნესში, ასევე ცხოვრებაში საერთოდ. ყოველივე ეს ხელს უწყობს ადამიანებს შორის ნორმალური და კეთილსასურველი ურთიერთობის დამყარებას.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში მოცემულ საკითხზე, განსაზღვრული ხარისხით, იგივე მიდგომა იყო. სახელმწიფოს როლს ფაქტობრივად ასრულებდა მმართველი პარტია, რომელიც პარტორგების, "კომსორგებისა" და სხვათა სახით ადამიანებს მოუწოდებდა პატრიოტიზმს, მუშაობისადმი სიყვარულს და ერთგულებას ისეთი ფასეულობებისადმი, როგორიცაა: პატიოსნება, მოწესრიგებულობა და სხვ. სამწუხაროდ, ყოველივე ამას ახლდა დიდი ნაკლოვანება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირში ე. წ. "წარმატების ფსიქოლოგიის"არარსებობით, ანუ ადამიანებთან ხელმძღვანელების ურთიერთობა არ ემყარებოდა ადამიანის ფსიქოლოგიისა და ადამიანური მორალის ღრმა ცოდნას. დღეს ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, უარესი მდგომარეობაა. არც სახელმწიფოს და არც იდეოლოგიურ ორგანიზაციებს ადამიანთა "მორალი" ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებს. ამიტომ, წარმოებაში (ბიზნესში) ადამიანთა "აღმზრდელის" როლი მთლიანად დაკისრებული აქვს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. დიდ კოლექტივებში. სადაც პირველ ხელმძღვანელს უმეტესად დრო არ ყოფნის თანამშრომლებთან აღმზ-

რდელობითი მუშაობისათვის, ამ ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებს პროფესიონალი საკადრო ფსიქოლოგი–კადრების მენეჯერი.

ხელმძღვანელისათვის ზოგადად და, განსაკუთრებით კადრების მენეჯერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნას. დღეს ბევრი თავისი უშუალო საქმის მაღალი პროფესიონალია, მაღალი ხარისხით ესმის როგორაა მოწყობილი ესა თუ ის სამუშაო აპარატი, ავტომანქანა და სხვ., მაგრამ მათგან დიდმა ნაწილმა კატასტროფულად ცოტა იცის და ესმის –როგორაა აგებული ადამიანი, რა არის ადამიანის გრძნობები, ემოციები და ამბიციები, რატომ იქცევიან ადამიანები ერთნაირ პირობებში განსხვავებულად, როგორაა აგებული ადამიანის ფსიქიკა მთლიანობაში და საერთოდ რა არის იგი. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ხელმძღვანელთა უმეტესობის, განსაკუთრებით კადრების განყოფილებათა უფროსებისა და საკადრო მენეჯერების მუშაობაში ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზია ადამიანის ფსიქოლოგიისა და ადმიანური ურთიერთობის ელემენტარული ცოდნის უქონლობა. დღეს ბიზნესის სფეროში უფროსი თაობის სამამულო ფსიქოლოგები ცოტაა. ახალგაზრდა ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი კი ჯერ კიდევ "მოუმწიფებელია" როგორც ცხოვრებისეული, ასევე სოციალურ ფსიქოლოგიაში მცირე პრაქტიკული გამოცდილების გამო. სათანადო ანალიზით ირკვევა, რომ შრომით კოლექტივში არსებულ ნაკლოვანებათა და, უპირველეს ყოვლისა, "ცხოვრებისეული უბედურების" მთავარი მიზეზი ადამიანური ურთიერთობის სწორად წარმართვისა და ფსიქოლოგიური კულტურის არცოდნაშია.

ფსიქოლოგიური კულტურა –ესაა ადამიანის ქცევისა და მისი შინაგანი კულტურის ერთიანობა. ცხადია, ადამიანის ქცევის კულტურის საფუძველია მისი შინაგანი კულტურა. ეს უკანასკნელი კი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ადამიანის სულიერებასთან. რაც უფრო მაღალია სულიერება, მით მაღალია შინაგანი კულტურა. უნდა გვახსოვდეს, რომ ფსიქოლოგია ერთიანობაში არის ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და ასტროლოგიის სფეროში რელიგიური, ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის სინთეზი. რაც შეეხება შინაგან კულტურას

ზოგადად, იგი შესაბამისობაშია რელიგიისა და ფილოსოფიის ე.წ. "ოქროს წესთან": მოეპყარი ირგვლივ მყოფთ ისე, როგორც შენ გსურს მოგექცნენ, ან კიდევ- რასაც თხოულობ ქვემდგომებისაგან, მოითხოვე შენგანაც". აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელი უნდა იყოს მაქსიმალურად სამართლიანი დაქვემდებარებულ პირთა წახალისებისას, მათი კრიტიკისა და დასჯისას.

კითხვაზე – ხელმძღვანელმა რა მნიშვნელოვანი დასკვნები უნდა გამოიტანოს ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობის ფსიქოლოგიიდან, მოკლე პასუხი ასეთია: ხელმძღვანელისათვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განასხვავოს თანამშრომლები ტემპერამენტის მიხედვით, იცოდეს ვინაა ხოლერიკოსი, ფლეგმატიკოსი და ვინაა მელანხოლიკი ან სინგვინისტი. ტემპერამენტი ადამიანის ნერვული სისტემის თვისებაა, რომლითაც ხასიათდება ადამიანის გამძლეობა (ამტანობა) და სიმტკიცე ფიზიოლოგიური ან სხვა სახეობის დატვირთვისადმი. სხვადასხვა ადამიანის ტემპერამენტში განსხვავების შესწავლა შეიძლება მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, როგორიცაა: ქცევა, სიტყვის ტემბრი (სიმაღლე), მომთმენიანობა, სიფიცხე და სხვ. ან სათანადო სპეცილისტის (სპეციალისტების) მიერ ტემპერამენტზე ტესტირების ჩატარებით. ყოველივე ეს საჭიროა თანამშრომელთათვის, მათ შორის, ახალმიღებულთათვის თანამდებობისა და მოვალეობათა სწორად შესარჩევად. მაგალითად, არ შეიძლება ხოლერიკის დანიშვნა ხელმძღვანელის მძღოლად, რადგანაც მისი საქმიანობა დაკავშირებულია ხშირ თათბირთან და მძღოლს უხდება მანქანაში დიდხანს ლოდინი და უსაქმოდ ყოფნა. ეს კი მას არ შეუძლია იმიტომ, რომ მის ტემპერამენტს შეესაბამება არა მონოტონური, არამედ მოძრაობასთან დაკავშირებული სამუშაო და მაღალი აქტიურობა. რაც შეეხება მელანხოლიკს, იგი თავისი ფსიქოლოგიური მახასიათებლიდან გამომდინარე, უძლებს მუშაობის მონოტონურ, ციკლურ ტემპს. სინგვინისტები და ფლეგმატისტები უფრო გაწონასწორებული და ამტანებია ტემპერამენტის მიხედვით. გადაწყვეტილებების მიღებისას, სასურველია ხელმძღვანელებმა იცოდნენ და განასხვაონ თავიანთი თანამშრომლები ამ უკანასკნელთა ხასიათისა და ქცევის მიხედვით, განსაკუთრებით საკამათო და კონფლიქტურ სიტუაციებში.

წარმატებული ხელმძღვანელისათვის (და არა მარტო მისთვის) აუცილებელია, რომ იგი იყოს კომუნიკაბელური, არაკონფლიქტური და არაამბიციური (ცუდი გაგებით). სამწუხაროდ, ზოგიერთს არ ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. კომუნიკაბელურობა არაა მრავალსიტყვიანობა და ლაზღანდარობა. საქმიან წრეში კომუნიკაბელურობა ესაა უნარი – მკაფიოდ და ნათლად გამოხატო საკუთარი აზრი, მიიტანო იგი ირგვლივ მყოფებთან, უნარი–საიმედოდ გადასცე ინფორმაცია,მისი მნიშვნელობისა და ფასეულობის დაუმახინჯებლად, არგუმენტირებულად აწარმოო მოლაპარაკებები, შექმნა მკაფიო ინსტრუქციები, ანგარიშები და ა. შ. რაც შეეხება სიტყვა "არაამბიციურობას", მისი განმარტება არაა ცალმხრივი. ცუდია, როცა ადამიანი საერთოდ უამბიციოა. ამბიციები ცუდია მხოლოდ მაშინ, თუ იგი მეტისმეტად დიდია ან უსაფუძვლო, როცა ადამიანი რაიმე არგუმენტაციის გარეშე ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც მას არ მოსწონს ან პირდაპირ აცხადებს: "რასაც მე ვამბობ ყველაფერი სწორია", ისე, რომ არ მოჰყავს ამის დამადასტურებელი რაიმე არსებითი ფაქტები და არგუმენტები.

წარმატებული ხელმძღვანელობისათვის საჭირო თვისებებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთებს, როგორიცაა: პატიოსნება, ზრუნვა დაქვემდებარებულებზე, სამართლიანობა, მეგობრულობა, კომპრომისების გაწევის უნარი, ობიექტურობა, რაციონალურობა, პრაგმატიზმი, საქმით დაინტერესებულობა და ხედვის უნარი, ფართო თვალსაწიერი, თავისი თავისა და დროის მართვის უნარი, მსჯელობისა და მოქმედებებისას დამოუკიდებლობა, მოვალეობათა სწორად განაწილებისა და გუნდის შექმნის უნარი და ა.შ. მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ: ხელმძღვანელისათვის საჭირო ზემოაღნიშნული თვისებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაქვემდებარებულებთან ურთიერთობისა და მათი მოტივირების ცოდნას. საქმე ისაა, რომ, როგორც შესაბამისი სპეციალისტები მიუთითებენ, თანამშრომლებთან ურთიერთობა – ესაა ხელმძღვანელის მუშაობის არსი, ხოლო საუბარი თანამშრომლებთან "არამატერიალური ცოცხალი პროდუქტი". სწორედ მის ხარისხზეა დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატება და განვითარება. ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ თანამშრომლებთან ურთ-

იერთობისას რაც უფრო მაღალია ხელმძღვანელთა საკომუ-ნიკაციო ჩვევები, მით მაღალია თანამშრომელთა შრომის მწარ-მოებლურობა და, შესაბამისად, კომპანიის (საწარმოს, ფირმის და ა.შ.) მოგებაც. ადამიანთა ურთიერთობა მოიცავს ფაზების სიმრავლეს, მათ შორის – კონტაქტის დამყარებასა და ნდობით ურთიერთობათა განვითარებას კონტაქტში მყოფ ადამიანებს შორის. ნდობა რეალიზდება ხელმძღვანელსა და დაქვემდებარე-ბულებს შორის უკუკავშრის დამყარებისა და შენარჩუნების გზით. უკუკავშირის საშუალებით ხელმძღვანელი ინფორმა-ციას აძლევს, ასტიმულირებს და აფასებს დაქვემდებარებულთა მუშაობას. ამით იგი ხაზს უსვამს მის სტატუსურ როლს და განსაზღვრავს მის დაწინაურებას ორგანიზაციაში. ხელმძღვანე-ლის ასეთი პირადი მახასიათებელი – სურვილი ენდოს თავ-ის თანამშრომელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ ამაზეა აგებული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დელეგირება და თანამშრომელთა კარიერული ზრდა.

ნებისმიერი ურთიერთობისას მიმდინარეობს ფასეულო-ბათა გაცვლა. მისი როლი დიდია ორგანიზაციის ფორმირე-ბაში. ნებისმიერი ძლიერი ბრენდი, ესაა ლამაზად შეფუთული რაღაც ფასეულობათა ნაკრები. ამა თუ იმ საქონლის ყიდვი-სას, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ იმ ფასეულობას, რომელთ-ანაც იდენტიფიცირდება მოცემული საქონელი. ფასეულობანი არის კარიერაში გზის გამკვლევი. ორგანიზაციის ფასეულობე-ბიდან ასეთებია: მოგება, ხარისხი, წარმატება, კორპორაციული სულისკვეთება, უსაფრთხოება და სხვ. სამუშაოდ ახალმიღე-ბული თანამშრომლები მაშინვე ვერ ითავისებენ თავიანთ ორგა-ნიზაციას და მის ფასეულობებს. იგი მიმდინარეობს კომპანიის ფასეულობათა დაუფლების კვალობაზე. ამაში წამყვან როლს თამაშობს ხელმძღვანელი. იგი არის ორგანიზაციის კულტურისა და ფასეულობათა დამცველი. თანამშრომლებთან ყოველდღიურ საუბარში ხელმძღვანელი გადმოსცემს თავის ფასეულობებს. მყარად დამკვიდრებული ორგანიზაციის ფასეულობანი არის კომპანიის გული, ხოლო ხელმძღვანელი, ესაა ორგანიზაციის უმაღლესი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფასეულობათა სისუფთავეს. თავის თანამშრომლებთან ურთიერთობით ხელმძ-ღვანელი აკონტროლებს მათ მუშაობას, განწყობილებასა და

მოტივაციას.

იმისათვის რომ გახდე ხელმძღვანელი,აუცილებელია კომპანიის მფლობელს ან თანამდებობრივად ზემდგომ პირს აჩვენო, რომ თქვენ არა მხოლოდ იზიარებთ კომპანიის ფასეულობას, არამედ იცავთ მას, ანუ ამას მოითხოვთ თქვენი დაქვემდებარებულებისაგან. ამასთან ერთად, ხელმძღვანელების შერჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პირად პრაქტიკულ გამოცდილებას. მაგალითად, თუ კომპანიაში ძირითადი ფასეულობაა უსაფრთხოება, მისი მფლობელები ეძებენ ისეთ მთავარ მენეჯერს (ტოპმენეჯერს), რომელსაც აქვს გამოცდილება უსაფრთხოების სამსახურებში. როცა ოგანიზაცია მიილტვის კომპანიების მართვის დასავლური სტილისაკენ, მომავალი ტოპმენეჯერის რეზიუმეში მნიშვნელოვანია გრაფები დასავლური კომპანიების ხელმძღვანელობის გამოცდილების თაობაზე. ამიტომ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმატებული კარიერული წინსვლისათვის აუცილებელია აწარმოებდე თავის ფასეულობათა მუდმივ ინვენტარიზაციას და შეუსაბამო იგი ორგანიზაციების მფლობელებისა და ზემდგომი ხელმძღვანელობის ფასეულობებს.

ორგანიზაციის ფასეულობების მიმართებით შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი. ამ შემთხვევაში სიტუაცია შეიძლება იყოს მრავალგვარი. მათ შორის ერთ-ერთია, როცა ხელმძღვანელი ხედავს თავის საკუთარ და თანამშრომლების ფასეულობებში შეუსაბამობას და თავის საკუთარს მიიჩნევს უფრო გამართლებულად ორგანიზაციისათვის. მეორე სიტუაციაა,როცა კომპანიის განვითარების პროცესში ფასეულობები იცვლება და მდიდრდება სიახლის ხარჯზე. მაგალითად, ფირმის საქმიანობის დაწყებისას მისი მთავარი ფასეულობაა მოგების მიღება, ხოლო მისი საბაზრო ნიშის მოძიების შემდეგ კომპანია უფრო დაინტერესებულია სტაბილურობით და ავითარებს მის შესაბამის ორგანიზაციულ კულტურასა და კორპორაციულ პროცედურებს. თითოეულ ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს და თავისი საქმიანობისას ითვალისწინებდეს აქსიომას ორგანიზაციული ფსიქოლოგიიდან იმის შესახებ, რომ ნებისმიერი მშვიდობიანი კონფლიქტი ავითარებს ორგანიზაციას, ხოლო მისი იგნორირება ანგრევს მას. ფასეულობათა კონფლიქტი შეიძლება

გადაწყდეს ან ფასეულობათა გაცვლის (დაახლოების) გზით, ან კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიერ თავის ფასეულობებზე უარის თქმით. ხელმძღვანელებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის ფასეულობათა კონფლიქტის გადაწყვეტაში წამყვანი როლი ხელმძღვანელებს უკავიათ. საქმე ისაა, რომ ხელმძღვანელი, როგორც წესი, გავლენას ახდენს დაქვემდებარებულებზე, რაც იწვევს ამ უკანასკნელთა ტრასფორმაციას. თანამშრომელთა ძლიერი მხარეები: მიზანსწრაფულობა, შემოქმედებითობა, ჟინიანობა, შრომისმოყვარეობა და სხვ. ვითარდება ორგანიზაციის მენეჯერების ზემოქმედებით. იმყოფებიან რა მუდმივ კონტაქტში, ორგანიზაციის თანამშრომლები ითავისებენ ხელმძღვანელთა ფასეულობებს და ადუღაბებენ მას თავიანთ ფსიქიკაში. თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ ადგილი აქვს კონფლიქტს, რომელიც შეიძლება დამთავრდეს თანამშრომლის გათავისუფლებით. ამ პროცესში ხელმძღვანელის როლი პირველხარისხოვნია. თანამშრომელი, რომელიც მიისწრაფვის სამსახურებრივი დაწინაურებისაკენ, როგორც წესი, ახდენს თავისი ფასეულობის შერწყმას ხელმძღვანელის თვალსაზრისსა და ფასეულობებთან. ასეთი ტრანსფომაცია პოზიტიურად ან ნეგატიურად მოქმედებს თანამშრომლის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. მაგალითად, თუ თანამშრომელი მიჩვეულია ნორმირებულ სამუშო დღეს, ხოლო მისი ხელმძღვანელის ქმედებები იწვევს მუშაობის დადგენილი რეჟიმის დარღვევას, მაშინ ამ თანამშრომელს რეალურად ემუქრება ჯანმრთელობის შერყევის საფრთხე, თავისთვის ჩვეული შრომისა და დასვენების რეჟიმის დარღვევით.

წარმატებული ხელმძღვანელობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი პირის ისეთ ლიდერულ თვისებებს, როგორიცაა: ა) სიმტკიცე განუსაზღვრელობის სიტუაციაში; ბ) შექმნილი სიტუაციის გაგებისა და მისი მართვის თავის თავზე აღების უნარი. ასეთი ხელმძღვანელი სწრაფად წვდება საქმის არსს ინტუიციით და ადვილად შედის ხელმძღვანელის როლში; გ) შეუპოვრობა დასახული ამოცანების შესრულებისას; დ) თანამშრომლობის უნარი. ამ თვისების მქონეები ტაქტიანებია, შეუძლიათ ადამიანებთან ურთიერთობა ნებისმიერ დონეზე. პიროვნებათაშორისი კონტაქტების კარგი

უნარის წყალობით, ეხერხებათ დაფარონ სხვებისადმი თავიანთი მტრობა და აგრესიულობა; ე) ინიციატივიანობა და ენერგიულობა; ვ) თავისი თავის იდენტიფიკაცია საქმით. ისინი არ ცდილობენ თავი წარმოაჩინონ ყოვლისშემძლეებად, მათ არ იზიდავს ძალაუფლება როგორც ასეთი, ისინი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულებია მიზნის მიღწევით; ზ) თანაგრძნობის უნარი. მათ შეუძლიათ უთანაგრძნონ ადამიანებს ისე, რომ ამ უკანასკნელებმა თავი არ იგრძნონ უსუსურებად; თ) დამოუკიდებლობა და მოქნილობა; ი) იუმორის გრძნობა. და პიროვნული იდეალის მიზნობრიობა. პრაქტიკით დადასტურებული, რომ უფრო დიდ წარმატებას აღწევენ ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ იუმორის გრძნობა. ამასთან ერთად, კარგი ხელმძღვანელი უნდა იყოს თანმიმდევრული და მუდმივად ცდილობდეს, რომ მისი სიტყვა არ დასცილდეს საქმეს და შეესაბამებოდეს მის პიროვნულ იდეალს.

ხელმძღვანელებზე მსჯელობისას, სასურველია, ცალკე ითქვას ქალებზე. საქმე ისაა, რომ ქალები თავისი ბუნებრივი (ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სხვ.) თვისებებით განსხვავდებიან მამაკაცებისაგან, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მათი შრომის (უპირველეს ყოვლისა, მმართველობით შრომის) ხასიათზე. ისინი, როგორც წესი, მამაკაცებზე უფრო ცუდად ადაპტირდებიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე და არანორმირებულ სამუშაო დღეს ვერ უთავსებენ საოჯახო ზრუნვას. გარდა ამისა, ქალები, არც ისე იშვიათად, ნაკლებმდგრადებია, ნაკლებდამოუკიდებელნი და ნაკლებინიციატივიანებია. ამასთან ერთად, ისინი ნაკლებგაბედულებია, მოიკოჭლებენ სიძნელეთა გადალახვისას, შედარებით ადრე მიდიან პენსიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად პროფესიულად კარგად მომზადებულ ქალს უჭირს მოერგოს მამაკაცურ მოდელზე აგებულ მართვის სტერეოტიპს (განსაკუთრებით ე. წ. მამაკაცური კულტურის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში), რომელსაც ახლავს მამაკაცისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიმკაცრე, ავტორიტარულობა, სიმტკიცე. ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის მსურველი ქალი იძულებულია დაამსხვრიოს ქცევის ძველი სტერეოტიპი და მიიღოს მისი

ბუნებისათვის საწინააღმდეგო ქცევის მოდელი, რასაც პრაქტიკულად ადგილი აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელების ფსიქოლოგიურ შეფასებასაც, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ყურადღებას არ აქცევენ. ეს შეცდომაა, რამდენადაც, კომპანიის მფლობელებიც და დაქირავებული ხელმძღვანელებიც ჩვეულებრივი ადამიანებია, გარკვეული საკუთარი ამბიციებით. მათი პირადი ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. კომპანიის მფლობელთა მიზნები ორგანიზაციის დაქირავებული ხელმძღვანელებისათვის არის ორიენტირი მხოლოდ მანმადე, სანამ იგი წინააღმდეგობაში არ მოვა მის პირად ინტერესებთან (მიზნებთან). მის მიერ მართული ორგანიზაციის წარმატება მისთვის ესაა არა თვითმიზანი, არამედ საკუთარი ამოცანების გადაწყვეტის საშუალება– ფინანსურის, სოციალურის (ირგვლივმყოფთაგან აღიარება, ელიტისადმი მიკუთვნება), ფსიქოლოგიურის (ძალაუფლების მოპოვება, ადამიანებზე კონტროლი, პროცესების მართვის შესაძლებლობა) და ა. შ. ფსიქოლოგების დაკვირვების მიხედვით, არც ისე იშვიათად, მესაკუთრისა და დაქირავებული ხელმძღვანელის მოსაზრებებს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ შეუძლებელია მათი ერთად მუშაობა. ამ საკითხში ქართული და დასავლური მიდგომები კარდინალურად განსხვავებულია. დასავლურ კომპანიებში თანამშრომელთა მკაცრად რეგლამენტირებული თანამდებობრივი მოვალეობები მაქსიმალურად გამორიცხავს პიროვნულ ფაქტორს. სანამ დაიწყებდნენ საჭირო ხელმძღვანელის (მმართველის) ძებნას, დასავლური ფირმები აბსოლუტურად მკაფიოდ განსაზღვრავს: ვინ სჭირდება მათ, რატომ და სად მოძებნონ იგი, განსაზღვრავენ მისი ამოცანების თვალსაწიერსა და პასუხისმგებლობის ზომებს და ზუსტად და დეტალურად შეაქვთ იგი მასთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში (კონტრაქტში). ჩვენთან მესაკუთრეს იშიათად წარმოუდგენია თავისი თავი ფინანსურ ინვენსტორად, რომელიც მხოლოდ თვალყურს უნდა ადევნებდეს ორგანიზაციის საქმიანობას და, უკიდურესი აუცილებლობის გარდა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს ხელმძღვანელის საქმიანობაში. სამწუხაროდ, საქართველოში მესაკუთრეები ხშირად უხეშად ერევიან ხელმძღვანელის ყოველდღიურ საქმიანობაში

და, ამდენად, ირღვევა ერთმმართველობის პრინციპი. ამით კი, უპირველეს ყოვლისა, ზარალობს ორგანიზაცია (კომპანია, ფირმა და ა.შ.).

თანამედროვე ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **უფლებამოსილებათა დელეგირების უნარის ფლობა.** ამ საკითხზე არსებობს ორი ერთანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება. ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება უფლებამოსილებათა დელეგირებას და მოქმედებს დევიზით: "თუ გინდა, რომ რაღაც გაკეთდეს კარგად, გააკეთე იგი თვითონ". ასეთი მმართველები ისწრაფვიან ჩასწვდნენ ყველა წვრილმანს, ზოგჯერ თვითონ ასრულებენ ისეთ სამუშაოებს, რომლებიც უნდა შეასრულონ დაქვემდებარებულებმა. ხელმძღვანელთა ნაწილის ასეთ ქცევას აქვს ღრმა ფსიქოლოგიური მიზეზი. ერთ ნაწილს აშინებს არ დაკარგოს კონტროლი ორგანიზაციაზე და არ დაზარალდეს დაქვემდებარებულებთან მისი ურთიერთობა, მეორენი ამით (მომუშავეთა საქმიანობაში ჩარევით) იკმაყოფილებენ თავიანთ თავმოყვარეობას, ზოგიერთს კი მომუშავენი წარმოდგენილი ჰყავს როგორც ცხვრის ფარა, რომელსაც არ შეუძლია ნაბიჯის გადადგმა გამძღოლის გარეშე. აქ თავისებურ როლს თამაშობს ე. წ. "ეშმაკი" თანამშრომლების მანიპულაციაც, რომლებიც მზად არიან თავიანთი სამუშაო და პასუხისმგებლობა გადააკისრონ სხვებს, მათ შორის ხელმძღვანელობას. ამერიკელი მენეჯერები ასეთ ადამიანებს უწოდებენ "უფროსის კისერზე შემჯდარ მაიმუნებს". ცხადია, უფლებამოსილებაზე ასეთი შეხედულება ღრმად მცდარია. კარგი ხელმძღვანელი არ ერევა წვრილმან საქმეებში, იგი ძირითადად განიხილავს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და გზებს, ხოლო მართვის სხვადასხვა ფუნქციას ანაწილებს ცალკეულ შემსრულებლებს შორის და ახორციელებს ცონტროლს მათ საქმიანობაზე. შემთხვევითი არაა, რომ მრავალი მსხვილი კორპორაციის "მმართველობითი პერსონალის მოქმედების წესებში" არის ასეთი შინაარსის დებულება: ხელმძღვანელს არ აქვს უფლება შეასრულოს სამუშაო, რომლის შესრულება შეუძლია მისი დაქვემდებარებულებიდან რომელიმეს. ხელმძღცანელი უნდა შემოიფარგლოს საკუთარი ფუნქციების შესრულებით, არ უნდა დახარჯოს დრო და

ძალა დაქვემდებარებულის ფუნქციის შესრულებაზე, ცხადია, იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების ცხოვრებისა და ჯანმრთელობის საშიშროებასთან.

ახლა მოკლედ იმ პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ხელმძღვანელთა საქმიანობაში: **1. მესაკუთრეებთან დამოკიდებულება.** უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი, სოციალურ იერარქიაში მაღალი მდგომარეობისა და დიდი ამბიციების მიუხედავად, მაინც რჩება დაქირავებულ მომუშავედ. ამიტომ, ცხადია, იგი უნდა იყოს ლოიალური კომპანიის მფლობელების მიმართ, თანაც, ნებისმიერი მდგომარეობისას, იგი უნდა დარჩეს მათი გუნდის წევრად. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მიდის დაკავებული თანამდებობიდან ან მას უშვებენ. სამწუხაროდ, ბევრი დაქირავებული ხელმძღვანელი ივიწყებს ამ უბრალო ჭეშმარიტებას. ამიტომაა, რომ დღეს ხელმძღვანელების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ურთიერთობა კომპანიის მფლობელებთან. არც ისე იშვიათად, მესაკუთრეებსა და მათ მიერ დაქირავებულ მმართველებს შორის მიმდინარეობს "ნამდვილი ომი" ორგანიზაციაში ლიდერობისათვის და თანამდებობრივ უფლებამოსილებათა გადანაწილებისათვის. მესაკუთრეებს ეშინიათ არ დაკარგონ ბიზნესზე გავლენა ნაწილობრივ ან მთლიანად. დაქირავებული ტოპმენეჯერები კი, თავის მხრივ, უკმაყოფილოა მათდამი წაყენებული მოთხოვნებით, მათი ეფექტური ხელმძღვანელობისათვის არასაკმარისი უფლებამოსილების გამო, მესაკუთრეთა მხრიდან მათი საქმიანობის არაობიექტური შეფასებისათვის და ა.შ.

2. ვიწრო პროფესიონალიზმის პრობლემა. მენეჯმენტში ვიწრო პროფესიონალიზმი მუშაობს თანმდებობრივ კიბეზე აღმასვლის საწინააღმდეგო მიმართულებით. პრაქტიკით დადგენილია, რომ მართვითი პირამიდის მწვერვალთან მიახლოების კვალობაზე, აუცილებელი ვიწროსპეციალიზებული ცოდნის საჭირო სიდიდე მცირდება. ამიტომ, დიდი საწარმოს დირექტორისათვის ან მსხვილი კორპორაციის პრეზიდენტისათვის არაა აუცილებელი წარმოების ტექნოლოგიის იმდენად დაწვრილებით ცოდნა, როგორც ეს მოეთხოვება მთავარ ინჟინერს, მითუმეტეს, თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარების პირობებში, ეს ცოდნა თითქმის მთლიანად ძველდება რამდენიმე წელში. თუმცა,

მთავარმა მენეჯერმა უნდა იცოდეს: წარმოებრივი პროცესები შეესაბამება თუ არა მსოფლიო სტანდარტებს, როგორია ტექნოლოგიური და ეკონომიკური კავშირები საწარმოებს შორის, რომელია შედარებით უფრო პესპექტიული სახეობის პროდუქცია და ა. შ. ხელმძღვანელის კარიერის განსაღვრულ ეტაპზე იცვლება მართვის ვერტიკალური კიბის გაგება. იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გავლენის წრის გაფართოება. ბევრი უმაღლესი ხელმძღვანელის აღიარებით, მათ კარიერულ ზრდას ახლდა პრიორიტეტების საინტერესო ცვლა. პირველ ეტაპზე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებას, ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაგროვებას. სამსახურებრივ კიბეზე დაწინაურების კვალობაზე, მთავარი ხდება სულ სხვა საგნები: ამბიციების ზრდა, მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ურთიერთობა აქციონერებსა და საწარმოთა მფლობელებთან, "ელიტურ საზოგადოებაში" მოხვედრის შესაძლებლობა. კარიერა იძენს ახალ აზრს–არა უბრალოდ "სამსახურებრივი მოძრაობა" და მეტი ფულის გამომუშავება, არამედ უფრო ხელსაყრელ კონტრაქტებზე მუშაობა, "დიდ თამაშში" მონაწილეობა და სხვ. როცა საშუალო რგოლის ყოფილი მენეჯერი იკავებს მაღალ თანამდებობრივ პოსტს, მისთვის პროფესიული ცოდნა და უნარი ხდება ნაკლებ აქტუალური, ვიდრე ადამიანებთან ურთიერთობის დალაგება და მათთვის ყურადღების მიპყრობა. ზოგიერთს ეს არ ესმის და ეფლობა ვიწრო პროფესიონალიზმში. ისინი მოვლენებს ხედავენ დანაწევრებულად და არა მთლიანობაში. განსაკუთრებით ეს დამახასიათებელია იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, რომლებმაც კარიერული ზრდა დაიწყეს იქვე ნულიდან და განვლეს მისი ყველა ეტაპი. ასეთი კანდიდატურა საწარმოთა მფლობელებისათვის ყოველთვის ითვლებოდა მომგებიანად, რადგან ასეთმა ხელმძღვანელმა დაწვრილებით იცის ვიწრო ადგილები და ძველი პრობლემები. თუმცა, არც ისე უსაფუძვლოდ, ზოგიერთი მკვლევარისა და გამოცდილი პრაქტიკოსის მოსაზრებით, ასეთი ხელმძღვანელი ხშირად კონსერვატორია, რამდენადაც შეგუებულია ორგანიზაციაში არსებულ წესს (იგი ხომ მის ფორმირებაში უშუალოდ მონაწილეობდა) და არც ისე უყვარს რაიმე ცვლილებებზე, თუნდაც პროგრესულზე, წასვლა.

ამიტომ, ისინი თვლიან, რომ უმჯობესია დიდი ორგანიზაციების უმაღლეს ხელმძღვანელად დაინიშნოს სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი გარედან მოწვეული პირი, რომელსაც უკეთ შეუძლია განსაზღვროს განვითარების ახალი გზები, ტრადიციებისა და ორგანიზაციაში დამკვიდრებული სქემისაგან ყურადღების მიუქცევლად. თუმცა, გარედან მოწვეული პირი ეჯახება სხვა პრობლემებს. მას არ აქვს კოლეგებთან ურთიერთობის ისტორია, ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობს ორგანიზაციის პრობლემებს და ა. შ. ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრება ასეთია: მოცემულ პრობლემაზე ცალმხრივად მიდგომა შეცდომაა. ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელის დანიშვნისას, მიზანშეწონილია ე.წ. "ოქროს შუალედის" პრინციპით მოქმედება, ანუ მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც პირველი, ასევეე მეორე ფაქტორი, ყოველი კონკრეტული შემთხვევისას არსებული პირობების გათვალისწინებით. ამასთან, ყველა დონის ხეიმძღვანელის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს დასაწინაურებელი პირის ინდივიდუალური და საქმიანი თვისებები; **3. არაადეკვატური თვითშეფასება.** მისი მიზეზებია: თავბრუდახვევა წარმატებებისაგან, კრიტიკულობის შეგრძნების შემცირება, ყოვლისშემძლეობის განწყობა და სხვ. არაადეკვატური თვითშეფასება ვლინდება ინფორმაციის არასწორად აღქმის შემთხვევაშიაც. ხელმძღვანელის მიერ თავისი კომპეტენტურობის თვითშეფასების უუნარობა ხელმძღვანელს უბიძგებს ისეთი ამოცანების შესრულებაზე შეჭიდებას, რომლის ძალა მას არ შესწევს. თვითშეფასების არაადეკვატურობის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებისათვის. საქმე ისაა, რომ, როგორც პრაქტიკითაა დადგენილი, ობიექტური ინფორმაციის რაოდენობა, რომელსაც ხელმძღვანელი ღებულობს თავისი პიროვნების შესახებ, დაკავებული თანამდებობის დონის უკუპროპორციულია, ანუ რაც უფრო დიდი თანამდებობა უკავია ადამიანს მმართველობით იერარქიაში, მით უფრო ნაკლებია თავის თავზე კრიტიკული ინფორმაცია. ამის მიზეზი ისაა, რომ ცოტაა დაქვემდებარებულებიდან ისეთები, რომლებიც გაბედავენ დიდი ბოსის გაკრიტიკებას და მისი ყველა ნაკლისა და გადაცდომის გამომზეურებას. არაადეკვატური შეფასების მიზეზია, აგრეთვე, ორგანიზაცი-

ის შიგნით ინფორმაციული ბარიერის არსებობა. ამიტომაა, რომ დასავლელი მენეჯერები ყოველმხრივ ცდილობენ კომპანიის შიგნით ინფორმაციული ბარიერები მოშალონ და წაახალისონ ორგანიზაციის თანამშრომლებთან არაფორმალური დამოკიდებულება. ჩვენში კი ძველებურად ცდილობენ გაარიდონ დაქვემდებარებულები თავიანთ ხელმძღვანელებს კაბინეტების მისაღებებით, ტელეფონების გროვათი, მდივან-რეფერენტებით, რომლებიც ყველანაირად ართულებენ ხელმძღვანელთან მისასვლელს. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გამოჩნდება, როგორც მას სამართლიანად უწოდებენ, ე. წ. "ტვინების ჟანდარმი". ჩვეულებრივ, ესაა დიდი ბოსის ფავორიტი– მისი უახლოესი მოადგილე ან რეფერენტი. იგი ნებაყოფლობით იცავს უფროსს ნებისმიერი ინფორმაციისაგან, რომელსაც შეუძლია იგი გააღიზიანოს. "ტვინების ჟანდარმი" ცდილობს დაიცვას თავისი ლიდერი პრაქტიკულად ყველაფრისაგან, რომელსაც შეუძლია შეარყიოს მისი რწმენა თავის "გენიალურობაში".სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველგვარი კრიტიკა, თუნდაც კონსტრუქციული, იბლოკება ჯერ კიდევ ხელმძღვანელთან მის მისვლამდე; **4. ცხოვრების ახალ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უუნარობა.** როგორც ცნობილია ორგანიზაციის ცხოვრებას, ისე როგორც ადამიანისას, შეიძლება ახლდეს სერიოზული კრიზისები, რომელთა გადასაჭრელად აუცილებელია ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება და მათი განხორციელება. ხელმძღვანელმა არ უნდა დაუშვას ორგანიზაციის (ფირმის და ა. შ.) იმ ეტაპში შესვლა, რომელსაც მოსდევს მისი ბაზრიდან წასვლა და ლიკვიდაცია. ამისათვის კი, აუცილებელია ხელმძღვანელს გააჩნდეს ცვლილებებთან ადაპტირების უნარი და, აქედან გამომდინარე, მოქნილად ვარირებდეს ხელმძღვანელობის სტილს. ეს, სამწუხაროდ, ბევრს არ გამოსდის. ხშირად ზოგიერთი ხელმძღვანელი ებღაუჭება მმართველობის იმ ერთ სტილს, რომელიც ეფექტური იყო გასულ პერიოდში, მაგრამ არ პასუხობს ინტენსიური ზრდისა და მიღწეული პოზიციების შენარჩუნების სადღეისო მოთხოვნებს. ამის შედეგად ფირმა კარგავს კონკურენტუნარიანობას. მსოფლიო პრაქტიკაში ბევრია მაგალითი, როცა ზემოაღნიშნული მიზეზით, არაერთი სახელგანთქმული ხელმძღვანელი აღმოჩენილა გაკოტრებულთა

რიგებში და წასულა დაკავებული თანამდებობიდან. მაგალითად, ჯონ აკერსი XX საუკუნის 80-იან წლებში ითვლებოდა კომპიუტერული ტექნოლოგიის ფლაგმანად და ჰქონდა ნათელი და წარმატებული კარიერა. მიუხედავად ამისა, 1993 წელს გათავისუფლდა უდიდესი კორპორაციის ხელმძღვანელი თანამდებობიდან, რადგან ვერ გაუმკლავდა XX საუკუნის 90-იან წლებში კომპიუტერული მრეწველობის სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებს. შემთხვევითი არაა, რომ თანამედრვე დასავლურ ბიზნესში იშვიათია შემთხვევა, რომ მთავარი მენეჯერი 5 წელზე მეტი ვადით გააჩერონ თავის "კრესლოში". ეს კი კორპორაციებს (კომპანიებს და ა.შ.) საშუალებას აძლევს იყვნენ დინამიკურები, ადეკვატურად რეაგირებდნენ გარემოს სწრაფ ცვლილებებზე. **5. კარიერული ზრდის ავადმყოფობა ანუ "მმართველობითი ნარკომანია"**. არიან ხელმძღვანელები, რომელთა ცხოვრებისეული სტილია–"ხელმძღვანელობა ხელმძღვანელობისათვის". მათ მხრიდან კარიერული ზრდის ავადმყოფობა გამოიხატება ადმინისტრირების მეტისმეტ გაზრდაში, თავისი ძალაუფლებით გატაცებაში. დასაწყისში ასეთი ხელმძღვანელი გამოიყურება როგორც კეთილი და მშვიდობიანი. კომპანია ნელი ტემპით ვითარდება, ხოლო "დიდი ხელმძღვანელის" ზოგიერთ უცნაურობაზე ცოტა ვინმე ამახვილებს ყურადღებას. როგორც ნებისმიერ ნარკომანს სჭირდება "დოზის" მუდმივი გადიდება, ასევე "მმართველობითი ნარკომანი"ცდილობს ფოკუსირდეს თავის პირად ამბიციებსა და ფსიქოლოგიურ კომპლექსებზე და არა საქმის ინტერესებზე. იგი ისწრაფვის დაქვემდებარებულებისა და ტიტულების რაოდენობის გაზრდისაკენ და არა კომპანიის წარმატებული მუშაობისაკენ. ღრმად სძულს და არაფრად აგდებს მათ,ვინც მის სოციალურ კიბეზე დგას. განსაკუთრებულ კლინიკურ შემთხვევებში, მუდმივი სურვილი აქვს საჯაროდ დაამციროს და დაჩაგროს თავისი დაქვემდებარებულები. ამასთან, განიცდის მეტ ზიზღსა და მისწრაფებას იმ მსხვერპლისადმი, რომელიც ყველაზე უფრო სუსტად და უსუსურად გამოიყურება. რომელიღაც მომენტში "მმართველობითი ნარკომანი" მთლიანად კარგავს კონტაქტს რეალობასთან. მისი საქმიანობის ეფექტიანობა მიისწრაფვის აბსოლუტური ნულისაკენ. ხედავენ რა ამას, დაქვემდებარებულები შვებით ამოისუნთქავენ: "დიდება

ღმერთს! უკვე ბევრი არ დარჩა“. საბოლოოდ, ასეთი ხელმძღვანელი და გუშინდელი “ვარსკვლავი“ მომენტალურად ეცემა თანამდებობრივი ოლიმპიდან. ექსხელმძღვანელი იქცევა ლეგენდებისა და ანეკდოტების ოდიოზურ პერსონაჟად. დაქვემდებარებულ პირებზე უკიდურესად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს პათოლოგიური ხასიათის მქონე ან ფსიქოპატი ხელმძღვანელი. ასეთი მმართველი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება როგორც ბიზნესში, ასევე ადამიანური საქმიანობის სხვა სფეროებში. ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი, როცა ფსიქოპატი ხელმძღვანელი არა მარტო ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებს თავის დაქვემდებარებულებს, არამედ ფიზიკურად იცილებს მათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საკუთრების ან ძალაუფლების შენარჩუნებას; **6. ფსიქოლოგიურ- პროფესიონალური გადაწვა.** მაღალი რგოლის ხელმძღვანელთა მუშაობა, როგორც წესი, მიმდინარეობს ექსტრემალურთან მიახლოებულ პირობებში, რაც გამოწვეულია მაღალი პასუხისმგებლობით, მუდმივი სტრესებით, დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვით და სხვ. ამას ახლავს მრავალრიცხოვანი პირადი კონტაქტი, ზოგჯერ მათთვის არასასიამოვნო ადამიანებთან – ძლიერი გრძნობებით და აგრესიით, უნდობლობითა და შურით. ყოველივე ამის შედეგად, ხელმძღვანელთა ერთ ნიწილში ადრე თუ გვიან ჩნდება ფსიქოლოგიურ-პროფესიონალური გადაწვის ნიშნები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გარე და შიგა ფაქტორების მუდმივი ზეწოლის გამო. იგი გამოიხატება მუდმივ აგრესიულობაში, ადამიანებისა და სიტუაციების შეგრძნებათა არაადეკვატურობაში, დაღლილობასა და საქმიანობისადმი ინტერესის დაკარგვაში. ასეთი მმართველები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ამოუწურავთ თავიანთი პროფესიული ზრდის პოტენციალი, იწყებენ თავისი თავის ძებნას სრულიად სხვა ადგილზე. მათ სულ უფრო ხშირად მოსდით აზრი–დატოვონ თანამდებობა და იპოვონ ისეთი სამუშაო, რომელიც იქნება უფრო წყნარი და ნაკლებსაპასუხისმგებლო. ფორმალურად ისინი აგრძელებენ ყველა თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ ეს საქმიანი აქტიურობის მხოლოდ ილუზიაა. ფსიქოლოგთა მოსაზრებით, ასეთ ხელმძღვანელებს ფსიქოლოგიურ-პროფესიული გადაწვის სიმპტომები უჩნდებათ ინტენსიური მმართ-

ველობითი საქმიანობის მეექვსე-მეშვიდე წელს. ზემოაღნიშნული მოვლენიდან თავის დაღწევა არც ისე იოლია. სპეციალისტების, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებულია რიგი რეკომენდაცია ფსიქოლოგიურ-პროფესიონალური გადაწვიდან თავის დასაღწევად. მათ შორისაა: კონსულტაციები ფსიქოლოგთან ან ფსიქოთერაპევტთან, ხანგრძლივი შვებულების აღება, დაკავებული თანამდებობიდან დროებით წასვლა და სხვ. თუ ყოველივე ამან არ მოიტანა სასურველი შედეგი, მაშინ გარდაუვალია დაკავებული თანამდებობის დატოვება და სულ სხვა, უფრო "წყნარი" სამუშაოს ძიება.

What a Modern Manager should be like

N. Paichadze

The article discusses the characteristics of a modern manager and the required skills, criteria and the factors influencing the effectiveness of their activities. The article highlights the problems that might occur in the managers' activities, such as: relationship with the owners, narrow professionalism, inadequate self-assessment, lack of the skills to adequately react to new requirements of life, illness of career advancement or "managerial addiction", psychological and professional burnout.

კონფლიქტის რეგულირების ჰუმანური მეთოდები

ნინო ფარესაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ.ჯავახიშვილის, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი,
მაია ნიკვაშვილი
პროფესორის ასისტენტი

უკანასკნელ ათწლეულებში კონფლიქტოლოგიის თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა გაიზარდა. გარკვეულწილად, ეს დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებთან, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და, კერძოდ, ეკონომიკური პარტნიორების ურთიერთკავშირის გართულებასთან, მეწარმეთა და, საერთოდ, მეურნე სუბიექტების ინტერესების შეჯახებასთან, მწარმოებლებსა და საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს შორის სხვადასხვა წინააღმდეგობათა გამწვავებასთან; სიკეთეების განაწილებასა და მოხმარებაში, მოქალაქეთა სოციალური გარანტიების, უფლებებისა და მოვალეობების დაცვაში დაუბალანსებლობასთან. ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კრიზისული მდგომარეობა, საზოგადოებაში ზნეობრივი მოთხოვნების დაქვეითება, ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ზრდა აისახება კონფლიქტების პრობლემების და მათი რეგულირების პრაქტიკული გზების ძიების ინტერესზე.

საზოგადოება მუდმივად განვითარებაშია, რომლის ერთ-ერთი საშუალებაც კონფლიქტია. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. სინერგეტიკა ხელს უწყობს სწორხაზოვანი აზროვნების დაძლევას. დღეს სულ უფრო ცხადი ხდება ის ფაქტი, რომ რთულად ორგანიზებულ სისტემებს თავს ვერ მოახვევ განვითარების გზებს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების მართვაში უარი უნდა ითქვას

მკაცრი ძალისმიერი ზემოქმედების პრიორიტეტზე, საჭიროა საზოგადოებრივ, ჯგუფურ, პირად ინტერესებზე გავლენის უფრო მოქნილ ფორმებზე გადასვლა. კონფლიქტის მართვის ძირითადი დანიშნულებაა ის, რომ სტიმული მიეცეს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას იმ მიმართულებით, რომელიც შეესაბამება მოძრაობის ობიექტურ ლოგიკას და მნიშვნელოვნად აძლიერებს მისი შემეცნებითი,ანალიტიკური, მიზანგანმსაზღვრელი ფუნქციების როლს.

საზოგადოება და მისი სტრუქტურული ელემენტები წარმოადგენს რთულ სისტემებს, რომელთაც გააჩნიათ არამდგრადობის, მრავალფეროვნების, განვითარების არათანაბარზომიერების,არასწორხაზოვნების (შესასვლელში უმნიშვნელო სიგნალმა შეიძლება გამოიწვიოს საგრძნობი სიგნალი გასასვლელში), ტემპორალურობის (დროის მიმართ მიმდინარეობაზე გაზრდილი მგრძნობელობა) თვისებები. ამიტომაც კონფლიქტოლოგიაში ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს პროცესების, განსაკუთრებით არაწრფივი უკუკავშირის კვლევას. სოციალური კონფლიქტების მართვა ნაკლებად ეფექტურია, თუ აგებულია ზოგადსისტემური თვისებების გაუთვალისწინებლად მთლიანის ნაწილებად დაშლაზე.

სინერგეტიკამ მოგვცა იმის გაცნობიერების შესაძლებლობა, რომ რთულ სისტემებს, როგორც წესი, გააჩნიათ განვითარების რამდენიმე ალტერნატიული გზა, ე.ი არ არსებობს მკაცრი წინასწარგანზრახულობა. გარდა ამისა, მან მოგვცა საშუალება ახლებურად შეგვეხედა დროისათვის. ამჟამად სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს, რომ სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა განისაზღვრება არა მხოლოდ წარსულით, მისი ისტორიით, არამედ იგება და ყალიბდება მომავლისგან, მომავალი მსოფლიო წესრიგის შესაბამისად.

ამიტომაც, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ კონფლიქტების მართვაში აქტიურად მუშავდება მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის მექანიზმების დასაბუთებასთან, თანაც ახალ მეთოდოლოგიურ ბაზაზე.

ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის არსია ის, რომ არა იმდენად ძალა, რამდენადაც მმართველობითი ზემოქმედების სწორად არჩეული კონფიგურაცია განსაზღვრავს მის შედეგიანობას ამა თუ იმ კონფლიქტის რეგულირების პროცესში. კონფლიქტში ძალზე ეფექტიანია რეზონანსული ზემოქმედება.

ამრიგად, წინარეკონფლიქტური სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ იგი ქმნის კონფლიქტის რეალურ შესაძლებლობას, მაგრამ იგი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს „მშვიდობიანი," არაკონფლიქტური გზით, თუ მისი წარმომქმნელი პირობები გაქრება თავისთავად, ან „მოიხსნება" სიტუაციის წინარეკონფლიქტურად აღქმის შედეგად.

შიგაპიროვნული კონფლიქტი ორგანიზაციაში ხშირად რჩება ყურადღების მიღმა. ბევრი ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ სამსახური არაა ის ადგილი, სადაც ადამიანი შეიძლება მოვიდეს პრობლემებით და სადაც ის შეძლებს მისგან თავის დაღწევას. ამასთანავე, ასეთი ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ, რომ შიგაპიროვნული კონფლიქტი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგებზე. უფრო მეტიც, მათ არ ესმით, რომ ორგანიზაციის თანამშრომელთა შიგაპიროვნული კონფლიქტების მიზეზები უკავშირდება ორგანიზაციის შიგნით მათ საქმიან და პიროვნებათშორის კომუნიკაციას. რაც შეეხება თავად შიგაპიროვნულ კონფლიქტების პრობლემას, ის უკავშირდება ადამიანის ამოუცნობ შინაგან სამყაროს. აქედან გამომდინარე, იგი წარმოგვიდგება საკმაოდ რთული სახით, რომლის განსხვავებული ასპექტები აისახება მრავალ ფსიქოლოგიურ კონცეფციასა და თეორიაში.

ნებისმიერი სოციალური სისტემის განვითარების პროცესში, ძველისა და ახლის ურთიერთობისას, ხშირად ვლინდება წინააღმდეგობა სოციალური სუბიექტების ურთიერთქმედებებში, ე.წ. ინოვაციური კონფლიქტის სახით. ინოვაციაში ვგულისხმობთ სოციალურ სისტემაში მიმდინარე პროცესების მთელი ან ცალკეული ელემენტების ახალ საშუალებებს, სტრუქტურას ან ტექნოლოგიებს, რასაც მის ფუნქციონირებაში არსებითი ცვლილებები შეაქვს.

საბოლოოდ, ნებისმიერი სიახლე არღვევს არსებულ რიტმს, პირობებს, ალგორითმებს და ა.შ.

ორგანიზაციაში სუბიექტები, რომლებსაც შეიძლება შეეხოთ ინოვაციები, მრავალგვარია. ეს შეიძლება იყოს პიროვნება, მცირე სოციალური ჯგუფი, სტრუქტურული დანაყოფი, და ა.შ. ამიტომ, ყველაზე ინოვაციური კონფლიქტი ორგანიზაციაში შეიძლება იყოს შიგაპიროვნული, პიროვნებათშორისი და ჯგუფური.

პრობლემური სიტუაციის არაადეკვატურ აღქმას შეიძლება ორგვარი შედეგი მოჰყვეს:

- მან შეიძლება ხელი შეუწყოს ღია კონფლიქტის წარმოქმნის შეკავებას. ეს მაშინ ხდება, როცა პრობლემური სიტუაციის საფრთხე ჯეროვნად არ ფასდება, კნინდება;
- მან შეიძლება ხელი შეუწყოს აშკარა კონფლიქტის შეტევის ფორსირებას, მის ხელოვნურ „გაჩაღებას“. ეს მაშინ ხდება, როცა წინააღმდეგობათა საფრთხე წინაეკონფლიქტური სიტუაციის სტადიაზე გადაჭარბებულია.

მნიშველოვანია ასევე იმ კანონზომიერების ხაზგასმა, რომ პოტენციური კონფლიქტის ოპონენტი შეიძლება დაინტერესებული იყოს წინააღმდეგობების,წინაკონფლიქტურ სიტუაციაში წარმოქმნილი ფაქტორების საფრთხის არაადეკვატური შეფასებითა და აღქმით და, აქედან გამომდინარე, შეგნებულად შეცდომაში შეჰყავთ მომავალი კონფლიქტის სხვა მონაწილეები. პოტენციური კონფლიქტის მოწინააღმდეგის ამ დეზინფორმაციის, დეზორიენტაციის მიზნები წინაკონფლიქტური სიტუაციის საფრთხის შეფასებისას შეიძლება ასევე ორგვარი იყოს: 1) ის შეიძლება მიმართული იყოს ან მომავალი დაპირისპირების შეკავებაზე, ან 2)დაპირისპირების ფორსირებისთვის კონფლიქტის ერთ-ერთი ოპონენტის პროვოცირებაზე. პირველ შემთხვევაში, წინარეკონფლიქტური სიტუაციის წინააღმდეგობათა საფრთხე,შეგნებულად კნინდება,მეორეში კი -დიდდება. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, წინარეკონფლქიტური სიტუაციის შეგნებულად მცდარი შეფასება გამოიყენება ერთ-ერთი მხარის მიერ მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის.

ღია კონფლიქტის სტადიაზე ასევე ცხადი ხდება, რომ არც ერთ მხარეს არ სურს დათმობაზე ან კომპრომისზე წასვლა. პირიქით, დომინირებს დაპრისპირების განაწესი საკუთარი ინტერესების დასამტკიცებლად. ამასთან, ჯგუფებში ობიექტურ წინააღმდეგობებს ხშირად ერთვის პიროვნებათაშორისი განსხვავებები, რაც ამძაფრებს სიტუაციას. ასეთია კონფლიქტის განვითარების შეუჩერებელი პროცესის ზოგადი ლოგიკა. თუმცა, ამ პროცესშიც შეიძლება გამოიყოს შიგა ეტაპები, რომლებიც ხასიათდება დაძაბულობის განსხვავებული ხარისხით, რაც კონფლიქტოლოგიაში აღნიშნულია ტერმინებით: ინციდენტი, ესკალაცია, კონფლიქტის დასასრული.

პოსტკონფლიქტური ეტაპი, როცა ლიკვიდირებულია დაძაბულობა და საბოლოოდ ნორმალიზდება ურთიერთობები მხარეებს შორის, უპირატესობა ენიჭება თანამშრომლობასა და ნდობას. ამასთან, აუცილებელია ერთი პრინციპული მომენტის დათქმა, რომლის არსია ის, რომ კონფლიქტის დასასრულს ყოველთვის როდი მოსდევს მშვიდობა და თანხმობა. ხშირად ისეც ხდება, რომ ერთი კონფლიქტის დასრულება ბიძგს აძლევს სხვა წარმოებულ კონფლიქტს ადამიანთა ცხოველქმედების სრულიად სხვა სფეროებში.

კონფლიქტებს შეიძლება ჰქონდეს რაციონალური და ემოციური ბუნება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების გადაწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს: მიზანმიმართული ზემოქმედება მიზეზებსა და მისი წარმოქმნის პირობებზე; მეტოქეთა განაწესებისა და ფასეულობითი ორიენტაციის შეცვლა.

კონფლიქტის გადაწყვეტის ეს ხერხები რეალიზდება ორგანიზაციული, სოციოკულტურული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა მნიშვნელოვანი პარადიგმებით.

კონფრონტაცია – მმართველობითი კონფლიქტების კიდევ უფრო ღრმა ფორმაა, რომელიც ხასიათდება მკაცრი კონკურენციით, მართვის სუბიექტების კარიერულ მისწრაფებებზე უკირურესი ზომებისა და მეთოდების გამოყენებით: ჯგუფური პროტესტები, მეტოქის განთავისუფლება სამსახურიდან და ა.შ. სხვაგვარად რომ

ვთქვათ, კონფრონტაცია მართვის კონფლიქტის ყველაზე მძაფრი ფორმაა, რომელსაც არსებული მართვის სისტემა ლიკვიდაციამდე მიჰყავს.

მართვის სფეროში კონფლიქტების გადაწყვეტის უშუალო სუბიექტები ხელმძღვანელებია. მთავარი როლი ამ პროცესში მიეკუთვნება იმ ქვეგანყოფილების ხელმძღვანელს, რომელშიც წარმოიქმნა კონფლიქტი, ანდა მაღალი რანგის მენეჯერს. კონფლიქტების მართვის რეგულირებისა და გაფრთხილების მიზნით, მნიშვნელოვანია ნებისმიერი რანგის მმართველმა მოაგვაროს უკუკავშირი მართვის ყველა ობიექტთან. ეს, პირველი აუცილებელი პირობაა კონფლიქტების თავიდან არიდების და მართვის ქმედებებისთვის. მეორე პირობას წარმოადგენს მართვის სტილის, ფორმების, მეთოდების, საშუალებების მუდმივი კორექცია, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს დაქვემდებარებულებზე ზემოქმედების განსხვავებულ ფორმებს:

• პირდაპირი ზემოქმედება: ბრძანება, დირექტივა, მითითება, დავალება; • ზემოქმედება მოტივებით: მოთხოვნილებათა და ინტერესების სტიმულირება სასურველი მოქმედების მიღწევის მიზნით;

• ფასეულობათა სისტემით მოქმედება: განათლება, აღზრდა, ინფორმაცია;

• სოციალურ გარემოზე ზემოქმედება: ორგანიზაციაში სამუშაო პირობების, სტატუსის,ურთიერთქმედებათა სისტემის ცვლილება და სხვ.

კონფლიქტების გადაწყვეტის სოციალურ-ფსიქოლოგიური პარადიგმის ცხოვრებაში გასატარებლად, მარეგულირებელი ზემოქმედების ობიექტია კონფლიქტის მონაწილეების ფსიქოლოგიური განწყობა, მოტივაცია, ასევე პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ხასიათი და შინაარსი.

სრულიად სხვაგვარი ხასიათსაა კონფლიქტის რეგულირების ჰუმანური მეთოდები. იგი ემსახურება არა მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის მიზნებს, არამედ შეიძლება ასრულებდეს პროფილაქტიკურ როლსაც, თავიდან ირიდებდეს კონფლიქტებს, განსაკუთრებით –

დესტრუქციულს.

კონფლიქტის რეგულირების ჰუმანური მეთოდები შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად:

1. ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც განეკუთვნება არა მხოლოდ კონფლიქტურ ურთიერთქმედებებს, არამედ ადამიანთა ნებისმიერ ურთიერთობას. მათ რიცხვს განეკუთვნება ისეთი წესები, როგორიცაა: მუდმივი ყურადღება მოსაუბრისადმი, მისი მოთმინებით მოსმენის უნარი; კეთილმოსურნე, მეგობრული, პატივისცემით მოპყრობა მისდამი; საუბრის ტემპის, რიტმის ერთგვარი შენელება იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მოსაუბრე ზედმეტად აღელვებულია; პარტნიორის თანაგრძნობა, ევთანაზია;

2. მეთოდების ბლოკი, რომელიც გამოიყენება კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების მიზნით საუბრის, მოლაპარაკებების საწყის, სიტყვიერამდელ ფაზაზე. ამ ფაზაზე თანამოსაუბრეს, საუბარში ჩაურევლად, უნდა მიეცეს შესაძლებლობა ბოლომდე გამოთქვას თავისი აზრი, როგორც იტყვიან„„გამოუშვას ორთქლი“; მიმიკით, ჟესტებით მიანიშნოთ, რომ გესმით პარტნიორის მდგომარეობა;

3. ძირითადი რეკომენდაციები საუბრის ან მოლაპარაკებების მეორე, ძირითად ფაზაზე შეიძლება იყოს შემდეგი: საჭიროა, თუნდაც მოკლე ხნით, გადავიტანოთ მოსაუბრის ყურადღება კონფლიქტის საგნიდან სხვა თემაზე, მივცეთ მას მცირეოდენი შვება ემოციური დაძაბულობის შემდეგ; ჩამოვჯდეთ, მაგრამ სასურველია არა პირისპირ, რადგან ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს აძლიერებს კონფრონტაციას, არამედ გვერდით, დაახლოებით ნახევარ მეტრში; მხოლოდ ასეთი წინასწარი ქცევითი აქციების შემდეგ უნდა შევუდგეთ კონფლიქტის გამომწვევი პრობლემის განხილვას; ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, სასარგებლოა საკუთარი დანაშაულის აღიარება დაპირისპირების წარმოქმნაში; საჭიროა თანამოსაუბრის სიმართლის აღიარება იმ პუნქტებში, რომლებშიც იგი მართალია;

განხილვის პროცესში მნიშვნელოვანია მხარეთა ინტერესებში ერთიანობის ხაზგასმა და არა მხოლოდ განსხვავებებზე აპელირება; არანაკლებ მნიშვნელოვანია

ყურადღების მიქცევა თანამოსაუბრის საუკეთესო თვისებებზე, რაც დაეხმარება მას თავისი მღელვარების დაძლევასა და არსებული სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავლის მოძებნაში; და, რა თქმა უნდა, უმჯობესია უთანხმოების გამომწვევი საკითხი მაშინათვე ან უმოკლეს ვადაში გადაწყდეს, რადგან დაყოვნება, როგორც წესი, მხოლოდ ამძიმებს სიტუაციას.

უნივერსალური ხასიათის რეკომენდაციები, რაც ქმნის სპეციალური, ოპერატიული ხერხების ბლოკს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს რთულ კონფლიქტურ სიტუაციებში. ეს გულსხმობს სუსტი ადგილების გათვალისწინებას თანამოსაუბრის პოზიციაში, ასევე, მის პიროვნულ სუსტ წერტილებს. რიგ შემთხვევაში,უნდა ვაჩვენოთ თანამოსაუბრეს, რომ მის მიერ ზედმეტად ხაზგასმული თავაზიანი ტონი საკმაოდ მკვახეა; ზოგჯერ საჭიროა პარტნიორის მისამართით უფრო ძლიერი აგრესიის გამოვლენა, ვიდრე მის მიერ დემონსტრირებული აგრესიაა; შეიძლება თანამოსაუბრის საქმის კურსში ჩაყენება კონფლიქტური სიტუაციის იმ ნეგატიური შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მან პირადად იწვნიოს ან კიდევ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებამ შეიძლება ნეგატიური შედეგები მოუტანოს იმ ადამიანებს, ვისი მოსაზრებებიც მისთვის მნიშვნელოვანია.

კონფლიქტის მოგვარების ძირითადი საშუალებებია:

განაწესების შეცვლა ჯგუფის წევრებთან მიმართებით. ეს ხერხი აუცილებელია, პირველ რიგში, ემოციური კონფლიქტების გადაჭრისას, როცა მთელი ყურადღება გადატანილია მეტოქეთა პიროვნებებზე. ამიტომაც, სასარგებლოა თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა, რომელიც მოქიშპე ჯგუფებს შესაძლებლობას აძლევს ერთობლივი საქმიანობის მსვლელობისას შეაფასონ მეტოქეები როგორც პარტნიორები. კონფლიქტის ასეთნაირად მოგვარებისას შესაძლებელია უარყოფითი სტერეოტიპების კორექციის, მიზნების, პრიორიტეტების ცვლილების მეთოდების გამოყენება.

ასევე, მნიშვნელოვანია **სოციალური სამსახურის წევრთა მოტივაციის შეცვლა.** იმდენად, რამდენადაც მოტივაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ძალა, რომელიც უბიძგებს მოქმედებისკენ,ხოლო კონფლიქტის დროს მოტივაცია მიმართულია კონფლიქტურ ურთიერთქმედებათა გააქტიურებისკენ. ცხადია,კონფლიქტურ ურთიერთქმედებათა ინტენსივობის მართვისათვის საჭიროა მოტივაციის შესუსტება მეტოქის მიმართ წინააღმდეგობაზე. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს კონფლიქტის არარაციონალურობის დემონსტრაციის, მისი გამანადგურებელი შედეგების, უკონფლიქტო მუშაობის მიმზიდველობის გზით. იგივე ეფექტის მიღწევა შეიძლება კონფლიქტის მონაწილეთა მოტივაციით საქმიანობის ძირითადი სახეობებისადმი. სოციალური მუშაობისადმი ძლიერი მოტივაციის გაჩენა იწვევს სოციალური სამსახურის წევრთა განრიდებას კონფლიქტში მონაწილეობისგან.

არაფორმალური ლიდერების შემოყვანა– კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ძველი და აპრობირებული მეთოდია. როგორც ცნობილია, არაფორმალურ ლიდერებს შეუძლიათ არა მხოლოდ კონფლიქტების ორგანიზება, მისი მონაწილეების საქმიანობის წარმართვა, არამედ კონფლიქტის ემოციური ატმოსფეროს შექმნა (მხარს უჭერენ სიძულვილს, ბრძოლის განაწესებს). ამასთან დაკავშირებით, ახალი ლიდერის მოსვლამ შეიძლება კარდინალურად შეცვალოს ურთიერთდამოკიდებულებები კონფლიქტის მონაწილეებს შორის. კონფლიქტის მოგვარების ამ ხერხის ძირითადი სიძნელე ისაა, რომ ახალი ლიდერი უნდა მიიღონ სოციალური სამსახურის კოლექტივში, მოისმინონ მისი რჩევები, დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს მწვავე კონფლიქტის პირობებში.

სასურველია ემოციური ატმოსფეროს შექმნა. კონფლიქტის მიზეზების უმრავლესობა დაკავშირებულია საერთო უკმაყოფილებასთან, დაუკმაყოფილებლობასთან, სიძულვილთან, რაც მიმართულია სოციალური სამსახურის

ყველა სხვა წევრზე. ამიტომაც, კონფლიქტის ინტენსივობის დაქვეითების ერთ-ერთი ხერხია სასურველი ემოციური ატმოსფეროს შექმნა, რომელიც მოიცავს კონფლიქტის ყველა მონაწილეს. ამასთან, მცირდება კონფლიქტური ურთიერთქმედებების ინტენსივობა.

სოციალური სამსახურის წევრების ქცევაზე მანიპულაციური ზემოქმედება. ქცევის მართვის თანამედროვე საშუალებები დაკავშირებულია კონფლიქტის მონაწილეთა შეგნებაზე მანიპულირებით, როცა მართვის საფუძველი კონფლიქტის მონაწილეების ქვეცნობიერზე ზემოქმედებაა, რაც ხორციელდება ფსიქოლოგიური ბარიერების გვერდის ავლით. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა კომუნიკაციური არხი, რისი მეშვეობითაც გადაიცემა სპეციალურად მომზადებული შეტყობინებები. შეტყობინებათა მომზადებაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ პროფესიონალი ფსიქოლოგები,რომელთაც ძალუძთ კონფლიქტის მონაწილეთა ქვეცნობიერზე ზემოქმედება მათი რეპრეზენტაციული სისტემების მეშვეობით.

Humane Methods of Conflict Regulation

N. Paresashvili
M. Nikvashvili

The article discusses conflict regulation mechanisms, mainly humane methods of conflict resolution. They not only focus on resolving conflicts, they may also have preventive function – to prevent conflicts, especially destructive ones.

Therefore, the authors think that in conflict regulation it's necessary to say no to the priorities like strict forceful measures. It is necessary to transfer to more flexible forms of influence on public, collective and personal interests. The main function of conflict management is to stimulate development of socio-economic development in the direction corresponding to objective logic of movement and significantly increases the role of its cognitive, analytical and aim-defining functions.

სასწავლო მიგრაციის ტენდენციები და კანონზომირებები გლობალიზაციის პირობებში

მანანა ლობჟანიძე
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

საქართველოში მოსახლეობის ლტოლვა ზოგადად განათლების, კერძოდ კი, უმაღლესი განათლებისაკენ ტრადიციულად მაღალია და რიგ შემთხვევაში რაციონალურობის საზღვრებსაც კი სცილდება. თუმცა, ამ პროცესს საფუძვლად სრულიად ობიექტური გარემოება უდევს. საქართველოში საზოგადოება კვლავ სოციალურ სტატუსზეა ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სტატუსი არსებითად განსაზღვრავს პიროვნებისადმი დამოკიდებულებას, პიროვნებისა და ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას[1].

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული. ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვლათს, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდები დამოუკიდებლები არიან და

[1] ც. ანთაძე, სოციალური რისკები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 2002, გვ. 11.

გადაწყვეტილებების მიღებაშიც შეიცვალა პრიორიტეტები. ოჯახური ტრადიცია ნაკლებად განმსაზღვრელი გახდა და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კარიერის შექმნის პერსპექტივას და შრომის მაღალ ანაზღაურებას.

ახალგაზრდების დასაქმების ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირში განხილვა, განათლებისა და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

შრომის ბაზრის მკვლევარები, დასაქმების სამსახურების ექსპერტები, პროფკავშირების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რეფორმები განათლების სფეროში.

სწორედ განათლების რეფორმის შედეგია სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა პროფესიული კოლეჯების პოპულარიზება და გაძლიერება. ამ მხრივ არაერთი ღონისძიება გატარდა, კანონში შევიდა ცვლილება, კოლეჯების უმეტესობა რეაბილიტირებულია. საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით შეიქმნა თანამედროვე სახელმძღვანელოები, პროფესიული კოლეჯები აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებით. რეფორმის ფარგლებში დაიგეგმა პროფესიული კოლეჯის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება.

საქართველოს მთავრობამ პროფესიული განათლების რეფორმის მიზნად დაისახა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას. პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე მომზადდა ევროკავშირის „პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერის პროგრამა."[1]

ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების

[1] www.mes.gov.ge

საქმიანობა ფასდება მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხით, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში (სტაჟირება და პროფესიული პრაქტიკა, დროებითი დასაქმება სწავლის პერიოდში, შრომითი მოწყობა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ), ასევე სტრატეგიული ამოცანების სწორად განსაზღვრასა და გადაწყვეტაში. ამ ამოცანებიდან უმთავრესია სასწავლო პროგრამების აქტუალურობისა და თავისებურებების გამოვლენა, მისი შესაბამისობა ანალოგიური პროფილის უცხოეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებთან, საკუთარი სპეციფიკის, უპირატესობების დასაბუთება და თავისი სეგმენტის გამოკვეთა როგორც საგანმანათლებლო მომსახურების, ასევე შრომის ბაზარზე.

დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზების არსებობა ვაკანსიების შესახებ, პროფორიენტაციული სამუშაოების ჩატარება სტუდენტებთან, სამეცნიერო სამუშაოების კოორდინაცია შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, ინფორმირებულობა შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო პროგრამებში კორექტივების შეტანა და სპეციალობების პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით სპეციალისტებზე მოთხოვნის ცვლილებების გათვალისწინებით.

სახელმწიფოს კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე განათლებულ ადამიანებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

იმ ქვეყნისათვის, საიდანაც ხდება ახალგაზრდობის მობილობა, ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ უცხოეთში მიდიან ყველაზე მომზადებული,

განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მიგრაციული განწყობა სწორედ ელიტურ სტუდენტ-ახალგაზრდო-

ბაში შეიმჩნევა. მათი აკადემიური მოსწრება და პროფესიული მომზადება მაღალი მახასიათებლებით გამოირჩევა.

უმაღლესდამთავრებულთა მიგრაციას როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეები გააჩნია. ქვეყანა, საიდანაც გადინება ახალგაზრდები კარგავს ინტელექტუალური პოტენციალის მნიშნელოვან ნაწილს (ინვესტირება განხორციელებულია ოჯახის ან სახელმწიფოს მიერ). თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი კადრებით ქვეყანა კვლავ ავსებს როგორც მეცნიერებას, ასევე ეროვნულ ეკონომიკას.

უცხოეთში განათლების მიღებას უნდა შევხედოთ არა ვიწრო ეროვნული პრიზმიდან, არამედ საკადრო პოტენციალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ჭრილში.

„ცოდნის ევროპა» ამჟამად ფართოდაა აღიარებული, როგორც სოციალური და ინდივიდუალური ზრდის უცვლელი ფაქტორი და ევროპის მოქალაქეების კონსოლიდაციისა და სულიერი გამდიდრების აუცილებელი კომპონენტი. მას შეუძლია მისცეს თავის მოქალაქეებს საჭირო კომპეტენცია ახალი ათასწლეულის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და იმის შეგრძნება, რომ ისინი იზიარებენ ერთიან ფასეულობებს და ეკუთვნიან საერთო სოციალურ და კულტურულ სივრცეს[1].

განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის, განსაკუთრებით იმ სიტუაციის ფონზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა.

ამ მოსაზრებებზე დაფუძნებულმა ბოლონიის დეკლარაციამ გამოკვეთა უნივერსიტეტების ცენტრალური როლი ევროპის კულტურულ განზომილებათა განვითარებაში[2].

ბოლონიის პროცესი და მისი შედეგი, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, უმაღლეს განათლებაში რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის უპრეცენდენტო მაგალითია.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა მობილობის, დასაქმების გაუმჯობესებისა და კონტინენტის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

[1] www.mes.gov.ge ბუდაპეშტ-ვენის დეკლარაცია, 2010 წ.
[2] www.mes.gov.ge ბოლონიის დეკლარაცია, 1999 წ.

ახალგაზრდების საერთაშორისო მიგრაციას თან სდევს დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 1/3 სწორედ ახალგაზრდობა შეადგენს.

მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები და „ტვინების გადინება" საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალისათვის უდიდესი გამოწვევაა.

დღეისათვის სასწავლო-პროფესიული მობილობა, წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს პიროვნების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციისათვის. ახალგაზრდას უყალიბდება დამოუკიდებელი ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის გამოცდილება უცხო გარემოში.

ნებისმიერი ერის წარმატებული მომავალი დამოკიდებულია განათლების სისტემის სწორ მოწყობასა და ფუნქციონირების მაღალ ხარისხზე. იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა ეფექტიანია, შესაბამისად ჯანსაღია სახელმწიფოს ყველა წამყვანი ინსტიტუტი.

როგორც ახალგაზრდები, ასევე დამსაქმებლები ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი კომპეტენციები, რომელთა კავშირი ტრადიციულ აკადემიურ განათლებასთან აუცილებელია. ეს კომპეტენციებია: ცოდნის გამოყენების უნარი,ახალ პირობებში ადაპტაციის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.

ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS) არის ევროპის ერთადერთი საკრედიტო სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია ქართული საგანმანათლებლო სივრცე. სწორედ ამის შედეგია საქართველოს უმაღლესდამთავრებულთა მაღალი მობილობა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ინტელექტუალური რესურსების დონორ ქვეყანას. განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა ფუნდამენტურ მეცნიერებათა კურსდამთავრებულებზეროგორც ინტელექტუალურ „საქონელზე".

ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი გამოცდილების უქონლობის, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას

აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნოებას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს დანაშაულებების ზრდას, ოჯახების რღვევას და სხვა ნეგატიურ შედეგებს, რომ არაფერი ითქვას მთლიანი შიგა პროდუქტის იმ დანაკარგებზე, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა სრული დასაქმების პირობებში.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან სწორედ ახალგაზრდობაა საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი, რომელიც მძაფრად რეაგირებს სოციალურ უსამართლობაზე და ერთვება კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში.

აქედან გამომდინარე, საჭირო პასუხი გაეცეს კითხვას: გაუძლებს თუ არა საქართველო იმ კონკურენციას, რასაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები თავაზობს პერსპექტიულ ახალგაზრდებს. ყველა ქვეყანა ცდილობს მიიზიდოს ახალგაზრდა ინტელექტუალები, რომლებიც შრომითი რესურსების ყველაზე მობილურ ნაწილს წარმოადგენენ.

საქართველოდან საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის ძირითადი მარშრუტი ევროპისა და ამერიკის უმაღლესი სასწავლებლებია, განსხვევებით მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულისგან, როდესაც სასწავლო მირაციის ვექტორი მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ იყო მიმართული.

ახალგაზრდების სასწავლო მიგრაციის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია შრომის ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციითა და მადალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნის სურვილით.

ახალგაზრდები ქვეყნის შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსია. ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში შესამჩნევად ცვლის არა მხოლოდ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, არამედ შრომითი პოტენციალის პრო-

ფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას.

ახალგაზრდების მიგრაციის შესწავლისას, აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირით განხილვა, განათლების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

ახალგაზრდობის დასაქმება უმწვავესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემასა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მექანიზმი, ყოველგვარი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად ხდება სპეციალისტების მომზადება. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების გარეშე განათლების მიღება მოსახლეობის უმრავლესობისათვის სულ უფრო ხელმიუწვდომელი იქნება. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება გლობალიზაციის პირობებში. ამის საუკეთესო მაგალითია გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) მუშაობის გაანალიზება და შეფასება.

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური (DAAD) წარმოადგენს აკადემიური გაცვლითი პროგრამის გაერთიანებას გერმანიაში, რომელიც 1925 წელს შეიქმნა.

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. 2010 წლის მდგომარეობით იგი აერთიანებს 232 გერმანულ უმაღლეს სასწავლებელსა და 130 სტუდენტურ ორგანიზაციას. მას გააჩნია 14 უცხოური წარმომადგენლობა და 50 საინფორმაციო ცენტრი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. წელიწადში გასცემს 74 000 სტიპენდიას. ამ სამსახურის ამოცანაა საერთაშორისო აკადემიური კონტაქტების მხარდაჭერა. მისი ბიუჯეტი 376 მლნ ევროა, მათგან სტიპენდიები უცხოელებისათვის შეადგენს 84 მლნ ევროს, სტიპენდიები გერმანელებისთვის 87 მლნ ევროს, უმაღლესი სასწავლებლების

ინტერნაციონალიზაცია 79 მლნ ევროს, უცხოეთში გერმანული ენის სწავლების ფინანსური მხარდაჭერა 48 მლნ ევროს, საგანმანათლებლო პროგრამები განვითარებად ქვეყნებთან 78 მლნ ევროს. [1]

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) ბიუჯეტის შევსება ხდება სხვადასხვა წყაროდან: 86 მლნ ევრო (23%) - განათლებისა და მეცნიერების ფედერალური სამინისტრო, 35 მლნ ევრო (9%) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო, 171 მლნ ევრო (45%) - საგარეო საქმეთა სამინისტრო, 51 მლნ ევრო (14%) - ევროკავშირი და 33 მლნ ევრო (9%) სხვადასხვა წყაროდან.

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური დაფინასებას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ახორციელებს:

1. სტიპენდიები უცხოელებისათვის;
2. სტიპენდიები გერმანელებისათვის;
3. უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაცია;
4. სტიპენდიები გერმენული ენის მხარდაჭერის პროგრამებისათვის;
5. განათლების სფეროში მხარდაჭერის პროგრამა განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ამ ორგანიზაციის ფინანსური მხადაჭერით სარგებლობენ: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დოქტორანტები, პრაქტიკანტები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მეცნიერები. გერმანიასა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების ფარგლებში ყველა სპეციალობით 250-ზე მეტი პროგრამა მოქმედებს.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საქართველოში მკვეთრი დისბალანსია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას შორის, აუცილებელია არნიშნულ და სხვა მსგავს პროგრამებში მაქსიმალურად ჩაერთოს საქართველო. პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, ასევე განათლების სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი რეფორმების გატარებას.

[1] www.daad.de

Tendencies and Natural Characteristics of Educational Migration under Globalization

M. Lobzhanidze

Welfare of the country considerably depends on educated people with high sense of responsibility who acknowledge the importance of their professional activities for the country.

For the country, which young people leave as a result of educational mobility, the most alarming thing is that young people who leave the country and go abroad represent the most educated and hard working part of the young. Willingness of migration is mostly observed in elite students and youngsters who have high academic achievements.

Migration of people with higher education has both advantages and disadvantages. The country, where young people move from, loses considerable part of its intellectual potential (investment is made by families or by the country). Though, some time later the country manages to prepare qualified specialists for the science as well as for national economy.

We should discuss the issue of getting education abroad not only through the narrow national prism, but from the point of view of quantitative and qualitative development of the staff potential.

Education and educational cooperation are decisive factors for developing and strengthening stable, peaceful and democratic society.

International migration of young people is followed by demographic, social, cultural and economic consequences. It should be noted as well that young people make one third of the population of developing countries.

Successful future of any country depends on proper arrangement and high quality of functioning of the system of education. The countries with effective systems of education have sound leading institutions.

While studing migration of young people, it's essential to discuss the interaction of economic, social and demographic characteristics and to take into consideration the state policy regulating education and vocational preparation.

საქონლის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა საქართველოს ბაზარზე

ემერ სარჯველაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების
სამსახურის უფროსი სპეციალისტი

განვითარებული კონკურენტული ბაზრის პირობებში საქონლის ხარისხი არის ეფექტიანი საშუალება მომხმარებლის ლოიალობის მოპოვებისა და ბაზარზე დამკვიდრებისათვის. საქონლის კონკურენტუნარიანობა ფირმის კომერციული წარმატების გადამწყვეტი ფაქტორია. ეს მრავალასპექტიანი ცნებაა, რომელიც გულისხმობს შეესაბამება თუ არა საქონელი/მომსახურება ბაზრის პირობებს, მომხმარებლის კონკრეტულ მოთხოვნებს, არა მარტო მისი ხარისხის, ტექნიკური, ეკონომიკური, ესთეტიკური მაჩვენებლებით, არამედ კომერციული და მისი რეალიზაციის სხვა პირობებით (ფასი, მიწოდების დრო, გასაღების არხები, მომსახურება, რეკლამა). უფრო მეტიც, საქონლის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მომხმარებლის მიერ საქონლის ექსპლუატაციაზე გაწეული დანახარჯები. კონკურენტუნარიანობაში იგულისხმება სამომხმარებლო და ღირებულების (საფასო) მახასიათებელთა კომპლექსი, რომელიც განაპირობებს კონკრეტულად ამ პროდუქტის წარმატებას ბაზარზე ე.ი. მის უპირატესობას სხვა კონკურენტების ანალოგიური პროდუქტების ფართო მიწოდების პირობებში [1].

ამიტომ, საქონლის კონკურენტუნარინობა განისაზღვრება კონკურენტების საქონლის ერთმანეთთან შედარებით. რამდენადაც ყოველ მომხმარებელს აქვს საქონლის/მომსახურების შეფასების თავისი ინდივიდუალური კრიტერიუმები, კონკურენტუნარიანობას აქვს აგრეთვე ინდივიდუალური სახეც. პრაქტიკულ საქმიანობასა და თეორიულ კვლევებში ხშირად სვამენ ტოლო-

[1] http://rosinvest.com/page/ocenka-konkurentosposobnosti-tovara-kak-sposob-protivostojanija-rynochnym-analogam

ბის ნიშანს საქონლის ხარისხსა და კონკურენტუნარიანობას შორის ან კიდევ არ ანსხვავებენ მათ ერთმანეთისაგან, კამათობენ იმაზე, რომელია ამ ორი უფრო ცნებიდან მნიშვნელოვანი.

კონკურენტულ ბაზარზე ნათლად იკვეთება კონკურენტთა ეკონომიკური მეტოქეობა. კონკურენცია თვით წარმოადგენს პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ კონკურენტები, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალური მოგების მიღებას და ამისათვის ნერგავენ ინოვაციებს, რესურსებს მაღალეფექტიანად იყენებენ, აუმჯობესებენ საქონლისა და მომსახურების ხარისხს, ამცირებენ წარმოების, რეალიზაციის ან მომსახურების დანახარჯებს და კონკურენტთან შედარებით უფრო ხელსაყრელი ფასებით ყიდიან.

საქონლის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოუდგენელია სამართლიანი, თავისუფალი ბაზრის გარეშე. ამ პროცესის დარეგულირების მიზნით, ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა ბიზნესებს შორის შეთანხმებების დადების, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ბაზარზე ზემოქმედების, მონოპოლიების ჩამოყალიბების და სხვა მსგავსი პროცესების მკაცრ მონიტორინგს ითვალისწინებს.[1]

საქართველო-ევროკავშირს შორის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ხელმოწერით საქართველომ აღიარა ძირითადი პრინციპები, რომლებიც აუცილებელია თავისუფალი კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის[1].

ხარისხის დახასიათება შეიძლება მომხმარებლის და მწარმოებლის მხრიდან. მომხმარებლის აზრით, ხარისხი ესაა პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) თვისებების და მახასიათებლების ერთობლიობა, რაც ანიჭებს მათ თვისებას დააკმაყოფილონ ადექვატური მოთხოვნები მათი დანიშნულების შესაბამისად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) ის თვისებებია, რომელთა წყალობით მომხმარებელი პროდუქციის შეძენით კმაყოფილი რჩება. მომხმარებლისათვის მოცემული პროდუქციის ხარისხი გამოხატავს მის

[1] ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებანი – ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო, თბილისი, 2008.

[2] ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა ევროკავშირი-საქართველო, თბილისი, 2006.

სარგებლიანობას (პროდუქციის სამომხმარებლო თვისება).

მწარმოებლის აზრით, ხარისხი ესაა ობიექტის მახასიათებლების შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მარკეტინგ-მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები ხარისხს განიხილავს მომხმარებლის პოზიციიდან.

ბაზარზე საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველყოფა ხდება ხარისხის და მომსახურების ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებითა და ფირმების სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის გაზრდით. თავისუფალი კონკურენციის პირობებში ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის ძირითადი განმსაზღვრელია პროდუქციის/მომსახურების ხარისხი და ფასი.

"პროდუქტის ყიდვისას, ქართველი მომხმარებლის გადაწყვეტილება, პირველ რიგში, ემყარება ფასს და შემდეგ ხარისხს. თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში მაღალფასიანი და მაღალხარისხიანი პროდუქტი მაინც გასავლიანობით ხასიათდება (განსაკუთრებული საქონელი ბავშვებისა და ქალებისათვის, წვერის საპარსი მამაკაცებისათვის, სიგარეტები, მანქანის აქსესუარები და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ქსელში შედარებით დაბალფასიანი საქონელი ბატონობს, მაღალფასიანი პროდუქტი და ფუფუნების საგნები მაინც პოულობენ კლიენტებს დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებელთა სეგმენტიდან. უცნაურია, მაგრამ იგივე დაბალშემოსავლიანი ჯგუფები იხდიან მაღალ თანხებს პრესტიჟულ ნივთებში, რაც მათ სხვებისაგან გამოარჩევთ". – ესეც კვლევის შედეგად გამოვლენილი ქართველი მყიდველის კიდევ ერთი სპეციფიკურობაა[1].

სურსათის უვნებლობის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო და მასთან დაკავშირებული პრობლემები სათავეს იღებს ჯერ კიდევ უძველეს დროში. უამრავი წესი თუ რეკომენდაცია, რომლებიც გვხვდება ისტორიულ თუ რელიგიური ხასიათის წიგნებში, ადამიანთა სასურსათო პროდუქტებით გამოწვეული დაავადებებისაგან დაცვის აშკარა მცდელობაა. ვინაიდან საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავლები იხარჯება ძირითადად აუცილებელი სასურსათო პროდუქცი-

[1] N.todua, A. Apil,E .Kaynak. Georgian Consumers Evoluation of Products Sourced From a Geographically Close Proximity Country. USA. `Journal of Euromarketing~. 2008, Volume 17. Issue:3/4. p.199-218.

ის შეძენაზე, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა რა მდგომარეობაა საქართველოს სასურსათო ბაზარზე სურსათის ხარისხის, მისი უვნებლობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.ჩვენ მიერ ჩატარებულმა მომხმარებელთა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დაბალი შემოსავლების გამო, მათი 68 % სასურსათო პროდუქტების შეძენისას უპირატესობას ანიჭებს ფასს, ხარისხს - 27% , ხოლო დაბალშემოსავლიანი სეგმენტის - 5% იცვლის დამოკიდებულებას და არჩევანს ხარისხზე აკეთებს იშვიათად, შესაძლებლობისამებრ. დიაგრამაში მოცემულია საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა დამოკიდებულება სასურსათო საქონლის ფასისა და ხარისხის მიმართ.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში სურსათის წარმოების სფეროში მოხდა პრიორიტეტების გადაფასება. ეხლა მისი ხარისხი ფასდება არა მარტო მასში სასარგებლო ნივთიერებების შემცველობით, არამედ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების ზღვრული დასაშვები რაოდენობით ან მათი შემცველობა სასურსათო პროდუქტებში სრულიად იკრძალება.



მომხმარებელთა დამოკიდებულება სასურსათო საქონლის ფასისა და ხარისხის მიმართ საქართველოს ბაზარზე (ფასი; ხარისხი; ხარისხზე არჩევანი შემოსავლის შესაბამისად).

უვნებლობა – სასურსათო პროდუქციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამომხმარებლო თვისებაა და იგი გულისხმობს, რომ პროდუქტმა მოხმარებისას არ უნდა მიაყენოს ზიანი ადამიანის ჯანმრთელობას, როგორც მოკლე ხანში

(სასურსათო პროდუქტებით მოწამვლები და სასურსათო პროდუქტის მოხმარებით გამოწვეული ინფექციები), ასევე, შორეული შედეგებით (კანცეროგენური, მუტაგენური და ტერატოგენური მოქმედება). ამიტომ, სასურსათო პროდუქტის უვნებლობა – თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა და მისი აქტუალობა წლიდან წლამდე იზრდება.

ევროკავშირში **კვების კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნებია:**

საკვები არ უნდა განთავსდეს ბაზარზე, თუ ის არ არის უვნებელი, ე.ი. თუ ჯანმრთელობისთვის საშიშია ან/და საკვებად უვარგისი. უნდა განისაზღვროს მისი მოხმარების და შენახვის ნორმალური პირობები, მომხმარებლისთვის უნდა იქნეს მიწოდებული ინფორმაცია ჯანმრთელობაზე სწრაფი ან შენელებული გავლენის შესახებ, კუმულატიურ ტოქსიკურ ეფექტებზე, და სადაც შესაფერისია, მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიის ჯანმრთელობის მგრძნობელობაზე.

თუ საკვები, რომელიც სახიფათოა (საკვები მიიჩნევა სახიფათოდ, თუ მას აქვს არასასურველი შედეგი ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობაზე), ქმნის პარტიის ნაწილს, ლოტს ან ტვირთს, ტვირთის მთლიანი სიდიდე მიიჩნევა საშიშ საკვებად **(EC)** №178/2002[1] .

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში სავაჭრო კავშირები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, სასურსათო პროდუქტების ქართული ბაზარი გახდა მრავალფეროვანი: დახლები სავსეა თურქული, ირანული, აზერბაიჯანული, რუსული და სხვა წარმოშობის საკვები-პროდუქტებით; ბაზარზე მომრავლდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებული მაღალი ხარისხის პროდუქციაც (ეს უკანასკნელები ძირითადად სუპერმარკეტებში იყიდება და საკმაოდ ძვირადაც), თუმცა მათი შეძენა მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ შეუძლია დაბალი მყიდველობითი უნარის გამო.

ასორტიმენტის მრავალფეროვნება თავისთავად დადებითი

[1] http://www.foodsafe.ge/ge/main.php?id=1253007016

მოვლენაა,რადგანაც ეს ხელს უწყობს თავისუფალი კონკურენციის განვითარებას და წარმოშობს სიტუაციას, როდესაც მყიდველს დიდი არჩევანის პირობებში საუკეთესოს არჩევის საშუალება ეძლევა.

ჩატარებული კვლევით ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა საქართველოს სასურსათო ბაზარზე არსებული მდგომარეობა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით და გაგვეცა პასუხი კითხვაზე არის თუ არა დაცული მომხმარებელი და თვით ბიზნესიც, ეძლევა თუ არა ბიზნესს საშუალება განვითარდეს თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

საქართველოს სასურსათო ბაზარმა ჩვენი ყურადღება მიიქცია არა მხოლოდ საქონლის მრავალფეროვნების თვალსაზრისით, არამედ, როგორც ადგილი სადაც ფალსიფიცირებული პროდუქცია აქტიური ყიდვა-გაყიდვის საგანია, რასაც, ძირითადად, ხელს უწყობს, მოსახლეობის დაბალი მყიდველობითუნარიანობა და „ლმობიერი“ საკანონმდებლო ბაზა.

საქართველოში, მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარის გამო, კონკურენციის ძირითად საშუალებად რჩება ფასი. ამასთან, სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკა, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციის უვნებლობის კონტროლის არარსებობა, არაკეთილსინდისიერ კერძო მეწარმეს სხვადასხვა სახეობის ფალსიფიკაციისაკენ უბიძგებს.

ეს ტენდენცია საშიშია, როგორც ცივილიზებული ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი გარემოება (კეთილსინდისიერი მეწარმე ვერ უძლებს კონკურენციას, რადგან ის არ აყალბებს პროდუქციას და მისი წარმოება ძვირი უჯდება), შესაბამისად მას აქვს ნაკლები შანსი გაუძლოს კონკურენციას. გარდა ამისა, საერთაშორისო მიდგომებით ფალსიფიკაცია განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იწვევს მომხმარებელთა ჯანმრთელობის გაუარესებას და სიკვდილსაც კი.

მომხმარებელი სურსათის ბიზნესის ყველაზე დაუცველი რგოლია. ხშირად მომხმარებელი იძენს პროდუქტს, რომლის ქიმიური შედგენილობის, დამზადების ტექნოლოგიის, შენახვის პირობებისა და ვადების შესახებ მას არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია, იგი ყიდულობს მას, ასე ვთქვათ „ბრმად“. ამგვარად იგი, როგორც წესი, მხოლოდ პროდუქტის მოხმარების შემდეგ არკვევს მის ავკარგიანობას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სასურსათო სექტორის ჩამოყალიბებისა და მისი სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებელია ორი მთავარი პირობის შესრულება:

- საშინაო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრება;
- ღია საერთაშორისო ბაზრის რეჟიმის მტკიცედ დაცვა.

ამ პრობლემების მოგვარება ხელს შეუწყობს, როგორც წარმოების განვითერებას, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

მომხმარებლის უფლების დაცვა, უმეტეს შემთხვევაში, გულისხმობს საქონელთან დაკავშირებული რაიმე დავის სამართლებრივ გადაწყვეტას, რაც აუცილებლად მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას, ეს კი რიგითი მომხმარებლისთვის კი არა, რიგ შემთხვევაში, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისათვისაც ხელმიუწვდომელია. ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ამ პროცესის დარეგულირება და სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, რაც მისი მოვალეობაა.

Product Quality and Competitiveness on Georgian Market

E. Sarjveladze

Because of low purchasing power of population in Georgia price remains the main source of competition. In addition, liberal policy of the state and lack of the mechanisms to control the quality of goods on the market tempts dishonest entrepreneurs to provide different kind of falsified goods.

It's impossible to increase the quality and competitiveness of goods and to protect consumer rights without fair and free market. To regulate these processes, the EU Competition Policy includes strict monitoring of agreements between businesses, influence on the market of the central or local authorities, creation of monopolies and other similar processes.

By signing Georgia-European Union Action Plan within the European Neighborhood Policy, Georgia recognized the main principles which are necessary for development of competition and protection of customer rights. Accordingly, it is the state's responsibility to regulate these processes according to the EU legislation and ensure fair environment.

ინფორმაციის არსის საკითხისათვის

დემურ სიჭინავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ გარკვეული სახეობის ინფორმაციას ადამიანი ღებულობს ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდიდან, ხოლო დაბადებიდან მის მიერ მიღებული ინფორმაციის რაოდენობა დღითითდღე იზრდება. თავდაპირველად ახალდაბადებული ინფორმაციას იღებს მშობლებისა და გარემომცველი პირებისაგან, შემდეგ კი მისი მოცულობა თანდათანობით იზრდება მისი აღზრდა-განათლების პროცესში და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე, განსაკუთრებით ინფორმაციის თანამედროვე მოზღვავებისა და, შესაბამისად, თანამედროვე ადამიანის გარკვეულწილად „ინფორმაციულ ოკეანეში“ და „ინფორმაციული წნეხის“ ქვეშ მოქცევის შედეგად. ასე, რომ დღესდღეობით თანამედროვე ადამიანისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა იმდენად დიდია, რომ იგი მის მიღებასა და გადამუშავებას პრაქტიკულად ვერ ასწრებს.

ინფორმაციის ასეთმა მოზღვავებამ და მისმა დიდმა მნიშვნელობამ, განაპირობა ინფორმაციის ფენომენის გამოკვლევების სიმრავლე სრულიად სხვადასხვა ასპექტით. მიუხედავად ამისა, დღემდე საბოლოოდ არაა შესწავლილი და განმარტებული თუნდაც ტერმინის – „ინფორმაცია“ რაობის საკითხი, რომლის გარკვევასაც ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ტერმინი „ინფორმაცია“ (ინფორმატიო), რომელიც მეცნიერებაში მიღებულია, ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს ცნობას, შეტყობინებას. არსებობს ცნობაც, რომ ძველ საბერძნეთში ტერმინი „ინფორმაცია“ ნიშნავდა „ფორმის მიცემას“ ანუ „მოხატვას“[1]. ეს ტერმინი XVII-XVIII საუკუნეში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყანაში გამოიყენებოდა „იდეისა“ და „მეცნიერე-

[1]Алёшин Л. И., Максимов Н. В. Информационные технологии. Московская финансово-промышленная академиа, 2004, с. 6.

ბის“ მნიშვნელობით. XX საუკუნის მეორე ნახევარში ტერმინი ინფორმაცია ფუნდამენტურ კატეგორიად იქცა და იგი გახდა სრულიად სხვადასხვა მეცნიერების კვლევის ობიექტი. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს ინფორმაციის ერთიანი ზუსტი და ცალსახა განმარტება. ეს გამოწვეულია თვით ინფორმაციის არსის სირთულით. ინფორმაცია არაა ხელშესახები საგანი და, ამდენად, იგი არანივთიერია. მიუხედავად ამისა, მერკანტილისტური თვალსაზრისით, იგი ერთ-ერთი ძვირადღირებული ბრენდია მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორიცაა ნავთობით, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

მიუხედავად თავისი სირთულისა, ინფორმაციის მიღება-გადაცემის დღეისათვის არსებული სქემა უმარტივესია (იხ. ნახ.1).

ნახ.1. ინფორმაციის მიღება-გადაცემის სქემა

მოცემულ სქემაში ინფორმაციის წყარომ და ინფორმაციის მიმღებმა შეიძლება ადგილები შეიცვალონ. ასე, მაგალითად, დისკუსიისას დროის გარკვეულ მონაკვეთებში ინფორმაციის მიმღები ინფორმაციის წყარო ხდება, ხოლო ინფორმაციის წყარო კი – ინფორმაციის მიმღები.

ასეთი სქემით შეტყობინების მიღება-გადაცემა ხდება არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ ადამიანსა და ავტომატს შორის, ავტომატებს შორის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში, სიგნალების გადაცემა უჯრედიდან უჯრედში, ორგანიზმიდან ორგანიზმში და სხვ.

საერთოდ, ინფორმაციის არსის სირთულის გამო, დღემდე მეცნიერებაში, ინფორმაციის ზომის ერთეულებიც კი არაა შემუშავებული.

ინფორმაციის ზოგიერთ მკვლევარს, ინფორმაციის ზომის ერთეულებად ბიტი, ბაიტი, კილობაიტი, მეგაბაიტი, გიგაბაიტი და სხვ. მიაჩნია. სინამდვილეში კი – ჩამოთვლილი საზომი სიდიდეები შეტყობინებისა და ინფორმაციის სინტაქსური ზო-

მის ერთეულებია, რომლითაც იზომება შეტყობინების მოცულობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ერთეულებით მხოლოდ და მხოლოდ შეტყობინების აღმწერი სიმბოლოების რაოდენობის დათვლა ხდება, ხოლო შეტყობინების შინაარსობრივი (სემანტიკური) და მითუმეტეს მისი ღირებულებითი (პრაგმატული) მხარის (ბიტისა და მისი ჯერადების მსგავსი) ზომის ერთეულები ჯერჯერობით არაა შემუშავებული. ეს უკანასკნელი თავის მკვლევარს ელოდება.

რაკი ვახსენეთ სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატულობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ შეტყობინებისა და, შესაბამისად, ინფორმაციის განხილვის აღნიშნული სამივე ასპექტი.

სინტაქსი განიხილავს შეტყობინების მხოლოდ წარმოდგენის ფორმას: ინფორმაციის მატარებელს, ინფორმაციის წარმოდგენის ხერხს და სხვ. სინტაქსი არ განიხილავს შეტყობინების შინაარსსა და სარგებლიანობას.

შეტყობინების შინაარსს განიხილავს სემანტიკა. იგი არკვევს შეტყობინებაში შემავალ სიტყვებს შორის კავშირებს და, შესაბამისად, შეტყობინების მთლიან შინაარსს, რომელიც დიდადაა დამოკიდებული შეტყობინების ვერბალურ და არავერბალურ ფორმაზე. ამიტომ, მიზანშეწონილია აქვე მოკლედ განვიხილოთ შეტყობინებ ის აღნიშნული ვერბალური და არავერბალური ფორმები.

ინფორმაციის გაცვლისას, შეტყობინების შინაარსი (სემანტიკა) მისი მიმღებისთვის (იგულისხმება ცოცხალი არსებები) დიდადაა დამოკიდებული შეტყობინების კომუნიკაციურ – ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებზე.

ინფორმაციის გაცვლა ადამიანებსა და, საერთოდ, ცოცხალ არსებებს შორის ხდება ორი – ვერბალური და არავერბალური სახით. ვერბალური – ძირითადად გულისხმობს სიტყვებით, ტექსტებითა და სხვ. მსგავსი საშუალებით კომუნიკაციას, ხოლო არავერბალური – კომუნიკაციას მიმიკებით, ჟესტებით, სხეულის მოძრაობით, ხმის ტემბრით, ტონალობით და ა.შ. როგორც კვლევები აჩვენებს, ინფორმაციის გაცვლისას ვერბალურ კომუნიკაციას საერთო კომუნიკაციაში მხოლოდ 10% უჭირავს.

რაც შეეხება შეტყობინების მესამე – პრაგმატულ ასპექტს, იგი გულისხმობს მიმღებისთვის (სუბიექტი ან სისტემა) შეტყობინების სარგებლიანობას (ღირებულებას, ფასს) ამა თუ იმ საქმიანობაში გამოყენებისას.

ჩამოთვლილი ასპექტებიდან დღემდე შეტყობინებისა და ინფორმაციის მხოლოდ სინტაქსური ზომის ერთეულებია (ბიტი და მისი ჯერადები) შემუშავებული, ხოლო შეტყობინების სემანტიკური (შინაარსობრივი) მხარისა და მისი პრაგმატულობის (სარგებლიანობის) საზომი ერთეულები ინფორმაციის თეორიაში არაა შექმნილი.

ლიტერატურაში ვხვდებით შეტყობინებისა და ინფორმაციის ერთიმეორეში არევას, რაც არაა გამართლებული. სინამდვილეში პირველადი არის შეტყობინება, რომელიც შეიძლება იქცეს ინფორმაციად ან დარჩეს უსარგებლო შეტყობინებად. ამიტომ, ზემოთმოყვანილ ინფორმაციის გადაცემა-მიღების სქემას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახე (იხ. ნახ. 2).

ნახ. 2. შეტყობინების მიღება-გადაცემის სქემა

აღნიშნულ სქემაში, თუ შეტყობინების მიმღები სუბიექტისთვის ან ობიექტისთვის (სისტემისთვის), შეტყობინების სინტაქსი, ანუ წარმოდგენის ფორმა მისაღებია, შეტყობინების სემანტიკა, ანუ მისი შინაარსობრივი მხარე გასაგებია და სიახლეა და შეტყობინება მისთვის პრაგმატულია (ღირებულია), მაშინ შეტყობინება გადაიქცევა ინფორმაციად, რომელსაც სუბიექტი ან სისტემა იყენებს მიღებისთანავე ან ინახავს შემდგომი გამოყენების მიზნით. ხოლო, თუ რომელიმე ზემოთჩამოთვლილი პუნქტი დარღვეულია, შეტყობინება რჩება არაღირებულ შეტყობინებად.

ინფორმაციის დღეისათვის არსებული განმარტებები, რომელიც რამდენიმე ათეულს აჭარბებს, საკმაოდ რთულია და ხშირ შემთხვევაში, ძნელად აღსაქმელი და გაუგებარიცაა. ინფორმაციის არსის გაგების მსურველებს უჭირთ არსებული

განმარტებების შინაარსობრივი მხარის გააზრება.

ჩვენი კვლევის მიზანია ჩამოვაყალიბოთ ინფორმაციის რაც შეიძლება მარტივი და გასაგები განმარტება, რომელიც იქნება ზოგადი და მისაღები მეცნიერების სხვადასახვა დარგისათვის.

ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია მოვიყვანოთ ინფორმაციის ზოგიერთი ცნობილი განმარტება:

• ნ. ვინერის აზრით, ინფორმაცია არც ენერგიაა და არც მატერია, არამედ გარემომცველ სამყაროსთან შეგუების (ადაპტაციის) პროცესში მიღებული შეტყობინებებისა და ფაქტების ასახვაა[1]. როგორც ვხედავთ, ნ. ვინერის ამ განმარტებაში ინფორმაციის ორი მთავარი ნიშანთვისებაა გადმოცემული: პირველი, რომ ინფორმაცია თითქოსდა არაა მატერიალური და მეორე, რომ ინფორმაცია შეტყობინებებისა და ფაქტების ასახვაა. მიუხედავად ამისა, იგი საკმაოდ ზოგადი განმარტებაა. აქ არ ჩანს, ინფორმაციის მიღება-გადაცემის სქემაში მოცემული შეტყობინების მომწოდებელი და მიმღები, რომელთა გარეშე შეტყობინება ინფორმაცია არაა.

• უ. რ. ეშბის განმარტებით, ინფორმაცია არის ის, რაც აღმოფხვრის განუზღვრელობას და იზომება იმ განუზღვრელობის რაოდენობით, რომელსაც იგი სპობს[2]. ამ განმარტებაშიც არაა გამოკვეთილი მიღება-გადაცემის სქემაში მოცემული შეტყობინების მომწოდებელი და მიმღები.

• ა. ბერგის მიხედვით, ინფორმაცია – ეს არის ჩვენ გარემომცველ რეალურ სამყაროში არსებული ობიექტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების ასახვა ადამიანთა ცნობიერებაში[3]. ამ განმარტებაში ა. ბერგი ინფორმაციას იხილავს მხოლოდ ადამიანებთან მიმართებით.

• კ. ე. შენონის მიხედვით, ინფორმაცია არის მოხსნილ-შემცირებული განუზღვრელობა[4]. მიუხედავად აღნიშნული განმარტების ლაკონურობისა, აქ მაინც არაა მოცემული ვისთვისაა

[1] Винер Н. Кибернетика и общество. Пер. Е. Г. Понфилова. М., изд-во иностр. лит. 1958, с. 3.

[2] Эшби У. Р. Введение в кибернетику. М., 1959, с. 254-255.

[3] Берг А., Черняк Ю. Информация и управление. М., Экономика, 1966.

[4] Шеннон К. Работы по теории информации и кибернетике. Перевод с английского, под редакцией Р. Л. Добрушина и О. В. Лупанова. М., Иностранная литература, 1963.

მოხსნილი და შემცირებული განუზღვრელობა?

• ვ. ა. გლუშკოვის აზრით, ინფორმაცია არის სისტემის მოწესრიგების საზომი, მისი გამართვის ხარისხი მიზნის მისაღწევად[1]. ამ განმარტებასაც აკლია გარკვეულობა, კერძოდ, არაპროფესიონალისთვის გაუგებარია, თუ რას გულისხმობს ავტორი სისტემის მოწესრიგებისა და გამართვის ხარისხში.

• ი. ი. იუზვიშინის საკმაოდ რთული და ძნელად გასაგები განსაზღვრით, ინფორმაცია არის ფუნდამენტური, გენერალიზებულ-ერთიანი უსაწყისო და უსასრულო კანონპროცესი სამყაროს მიკრო- და მაკროსტრუქტურებში (დროსა და სივრცეში) ენერგიის, მოძრაობის, მასისა და ანტიმასის რეზონანსულ-ფიჭური, კვანტურ-სიხშირული და ტალღური ურთიერთობა, ურთიერთქმედება, ურთიერთგარდაქმნა და ურთიერთშენახვა მატერიალიზაციის საფუძველზე[2].

• დ. ადამის განმარტებით, ინფორმაცია არის ის, რასაც ჩვენი ტვინი აღიქვამს სხვადასხვა წყაროდან და ურთიერთშეჯერებით აყალიბებს ჩვენი ცოდნის სტრუქტურას[3]. ამ განმარტებაში დ. ადამი ინფორმაციას იხილავს მხოლოდ ადამიანებთან მიმართებით.

• ნ. ვ. მაკაროვას მიხედვით, ინფორმაცია არის შეტყობინება გარემომცველი სამყაროს ობიექტებსა და მოვლენებზე, მათ პარამეტრებზე, თვისებებსა და მდგომარეობაზე, რომლებიც ამცირებს განუზღვრელობის ხარისხსა და მათზე არსებული ცოდნის არასისრულეს[4]. აღნიშნული განმარტება საკმაოდ გასაგებადაა გადმოცემული, მაგრამ მასში მაინც არაა ნაჩვენები ვისთვის მცირდება განუზღვრელობის ხარისხი.

• საგულისხმოა ა. ი. ჩორნისა და რ. ს. გილიარევსკის ხაზგასმა ინფორმაციის მატერიალურობის შესახებ. მათი აზრით, ინფორმაცია მატერიალურია, იგი მატერიის კომპონენტია[5].

[1] Глушков В. М. Канигин Ю. М. Что такое современная НТР. Киев, 1980, с. 36.

[2] Юзвишин И.И. Информциология (или закономерности информационных процессов и технологии в микро- и макромирах вселенной). М., 1996, с. 23-24.

[3] Блюменау Д. И. Информация и информационный сервис. Ленинград, Наука. 1976, с. 20-21.

[4] Информатика. под ред Н. В. Макаровой. Третье переработанное издание. Москва, Финансы и статистика, 2001, с. 41.

[5] Чёрный А. И., Гиляревский Р. С. О сущности информации. НТИ. Сер. 1. -2002.- №8.- с. 35-37.

• ინტერესს იწვევს შემდეგი აზრიც: ცნება „ინფორმაცია“ აღნიშნავს ... შეტყობინებას პიროვნებებზე, საგნებზე, ფაქტებზე, გარემოებებზე, მოვლენებსა და პროცესებზე მათი წარმოდგენის ფორმების მიუხედავად[1].

• მოკლე და ზოგადია შემდეგი განსაზღვრაც. ... ინფორმაცია ვუწოდოთ ყველაფერს, რაც ამცირებს გაურკვევლობას სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ[2].

• სადავო განმარტებას იძლევა პ. უ. კუზნეცოვი: „...ინფორმაციის არსი განისაზღვრება როგორც არსებული საქმიანობის სახე, რომელიც ასახულია ადამიანის ცნობიერებაში და გამოსახული სიმბოლური ფორმით ცხოვრებაში ორიენტაციისა და ადაპტაციის მიზნით“[3].

ჩამოთვლილი განმარტებების ანალიზისა და შედარების საფუძველზე შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე:

ინფორმაცია არის სუბიექტის ან ობიექტის მიერ მიწოდებული შეტყობინება რაიმე სიახლის შესახებ, რომელსაც ჰყავს სუბიექტი ან ობიექტი მომხმარებელი. ეს განმარტება, შეიცავს სამ კომპონენტს: შეტყობინებას, სიახლეს და მომხმარებელს (შ-ს-მ). განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

შეტყობინების მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით. როგორც ცნობილია, ადამიანი შეტყობინებას იღებს გრძნობათა – მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, შეხების და სხვ. ორგანოებით.

გასარკვევია – არის თუ არა ყველა შეტყობინება ინფორმაცია? ამისათვის განვიხილოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული განმარტების მეორე კომპონენტი – სიახლე.

ჩვენი აზრით, ინფორმაცია არაა ისეთი შეტყობინება, რომელიც არ წარმოადგენს სიახლეს, მაგ., 2X2=4-ს – თანამედროვე ადამიანისთვის, თუმცა იგი სიახლეა იმათთვის, ვინც ეს-ესაა იწყებს მათემატიკის ელემენტების შესწავლას, მაგ., პირველკლასელისათვის. ასევე, ინფორმაცია არაა შეტყობინების უბრა-

[1] Алёшин Л. И., Максимов Н. В. Информационные технологии. Московская финансово-промышленная академиа, 2004, с. 5.

[2] ლომკაცი გ., ლომკაცი ო. ინფორმაცია, სიგნალი, სისტემა. თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2009, გვ. 186.

[3] Информационные технологии в юридической деятельности. Под общей редакц. П. У. Кузнецова. М., Юрайт, 2012, с. 43.

ლო მოსმენა და, გნებავთ, საფუძვლიანი გაგონებაც კი, თუ იგი აღქმული არაა როგორც სიახლე და სასარგებლო. მაგ., ცხოველისთვის შეტყობინება 2X2=4-ს – არაა ინფორმაცია.

დაბოლოს, განმარტების მესამე კომპონენტი – მომხმარებელი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სუბიექტისთვის ან ობიექტისთვის (სისტემისთვის), შეიძლება შეტყობინების სინტაქსი გასაგები იყოს და სემანტიკაც სიახლეს შეიცავდეს, მაგრამ პრაგმატულობის ასპექტი ნულის ტოლი იყოს, ანუ მისთვის ამ შეტყობინებას ღირებულება არ გააჩნდეს. მაშინ სუბიექტი ან სისტემა მისი მომხმარებელი არაა და, შესაბამისად, მისთვის ეს შეტყობინება არ იქნება ინფორმაცია.

ინფორმაციის ჩვენ მიერ შემოთავაზებული განსაზღვრა მოიცავს სამ კომპონენტს: შეტყობინებას, სიახლესა და მომხმარებელს. თუ სუბიექტისთვის ან ობიექტისთვის (სისტემისთვის), შეტყობინების სინტაქსი, ანუ წარმოდგენის ფორმა მისაღებია, შეტყობინების სემანტიკა, ანუ მისი შინაარსობრივი მხარე გასაგებია და სიახლეა და შეტყობინება მისთვის პრაგმატულია (ღირებულია), მაშინ შეტყობინება ინფორმაციაა, რომელსაც სუბიექტი ან სისტემა იყენებს მიღებისთანავე ან ინახავს შემდგომი გამოყენების მიზნით.

ამრიგად, ინფორმაცია არის შეტყობინება რაიმე სიახლის შესახებ, რომელსაც ჰყავს მომხმარებელი (შ-ს-მ).

Regarding the Concept of Information

D. Sichinava

The article deals with the definition of the concept of information. It provides critical analysis regarding the opinions about this issue. The conclusion is made that information is a massage about something new which has its own customer.

ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი

1. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის შედეგები (სიახლე); რეკომენდაციები;

2. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება, რისთვისაც აუცილებელია რამდენიმე მათგანის მითითება ტექსტში (მიღებული წესით სქოლიოების მინიშნებებით შესაბამის გვერდებზე);

3. სტატიის ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს Sylfaen-ით, 12-იანი შრიფტით და ხაზებს შორის 1,5-იანი დაშორებით;

4. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით, 6-10 გვერდის მოცულობით;

5. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

6. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი ქართულ და ინგლისურ ენებზე (8-10 სტრიქონის მოცულობით);

7. სტატიები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული და ქაღალდზე ამობეჭდილი ფორმით (2 ეგზემპლარად);

8. მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი მასალა ჟურნალში არ დაიბეჭდება;

9. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს –ერთ გვერდზე 10 (ათი) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

ISSN 1987-5789

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი

200